საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.ge
№34 (269)
24 - 30 სექტემბერი, 2014

# საქართველო და მსოფლიო

ფასი 1 ლარი
gazeti@inbox.ru

## «მაპზე უკეთესი», «ოქროს ბარათი» და წელიწადში მილიონი დოლარი 7



## შემზარავი მონაცემები

## ორ კვარტალში, ბანკებმა მოსახლეობისგან 86,3 მილიონი ლარის ქონება ამოიღეს! 10

## «კიევის მაიდანი: გაკვეთილები სამხრეთ კავკასიის ქვეყნებისთვის»



4

ამჟამად ეს „ლიბერალები“ და „დემოკრატები“ სომხეთსა და აზერბაიჯანში ვითარების ასარევად ემზადებიან იქაურ კოლეგებთან ერთად. განსაკუთრებით აქტიური მუშაობა მიმდინარეობს სომხეთში, სადაც ქართველი „რევოლუციების სპეციალისტები“ გამოცდილებასა და ტექნოლოგიებს უზიარებენ თავიანთ იქაურ დამქაშებს

## «პოლიტიკოსებმა საქართველო გაწირეს» 9





## «სააკაშვილს, რომც დააპატიმრონ, მარგველაშვილი შეიწყალებს!» 14

## ახალი ქვეყნები, რომლებიც, შესაძლოა, ევროპის რუკაზე გაჩნდეს 19

## გერმანიაში ისლამისტმა რადიკალებმა თავი წამოყვეს 25

უილიამ ლაჰიუ:

## ნატოსგან თქვენ ყველაზე შორს ხართ! 2

## «იმ კაცის თანამდებობაზე დანიშვნა, რომელიც გეტყვის, პლასტელინი ვიქნებიო, უბრალოდ, არ უნდა მოგინდეს» 8

## ფარული «ნაცები» ქართულ პოლიტიკაში 12

რას ამბობდნენ ადრე და რას ამბობენ ახლა «მეორადი მოხმარების» პოლიტიკოსები

## «ხელისუფლებაში ასეთი არაპროფესიონალიზმი არასდროს ყოფილა» 15

## აშშ «ისლამური სახელმწიფოს» მებრძოლებს იარაღს თბილისის გავლით აწვდის? 18

ამბები

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## საქართველო ყველაზე უბედური ქვეყნების სიაში მოხვდა

**კომპანია Gallup-Healthways-მა ყველაზე ბედნიერი და უბედური ქვეყნების სარეიტინგო სია გამოაქვეყნა.** ათეულში იმ ქვეყნებისა, რომლებშიც კეთილდღეობა დიდია და ადამიანები თავს ბედნიერად მიიჩნევენ, მოხვდნენ: პანამა, კოსტა-რიკა, დანია, ავსტრია, ბრაზილია, სალვადორი, ურუგვაი, შვედეთი, კანადა, გვატემალა. სამწუხაროდ, **საქართველო,** სირიასთან, ავღანეთთან, ჰაიტისთან, კონგოს დემოკრატიულ რესპუბლიკასთან, ჩადთან, მადაგასკართან, ბენინსა და ხორვატიასთან ერთად კეთილდღეობის არმქონე, უბედური ქვეყნების ჩამონათვალში მოხვდა. Gallup-Healthways-მა 15 სექტემბერს გამოქვეყნებული კეთილდღეობის სარეიტინგო სიის შედგენისას გაითვალისწინა შემდეგი პარამეტრები: **მოქალაქეთა ფინანსური კეთილდღეობა; ადამიანების სოციალური დაცულობის დონე, ახლობლებთან ურთიერთობა, ჯანმრთელობის მაჩვენებლები, ცხოვრებით კმაყოფილება — მოტივაცია მიზნის მისაღწევად.** გამოკითხვაში მონაწილეობდა 135 ქვეყნის 133 ათასი ადამიანი.

Gallup · Healthways Well-Being Index®




## საქართველო ცოცხალი გენმოდიფიცირებული ორგანიზმებისთვის დახურულ ტერიტორიად ცხადდება

**საქართველოს ტერიტორიაზე, მის გარემოში, ინტროდუქცია იკრძალება, რაც ნიშნავს, რომ ცოცხალი გენმოდიფიცირებული ორგანიზმებით შექმნილი თესლი საქართველოში თავისუფლად აღარ შემოვა; შემოსვლის შემთხვევაში კი, მისი ინტროდუქცია, ანუ ნიადაგში შეტანა დახურულ სივრცეში მოხდება, რაც, თავის მხრივ, ლიცენზირებული საქმიანობა იქნება.**

ამ ყველაფერს „ცოცხალი გენმოდიფიცირებული ორგანიზმების შესახებ“ კანონპროექტი ითვალისწინებს, რომელიც გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრომ მოამზადა და პარლამენტმა მოსმენით დაამტკიცა.

პარლამენტის მიერ მიღებული კანონპროექტი არ ითვალისწინებს გენმოდიფიცირებული პროდუქციის საბაზროს ქსელში განთავსებასთან დაკავშირებულ საკითხებს და ამ მხრივ რაიმე ტიპის რეგულაციებს არ აწესებს.

საქართველოში გამოვლენილია მხოლოდ ორი კომპანია, რომელსაც ცოცხალი გენმოდიფიცირებული ორგანიზმები შემოაქვს ან თანამშრომლობს იმ კომპანიებთან, რომლებიც ამგვარ პროდუქციას აწარმოებენ.

ცოცხალ გენმოდიფიცირებულ ორგანიზმებთან დაკავშირებული საქმიანობა ადმინისტრაციული და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საგანიც იქნება. „ცოცხალი გენმოდიფიცირებული ორგანიზმების შესახებ“ პროექტთან ერთად პარლამენტმა მიიღო „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში“ და „სისხლის სამართლის კოდექსში“ შესატანი ცვლილებები, რომლებიც ცოცხალი გენმოდიფიცირებული ორგანიზმებით საქმიანობის წესების დარღვევაზე, მათი ტრანსპორტირების უსაფრთხოების პირობების დარღვევაზე და ასე შემდეგ, პასუხისმგებლობის დაწესებას ითვალისწინებს.



## სააკაშვილის შემდეგ, შესაძლოა, ქონება შვედეთის საგარეო საქმეთა ექსმინისტრსაც დაუყადაღონ

**მიხეილ სააკაშვილის გარშემო ატეხილ ხმაურს, რომელიც მისი ქონების დაყადაღებას უკავშირდება, შესაძლოა, ახალი სკანდალი დაემატოს. საქმე ეხება შვედეთის საგარეო საქმეთა ყოფილ მინისტრ კარლ ბილდტს. იგი კორუფციაში არის მხილებული და შესაძლოა, ციხეში ამოყოს თავი. აღსანიშნავია, რომ ბილდტს მიხეილ სააკაშვილთან „კრიმინალურ“ ურთიერთობაში ადანაშაულებენ.**

ვიდრე კარლ ბილდტი შვედეთის სამეფოს საგარეო საქმეთა მინისტრი (ეს პოსტი მან 2006 წელს დაიკავა) გახდებოდა, 2004 წლიდან ხელმძღვანელობდა პიარსააგენტო Kreab-ს. ამ სააგენტომ 2006 წელს დაიწყო მოლაპარაკება საქართველოს იმდროინდელ პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილთან. სააგენტო საქართველოს ხელისუფლებას უნდა დახმარებოდა საჭირო პოლიტიკოსებთან კონტაქტების დამყარებაში.

კარლ ბილდტმა პიარსააგენტოს თავმჯდომარის პოსტი 2006 წლის სექტემბერში დატოვა, ხოლო ნოემბერში მისმა სააგენტომ ხელშეკრულება გაუფორმა საქართველოს ხელისუფლებას, მომსახურების გაწევა კი იმავე წლის დეკემბრიდან დაიწყო. ერთი წლის შემდეგ, 2007 წლის ნოემბერში, საქართველოს იმდროინდელმა პრეზიდენტმა სასტიკად დაარბია ოპოზიციის მიტინგი და დახურა ტელეარხი „იმედი“. წესით, ამას მნიშვნელოვნად უნდა შეერყია სააკაშვილის იმიჯი ევროპაში, მაგრამ პიარსააგენტოებმა სერიოზულად იმუშავეს, თუმცა დიდი გასამრჯელოს საფასურად:

**2007 წლის დეკემბრიდან 2008 წლის დეკემბრამდე ფირმა KREAB-მა საქართველოს მთავრობისგან მიიღო დაახლოებით 880 ათასი ევრო.** მიუხედავად იმისა, რომ 2008 წლის არჩევნები მრავალრიცხოვანი დარღვევებით ჩატარდა, შვედეთის საგარეო საქმეთა მინისტრი კარლ ბილდტი გამოვიდა საჯარო განცხადებით საქართველოში დემოკრატიის დიდი მიღწევების თაობაზე. საქართველოში შვედეთის იმდროინდელმა ელჩმა — ჰანს გუნან ადელმა კი შვედეთის მთავრობას აცნობა საქართველოში არსებული დარღვევების შესახებ, მაგრამ, კარლ ბილდტის მოთხოვნით, ელჩი მოხსნილი იქნა თანამდებობიდან.

პიარსააგენტოსა და საქართველოს მთავრობას შორის თანამშრომლობა შეწყდა 2008 წელს, მას მერე, რაც ქართულმა მხარემ აღარ გადაუხადა 2008 წლის იანვარ-თებერვლის ჰონორარი.

**კარლ ბილდტი ბრალდებას უარყოფს და ადვოკატების აყვანით არის დაკავებული — არ არის გამორიცხული, რომ, სააკაშვილის მსგავსად, შვედეთის ახალმა მთავრობამ მასაც დაუყადაღოს ქონება პოლიტიკურ-კორუფციული გარიგებებისთვის.**



## The American Conservative: სააკაშვილმა გამოიჩინა სიბრიყვე და ანკესს წამოეგო!

**„სასოწარკვეთილი სააკაშვილი რეაბილიტაციას ითხოვს“ — ამ სათაურით აქვეყნებს გამოცემა The American Conservative სტატიას საქართველოს ყოფილ პრეზიდენტზე.**

როგორც სტატიის ავტორი დენიელ ლარისონი წერს, საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი ამჟამად ბრუკლინში ცხოვრობს და უფრო მეტადაა ჩასუქებული, ვიდრე პრეზიდენტობის პერიოდში. ამასთანავე, სტატიის ავტორის აზრით, უკრაინისა და საქართველოს კონფლიქტებს შორის მსგავსება არსებობს, თუმცა განსხვავება არის ის, რომ 2008 წლის ომზე პასუხისმგებლობა სააკაშვილს ეკისრება.

**„სწორედ სააკაშვილმა გამოიჩინა სიბრიყვე და ანკესს წამოეგო. მას ეგონა, რომ შეერთებული შტატები და დასავლელი პარტნიორები გაჭირვებაში არ მიატოვებდნენ. ამისკენ მას უბიძგა გაუაზრებელმა ამერიკულმა რიტორიკამ, ნატოში საქართველოს გაწევრიანების უსაფუძვლო მხარდაჭერამ და რევოლუციისადმი დასავლეთის უგუნურმა ენთუზიაზმმა. ამის მიუხედავად, ცხინვალზე შეტევის დაწყება სწორედ სააკაშვილმა გადაწყვიტა და იმ ზარალზე, რომელიც საქართველომ განიცადა, პასუხისმგებლობა სწორედ მას ეკისრება“**, — წერს ავტორი.



## თემურ ჯანაშიას ქონება და საბანკო ანგარიშები დაუყადაღეს

**სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის ყოფილ უფროსს — თემურ ჯანაშიას ქონება და საბანკო ანგარიშები დაუყადაღეს.**

ჯანაშიას დაუყადაღეს საბანკო ანგარიშები, მათ შორის ანგარიში, რომელზეც პენსიის თანხა ერიცხება.

თემურ ჯანაშიას ბრალი სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის ხარჯების გაფლანგვაში ედება. აღმკვეთის ღონისძიების სახით სასამართლომ მას გირაო შეუფარდა.

### უილიამ ლაჰიუ:

## ნატოსგან თქვენ ყველაზე შორს ხართ!

**საქართველოში ნატოს სამეკავშირეო ოფისის ხელმძღვანელმა უილიამ ლაჰიუმ ნატოში საქართველოს შესვლის პერსპექტივა შეაფასა. მისი აზრით, მაპისკენ მიმავალ გზაზე საქართველოს ბევრი მტკივნეული ცვლილების გაძლება მოუწევს.**

„შეხედეთ რეალობას: სად არის საქართველო, როგორია მისი გეოპოლიტიკური სიტუაცია? თქვენ ყველაზე შორს ხართ იმ ქვეყნებს შორის, რომლებსაც სურთ, ნატოს წევრი გახდნენ. თუმცა, თქვენს საზღვართან უკვე არის წევრი ქვეყანა — თურქეთი და ეს კარგია, რადგან ამით თქვენ ალიანსის გეოგრაფიულ მთლიანობას არ არღვევთ... თქვენ ყველაზე შორს ხართ. ისევ და ისევ რეალობას შეხედეთ: მაგალითად, ალბანეთის მეზობლებმა გაცილებით მეტი იციან ალბანეთზე, ვიდრე საქართველოზე. გაფართოების პროცესს წინ უნდა უძღოდეს ინფორმირებულობა და საქართველო აკეთებს ამას, მაგალითად, ISAF-ის მისიაში მონაწილეობით თქვენ წარმოდგენას უქმნით ნატოს წევრ ქვეყნებს, რა წვლილი შეიძლება, შეიტანოს საქართველომ საერთო უსაფრთხოებაში, ერგებით თუ არა არსებულ სტანდარტებს. რა თქმა უნდა, ადვილი იქნებოდა, ევროპის ცენტრში რომ ყოფილიყავით, გარშემორტყმული ქვეყნებით, რომლებიც უკვე არიან ალიანსის წევრები”,— აღნიშნა ნატო-ს სამეკავშირეო ოფისისი ხელმძღვანელმა.

მისივე აზრით, არის სხვა პრობლემაც: ტერიტორიული კონფლიქტები როგორც საქართველოში, ასევე მის საზღვრებთან ახლოს.



**„ვგულისხმობ მთიანი ყარაბაღის კონფლიქტს. ეს კონფლიქტები, მიუხედავად იმისა, რომ არ გამორიცხავენ საქართველოში ნატოში გაწევრიანებას, დაბრკოლებას ქმნიან. ასევე საგულისხმოა საკითხი, რა სტატუსი შეიძლება ჰქონდეს აფხაზეთსა და ე.წ. სამხეთ ოსეთს ნატოში საქართველოს გაწევრების შემთხვევაში, როგორ მოერგება მათ ნატოს მეხუთე მუხლი და ა.შ.“** — თქვა უილიამ ლაჰიუმ.

ნატოს სამეკავშირეო ოფისის ხელმძღვანელის განმარტებით, მაპისკენ მიმავალ გზაზე საქართველოს ბევრი მტკივნეული ცვლილებების გაძლება მოუწევს.

**„როდის მიენიჭება საქართველოს მაპი? უკვე ყველა შეთანხმდა, რომ საქართველო გახდება ნატოს წევრი, მაგრამ უნდა შეთანხმდნენ მაპის გაცემის დროზეც, ეს კი ცალკე პოლიტიკური გადაწყვეტილებაა... თქვენი მთავარი საზრუნავი ქვეყანაში მიმდინარე პროცესები უნდა იყოს — რეფორმები, მშვიდობის უზრუნველყოფა, ქვეყნის უსაფრთხოება და კეთილდღეობა“**, — აღნიშნა ლაჰიუმ.

ამბები
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



## საუკუნის ბოლოს დედამიწაზე 11 მლრდ ადამიანი იცხოვრებს

**გაეროსა და ვაშინგტონის უნივერსიტეტის მეცნიერთა განცხადების თანახმად, დედამიწის მოსახლეობის მატება გაგრძელდება XXI საუკუნეშიც და 2100 წელს პლანეტაზე 11 მილიარდი ადამიანი იცხოვრებს.** გაეროს ექსპერტთა მონაცემებით, საუკუნის ბოლოს დედამიწის მოსახლეობის რაოდენობა 7,2-დან 11 მილიარდამდე მოიმატებს. მოსახლეობის ყველაზე დიდი მატება მოსალოდნელია აფრიკაში — 1-დან 4 მილიარდამდე. აზიაში მცხოვრებთა რიცხვი 4,4-დან 5 მილიარდამდე გაიზრდება.

# დასავლეთის მზრძანებლური ქედმაღლობა




**მცირე შემოკლებით გთავაზობთ ნორვეგიის შეიარაღებული ძალების შტაბის ანალიტიკოსის — ტურმუდ ჰეიერის წერილს, რომელიც Dagens Naeringsliv-მა გამოაქვეყნა.**

საერთაშორისო კრიზისების რეგულირების ძირითადი პრინციპი დაძაბულობის ესკალაციის თავიდან აცილებაა. ამ პრინციპის დაცვისას უმჯობესია, კონფლიქტს მოწინააღმდეგის თვალით შეხედო. ასეთი მოქმედებით კონფლიქტის მონაწილეები ხშირად პოულობენ გადაწყვეტილებას, რომლითაც თითოეულს შეეძლება, ცხოვრება „სახის დაკარგვის გარეშე" განაგრძოს.

**ამ პრინციპზე აშშ-მა და ნატომ უარი 1990-იანი წლებიდან თქვეს. მათ თავიანთი ინტერესები რეალურ პოლიტიკაზე მაღლა დააყენეს იმისათვის, რომ დაეკანონებინათ სხვა სახელმწიფოების საშინაო საქმეებში ჩარევა.**

**კრიზისული სიტუაციის ყველაზე აღმაშფოთებელი გამოვლინებაა უკრაინის საშინაო საქმეებში ჩარევა, იმ ქვეყნისა, რომლის სახელისუფლო დერეფნებში აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამართველოს ხელმძღვანელები, სახელმწიფო მდივნები და სენატორები დახეტიალებენ.**

დასავლეთის მიერ რუსეთის უსაფრთხოების უგულებელყოფა ხელს უწყობს აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის ურთიერთობის პოლარიზებას, სწორედ ამიტომ გადაიქცა უკრაინის კრიზისი „თამაშად ნულოვანი შედეგით": აშშ-ისა და მისი მოკავშირეების გავლენა ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებზე აღიქმება, როგორც რუსეთის უსაფრთხოებისა და სტაბილურობისადმი მუქარა.

დასავლეთის მიერ მხარდაჭერილი თებერვლის პუტჩის შემდეგ, უკრაინა რუსეთის ინტერესების სფეროდან დასავლეთის ინტერესების სფეროში გადასასვლელ გზაზე აღმოჩნდა. ამისათვის ამერიკელებმა 1990-იანი წლების დასაწყისიდან დღემდე მილიარდობით დოლარი დახარჯეს.

სწორედ ამიტომ ჩათვალა აშშ-ის სახელმწიფო მდივნის თანაშემწე ვიტორია ნულანდმა, რომ რეჟიმის შეცვლის დრო დადგა; პუტჩის შემდეგ პუტინის მოთმინების ფიალა აივსო; რუსეთის აზრით, ყველაზე მნიშვნელოვანი მეზობელი ქვეყანა რამდენიმე წლის შემდეგ შეიძლებოდა ტრამპლინად ქცეულიყო ნატოს ჯარების შესაჭრელად ახლო საზღვარგარეთის სიღრმეში.

უკრაინის კრიზისის ძირითადი მიზეზი აღმოსავლეთით ნატოს სამ გაფართოებაშია — 1999, 2004 და 2009 წლებში, აგრეთვე, ევროკავშირის გაფართოებაში.

**ევროკავშირში ვარშავის ხელშეკრულების ყოფილი მონაწილე ქვეყნებისა და ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების შეყვანა დასავლეთის სტრატეგიის ყველაზე კონკრეტული გამოხატულებაა. ამ სტრატეგიის მიხედვით, ყოფილი მტრები, სასურველია რუსეთიც, ნელ-ნელა უნდა შეუერთდნენ დასავლეთ ევროპას. სწორედ ასე იცხოვრებს ევროპა მშვიდად, ხოლო ამერიკელები თავიდან აიცილებენ ომებში ჩათრევას.**

მაგრამ რუსეთი ევროპის სხვა ქვეყნებისგან განსხვავდება. რუსეთის კულტურა, უსაფრთხოება და სტაბილურობა აგებულია ისეთ ფასეულობებზე, რომლებიც მნიშვნელოვნად განსხვავდება დასავლური ფასეულობებისგან.

**ვიდრე რუსი ერი დამოკიდებული იქნება ცენტრალიზებულ კონტროლზე, როდესაც მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი მზად არის, უსაფრთხოებასა და სტაბილურობას მსხვერპლად შესწიროს ადამიანის ძირითადი უფლებები, ყოველთვის იარსებებს თვალსაზრისი „სტრატეგიულ სიღრმესა" და აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის მგრძნობიარე ბუფერული სახელმწიფოების საჭიროებაზე.** შესაბამისად, უკრაინის კრიზისს საერთო არაფერი აქვს რუსეთის „ველიკოდერჟავულ" ამბიციებთან ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში, მას, ასევე არაფერი აქვს საერთო პუტინის მმართველობასა და რუსულ შეიარაღებასთან.

ყირიმის მიერთება, საბოლოო ჯამში, მეტყველებს აშშ-ისა და მისი მოკავშირეების ჩარევაზე იმ ქვეყნის საშინაო საქმეებში, რომლის გაკონტროლებაც სურდა რუსეთს პოლიტიკური და სამხედრო თვალსაზრისით. წინააღმდეგ შემთხვევაში მოწინააღმდეგეთა შორის მანძილი ძალიან მოკლე იქნებოდა იმისათვის, რომ რუსეთსა და მის მოსაზღვრე სახელმწიფოებს თავი უსაფრთხოდ ეგრძნოთ.



## საერთაშორისო სავალუტო ფონდმა იაცენიუკს ურჩია, ენას კბილი დააჭიროს

**საერთაშორისო სავალუტო ფონდმა უკრაინის პრემიერმინისტრ არსენი იაცენიუკს ურჩია, ენას კბილი დააჭიროს.**

უკრაინის პრემიერმინისტრ იაცენიუკის განცხადების პასუხად, რომ „დასავლეთი სუსტად ეხმარება საერთო მტრის წინააღმდეგ მებრძოლ ქვეყანას", საერთაშორისო სავალუტო ფონდმა მას გაუგზავნა ოფიციალური წერილი, რომლითაც მოითხოვს, რომ უკრაინის პრემიერმა შეწყვიტოს წუწუნი და კარგად დაფიქრდეს, ვიდრე რამეს იტყვის.

**„ჩვენ უსამართლოდ მიგვაჩნია თქვენი განცხადება. უკრაინაში საერთაშორისო სავალუტო ფონდის წარმომადგენელ ნიკოლაი გეორგიევთან პირად საუბარში თქვენ აღნიშნეთ, რომ მოხდა უკრაინისთვის გამოყოფილი ტრანშის „დანაშაულებრივი გადავადება". უკრაინა სრულად ვერ მიიღებს 25-მილიარდიან დახმარებას, რადგან წინა საკრედიტო ვალდებულებებს ვერ ასრულებს და ყველა საფუძველი გვაქვს, რომ ვერც მომავალში შეასრულებს",** — ნათქვამია საერთაშორისო სავალუტო ფონდის ხელმძღვანელთა წერილში.

შეგახსენებთ, რომ უკრაინამ საერთაშორისო სავალუტო ფონდს დახმარება 2013 წელს სთხოვა, პირველი ტრანში კი მიმდინარე წლის მაისში მიიღო.



## ნიკოლა სარკოზი: საფრანგეთი დაავადებულია უპრეცედენტო კრიზისით, რომელმაც ევროპა შეიძლება კრახამდე მიიყვანოს

**ყოფილები გადაადგილების შემდეგ, როგორც ჩანს, უფრო ლოგიკურად აზროვნებენ. საფრანგეთის ცენტრალურ ტელევიზიას ინტერვიუ მისცა, სადაც განაცხადა:** „საფრანგეთი უმძიმეს კრიზისშია, რომელმაც ევროპას, შესაძლოა, კრახისკენ უბიძგოს. 2008 წლის კრიზისი, რომელმაც მსოფლიო მოიცვა, საფრანგეთს დაატყდა თავს. ეს იყო კრიზისი, რომლის მსგავსი მსოფლიოს 1929 წლიდან არ ახსოვდა, ეს კრიზისი შეეხო ყველა ქვეყანასა და ყველა დარგს. 2014 წელს კი საფრანგეთის კრიზისმა ევროპა შეიძლება კრახამდე მიიყვანოს", — განაცხადა ნიკოლა სარკოზიმ.

## ერიკ პრინსი: ობამა რომ არა, Blackwater-ის მებრძოლები «ისლამურ სახელმწიფოს» გაანადგურებდნენ

**კერძო სამხედრო კომპანია Blackwater-ის დამფუძნებელმა ერიკ პრინსმა განაცხადა, რომ მის სამხედროებს შეეძლოთ, იოლად გამკლავებოდნენ „ისლამური სახელმწიფოს" მებრძოლებს, მაგრამ ამას ობამას ადმინისტრაციამ შეუშალა ხელი.**

კერძო სამხედრო კომპანია Blackwater-ის (ახლა მას სახელი გადაარქვეს და Academi ჰქვია) დამფუძნებელმა ერიკ პრინსმა სპეციალურად მოწყობილ პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ **მისი ბიზნესი ბარაკ ობამას ადმინისტრაციამ დაანგრია** და ეს სამარცხვინოა, ხოლო **BLACKWATER-ის იოლად შეეძლო ექსტრემისტული დაჯგუფება „ისლამური სახელმწიფოს" განადგურება** და დღეს პოლიტიკური აურზაური აღარ იქნებოდა". ერიკ პრინსმა თავისი ბიზნესი აშშ-ის ხელისუფლების სათავეში ბარაკ ობამას მოსვლის შემდეგ გაყიდა, მას შემდეგ, რაც ობამას ადმინისტრაციამ ურთიერთობა გაწყვიტა სამხედრო კომპანიასთან, რადგან გაირკვა, რომ 2007 წელს Blackwater-ის წარმომადგენლებმა ბაღდადში 17 მშვიდობიანი მოქალაქე მოკლეს. მანამდე კი 2007 წელს აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმა ამ ორგანიზაციას 1,3 მლრდ დოლარი გადაურიცხა მომსახურებისთვის.







## დენიელ ელსბერგი: აშშ-ს უფრო მეტი სნოუდენი სჭირდება!

**აშშ-ის თავდაცვის მინისტრის ყოფილი თანაშემწე, სამხედრო საკითხების ანალიტიკოსი დენიელ ელსბერგი მიიჩნევს, რომ ედვარდ სნოუდენის მსგავსი მამხილებელი ადამიანები აშშ-ს ომებს თავიდან აცილებენ.**

აშშ ფართომასშტაბიანი ომის ზღურბლზე დგას ახლო აღმოსავლეთში, დროა, კონგრესმა იმსჯელოს შექმნილ ვითარებაზე, ამასთანავე, დებატები არ უნდა აიგოს სახელმწიფო მოხელეების სიცრუეზე, ხოლო დისკუსია ნაყოფიერი რომ იყოს, მასში ისეთი ადამიანები უნდა ჩაერთონ, როგორიც არის სნოუდენი.

აშშ-მა ვიეტნამისა და ერაყის ომები იმიტომ წამოიწყო, რომ იმ მომენტში არ იყვნენ მამხილებელი პიროვნებები, რომლებიც ქვეყანას თავიდან ააცილებდნენ სამხედრო კონფლიქტებში ჩართვას. **„ჩვენ გვჭირდება რაც შეიძლება ბევრი ედუარდ სნოუდენი და ჩელსი მენინგი იმისათვის, რომ კონგრესს აცნობონ, საით მიაქანებენ ამერიკას",** — განაცხადა ამერიკელმა ანალიტიკოსმა.

გეოპოლიტიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„უკრაინაში დაწყებული პროცესები არ არის ერთი ლოკალური შემთხვევა — ეს დიდი საერთაშორისო პროექტის ერთ-ერთი ელემენტია, რაც რუსეთის საზღვრების გარშემო მუდმივი ქაოსის კერების შექმნას ითვალისწინებს. ამ პროცესის ორგანიზატორები უკრაინის კვალდაკვალ, მალე მთლიანად ამიერკავკასიის „აფეთქებას“ შეეცდებიან”**

# «კიევის მაიდანი: გაკვეთილები სამხრეთ კავკასიის ქვეყნებისთვის»

**23 სექტემბერს სასტუმრო „ბეტსიში“, არასამთავრობო ორგანიზაცია „ისტორიული მემკვიდრეობის ორგანიზებით, გაიმართა სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია „კიევის მაიდანი: გაკვეთილები სამხრეთ კავკასიის ქვეყნებისთვის“. ხანგრძლივი მსჯელობის შემდეგ, დამსწრე საზოგადოებამ, სპეციალური რეზოლუციაც მიიღო (იხ. გვ.6). აღინიშნა ისიც, რომ აღნიშნული კონფერენციის ჩატარება დღეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საქართველოსთვის, ვინაიდან ჩვენმა ქვეყანამ გარედან მართული არაერთი სახელმწიფო გადატრიალება გადაიტანა და მძიმე შედეგებს დღემდე იმკის.**



სამეცნიერო კონფერენციაზე გამომსვლელებმა, მეზობელ სომხეთსა და აზერბაიჯანში არსებული ვითარებისა და მოსალოდნელი რყევების შესახებაც ისაუბრეს და შეეცადნენ, გაეცათ პასუხი კითხვისთვის: უახლოეს მომავალში უნდა ველოდოთ თუ არა სახელმწიფო გადატრილების მცდელობებს სამხრეთ კავკასიაში ან სულაც საქართველოში? დასასრულ, მონაწილენი შეთანხმდნენ, რომ ჩვენი ქვეყნის ხსნა მხოლოდ ერის კონსოლიდაციაშია.



**ტარიელ გაგნიძე, არასამთავრობო ორგანიზაცია „ისტორიული მემკვიდრეობის“ ხელმძღვანელი:**

— **უკრაინაში დაწყებული პროცესები არ არის ერთი ლოკალური შემთხვევა — ეს დიდი საერთაშორისო პროექტის ერთ-ერთი ელემენტია, რომელიც რუსეთის საზღვრების გარშემო მუდმივი ქაოსის კერების შექმნას ითვალისწინებს. ამ პროცესის ორგანიზატორები უკრაინის კვალდაკვალ, მალე მთლიანად ამიერკავკასიის „აფეთქებას“ შეეცდებიან.** მათ ამისთვის საკმარისი ბერკეტები გააჩნიათ და ამ ქვეყნებში უკვე საკმარისი საფუძველიც აქვთ ამ ყველაფრისთვის შექმნილი. იმედი ვიქონიოთ, რომ ეს არ გამოუვათ, მაგრამ ასე ცალსახადაც ვერ ვიქნებით დარწმუნებულნი, რადგან მასში სერიოზული ძალები არიან ჩართულნი და, დიდი ალბათობით, ეს პროცესები ამიერკავკასიაში გადმოინაცვლებს.



**თამარ კიკნაძე, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორი, საერთაშორისო ურთიერთობათა დეპარტამენტის თავმჯდომარე:**

— ვინც რუსეთის ისტორიას იცნობს, კარგად მოეხსენება, რომ ბოლო მომენტში რუსეთი ყოველთვის ფენიქსივით აღსდგება ხოლმე. დღესაც ეს პროცესი მიმდინარეობს. რაც შეეხება უკრაინას, უნდა ითქვას, რომ უკრაინის მიმართ დასავლეთი გამიზნულად მოქმედებს. ჯერ კიდევ ოტო ფონ ბისმარკი გეგმავდა, უკრაინა ისეთ პოზიციაში აღმოჩენილიყო, რომ რუსეთთან მუდმივად დაპირისპირებულ მდგომარეობაში ყოფილიყო. უნდა ითქვას ისიც, რომ დასავლეთს არაჩვეულებრივი პიარი აქვს. რაც მთავარია, **ეს არის ბრძოლა მართლმადიდებლობის წინააღმდეგ, ვინაიდან, როგორც მოგეხსენებათ, ევროპა აღარ არის ქრისტიანული, ის წარმართობას დაუბრუნდა. ამას გარდა, ევროპაში მალე სუვერენულ სახელმწიფოთა ადგილი არ იქნება.** ვფიქრობ, გამოსავალია, უპირველესად, ჩვენი მოსახლეობის აქტიურობა, ხალხთან აქტიური მუშაობა, რათა ყველამ გააცნობიეროს, რა ხდება რეალურად.



**ალი ბაბაევი, საქართველოს აზერბაიჯანელთა ეროვნული კონგრესის თავმჯდომარე:**

— მადლობა ორგანიზატორებს ამ კონფერენციის ორგანიზებისთვის. მე, როგორც საქართველოს მოქალაქე, ვუერთდები რეზოლუციას, რომელიც დღეს აქ წარმოადგინეს, რადგან აუცილებელია, ქართულმა საზოგადოებამ და სამხრეთ კავკასიის მოსახლეობამ გააანალიზოს და გაითვალისწინოს უკრაინაში მიმდინარე მოვლენები. **დღეს რაც უკრაინაში ხდება, არის გენოციდი უკრაინელი ხალხის გენოციდი.**

ვამაყობ, რომ საქართველოში მცხოვრები აზებაიჯანელი ვარ, ჩვენ დაგვატერორეს საკუთარ ქვეყანაში, ჩვენ სააკაშვილის მმართველობის ათწლიან სისასტიკეს გავუძელით და უნდა ითქვას, რომ საქართველო 1 ოქტომბერმა გადაარჩინა, თუმცა, **საქართველოში სააკაშვილის რეჟიმი ჯერ კიდევ არ დამთავრებულა. ამ ხელისუფლებაშიც ბევრია სახეშეცვლილი. ამას ვამბობ მე, „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი დამფუძნებელი.** „ნაციონალურ მოძრაობას“ სურდა საქართველოს დაშლა და დღეს საქართველო სერიოზული საფრთხის წინაშე დგას. ამიტომაც აქვს დღევანდელ კონფერენციას დიდი მნიშვნელობა. ყველა უნდა გაერთიანდეს, რათა საქართველოში 90-იანი წლების განმეორება აღარ დავუშვათ.

რაც შეეხება აზერბაიჯანს, დღეს აზერბაიჯანი მოწინავე ეკონომიკური ქვეყანაა. ძალიან მომწონს, რომ აზერბაიჯანის პრეზიდენტმა ალიევმა ევროპასა და ამერიკასთან ურთიერთობაში ნეიტრალიტეტი აირჩია და რუსეთთანაც კარგი ურთიერთობა აქვს. რუსეთი მართლმადიდებელი ქვეყანაა, ამიტომ საქართველოს ხელისუფლებამ ყველაფერი უნდა გააკეთოს, რათა რუსეთთან ნორმალური ურთიერთობა ჰქონდეს და დაკარგული ტერიტორიების დაბრუნებაც შეძლოს.

**„ნაციონალურ მოძრაობას“ ეროვნული შუღლის ჩამოგდება სურს, ამისთვის ყველაფერს აკეთებენ. ჩემი თვალით ვნახე, როგორც ცდილობდნენ გარდაბანში არეულობის პროვოცირებას.** ამიტომ უნდა ვიყოთ ფხიზლად. დღეს ხელისუფლება ბევრ სასიკეთო საქმეს აკეთებს, მაგრამ მთავარია, ქვეყანაში სტაბილურობა იყოს. ხელისუფლებამ უნდა შეძლოს და ხალხისთვის მიცემული დაპირებები შეასრულოს. მომწონს ხელისუფლების პოლიტიკა უკრაინასთან მიმართებაშიც. ხელისუფლება არ აჰყვა „ნაციონალებს“ და არ დაუპირისპირდა რუსეთს. პირიქით, რუსეთთან საჰაერო მიმოსვლა კვლავ აღდგა, ქართული პროდუქციაც კვლავ გავიდა რუსეთის ბაზარზე. რა თქმა უნდა, ევროპული ცივილიზაციაც გვინდა, მაგრამ უმთავრესია, კავკასიაში სტაბილურობა შევინარჩუნოთ. საქართველოში მცხოვრები აზერბაიჯანელები ყველაფერს გავაკეთებთ, რათა ქვეყანაში მშვიდობა იყოს.



**იური მეჩითოვი, გლობალური განვითარების კვლევის ჯგუფის ექსპერტი:**

— ჩემი გამოსვლის თემაა უკრაინაში მიმდინარე მოვლენები და შესაძლო მაიდანი სომხეთში. როდესაც მაიდანზე ვსაუბრობთ, პირველ რიგში, ის ტექნოლოგიები უნდა განვიხილოთ, რომელთა მიხედვით ეს მაიდანი მომზადდა. ჩვენ კარგად ვიცნობთ ამ ტექნოლოგიებს, ვინაიდან, უნდა ითქვას, რომ პოსტსაბჭოთა ქვეყნებში მაიდანი პირველებმა სწორედ ჩვენ გავიარეთ. მაიდანის რეალობაში იმპლემენტაციის რამდენიმე ტექნოლოგია არსებობს. ამისთვის საჭიროა ხალხის უკმაყოფილება, სუსტი მთავრობა, არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც აკრიტიკებენ ამ ხელისუფლებას, და მედიასაშუალებები, როგორიცაა, მაგალითად, ტელეკომპანია „რუსთავი 2“.

სულ მეგონა, რომ ჩვენზე სულელი ხალხი არ არსებობდა, თუმცა უკრაინის მაგალითზე დავრწმუნდი, რომ თურმე ჩვენზე სულელებიც არსებობენ. დღეს იმდენი ინფორმაციაა მსოფლიოში ხელმისაწვდომი, რომ, ალბათ, ძალიან ზანტი უნდა იყო, ვერ მიხვდე, რა ხდება რეალურად. არსებობს ხალხი, რომელიც გულუბრყვილოდ ორიენტირებულია დასავლეთზე, თუმცა, ვფიქრობ, **სომხეთს მაიდანი ნაკლებად ემუქრება. სომხეთში ამგვარი სიგიჟე არ მოხდება. მაიდანი საქართველოს უფრო შეიძლება დაემუქროს.** მართალია, სომხეთში არიან არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც დასავლეთიდან ფინანსდებიან, მაგრამ სომხეთი არ არის ქვეყანა, რომელიც მთლიანად ორიენტირებულია დასავლეთზე. მით უმეტეს, უკრაინის მაგალითზე ყველას თვალი უნდა აეხილოს და ნათლად დაინახოს ეს ტექნოლოგიები.



**ნანა დევდარიანი, გლობალური კვლევის ცენტრის ხელმძღვანელი:**

— ტერმინი „ევრაზიის ბალკანეთი“ პირდაპირ მიანიშნებს, თუ როგორ ხედავს ამერიკელი პოლიტოლოგი ზბიგნევ ბჟეზინსკი ამ რეგიონის მომავალს. **ბალკანიზაციის პროცესს სახელმწიფოები და ერები შეიძლება შეეწირონ, მაგრამ, აბა, ამას ვინ დაეძებს, როცა დასავლეთის გავლენის გაფართოებასა და რესურსების მისაკუთრეობაზეა ლაპარაკი!** სამხ-



გეოპოლიტიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# „ბალკანიზაციის პროცესს სახელმწიფოები და ერები შეიძლება შეეწირონ, მაგრამ, აბა, ამას ვინ დაეძებს, როცა დასავლეთის გავლენის გაფართოებასა და რესურსების მისაკუთრებაზეა ლაპარაკი!.. სომხეთისა და აზერბაიჯანისგან განსხვავებით, საქართველოს მოსახლეობაში ბევრია ეროვნული უმცირესობა, რომლებიც, ბჟეზინსკის სიტყვებით, „მძაფრად არიან აღშფოთებული ქართველთა ბატონობით“...

რეთ კავკასიის სამი რესპუბლიკის შინაგან წინააღმდეგობებს ბჟეზინსკი საგანგებოდ უსვამს ხაზს და აზერბაიჯანს „საცობს“ უწოდებს, რომელსაც შეუძლია აკონტროლოს წვდომა კასპიის ზღვის აუზისა და ცენტრალური აზიის სიმდიდრეზე. სომხეთისა და აზერბაიჯანისგან განსხვავებით, საქართველოს მოსახლეობაში ბევრია ეროვნული უმცირესობა, რომლებიც, ბჟეზინსკის სიტყვებით, „მძაფრად არიან აღშფოთებული ქართველთა ბატონობით“...

დასავლეთს „ევრაზიული ბალკანეთის“ დესტაბილიზაცია უფრო მეტად აძლევს ხელს, ვიდრე საქართველოს ხელისუფლებაში მარიონეტი სააკაშვილის რევანშით დაბრუნება. **გეოპოლიტიკური ამბიციების განსახორციელებლად რა მოსატანია ან სომხების, ან აზერბაიჯანელების, ან ქართველების სისხლი და ტერიტორიული მთლიანობა. ყველა მხარის წაქეზება შეიძლება, რათა საბოლოოდ დასავლეთს ენერგორესურსები არ შემოაკლდეს და ევრაზიის სივრცე „მოკლეზე“ მოჭრას!**



**არნო ხიდირბეგიშვილი, საინფორმაციო-ანალიტიკური სააგენტო „საქინფორმის“ მთავარი რედაქტორი:**

**„საქართველოში მზადდება მორიგი სახელმწიფო გადატრიალება — ახალი „ფერადი რევოლუცია“ — მოქმედი მთავრობისა და პრემიერმინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის შეცვლის მიზნით, საქართველოს ექსპრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილისა და მოქმედი პრეზიდენტის — გიორგი მარგველაშვილის მალული ტანდემის მიერ ანდა ახალი კოალიციით, თავდაცვის ამჟამინდელი მინისტრით, ირაკლი ალასანიათი სათავეში.** მიზეზი ერთია: დღეს აშშ-ისთვის საკმარისი არ არის, რომ საქართველოს საგარეოპოლიტიკური კურსი პროამერიკული იყოს, დღეს საქართველოს საგარეოპოლიტიკური კურსი ანტირუსულიც უნდა იყოს! საქართველომ თავის ტერიტორიაზე უნდა განათავსოს აშშ-ის სამხედრო ბაზები და ნატოს რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემები, საქართველო დღეს უნდა ეომოს რუსეთს და რუსეთის წინააღმდეგ აშშ-ისა და ევროკავშირის ეკონომიკურ სანქციებში ჩაერთოს. ამ მიზნებისთვის კი პრემიერი ღარიბაშვილი შეუფერებელია, როგორც 2003 წელს შეუფერებელი გამოდგა ზომიერად პროამერიკელი შევარდნაძე, როგორც „უცებ“ შეუფერებელი გამოდგნენ ამერიკის მიერ ხელდასხმულები — ჰუსეინი, კადაფი, მუბარაქი, ასადი და ახლო აღმოსავლეთისა და ჩრდილოეთ აფრიკის სხვა ლიდერები, რომლებშიც დაგვიანებით და აშშ-ისთვის ასე უადგილოდ გაიღვიძა ჯანსაღმა პრაგმატიზმმა.

**საქართველოში მორიგი კატაკლიზმების თავიდან აცილება შესაძლებელია მხოლოდ საქართველოს საგარეოპოლიტიკური კურსის შეცვლით: ერთხელ და სამუდამოდ აშშ-ის კურატორობაზე უარის თქმით!** ამისათვის აუცილებელია საყოველთაო რეფერენდუმის ჩატარება საქართველოს ევროატლანტიკური კურსის საკითხზე და ამ რეფერენდუმის შედეგებზე დაყრდნობით აშშ-თან საქართველოს სტრატეგიული პარტნიორობის ქარტიის დენონსირება. აგრეთვე, ევროკავშირთან საქართველოს ასოცირების ხელშეკრულების იმპლემენტაციის შეჩერება — იმიტომ, რომ საქართველოს მოსახლეობის უმეტესობა უპირობოდ მისცემს ხმას ნატოსა და ევროკავშირში ქვეყნის გაწევრების წინააღმდეგ.

ასევე აუცილებელია რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნების ჩატარება საქართველოში, რომლის შემდეგაც ქართველი ხალხის მიერ რეალურად არჩეული პარლამენტი თვითონ აირჩევს ქვეყნის პრეზიდენტს. ამისათვის აუცილებელია სასწრაფოდ შევიდეს ცვლილებები საქართველოს კონსტიტუციაში და ის საპარლამენტო რესპუბლიკის კონსტიტუციასთან შესაბამისობაში მოვიდეს. შედეგად, საქართველოში დასრულდება დაპირისპირება საპრეზიდენტო და აღმასრულებელი ხელისუფლების შტოებს შორის და, ბოლოს და ბოლოს, დამყარდება მმართველობის საპარლამენტო ფორმა, რომელიც ნებისმიერ დიქტატურას გამორიცხავს.

და მხოლოდ ამის შემდეგ, ახალი პარლამენტისა და პრეზიდენტის პირობებში, საქართველოს ხელისუფლება უნდა ჩამოყალიბდეს ქვეყნის საგარეოპოლიტიკურ ორიენტაციაზე კავკასიაში თავისი მეზობლების მაგალითის გათვალისწინებით შევიდეს ევრაზიის ეკონომიკურ კავშირში (ЕАЭС) როგორც სომხეთი, თუ შეინარჩუნოს ნეიტრალიტეტი, როგორც აზერბაიჯანმა. მაგრამ არჩევანის გაკეთებისას არ დაივიწყოს აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი და აირჩიოს უმოკლესი გზა იმ ორიდან, რომელიც ერთმანეთთან დაგვაბრუნებს“.



**გულბაათ რცხილაძე, არასამთავრობო ორგანიზაცია „ევრაზიის ინსტიტუტის“ ხელმძღვანელი:**

— საქართველოში მასმედიის დიდი ნაწილი მოწადინებულია, უკრაინაში მიმდინარე მოვლენები აჩვენოს, როგორც ბანალური აგრესია, და ეს ყველაფერი ერთი სახელმწიფოს მიერ მეორის ტერიტორიის მიტაცებად წარმოაჩინოს. მოვლენები ცალმხრივად შუქდება. ამ პროპაგანდას აჰყვა მოსახლეობის დიდი ნაწილი. სწორედ ამიტომ ჩვენი შეკრების მთავარი მიზანია, როგორმე წინ აღვუდგეთ ამ საინფორმაციო ნიაღვარს. უნდა ითქვას, **უკრაინაში მიმდინარე მოვლენები არ არის ლოკალური მოვლენა. ეს დაიწყო სერბეთში და შემდეგ გაგრძელდა პოსტსაბჭოთა სივრცეში „ფერადი რევოლუციებით“.** თუმცა ღრმად ვარ დარწმუნებული, **უკრაინა მათი ბოლო გაბრძოლებაა და ისინი მიზანს ვერ მიაღწევენ.** მაიდანი არ განმეორდება სოხმეთსა და აზერბაიჯანში და ისიც ვაღიაროთ, რომ ორივე ქვეყანა ჩვენზე გონივრულად იქცევა.



**ვალერი კვარაცხელია, ანალიტიკოსი:**

— საქართველო დღეს ვერ იქნება იზოლირებული, ამიტომ, ბუნებრივია, მსოფლიოში მიმდინარე მოვლენები საქართველოზეც აისახება. აღსანიშნავია, რომ მსოფლიოს უძლიერესი სახელმწიფო ამერიკის შეერთებული შტატები, დღეს სისტემურ კრიზისშია. ამიტომ ის ეძებს გამოსავალს. თუმცა, საკითხავია, რამდენად აქვს მას უფლება, უზნეო გზით ეძებოს გამოსავალი. **ამერიკას მსოფლიოზე გაბატონება სურს. ის ახლოს იყო მიზანთან საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, როდესაც რუსეთს სულელი და ლოთი პრეზიდენტი ბორის ელცინი მართავდა, თუმცა, ამერიკელებმა მაშინ რუსეთის დაშლა მაინც ვერ მოახერხეს.** ამის შემდეგ რუსეთის ხელისუფლებაში მოვიდა პრეზიდენტი, რომელმაც რუსეთი ფეხზე დააყენა. თუ ამერიკელები საკუთარ ჩანაფიქრს უკრაინაში ბოლომდე შეასრულებენ, შემდეგ იმავეს კავკასიაში გააგრძელებენ. საქართველოში მოვლენების ამგვარი განვითარება კი შესაძლებელიცაა და მოსალოდნელიც. მართალია ხელისუფლება შეიცვალა, მაგრამ არ შეცვლილა მისი იდეოლოგია და პოლიტიკა. დღევანდელი ხელისუფლება მაინც ვერ არის ამერიკული ინტერესების ისეთი აქტიური გამტარებელი, როგორიც წინა ხელისუფლება იყო. სწორედ ამიტომ სურთ სააკაშვილის ხელისუფლებაში დაბრუნება.

**ასევე, მინდა ვთქვა, რომ ძალიან მარტივად შეიძლება სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის კონფლიქტის პროვოცირება და სამივე ქვეყანა, საქართველოს ჩათვლით, ცეცხლში გაეხვევა. ჩვენი დღევანდელი შეხვედრის მიზანიც სწორედ მოსალოდნელი მოვლენების თავიდან აცილებაა.**



**ირაკლი უბილავა, გლობალიზაციის პრობლემათა ცენტრისა და ახალგაზრდა პოლიტოლოგთა კლუბის წარმომადგენელი:**

— ამერიკას სჭირდება ომი და მასში რუსეთის ჩათრევა, მაგრამ ჯერჯერობით რუსეთი ამას არ აკეთებს. ახლა მთავარია, რუსეთს სამხრეთ კავკასიაში მეორე ფრონტი გაუხსნან, მაგრამ საკითხავია, რამდენად მოახერხებენ ამას. ვფიქრობ, **სომხეთსა და აზერბაიჯანში მსგავსი მოვლენების განვითარება გამორიცხულია. ამ მხრივ მათთვის ყველაზე ხელსაყრელი სახელმწიფო საქართველოა.** შესაძლებელია, 2016 წლისთვის მოხდეს „ქართული ოცნების“ კოალიციაში მყოფი ლიბერალური ძალებისა და „ნაციონალების“ გაერთიანება და ხელისუფლების ცვლილება, თუ გიორგი მარგველაშვილმა მანამდე არ დანიშნა საპრეზიდენტო არჩევნები. თუმცა, მათი რეიტინგი იმდენად დაბალია, რამდენად მოახერხებენ ამას, არ ვიცი. სწორედ ამ ყველაფრის თავიდან ასაცილებლად საზოგადოების გაერთიანება აუცილებელია.



**ვალერიან დოლიძე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი:**

— ვიდრე გავცემდეთ პასუხს კითხვაზე — შესაძლებელია თუ არა, უკრაინის სცენარი საქართველოში, სომხეთსა და აზერბაიჯანში განმეორდეს? — პირველ რიგში, უნდა გავაანალიზოთ, როგორ წარმოიშვა და რა მოვლენას წარმოადგენს მაიდანი და არსებობს თუ არა იგივე წინაპირობა ზემოთ დასახელებულ ქვეყნებში? გასათვალისწინებელია, რომ უკრაინაში მიმდინარე მოვლენებზე გავლენა მოახდინა ქვეყნის კულტურულ-პოლიტიკურმა თავისებურებებმა. **უკრაინაში საზოგადოების ნაწილს ჰქონდა დიდი მოლოდინი, რომ ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ ვითარება ქვეყნის სასარგებლოდ შეიცვლებოდა. არადა, მათ არ გაითვალისწინეს, რომ ასოცირების შემდეგ ქვეყნის ეკონომიკას დიდი დარტყმა მიადგებოდა.**



**ჰამლეტ ჭიპაშვილი, ექსპერტი, პოლიტოლოგი:**

— უნდა ითქვას, რომ ჩვენ უკვე „ორი მაიდანი“ ვნახეთ. დღევანდელი, უკრაინული მაიდანი, ძველის გაგრძელებაა. ეს ყველაფერი კი მოაწყო აშშ-მა ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე და ეს, პირველ რიგში, ჩვენი წინაპრების ბრალია, მათი, ვინც საბჭოთა კავშირი დაანგრიეს. ამერიკას ფეხი არ უნდა დაედგა ყოფილ საბჭოთა ქვეყნებში. ხოლო მეორე მაიდანი გახდა საბაბი საქართველოსა და უკრაინის ნატოში გაწევრებისა. **დღეს, როდესაც ასეთი მძიმე ვითარებაა უკრაინაში, ნატო დასავლეთ უკრაინაში სამხედრო წვრთნებს ატარებს. ეს ხომ რუსეთის პირდაპირი გამოწვევაა?! რა ბარბაროსობა მოხდა აღმოსავლეთ უკრაინაში, მაგრამ ამაზე მსოფლიოს ხმა არ ამოუღია.** ფაქტია, რომ **დღეს მსოფლიოში მიმდინარეობს ბრძოლა ერთპოლუსიანობისთვის. ამისკენ ისწრაფვის აშშ, მოსწონთ თუ არა ეს მსოფლიოში.** მაიდანმა განამტკიცა ამერიკის პოზიციები, ამით ნატო რუსეთის საზღვრამდე მიიყვანა და, ფაქტობრივად, დააჩოქა ევროკავშირი, მისი ნების შემსრულებლად აქცია. აქედან გამომდინარეა ევროპის მიერ, რუსეთისთვის დაწესებული სანქციებიც. **რაც შეეხება საქართველოს, მისთვის ამერიკა დიდ ფულსაც არ დახარჯავს, რადგან აქ უკვე ჰყავს დასაყრდენი. 20 ათასმა კაცმა გაიარა აშშ-ში ტრენინგი. ეს ადამიანები ნებისმიერ დროს მზად არიან, ამერიკის ნებისმიერი დავალება შეასრულონ.**

არ არის გამორიცხული, ამერიკა „ნაცინალების“ ხელისუფლებაში დაბრუნებასაც შეეცადოს. თუ მოინდომა, ამერიკა ნებისმიერ დროს არევს სიტუაციას სომხეთსა და აზერბაიჯანში, ამიტომ რუსეთთან საერთო ენა უნდა გამოვნახოთ, მაგრამ დღევანდელი ხელისუფლება უსუსურია, მას პოლიტიკური ალღო არ აქვს და არ იცის, რა ქნას. ქვეყანა კი, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე ქვეყნის გარეთ სერიოზული გამოწვევების წინაშე დგას“.

**ასევე მოხსენებით გამოვიდნენ პოლიტოლოგი ელიზბარ ჯაველიძე, გლობალიზაციის პრობლემათა ცენტრის წარმომადგენელი ვიქტორ ცაავა, საზოგადოება „სტალინის“ ხელმძღვანელი გრიგოლ ონიანი, მემარცხენე ძალთა გაერთიანების ერთ-ერთი ლიდერი ვანო წიკლაური, ანტიგლობალისტური ცენტრი „ივერიელების“ წარმომადგენელი ზვიად ირემაძე, დიდი სამამულო ომის ვეტერანები — შოთა ბუაძე და სერგო მირზოიანი. დაწვრილებით მასალას კონფერენციის მსვლელობის შესახებ შემდეგ ნომერში შემოგთავაზებთ.**

მოამზადა **შორენა ციცქარაშვილმა**

# დამტკიცდა უცხოელებზე სასოფლო-სამეურნეო მიწის გასხვისების ახალი წესები

**მთავრობამ უცხოელებზე სასოფლო-სამეურნეო მიწის გასხვისების ახალი წესები დაამტკიცა. როგორც მთავრობის სხდომის დასრულების შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა განაცხადა, ამ ცვლილების თანახმად, საქართველოში სასოფლო-სამეურნეო მიწებს ველარ შეისყიდის უცხოეთში დაფუძნებული კომპანია ან სხვა იურიდიული პირი.**

„სასოფლო-სამეურნეო მიწების გასხვისება უცხოელ ფიზიკურ პირზე ან უცხოურ კომპანიაზე, თუნდაც ის საქართველოში იყოს დაფუძნებული, ვერ მოხდება საქართველოს საზღვრის მიმდებარე ხუთკილომეტრიან ზოლში და მთავრობის მიერ დადგენილ შესაბამის ზონაში. სასაზღვრო ზოლსა და ამგვარ ზონებში ვერც ერთი ფიზიკური პირი ან უცხოური კომპანია სასოფლო სამეურნეო მიწას ვერ შეისყიდეს. სამაგიეროდ, უცხოელი, რომელიც მემკვიდრეობით მიიღებს სასოფლო მიწას, შეიძლება გახდეს ამ მიწის მესაკუთრე. ეს ბევრ ჩვენს თანამემამულეს, რომელმაც დაკარგა საქართველოს მოქალაქეობა, მაგრამ მიიღო სხვა ქვეყნის მოქალაქეობა და დღეს უცხოელად ითვლება, საშუალებას მისცემს მისი წინაპრების მიერ მემკვიდრეობით დატოვებული სასოფლო-სამეურნეო მიწები მიიღონ საკუთრებაში“, — განაცხადა თეა წულუკიანმა.

მისივე განმარტებით, შერეული ქორწინების შემთხვევაში, როდესაც საქართველოს მოქალაქე არის ერთი მეუღლე, ხოლო მეორე მეუღლე არის უცხოელი, შესაძლებელია, სასოფლო-სამეურნეო მიწა იყოს მეუღლეთა საკუთრებაში. წულუკიანის განცხადებით, განქორწინების შემთხვევაში საქართველოს მოქალაქეს ეძლევა უფლება, უპირატესი შესყიდვის წესით დაეუფლოს თავისი ყოფილი უცხოეული მეუღლის ქონებას, რომელიც არის სასოფლო მიწა.

„ყოფილ უცხოელ მეუღლეს ეკისრება ვალდებულება, რომ გაასხვისოს ამგვარი სასოფლო-სამეურნეო მიწა, რომელსაც ის ფლობდა ქართველ მეუღლესთან ქორწინების პერიოდში“, — განაცხადა თეა წულუკიანმა.



გეოპოლიტიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**დასავლეთს სჭირდება საქართველოს ტერიტორია ნატოს ბაზების, ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემების განსათავსებლად, რუსეთის სამხრეთში დივერსიების მოსაწყობად და კასპიის ზღვაზე და მის ენერგორესურსებზე გასასვლელ კორიდორად.**

# სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის «კიევის მაიდანი: გაკვეთილები სამხრეთ კავკასიის ქვეყნებისათვის» რეზოლუცია

**სამენიერო-პრაქტიკული კონფერენცია „კიევის მაიდანი: გაკვეთილები სამხრეთ კავკასიის ქვეყნებისთვის“ მონაწილენი ხაზს უსვამენ მისი ჩატარების მნიშნელობას სწორედ საქართველოში, რომელმაც არაერთი სახელმწიფო გადატრიალება გადაიტანა და დღესაც მათ მძიმე შედეგებს იმკის.**



გასული წლის ბოლოს კიევში დაწყებულმა მოვლენებმა უკრაინა ძმათამკვლელ სამოქალაქო ომამდე, ეკონომიკურ კატასტროფამდე, სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის დაკარგვამდე მიიყვანა. ეს მორიგ გაკვეთილად უნდა წაადგეს როგორც საქართველოს, ისე მის მეზობლებს კავკასიის რეგიონში — აზერბაიჯანსა და სომხეთს, რომლებიც საქართველოსთან საერთო პრობლემებითა და საზღვრებით, მოსახლეობის შემადგენლობით, ეკოლოგიით, ენერგოკომუნიკაციისა და გზების „ჭიპლარით“ უწყვეტად არიან დაკავშირებულნი.

საქართველოში კარგად ახსოვთ „თბილისის ომის“ სახელით ცნობილი 1991 წლის სამხედრო გადატრიალება, რომელმაც გადაბუგა დედაქალაქის ცენტრი ისევე, როგორც „ევრომაიდანმა“გადაბუგა კიევის ცენტრი. საქართველოში არ დავიწყებიათ 2003 წლის „ვარდების რევოლუციაც“ ე. წ. „ფერადი რევოლუციების“ სერიიდან, რომელსაც ერთი წლის შემდეგ, 2004 წელს, „ნარინჯისფერი რევოლუცია“ მოჰყვა უკრაინაში. ორივე მოფაშისტო ელემენტების პარპაშით, ტრადიციულ ეროვნულ ფასეულობებზე ფართო იერიშით, ახალგაზრდობის სულიერ-ზნეობრივი გარყვნითა და ტრადიციულ რელიგიებზე შეტევით დასრულდა.

**ყველა ეს „რევოლუცია“, როგორც ამჟამინდელი უკრაინული, დაგეგმილი, პროვოცირებული, დაფინანსებული და მოწყობილი იყო გარე გლობალისტური ძალების მიერ ცნობილი ფონდებისა და ინსტიტუტების ხელით, აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტისა და „ცე-რე-უს“ ხელმძღვანელობით. ისინი „ფერადი რევოლუციების“ მეთოდებით პირველად როდი ამხობენ მათთვის არასასურველ მთავრობებს მთელ მსოფლიოში და მათ მთლიანად კონტროლირებადი მარიონეტული რეჟიმებით ცვლიან.**

ასეთი სახელმწიფო გადატრიალებები ეწყობა ვითომდა ხალხის წიაღიდან გამოსული პატრიოტების ხელით, რომლებსაც თითქოს გული შესტკივათ „არადემოკრატიული და კორუმპირებული“ მოქმედი ხელისუფლებით „გატანჯულ“ სამშობლოსა და ერზე. სინამდვილეში პატრიოტიზმისა და დემოკრატიის ლოზუნგებით ხელისუფლებაში მოდიან რადიკალები, რომლებიც ქვეყანას უცხო ინტერესებს ახვევენ თავს და ეთნიკური ნიშნითაც კი არ მიეკუთვნებიან სახელმწიფოს ძირეულ ერს, როგორც ეს საქართველოში და ახლა უკრაინაში მოხდა. **ეს ადამიანები უყოყმანოდ სწირავენ მსხვერპლად ადგილობრივ მოსახლეობას, მათ შორის თავიანთ მომხრეებსაც — პატრიოტულად განწყობილ მოქალაქეებს, რომლებსაც დასავლელი დირიჟორები ხელისუფლების დასამხობად იყენებენ. პირველ რიგში, მათ იშორებენ თავიდან, ძმათამკვლელ ომში „საზარბაზნე ხორცად“ ყრიან. დღეს ეს უკრაინაში ხდება, სადაც ალყაში მოხვედრილი ძალოვანი ქვედანაყოფები ოფიციალურმა კიევმა უმალ დაივიწყა და რომლებიც უცილობელ სიკვდილს მხოლოდ რუსეთის ფედერაციის სამშვიდობო ინიციატივების წყალობით გადარჩნენ. საქართველოშიც, ასევე, მასობრივად იღუპებოდნენ მოტყუებული პატრიოტები სამოქალაქო ომში, რომელმაც ქვეყანა სახელმწიფო გადატრიალებისა და კანონიერი პრეზიდენტის დამხობის შემდეგ მოიცვა 1991 წელს; ათასობით ადამიანი დაიღუპა და ასიათასობით უსახლკაროდ დარჩა ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური კონფლიქტების შემდეგ, რომლებიც ასევე 1991 წლის სახელმწიფო გადატრიალებისა და 2003 წლის „ვარდების რეცოლუციის“ კანონზომიერ შედეგს წარმოადგენდა.**

მარიონეტული მთავრობების ნიშანდობლივ ხელწერას წარმოადგენს აუტანელი სოციალურ-ეკონომიკური და მორალურ-ფსიქოლოგიური პირობების შექმნა სწორედ მკვიდრი მოსახლეობისთვის ქვეყნიდან ემიგრაციის სტიმულირების მიზნით. ამავე დროს, ყველანაირად ეწყობა ხელი უცხოელთა ნაკადის შემოდინებას უპირატესად შორეული ქვეყნებიდან, რომლებიც იაფად ყიდულობენ გაღატაკებული ადგილობრივი მოსახლეობის მიწასა და ქონებას, ქმნიან თავიანთ დიასპორებს, ახდენენ ეკონომიკის მთელი დარგების მონოპოლიზებას და ამასთან, სრულიად ლოალურნი არიან მმართველი რეჟიმის მიმართ. ქვეყანაში ახლახან მოსული უცხო მოსახლეობა მას მხოლოდ მოგების მიღების წყაროდ აღიქვამს და მათი მართვა უფრო იოლია: მათთვის უცხოა ადგილობრივი ეროვნული ინტერესები, ძირძველი მოსახლეობის საუკუნეობრივი მისწრაფებები, მისი წარსული და მომავალი. ასე უკვე მოხდა საქართველოში, რომელიც „რევოლუციონერთა“ ანტიეროვნული მოღვაწეობის შედეგად 2 მილიონზე მეტმა (ადგილობრივი მოსახლეობის მესამედზე მეტმა) ადამიანმა დატოვა, სამაგიეროდ, ქვეყანაში ათასობით ემიგრანტი დასახლდა ჩინეთიდან, ინდოეთიდან, პაკისტანიდან და სხვა ქვეყნებიდან. ანალოგიური პროცესი ელოდება მოკლე ხანში უკრაინასაც, რომლის ნაყოფიერ მიწებს უცხოები ჩაიგდებენ ხელში.

საზოგადოებრივი ცხოვრების საფუძვლების რყევაზე, ეროვნული სულიერი და რელიგიური ფასეულობების განადგურებაზე, საყოველთაოდ აღიარებული საზოგადოებრივი ინსტიტუტების დისკრედიტაციაზე, ხალხების ისტორიული წარსულის ფალსიფიკაციაზე დასავლური სპეცსამსახურები, მათ კონტროლქვეშ მყოფი „ფონდები“ და „ასოციაციები“ მილიარდობით დოლარს ხარჯავენ — ქმნიან და აფინანსებენ რა ასობით არასამთავრობო ორგანიზაციას, ბეჭდურ და ელექტრონულ მედიას, პოლიტიკურ პარტიებსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, გასამხედროებულ დაჯგუფებებსა და სპეციალურ საწვრთნელ ბანაკებს.

**პროფესიონალურად მომზადებული ნაციონალ-მოღალატეების საქმიანობა არ იზღუდება მათი ქვეყნის საზღვრებით: ისინი მობილურები, ურთიერთდაკავშირებულნი არიან და ერთიანი ცენტრიდან მართულნი, საჭირო მომენტში მიაშურებენ იმ ქვეყანას, სადაც სახელმწიფო გადატრიალების უფრო დიდი ალბათობაა. ასე მაგალითად, ქართულ „ვარდების რევოლუციაში“, ყველგანმყოფი ამერიკელი კურატორების გარდა, მონაწილეობდნენ სერბი, უკრაინელი „სპეციალისტები“, ქართველი „პროფესიონალები“ კი აქტიურად ცდილობდნენ წყლის ამღვრევას ბელარუსში, მონაწილეობდნენ ყირგიზეთის „რევოლუციაში“, ხოლო უკრაინაში წარმატებით გამოიჩინეს თავი „ნარინჯისფერი რევოლუციისას“ 2004 წელს, 2009 წლის საპრეზიდენტო არჩევნებისას და 2013 წელს კანონიერი ხელისუფლების დამხობის დროსაც.**

ამჟამად ეს „ლიბერალები“ და „დემოკრატები“ სომხეთსა და აზერბაიჯანში ვითარების ასარევად ემზადებიან იქაურ კოლეგებთან ერთად. განსაკუთრებით აქტიური მუშაობა მიმდინარეობს სომხეთში, სადაც ქართველი „რევოლუციების სპეციალისტები“ გამოცდილებასა და ტექნოლოგიებს უზიარებენ თავიანთ იქაურ დამქაშებს, ასწავლიან საინფორმაციო მუშაობას, ქუჩური დაპირისპირებების მეთოდებს, უგზავნიან ფინანსებს, ეხმარებიან საბრძოლო ჯგუფების შექმნაში.

**თვალსაჩინოა „ფერადი“ სახელმწიფო გადატრიალებების შედეგები: სისხლისმღვრელი სამოქალაქო ომები, ეკონომიკური და ჰუმანიტარული კატასტროფები, მოსახლეობის სრული გაღატაკება, ლტოლვილთა ნაკადები, ტერიტორიული მთლიანობის რღვევა. ოდესღაც ერთიანი ქვეყნის მოქალაქეები მტრებად ეკიდებიან ერთმანეთს: ძმა — ძმას, მეზობელი — მეზობელს. ხშირად „სადემარკაციო ხაზი“ ე. წ. შერეულ ოჯახებზე გადის — ასე იყო საქართველოში, ასე ხდება უკრაინაში.**

ჩვენ ვითვალისწინებთ ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო პოლიტიკისა და მისი მონურად მორჩილი ევროკავშირის მზარდ აგრესიულობას, კონსოლიდირებული დასავლეთის ექსპანსიონისტური ძალების დაჟინებულ სწრაფვას, თავის ინტერესებს დაუქვემდებაროს პოსტსაბჭოთა სივრცის ეკონომიკა და ბუნებრივი რესურსები, არ დაუშვას რუსეთის ფედერაციის ეკონომიკური და სამხედრო-ტექნიკური ძლიერების ზრდა, მის მიერ დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკის გატარება. ეს საფუძველს გვაძლევს, ვივარაუდოთ, რომ ამჟამინდელი „რევოლუცია“ უკრაინაში ბოლო არ არის და უახლოეს ხანში უნდა ველოდოთ სახელმწიფო გადატრიალების მცდელობებს სომხეთში, აზერბაიჯანში და კიდევ ერთხელ საქართველოში. გამორიცხული არ არის, რომ კატალიზატორად სამხრეთ კავკასიის სამივე ქვეყანაში არსებული შიგა კონფლიქტები გათამაშდეს, ამას უკვე მოწმობს ზოგიერთი გააქტიურებული არასამთავრობო ორგანიზაციის, პოლიტიკური და საზოგადო „მოღვაწეების“ პროვოკაციული ლექსიკა საქართველოში, სომხეთსა და აზერბაიჯანში.

სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის — „კიევის მაიდანი: გაკვეთილები სამხრეთ კავკასიის ქვეყნებისათვის“ მონაწილენი მივმართავთ სამხრეთ კავკასიის ქვეყნების საზოგადოებას, მთავრობებს, პოლიტიკურ ორგანიზაციებს მოწოდებით, გვერდზე გადადონ შიგა უთანხმოებები და პირადი ამბიციები, მოახდინონ საზოგადოებრივი ძალების სრული კონსოლიდირება და მთელი ეროვნული ენერგია მიმართონ იქით, რომ არ დაუშვან ვითარების დესტაბილიზაციის გამომწვევი მასშტაბური პროვოკაციები საკუთარ ქვეყნებში, ხელისუფლების ანტიკონსტიტუციური შეცვლა, ჩანავლული კონფლიქტების ცხელ ფაზაში გადაყვანა.

აუცილებელია დროულად და საფუძველშივე აღმოიფხვრას მოსყიდული ადგილობრივი ძალების დესტრუქციული საქმიანობა, რომლებიც გარედან მიღებული მითითებებით „დემოკრატიული“ ბრძოლის საფრქვეშ უბიძგებენ ჩვენს ქვეყნებს პოლიტიკური უფსკრულისა და ეკონომიკური კატასტროფისკენ. აუცილებელია ყველა არსებული საშუალებით ჩვენი ქვეყნების მოსახლეობის ცნობიერებამდე მივიტანოთ, რომ აგრესიულმა მსოფლიო ძალებმა დაიწყეს აშკარა ბრძოლა მსოფლიოს ახალი გადანაწილებისთვის. აშშ, რომელიც ერთადერთ ზესახელმწიფოდ დარჩენას ცდილობს, მსოფლიო რესურსებზე მონოპოლიის დაწესებას ლამობს, რათა თავის ნებას დაუქვემდებაროს მის სამიზნეში მყოფი სახელმწიფოების მთავრობები, არ დაუშვას ისეთი მსოფლიო მოთამაშეების გაძლიერება, რომლებსაც შეუძლიათ კონკურენცია გაუწიონ აშშ-ს. ამისთვის ჩაღდება ომები, ეწყობა სახელმწიფო გადატრიალებები, ნაწევრდება სახელმწიფოები, ერთმანეთს უპირისპირდებიან ხალხები, იღვრება მილიონობით ადამიანის სისხლი მსოფლიოში.

**დღეს დასავლეთმა, ფაქტობრივად, რუსეთს ომი დაუწყო,** რომელიც მისი დასუსტებისკენაა მიმართული. დასავლეთს სჭირდება ცეცხლის ალში გახვეული რუსეთის საზღვრები. სწორედ ამ მიზანს ემსახურება უკრაინის მოვლენები და მრავალი ნიშნის მიხედვით ჯერი ახლა ამიერკავკასიაზეა. ჩვენ, სამხრეთ კავკასიის ქვეყნების ხალხებმა, საუკუნის ბოლო მეოთხედში არცთუ მცირე სისხლი რომ დავღვარეთ, არ უნდა მივცეთ საშუალება სისხლისმსმელ გარეშე ძალებს ამ ომის კოცონში ფიჩხად გამოგვიყენონ!

**დასავლეთისთვის აბსოლუტურად სულერთია აზერბაიჯანიცა და მისი ხალხიც,** მაგრამ სჭირდება მისი მილსადენები და კასპიის ზღვის ენერგორესურსები, გასასვლელი დაუმორჩილებელ ირანზე; და სულაც არ მოსწონს აზერბაიჯანის ეკონომიკური კავშირები რუსეთთან, ასევე აზერბაიჯანის ხელმძღვანელობის თავშეკავებული დამოკიდებულება ნატოსადმი. ამიტომ დასავლეთი აუცილებლად შეშფოთდება „დემოკრატიის დონითა“ და „ადამიანის უფლებებით“ ამ ქვეყანაში. ასე იზრუნა მან ერაყზე, ლიბიაზე, სირიაზე... ახლა იქ სამაგალითო დემოკრატია სუფევს და ადამიანის უფლებებიც რიგზეა.

**დასავლეთს სულაც არ ადარდებს სომხეთისა და სომეხი ხალხის ბედი,** მაგრამ სომხეთი რუსეთის სტრატეგიული მოკავშირეა, ევრაზიის ეკონომიკური კავშირისა და საბაჟო კავშირის წევრია, ეს კი ნიშნავს, რომ იქ „დემოკრატია არ არის“, ჰომოსექსუალები მთავრობაში არ სხედან, ამიტომ დასავლეთი აუცილებლად დაუჭერს მხარს „ჭეშმარიტ დემოკრატებს“, რომლებიც სომხეთს განვითარების სწორ „დემოკრატიულ გზაზე“ დააბრუნებენ. უახლოეს ხანებში მოწმენი გავხდებით ათასი ჯურის არასამთავრობო ორგანიზაციის, „სახალხო მოძრაობის“, მარგინალური პოლიტიკური პარტიების მკვეთრი გააქტიურებისა, რომლებიც მასობრივი არეულობების, სამართალდამცავებთან სისხლისმღვრელი შეტაკებების, სახელმწიფო სტრუქტურებისა და სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ობიექტების მუშაობის დეზორგანიზაციის პროვოცირებას შეეცდებიან.

**დასავლეთი არაფრად აგდებს საქართველოსა და ქართველი ხალხის ინტერესებს,** ეს თვალსაჩინოდ გვაჩვენა ბოლო 25 წლის პარაქტიკამ. მაგრამ **დასავლეთს სჭირდება საქართველოს ტერიტორია ნატოს ბაზების, ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემების განსათავსებლად, რუსეთის სამხრეთში დივერსიების მოსაწყობად და კასპიის ზღვაზე და მის ენერგორესურსებზე გასასვლელ კორიდორად.** შევარდნაძე აშშ-ის ნების მორჩილი შემსრულებელი იყო, მაგრამ ტერიტორიის მესამედის დაკარგვის შემდეგ ბოლო ხანებში თავისი მორჩილებისთვის ჯილდოს ითხოვდა; ეს არ მოეწონათ ამერიკელ პატრონებს და „ვარდების რევოლუციაც“ მოხდა.

სააკაშვილი ამერიკელებზე უფრო მეტ ამერიკელობას ცდილობდა, მაგრამ დააფრთხო ისინი თავისი ფსიქიკური გაუწონასწორებლობით; მათ იგი გაცილებით წყნარი პერსონებით შეცვალეს, თუმცა ვითარება იქითკენ მიდის, რომ მალე ამერიკელებს საქართველოში სწორედ ფსიქიკურად არანორმალური მმართველი დასჭირდეთ, ამიტომ მორიგი „რევოლუცია“ საქართველოში სულაც არ არის გამორიცხული.

**ჩვენი ქვეყნები საფრთხეშია! ნებისმიერ მასშტაბურ დესტაბილიზაციას სისხლისმღვრელი კონფლიქტის გამოწვევა შეუძლია, რომელიც მთელ რეგიონს მოედება! მორიგი „რევოლუციები“ ჩვენი სახელმწიფოებისა და ხალხების არსებობას ემუქრება!**

**ადამიანებო, იყავით ფრთხილად!**

**(2014 წლის 23 სექტემბერი, საქართველო, თბილისი)**

**ვისაც ჭკუა ეკითხება, ყველა გვაფრთხილებს, რომ ნატოში მხოლოდ ჩვენი სამხედროების ცხელ წერტილებში გაგზავნას ელიან და არა ჩვენს წევრობას, მაგრამ ძველი და ახალი ხელისუფლება ჯიუტად მიიწევს ნატოს „ღია კარისკენ“.**



ნანა დევდარიანის საავტორო გვერდი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# «მაპზე უკეთესი», «ოქროს ბარათი» და წელიწადში მილიონი დოლარი

**ებრაული ანდაზაა: „თუ პრობლემა ფულით შეიძლება მოაგვარო, ეს პრობლემა კი არა, ხარჯია“. როგორც ჩანს, ამერიკელებმა გადაწყვიტეს, საქართველოს, უკრაინისა და მოლდოვის პრობლემა ხარჯში გაეტარებინათ; სენატორებმა — რობერტ მენდესმა და ბობ კორკერმა შეერთებული შტატების სენატის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტს კანონპროქტი შესთავაზეს — „უკრაინის თავისუფლების მხარდასაჭერი აქტი 2014“. გარდა იმის დაპირებისა, რომ ნატოს წევრობის გარეშე საქართველოს, უკრაინასა და მოლდოვას აშშ მთავარ პარტნიორებს უწოდებს, ამ სამ ქვეყანას რუსული პროპაგანდის წინააღმდეგ საბრძოლველად, შესაძლოა, სამი წლის განმავლობაში 10 მილიონი დოლარი გამოუყოს. კანონპროექტი ასევე ითვალისწინებს საქართველოში, უკრაინასა და მოლდოვაში რუსულენოვანი „ამერიკის ხმისა“ და „რადიო თავისუფლების“ მაუწყებლობის პრიორიტეტულობას.**



კანონპროექტმა, მართალია, საგარეო ურთიერთობათა კომიტეტი გაიარა, მაგრამ ძალაში ჯერ არ შესულა. ამისათვის დოკუმენტი უნდა შევიდეს წარმომადგენლობით პალატაში, შემდეგ ისევ სენატში დაბრუნდეს, გაეგზავნოს აშშ-ის პრეზიდენტის ადმინისტრაციას და მხოლოდ პრეზიდენტის ხელმოწერის შემთხვევაში გახდება მისი შესრულება სავალდებულო.

**ამასობაში პრეზიდენტმა ობამამ, რომლის ხელმოწერამდე ჯერ კიდევ შორია, უკვე გააკეთა განცხადება, რომ უკრაინა, როგორც ნატოს არაწევრი ქვეყანა, აშშ-ის მთავარი პარტნიორის განსაკუთრებულ სტატუსს არ მიიღებს.** მიზეზი მარტივია: ობამას განცხადებით, უკრაინას უკვე აქვს აშშ-თან თანამშრომლობის მსგავსი სტატუსი. უკრაინის პრეზიდენტი პეტრე პოროშენკო კი აცხადებს: „აშშ-ის პრეზიდენტის უარი განპირობებულია იმით, რომ უსაფრთხოებისა და თავდაცვით სფეროში თანამშრომლობა უფრო მეტია, ვიდრე ნატოს წევრობის გარეშე მთავარი პარტნიორის სტატუსი“, ანუ ერთი ჩვენი პრეზიდენტისა არ იყოს, პოროშენკო ამბობს, რომ უკრაინამ უფრო მეტი მიიღო, ვიდრე ითხოვდა. ხომ არაფერი გეცნოთ? ეს დაახლოებით იგივეა, ჩვენ რომ მივიღეთ „მაპზე უკეთესი“.

10 მილიონი, როგორც ჩანს, იმ „ოქროს ბარათზე“ ჩაირიცხება, რომელიც „მაპზე უკეთესის უკეთეს“ რაღაცის ნიშნავს. 10 მილიონი დოლარი სამ წელიწადში სამ ქვეყანაზე რა ფულიცაა, იმითაც მიხვდებით, თუ გაიხსენებთ, რომ მხოლოდ ერთ, ავად სახსენებელი კარლ ბილდტის ლობისტური კომპანია „კრეაბისთვის“ მიხეილ სააკაშვილს მხოლოდ ერთი წლის (2006-2007) განმავლობაში 4 მილიონ ლარზე მეტი აქვს გადარიცხული, ხოლო 2008 წელს კიდევ 2,5 მილიონი დოლარი. როგორ უნდა „მოერიოს“ ეს თანხა „რუსულ პროპაგანდას“? ირკვევა, რომ ძალიან მარტივად.

საქართველოს ატლანტიკური საბჭოს აღმასრულებელი დირექტორი გიორგი მუჩაიძე აცხადებს: „მთავარი მიმართულება იქნება რადიომაუწყებლობის დაფინანსება. ამ მიმართულებით იქნება პროპაგანდისტული ქმედებების მხრივ ნაბიჯები გადადგმული, რაც მისასალმებელია“. ერთი სიტყვით, **ეს 10 მილიონი სამ წელიწადში სამ ქვეყანაში „ამერიკის ხმისა“ და „რადიო თავისუფლების“ დაფინანსებას მოხმარდება. როგორც იტყვიან, ლუკმა გავარდეს, ჯამში ჩავარდესო!** ვულოცავ კოლეგებს ამ გამარჯვებას — როგორც ჩანს, მათ კარგად მოახერხეს სენატორების დარწმუნება, რომ ეს ორი რადიოსადგური, საბჭოთა წლების მსგავსად, უმკლავდება „რუსულ პროპაგანდას“! იმასაც გილოცავთ, რომ საქართველოს ატლანტიკური საბჭოს აღმასრულებელი დირექტორი პროპაგანდის იარაღს გიწოდებთ, რაც საკუთარი თავის პატივისმცემელი ჟურნალისტისთვის შეგინებაზე უარესია!

სიმართლისთვის უნდა ითქვას, რომ თავად რუსეთი პროპაგანდისთვის თავს მაინცდამაინც არ იწუხებს. ერთერთ ტელეხიდზე ჩემს შეკითხვას, თუ რატომ არაფერი ვიცით საბაჟო კავშირის პრეფერენციებზე, როცა ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების სრული ტექსტი გამოქვეყნდა, რუსმა ექსპერტებმა განაცხადეს, რომ მათ არ სჭირდებათ ამ კავშირის პროპაგანდა, რადგან „ხალხი თავად დაინახავს ყველაფერს“! მოკლედ რომ ვთქვათ, 10 მილიონი გამოიყო იმის წინააღმდეგ საბრძოლველად, რასაც რუსეთი არ აკეთებს! რაც შეეხება „ხალხი თვითონ დაინახავს“, ეს ფორმულა „ქართულმა ოცნებამაც“ აითვისა და პიარზე კატეგორიულ უარს აცხადებს. ამიტომაცაა, ხალხმა იმის შესახებაც არ იცის, რაც ახალმა მთავრობამ ნამდვილად გააკეთა.

რაკი მთავრობა ვახსენე, ისიც გავიხსენოთ, როგორ ჭმუნავდა ამ საკითხზე თავდაცვის მინისტრი ალასანია: „მე ვერ ვხედავ სამხედრო საფრთხეს რუსეთის მხრიდან... ჩვენი მოწინააღმდეგეები შეეცდებიან, საზოგადოების შიგნით, საქართველოს შიგნით შექმნან ახალი განწყობები კრიტიკული, სკეპტიკური ევროპული ინტეგრაციისკენ... საზოგადოებრივი განწყობის შექმნაზე გადავა აქცენტი ჩვენი მოწინააღმდეგეების მხრიდან. ამიტომაც, ძირითადად, ასეთ საფრთხეებს ვხედავ, კონტრდაზვერვით საფრთხეებს და აქედან გამომდინარე, მთელი სახელმწიფო და სპეციალური სტრუქტურები იქნება მობილიზებული, რომ არ დავუშვათ არც ერთ შემთხვევაში ასეთი განწყობების კულტივაცია“.

**რაკილა „რუსულ პროპაგანდასთან“ ბრძოლა ქართულმა კონტრდაზვერვამ ითავა, რომელიც საქართველოს ბიუჯეტიდან ფინანსდება, აშშ-ის სენატს ისღა დარჩენია, „ამერიკის ხმისა“ და „რადიო თავისუფლების“ დაფინანსება გააძლიეროს და ქვეყანაც აშენდება!**

ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი ალექსი პეტრიაშვილი for.ge-ს ესაუბრა.

**ჟურნალისტის კითხვა: „კანონპროექტი ითვალისწინებს საქართველოში, უკრაინასა და მოლდოვაში რუსულენოვანი „ამერიკის ხმისა“ და „რადიო თავისუფლების“ მაუწყებლობის პრიორიტეტულობას. 10 მილიონი დოლარი გამოიყოფა სამი წლის განმავლობაში ყოფილ საბჭოთა ქვეყნებში რუსული პროპაგანდის წინააღმდეგ. საქართველოს ოფიციალურად დეკლარირებული აქვს, რომ უნდა გახდეს ნატოს წევრი ქვეყანა, ასევე გაცხადებული გვაქვს, რომ არ გვინდა დაძაბული ურთიერთობა რუსეთთან, რამდენად სწორი იქნება ამის ფონზე რუსულ პროპაგანდაში ჩართვა?“**

**პეტრიაშვილის პასუხი:** „ეს პრობლემა გაცილებით უფრო მწვავედ იდგა და აშკარად გამოჩნდა უკრაინაში, ძალიან მძაფრად იყო მოლდოვაში. მათი და ჩვენი წარსულის გამოცდილებიდან გამომდინარე, შევიმუშავეთ კომუნიკაციის სტრატეგია, რომელიც მიმართულია იქითკენ, რომ საზოგადოებამ მიიღოს სიმართლე და არ იკვებებოდეს მითებით, რომლებიც მიმართულია ევროკავშირის და ნატოს წინააღმდეგ. იმისათვის, რომ ჩვენი მიზნები განვახორციელოთ, საზოგადოებამ უნდა იცოდეს სიმართლე, რა არის ჩვენი მიზნები, საითკენ მიდის ჩვენი ქვეყანა და არ გახდეს იმ პროპაგანდისტული მანქანის მსხვერპლი, რომელიც გაცილებით დახვეწილია, ვიდრე ეს იყო საბჭოური წლების „საუკეთესო“ პერიოდში. ამიტომ ცალსახად ძალიან მნიშვნელოვანია ეს მხარდაჭერა ჩვენთვის“.

საინტერესოა, ჩაეთვლება თუ არა „რუსულ პროპაგანდაში“ საქართველოში ნატოს სამეკავშირეო ოფისის ხელმძღვანელს, უილიამ ლაჰიუს, გაზეთ „კვირის პალიტრასთან“ ინტერვიუში ნათქვამი: „შეხედეთ რეალობას: სად არის საქართველო, როგორია მისი გეოპოლიტიკური სიტუაცია? თქვენ ყველაზე შორს ხართ იმ ქვეყნებს შორის, რომელთაც სურთ, ნატოს წევრები გახდნენ. თუმცა თქვენს საზღვართან უკვე არის წევრი ქვეყანა — თურქეთი და ეს კარგია, რადგან ამით თქვენ ალიანსის გეოგრაფიულ მთლიანობას არ არღვევთ... თქვენ ყველაზე შორს ხართ. ისევ და ისევ რეალობას შეხედეთ: მაგალითად, ალბანეთის მეზობლებმა ბევრად მეტი იციან ალბანეთზე, ვიდრე საქართველოზე. გაფართოების პროცესს წინ უნდა უძღოდეს ინფორმირებულობა და საქართველო აკეთებს ამას. მაგალითად, ISAF-ის მისიაში მონაწილეობით თქვენ წარმოდგენას უქმნით ნატოს წევრ ქვეყნებს, თუ რა წვლილი შეიძლება შეიტანოს საქართველომ საერთო უსაფრთხოებაში, ერგებით თუ არა არსებულ სტანდარტებს. რა თქმა უნდა, ბევრად ადვილი იქნებოდა, ევროპის ცენტრში რომ ყოფილიყავით, გარშემორტყმული ქვეყნებით, რომლებიც უკვე არიან ალიანსის წევრები“.

საქართველოს ბიუჯეტის მიერ ლობისტურ კომპანიებზე დახარჯულ მილიონებს სააკაშვილი სწორედ იმით ამართლებდა, რომ საქართველო გააცნო მსოფლიოს, ახლა კი ირკვევა, რომ დასავლეთში ალბანეთზე გაცილებით უკეთ არიან ინფორმირებულნი. იმასაც გვეუბნებიან, რომ ევროპის ცენტრში ყოფნა სჯობს კავკასიაში ყოფნას! სამაგიეროდ, ნატოს სამხედრო მისიებში მონაწილეობისთვის საკმარისად ახლოს ვყოფილვართ!

იქვე ბატონი ლაჰიუ სხვა პრობლემასაც ეხება, როგორიცაა ტერიტორიული კონფლიქტები: „ეს კონფლიქტები, მიუხედავად იმისა, რომ არ გამორიცხავს საქართველოს ნატოში გაწევრიანებას, დაბრკოლებას ქმნის. ასევე საგულისხმოა საკითხი, თუ რა სტატუსი შეიძლება ჰქონდეთ აფხაზეთსა და ე. წ. სამხრეთ ოსეთს ნატოს წევრობის შემთხვევაში, როგორ მოერგება მათ ნატოს მეხუთე მუხლი და ა. შ.“.

ეს უკვე საქართველოში ნატოს სამეკავშირეო ოფისის მეორე ხელმძღვანელია, რომელიც გარკვევით მიგვანიშნებს, რომ ნატოს წესდების მეხუთე მუხლი (კოლექტიური თავდაცვის შესახებ) აფხაზეთსა და სამაჩაბლოზე ვერ გავრცელდება და მათთვის „განსაკუთრებული“ სტატუსია მოსაფიქრებელი. ერთი სიტყვით, **ვისაც ჭკუა ეკითხება, ყველა გვაფრთხილებს, რომ ნატოში მხოლოდ ჩვენი სამხედროების ცხელ წერტილებში გაგზავნას ელიან და არა ჩვენს წევრობას, მაგრამ ძველი და ახალი ხელისუფლება ჯიუტად მიიწევს ნატოს „ღია კარისკენ“.**

„მაპზე უკეთესი“, „ოქროს ბარათი“, ახლა კი წელიწადში მილიონი დოლარი (10-ს რომ სამზე და კიდევ სამზე გაყოფ, დაახლოებით ეგ დარჩება), რომელიც ორ ამერიკულ რადიოსადგურს მოხმარდება, რთულად წარმოსადგენია, რომ საქართველოს რომელიმე პრობლემის მოგვარებაში წაადგეს. თუმცა... „თუ პრობლემა ფულით შეიძლება მოაგვარო, ეს პრობლემა კი არა, ხარჯია“. ამ ლოგიკით, საქართველო ამერიკელებისთვის მხოლოდ ხარჯია, თანაც არც ისე დიდი...

მსოფლიო

## ჯერი ადამსი: ჩრდილოეთ ირლანდიას უფლება აქვს, რეფერენდუმი ჩაატაროს

**ჩრდილოეთ ირლანდიის ნაციონალისტური პარტია „შინ ფეინის“ ლიდერმა ჯერი ადამსმა თანამემამულეებს მოუწოდა, ჩაატარონ რეფერენდუმი, რომელიც მომავალში დიდი ბრიტანეთისგან გამოყოფისა და ირლანდიასთან შეერთების საფუძველი გახდება.**

„არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ჩვენი ხალხი გაყოფილია, დღეს კი გვაქვს შესაძლებლობა, დემოკრატიული გზით შევერთდეთ და თავი ბედნიერად ვიგრძნოთ. ჩვენ ვერ შევძლებთ ისტორიის გადაწერას, მაგრამ გვაქვს შესაძლებლობა, გავითვალისწინოთ შოტლანდიის რეფერენდუმის გაკვეთილები. ჩრდილოეთ ირლანდიაში მცხოვრებთ აქვთ რეფერენდუმის ჩატარების უფლება“, — განაცხადა ჯერი ადამსმა.

1921 წელს ირლანდიასა და დიდ ბრიტანეთს შორის გაფორმებული სამშვიდობო ხელშეკრულების თანახმად, ირლანდიამ დომინიონის სტატუსი მიიღო, 1949 წელს — სრული დამოუკიდებლობა, ჩრდილოეთი ირლანდია კი დღესაც დიდი ბრიტანეთის ნაწილია.



ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**მოსახლეობა ისედაც აღრენილია და ვერ უპატიებია ხელისუფლებისთვის, რომ ესენი დაუსჯელები დადიან და ახლა ამათ გადატრიალება რომ მოაწყონ, მტრისას, აქ ამბავი ატყდება — ხალხს ვერაფერი გააჩერებს...**



## ამერიკელებზე ჯაშუშობას მილიარდობით კამერითა და დამსაქმებლების მეშვეობით განახორციელებენ

**აშშ-ის მოქალაქეებზე თვალთვალისა და მიყურადების ახალ პროგრამაზე 6 წლის განმავლობაში მუშაობდნენ, თვითონ პროგრამის ბიუჯეტი კი მილიარდი დოლარი იყო. ადამიანების იოლად იდენტიფიცირებისთვის დამსაქმებლებს დაავალდებულებენ, ხელისუფლების თანამშრომელთა ფოტოები გაუგზავნოს.**

პროექტი სახელწოდებით ახალი თაობის ამოსაცნობი სისტემა (NGI) მალე ამუშავდება აშშ-ის ტერიტორიაზე. მილიარდობით სათვალთვალო კამერა ყოველდღიურად გადაუღებს ფოტოს აშშ-ის თითოეულ მოქალაქეს, შემდეგ კი მოპოვებული ინფორმაცია დამუშავდება ბიომეტრიული სისტემით და მოხვდება მონაცემთა ერთიან ბაზაში. ახალი სისტემის გამოყენების შედეგად, აშშ-ის ხელისუფლებას აღარ დასჭირდება პიროვნების იდენტიფიკაცია თითების ანაბეჭდებით.

NGI ისეა მომართული, რომ იღებს არა მხოლოდ სახეებს, არამედ ტატუს, ნაიარევებს და სხვა განმასხვავებელ ნიშნებს. მონაცემთა ბაზაში მოხვდება არა მხოლოდ სათვალთვალო კამერების მიერ გადაღებული ფოტოები. დამსაქმებლები ვალდებულნი იქნებიან, თანამშრომელთა ფოტოები ხელისუფლებას გაუგზავნოს. აშშ-ის გამოძიების ფედერალური ბიურო ვარაუდობს, რომ უკვე მომავალ წელს 52 მილიონ ფოტოდოსიეს შექმნის.

## მამაკაცმა ქალიშვილი და 6 შვილიშვილი მოკლა



**18 სექტემბერს ქალაქ გეინსვილის (ფლორიდის შტატი, აშშ) 51 წლის მცხოვრებმა დონ სპირიტმა სისხლიანი კალო მოაწყო: მან თავისი ქალიშვილი და 6 შვილიშვილი (3 თვიდან 10 წლამდე) მოკლა, შემდეგ კი თავი მოიკლა.**

„ბი-ბი-სის“ ცნობით, დონ სპირიტმა, ვიდრე თავს მოიკლავდა, პოლიციელებს დაურეკა და ჩადენილის შესახებ აცნობა. 51 წლის მამაკაცი კრიმინალურ საქმიანობაში იყო შემჩნეული. ამასთანავე, ცნობილია, რომ 13 წლის წინათ მან თავისი 8 წლის ვაჟი მოკლა ნადირობისას. იმხანად სასამართლომ მას მხოლოდ სამი წლით აღუკვეთა თავისუფლება, რადგან ინციდენტი უბედურ შემთხვევად ჩათვალა.

# აკაკი ასათიანი: იმ კაცის თანამდებობაზე დანიშვნა, რომელიც გეტყვის, პლასტელინი ვიქნებიო, უბრალოდ, არ უნდა მოგინდეს

**ბოლო დროს განვითარებულ მნიშვნელოვან მოვლენებზე „საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება „ტრადიციონალისტთა კავშირის“ ლიდერი აკაკი ასათიანი.**



**— ბატონო აკაკი, მმართველ გუნდში, კერძოდ, მთავრობასა და პრეზიდენტს შორის, არსებულმა დაპირისპირებამ უკვე იმხელა მასშტაბებს მიაღწია, რომ ექსპერტების გარკვეული ნაწილი მოსალოდნელ პოლიტიკურ კრიზისზე ალაპარაკდა. რეალურია ეს საფრთხე და რა შედეგები შეიძლება მოუტანოს ამან ქვეყანას?**

— მე პოლიტიკურ კრიზისს ვერ დავარქმევ ამას, ვინაიდან პრეზიდენტის შტო არ არის იმდენად ძლიერი, რომ მათი დაპირისპირებით სერიოზული პრობლემები შეიქმნას. ჩემი აზრისთ, ეს უფრო საზოგადოებრივი კრიზისია, მორალური და ასევე კონსტიტუციური. ზუსტად ამითაა გამოწვეული მთელი რიგი გაუგებრობები, ვინ სად მიდის, ვის ეკუთვნის ამა თუ იმ შეხვედრაზე ან კონფერეციაზე გამოსვლა და ა. შ. ეს თავისთავად უკვე არის ძალიან ცუდი ნიშანი და, როდესაც ვსაუბრობთ იმაზე, რომ შემდგარი სახელმწიფო ვართ, ამით საპირისპიროს ვამტკიცებთ. ზოგადად ამ ყველაფერს, როგორც ჩანს, სარჩულად კიდევ სხვა რაღაც უდევს, მაგრამ ახლა ამაზე მარჩიელობისგან თავს შევიკავებ. უბრალოდ, სამწუხარო და საუბედურო ის არის, რომ პროცესები გადასულია პიროვნულ დაპირისპირებაში, პიროვნულ ჭიდილში და უთანხმოებაში...

**— პიროვნულ დაპირისპირებას რაც შეეხება, ერთ-ერთ ინტერვიუში ივანიშვილმა თქვა კიდეც, — მარგველაშვილი სულ სხვა ადამიანი მეგონა და შევცდიო. თქვენი აზრით, რა იყო ივანიშვილისთვის მოულოდნელი და რატომ შეიცვალა თვითონ მარგველაშვილი ასე რადიკალურად პრეზიდენტის რანგში?**

— დავანებოთ თავი მარგველაშვილს, ის კი არ შეიცვალა, ასეთივე იყო და, უბრალოდ, გამოჩნდა ეს. ახლა რაც შეეხება ივანიშვილს, მან ნამდვილად დიდი საქმე გააკეთა 2012 წლის ოქტომბრის არჩევნების სახით, მაგრამ ახლა იმაზე საუბარს, რომ ვიღაც ასეთი მეგონა და სულ სხვანაირი ყოფილაო, აზრი არ აქვს. კაცი რომ გეტყვის, პლასტელინი ვიქნებიო, იმ კაცის თანამდებობაზე დანიშვნა, უბრალოდ, არ უნდა მოგინდეს. აი, სად დაუშვა ივანიშვილმა შეცდომა. ასე რომ, რაც დღეს ხდება, ეს უკვე მარგველაშვილის კი არა, მისი ბრალია.

**— ფაქტია, რომ სახელისუფლო გუნდში სერიოზული განხეთქილებაა. ეს ქვეყნისთვისაც ხომ საზიანოა?**

— ქვეყნისთვის, რასაკვირველია, ყოველთვის სტაბილურობა ჯობია, მაგრამ ჩვენ ჯერჯერობით ვერ მივაღწიეთ ამას, პოლიტიკური და ეკონომიკური თვალსაზრისით — მითუმეტეს. რაც შეეხება თვითონ მმართველ გუნდს, თუ ვინმეს ჰგონია, რომ ეს დაპირისპირება დააზარალებს მარტო მარგველაშვილის ბანაკს (თუ არსებობს ასეთი) ან მარტო ღარიბაშვილს და ივანიშვილს, ასე არ იქნება; ეს აზარალებს ორივეს და მთლიანად სისტემას, ამ ხელისუფლებას. ამის ნიშნები უკვე არის და დავინახეთ არჩევნების დროს, როცა აქტივობა ძალიან დაბალი იყო. დანარჩენი უკვე დამოკიდებულია თვითონ მმართველ ელიტაზე, — გამონახავენ საერთო ენას და შეძლებენ დაძაბულობის განმუხტვას, პროცესები ჩაჯდება გარკვეულ კალაპოტში, თუ არა და სანამდე შეიძლება ეს ყველაფერი მივიდეს, არ ვიცი, ალბათ, ერთ მშვენიერ დღეს მართლა გაჩნდება პოლიტიკური კრიზისის ნიშნები...

**— საუბარია იმაზეც, რომ, თუკი ხელისუფლებაში დაპირისპირება გამწვავდა, მარგველაშვილმა, შესაძლოა, საკუთარი პოლიტიკური ბირთვი შექმნას და მის გარშემო გაერთიანდეს „ნაციონალების“ გარკვეული ნაწილი. რამდენად რეალურად მიგაჩნიათ ეს?**

— ერთი რამ ცხადია: „ნაციონალებს“ აშკარად უხარიათ ეს ამბავი. ახლა თუ მათ იმედი აქვთ, რომ მარგველაშვილი არის ის ბერკეტი, რომლითაც ამოტრიალდება ხელისუფლება, სისულელეა. იმედი მაქვს, ამას თვითონ მარგველაშვილიც აცნობიერებს და „ნაციონალურ მოძრაობასთან“ ერთად რამე ბირთვის შექმნას არ აპირებს... ყოველ შემთხვევაში, ამ ეტაპზე მას ეს არანაირად ხელს არ აძლევს, არაფერს მისცემს; ასე რომ, არარეალურად მეჩვენება ეს ვერსია. სხვა გეგმა თუ აქვთ, არ ვიცი, მაგრამ ვფიქრობ, ჯერჯერობით მარგველაშვილისთვის უკეთესი ვარიანტი არ არსებობს, ვიდრე არსებული მდგომარეობაა...

**— რამდენიმე დღის წინათ საპარლამენტო უმცირესობის წევრმა ზურაბ ჯაფარიძემ განაცხადა, „ნაციონალური მოძრაობა“ მალე დაბრუნდება ხელისუფლებაშიო. რამდენად რეალურად გეჩვენებათ ეს?**

— როგორ უნდა დაბრუნდნენ, არ ვიცი. გააჩნია, რას გულისხმობენ. ჯაფარიძეს არჩევნებით დაბრუნება თუ ჰქონდა მხედველობაში, ჩემი აზრით, ამის შანსი მათ არ აქვთ, სხვა კიდევ რა გზა არსებობს?

**— მაგალითად, გადატრიალება.**

— ღმერთმა ნუ ქნას, ასეთი რამ მოხდეს, მაგრამ **„ნაც-მოძრაობამ“ ეს თუ დააპირა, ჩათვალეთ, რომ ეს იქნება პირდაპირ პოლიტიკური და სამართლებრივი აღსასრული მათთვის.** მოსახლეობა ისედაც აღრენილია და ვერ უპატიებია ხელისუფლებისთვის, რომ ესენი დაუსჯელები დადიან და ახლა ამათ გადატრიალება რომ მოაწყონ, მტრისას, აქ ამბავი ატყდება — ხალხს ვერაფერი გააჩერებს... რაც შეეხება არჩევნებს, კიდევ ვიმეორებ: ამ გზით უახლოეს თვალსაწიერ მომავალში „ნაციონალური მოძრაობა“ ვერ დაბრუნდება ხელისუფლებაში. ეს არის ის რეალობა, რომელიც მათ თვითონვე შექმნეს და, თუ რამეში ვარ დარწმუნებული, ამაში ვარ...

**— ალბათ, ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს დასავლეთის მხარდაჭერაც წარმოადგენს, რაც „ნაციონალებს“ ნამდვილად არ აკლიათ. არ ფიქრობთ, რომ სწორედ დასავლურმა, განსაკუთრებით ამერიკულმა პროპაგანდამ შეიძლება მათ დაბრუნების პერსპექტივა გაუჩინოს?**

— ჩვენ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ დასავლეთის პოლიტიკა ყოველთვის მათივე ინტერესებიდან ამოდის. სააკაშვილი კი პოლიტიკური გვამია და მათ ეს ძალიან კარგად იციან. ასეთ ფიგურას მხარს, უბრალოდ, არავინ დაუჭერს. მას შეიძლება თავშესაფარი მისცენ, სამსახური და ყველაფერი, მაგრამ ხელისუფლებაში დაბრუნების შანსი გამორიცხულია. მან უკვე ამოწურა თავისი მისია და ამით ყველაფერი დამთავრდა. ასე რომ, სააკაშვილს შეიძლება კი უნდა დაბრუნება, მაგრამ ის უკვე აღარ დგას დღის წესრიგში.

**— მაშინ რით აიხსნება ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის განცხადება, რომ თურმე საქართველოში პოლიტიკური დევნა ხორციელდება?**

— ჩემი აზრით, ეს იყო გაფრთხილება: თავი დაანებეთ სააკაშვილს, თორემ მე ძალიან უხერხულ მდგომარეობაში ჩამაყენებთო, ანუ ამერიკა, ფაქტობრივად, იძულებულია, რომ კბილებით დაიცვას ეს ადამიანი.

**— და რატომაა იძულებული, როგორ ფიქრობთ?**

— ძალიან მარტივი ასახსნელია, ამ ცხრა წლის მანძილზე რა უბედურებებიც დაატრიალა სააკაშვილმა, მათ ხომ იცოდნენ? მეტიც, მხარს უჭერდნენ და „დემოკრატიის შუქურას“ ეძახდნენ. ჰოდა, ახლა დამნაშავე რომ უძახონ ამ კაცს, მათთვისაც ხომ იქნება სირცხვილი და საერთაშორისო თავისმოჭრა?! ამიტომ სხვა გზა არ აქვთ, უნდა დაიცვან.

**— გამოდის, რომ სააკაშვილის სამართლებრივ დევნას აზრი არ აქვს?**

— სამართლიანობის აღდგენის პროცესი ნებისმიერ შემთხვევაში უნდა დაიწყოს, ბოლოს და ბოლოს. ხალხმა ამიტომ მისცა ხმა „ქართულ ცნებას“. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ამდენი დაზარალებულია და ახალგაზრდა ბიჭებია დახოცილი, ამაზე ვიღაცამ პასუხი უნდა აგოს. რაც შეეხება ამ სამართლიანობის სისრულეში მოყვანას, არავის გვიხარია დაჭერები და დაპატიმრებები, მაგრამ ჩვენთან მიმართებაში ერთი რამ ამერიკელებმაც უნდა გაითვალისწინონ და ევროპელებმაც, პარტნიორებად რომ მივიჩნევთ: კანონზე მაღლა ამ ქვეყანაში არავინ დგას. ის, რაც უკრაინას გაუკეთეს ტიმოშენკოს შემთხვევაში, მოიპარა, მაგრამ უნდა გამოუშვათო, იყო მთლიანად სახელმწიფოს შეურაცხყოფა. როგორც ჩანს, იმავე სტანდარტით მოქმედებენ ზოგიერთები ჩვენს მიმართაც, ამიტომ ხელისუფლებას მართებს მეტი პრინციპულობა. ასევე ძალიან მნიშვნელოვანია, საზოგადოება იყოს მობილიზებული, რომ მმართველ გუნდს, ფაქტობრივად, არ ჰქონდეს უკან დასახევი გზა. აი, ამ წნეხით ის შეიძლება აიძულო, აღადგინოს სამართლიანობა და იმავე დასავლეთსაც დაანახო, რომ, თუ ისინი ამას ხელს შეუშლიან, მაშინ საქართველო მათთვის ვერ იქნება მთლად საიმედო პარტნიორი...

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

## 2015 წლამდე, შესაძლოა, 500 ათასი ადამიანი დაავადდეს ებოლას ციებ-ცხელებით

**2015 წლის იანვრის ბოლოს ებოლას ვირუსით ინფიცირებულთა რაოდენობამ შეიძლება 500 ათასს მიაღწიოს. ამ ინფორმაციას გაზეთი „ვაშინგტონ პოსტი“ ავრცელებს, დაავადებათა კონტროლისა და პროფილაქტიკის ცენტრის (CDC) მონაცემებზე დაყრდნობით.** ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით, სექტემბრის ბოლოს დასავლეთ აფრიკაში ებოლას ციებ-ცხელებით დაავადებულთა რაოდენობამ 5335-ს მიაღწია, მათგან 2622 გარდაიცვალა. დაავადება გავრცელებულია გვინეაში, ლიბერიაში, სიერა-ლეონეში, სენეგალში, გვინეა-ბისაუსა და მალიში. 12 აგვისტოს ევროპაში აღირიცხა ებოლას ციებ-ცხელებით გარდაცვალების შემთხვევა. ვირუსის მსხვერპლი გახდა ესპანელი მღვდელი მიგელ პახარესი. **ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ექსპერტებმა ებოლას ვირუსის გავრცელება მსოფლიოსთვის საგანგაშო სიტუაციად შეაფასეს. მათი თქმით, რადიკალური ზომები არ იქნა მიღებული, შედეგები კატასტროფული იქნება.**



www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**გიორგი მარგველაშვილი ქვეყნისთვის ყველაზე დიდ უბედურებას წარმოადგენს, რადგან ამერიკის სექტანტურ ჯგუფებს ყველაზე დიდი ფული მასზე აქვთ დახარჯული. სწორედ ის იყო „სოროსის ფონდის“, NDI-ის, „თავისუფლების ინსტიტუტის“ სათავეებთან.**



### თემურ შაშიაშვილი:

# ისევ ხალხი თუ შეძლებს ქვეყნის ხსნას, თორემ პოლიტიკოსებმა საქართველო გაწირეს

**პოლიტიკური პარტია „თეთრების“ ლიდერი თემურ შაშიაშვილი საქართველოს ხელისუფლებას მოუწოდებს — 1 ოქტომბერს 2 წლის განმავლობაში შეუსრულებელი დაპირებების შესახებ ქართველ ხალხს ანგარიში წარუდგინოს. თავად მიაჩნია, რომ ქვეყანაში არსებული მდგომარეობა კატასტროფულად მძიმეა და აქედან გამომდინარე, ბრძოლის შეწყვეტას არ აპირებს. თემურ შაშიაშვილი „საქართველო და მსოფლიოს“ ქვეყანაში მიმდინარე მოვლენების შესახებ ესაუბრა.**

— დემოკრატიულ მსოფლიოში, ნებისმიერი ხელისუფლების პატიოსნება იმის მიხედვით განისაზღვრება, თუ რამდენად გულწრფელი და მართალია ის საკუთარ ხალხთან, სწორედ ამიტომ უნდა წარმოადგინოს ხელისუფლებამ ანგარიში. „ნაციონალური მოძრაობა“ და მიხეილ სააკაშვილი აცხადებენ, აშენებული ქვეყანა დავტოვეთო, ახალი ხელისუფლება აცხადებს, რომ იმაზე მეტი გავაკეთეთ, ვიდრე შეგპირდითო და ხალხი დაიბნა. თუ ყველაფერი ასე კარგად იყო და არის, მაშინ რატომ არ ვცხოვრობთ შესაბამისად კარგად? **როდესაც პარლამენტში მყოფი ორი პარტიისა** (ამ შემთხვევაში „ქართული ოცნებისა“ და „ნაციონალური მოძრაობის“) **და ხალხის ფიქრები დიამეტრალურად განსხვავდება ერთმანეთისგან, ეს ნიშნავს, რომ ქვეყანაში კრიზისია, მთელი საქართველოს მასშტაბით, სხვადასხვა რაიონში საინიციატივო ჯგუფები შეიქმნა.** ჩვენ ათი ათასამდე კაცს შევხვდით, გამოვკითხეთ, მოვისმინეთ ყველას მოსაზრება და აღმოჩნდა, რომ გამოკითხულთაგან უმრავლესობა ფიქრობს, რომ „ქართულმა ოცნებამ“ დაპირებები არ შეასრულა. მინდა, ვთქვა, რომ პირველმა ანალიზმა შემაშინა. **ქვეყანაში კატასტროფული მდგომარეობაა, სრულიად ახალგაზრდები მოვიდნენ ხელისუფლებაში, არც ერთ ქვეყანაში ასე არ ხდება. ან ხომ არ შეიძლება, ვინც შენს ბანკში მუშაობდა, მაინცდამაინც ის ხალხი დანიშნო თანამდებობაზე?** შეხედეთ, რა ვითარებაა საქართველოს რეგიონებში, თუნდაც აჭარასა და ქუთაისში. ეჭვიც არ მეპარება, „ქართული ოცნების“ ქუთაისის ორგანიზაციაშიც აღმოჩნდებიან ისეთი ღირსეული ადამიანები, რომლებიც გამოვლენ და იტყვიან, რა ხალხია იმერეთის „ქართულ ოცნებაში“ გაწევრიანებული. იმიტომ ვარ ჯერჯერობით ჩუმად. იმერეთში „ქართული ოცნების“ წევრების 90% ისეთია, რომელთა ახლოს მიკარებაც არ შეიძლებოდა ხელისუფლებასთან.

მოსახლეობის, ალბათ, 90%-მა, მხარი დაუჭირა არა უბრალოდ ბიძინა ივანიშვილს, არამედ მდიდარ ბიძინა ივანიშვილს. ეს იყო ხალხის უდიდესი შეცდომა და დანაშაულიც კი. მსოფლიოში არ არსებობს ქვეყანა, მილიარდერს რომ მისთვის სიკეთე მოეტანოს.

**— მაგრამ, ბატონო თემურ, ხალხს სხვა არჩევანი ჰქონდა? ქვეყანაში, მართალია, იყო ბევრი ოპოზიციური პარტია, მაგრამ მაღალი რეიტინგი არც ერთს არ ჰქონდა.**

— რა თქმა უნდა, ხალხს სხვა არჩევანი ჰქონდა. როდესაც ქვეყანაში ხალხის განწყობას მასმედია ქმნის და როდესაც არ არსებობს ობიექტური ტელევიზია, რა რეიტინგზე შეიძლება ვისაუბროთ? დღესაც ისეთი პარტიების წარმომადგენლები სხედან ტელევიზიებში და ისეთ პოლიტიკოსებს უწევენ პროპაგანდას, რომ ეს ქვეყნის დაღუპვის მომასწავებელია. ეს ნიშნავს, რომ ვიღაცამ გარედან გაწირა საქართველო. ქვეყანას ჰყავს ეროვნული განწყობის პარტიები და პოლიტიკოსები, კულტურის მოღვაწეები, მეცნიერები, მაგრამ მათ მიმართ ხელისუფლება ყურადღებას არ იჩენს. მერაბ ბერძენიშვილი უაღრესად ეროვნული კაცია, ის ხელისუფლება ხომ შეურაცხყოფას აყენებდა და ახლა ახალი მერი ჯერ შეჰპირდა, დავით აღმაშენებლის ძეგლს დავაბრუნებო და აცხადებს, მარტო მე ვერ გადავწყვეტ, ხალხს უნდა მოვეთათბიროო. მერაბ ბერძენიშვილმა, რეზო ჩხეიძემ, ანზორ ერქომაიშვილმა და არნოლდ გეგეჭკორმა პროექტი მოამზადეს, მთავრობის მეთაურთან შეხვედრა უნდოდათ და ვერ შეხვდნენ. ემირ ბურჯანაძე, თბილისის გერბის ავტორი და თბილისის საპატიო მოქალაქე, ახლახან გარდაიცვალა, მეგონა, ქალაქის მერი და მთელი ხელმძღვანელობა დაესწრებოდა. არავინ მისულა, გული ჩამწყდა... ასეთი დამოკიდებულება მიუღებელია.

**— საქართველოს პრემიერმა ირაკლი ღარიბაშვილმა განაცხადა, რომ ქვეყანაში სიღარიბე განახევრდა. ნიშნავს თუ არა ეს განცხადება, რომ მთავრობა ხალხს დაშორდა და საქმის კურსში აღარ არის?**

— **არ მინდა ვიფიქრო, რომ ირაკლი ღარიბაშვილი ზერელე კაცია, მაგრამ მისი განცხადებები ასეთ შთაბეჭდილებას ტოვებს. მან ხალხის განწყობა არ იცის. სიღარიბე კი არ განახევრდა, პირიქით, გაძლიერდა და ეს ლოგიკურია, ვინაიდან ამის საფუძველი შექმნა განვლილმა 9-წლიანმა მმართველობამ. ვინც უნდა მოსულიყო ხელისუფლებაში სააკაშვილის შემდეგ, ამ ვითარებაში სიღარიბის განახევრებას დავით აღმაშენებელიც კი ვერ შეძლებდა.**

ამის მიუხედავად, ერთი პოლიტიკური ძალა — „ნაციონალები“ სინანულსაც არ განიცდიან, ბოდიშსაც არ იხდიან; მეორე ძალა — „ქართული ოცნება“ კი აცხადებს, რომ ყველაფერი კარგადაა. ივანიშვილმა დასავლეთს დიდი საქმე გაუკეთა — საქართველოში ასეთი ერთ აზრზე მყოფი და გარედან მართვადი პარლამენტი არ ყოფილა. „ნაციონალებიც“ და „ქართული ოცნებაც“ ერთი ცენტრიდან, დასვალეთში არსებული სექტანტური ჯგუფებიდან იმართებიან. ჩვენ ამერიკელ და ევროპელ ხალხთან გვინდა ურთიერთობა, მაგრამ მაკკეინის, ლიბერმანის ჯგუფებს რომ თავისი ინტერესები აქვთ, ეს ხომ ცხადია. ესენი სექტანტური ჯგუფები არიან და ნახეთ, მათ შეძლეს „ნაციონალური მოძრაობაც“ სექტად ექციათ. საქართველოს პარლამენტში პოლიტიკური ძალის სახელით შესულია სექტა და ამას დღევანდელი მთავრობა ითმენს. „ნაციონალებს“ ჯიბგირებს, ქურდებს, ქვეყნის დამანგრეველს ეძახიან და მაინც პარლამენტში ჰყავთ. **ცოტა ხნის წინათ უცხოეთში ვიმყოფებოდი და უცხოეთი შეძრწუნებულია სააკაშვილის მმართველობის პერიოდით.**

**— თუმცა უცხოელი მაღალჩინოსნები გამუდმებით მხარს უჭერენ მიხეილ სააკაშვილს და აცხადებენ, რომ ყოფილი პრეზიდენტის წინააღმდეგ საქმის აღძვრა საქართველოს საერთაშორისო იმიჯს დააზარალებს.**

— ეს ტყუილია და საფრანგეთის ბოლო მაგალითიც ამას ადასტურებს. უკვე დემოკრატიულ ქვეყნებშიც კი იჭერენ და ასამართლებენ პრეზიდენტებს. უბრალოდ, ეს ყველაფერი იმიტომ ხდება, რომ დიდი ფული შემოვიდა საქართველოში. მოსახლეობამ არ იცის სიმართლე. ერთხელ ედუარდ შევარდნაძემ მითხრა, ამერიკაში გამომიცხადეს, ამდენი ფული გამოგიგზავნეთ საქართველოში (ათი წლის განმავლობაში გამოგზავნილ დაახლოებით 20 მილიარდზე იყო საუბარი) და რა გააკეთეთ ამ ფულითო.

**— ამის შესახებ პრეზიდენტმა არ იცოდა?**

— არ იცოდა და ესაა მთელი ტრაგედია. **აღმოჩნდა, რომ ამ თანხის უდიდესი ნაწილი არასამთავრობო ორგანიზაციებს მისცეს. დღემდე ვერც ერთი ხელისუფლება ვერ ახერხებს, გაარკვიოს, რა ფული შემოვიდა საქართველოში და სად დაიხარჯა.** არადა, ამის გარკვევა უპრობლემოდ შეიძლება. საინტერესოა, სად არის ეს ფული და ქართველმა ხალხმა, გარდა ნგრევისა, რა მიიღო აქედან. მხოლოდ პოლიტიკოსები გამდიდრდნენ. არც ქვეყნის შიგნით და არც ქვეყნის გარეთ არც არავის უნდა ეს გამოიკვლიოს, ვინაიდან ამ ფულის 30% შემდეგ ისევ ქვეყნის გარეთ, ისეთ ლობისტურ ორგანიზაციებსა და პიროვნებებზე იხარჯებოდა, როგორებიც არიან, მაგალითად, კარლ ბილდტი, ჯონ მაკკეინი და ჯონ ლიბერმანი. უმძიმეს მდგომარეობაში ვართ. ისევ ხალხი თუ შეძლებს ქვეყნის ხსნას, თორემ პოლიტიკოსებმა საქართველო გაწირეს.

**ამ ფულის 30% შემდეგ ისევ ქვეყნის გარეთ, ისეთ ლობისტურ ორგანიზაციებსა და პიროვნებებზე იხარჯებოდა, როგორებიც არიან, მაგალითად, კარლ ბილდტი, ჯონ მაკკეინი და ჯონ ლიბერმანი**

1995 წელს, როდესაც მოქალაქეთა კავშირი შეიქმნა, ყველას შემოგვთავაზეს გაერთიანება, მე მაშინ გამოვაცხადე, ვფიქრობ, დიდი ნაბიჯი გადაიდგმება კორუფციის წინააღმდეგ და საზოგადოებაც გაჯანსაღდება, თუ ყველა დეპუტატი, მინისტრი, გუბერნატორი, მერი, გამგებელი, პროკურორი, პოლიციისა და უშიშროების თანამშრომელი სახელმწიფო სამსახურში მისვლის შემდეგ შეძენილ სახლს, მანქანას, აქციებს, ბანკებში შეტანილ თანხებს სახელმწიფოს დაუბრუნებს, ვინაიდან არც ერთ მათგანს იმ ხელფასით, რომელიც გვეძლევა, არ შეგვეძლო მათი შეძენა-მეთქი. ტექსტიც შევადგინე და ხელის მოწერა ვთხოვე ხელისუფლების უმაღლესი ეშელონების წარმომადგენლებს, ამ ნაბიჯს, რა თქმა უნდა, მოქალაქეთა კავშირის მხრიდან დიდი მხარდაჭერა არ მოჰყოლია, მაგრამ ვინც ყველაზე მეტად შეეწინააღმდეგა ამ ჯანსაღ პროცესს, მიხეილ სააკაშვილი იყო. 1997 წელს საჯაროდ ვთქვი, მიხეილ სააკაშვილი არასერიოზული, გაუწონასწორებელი და ქვეყნისთვის საშიში პიროვნებაა-მეთქი. თუმცა დღეს ის ხალხი უფროა საშიში, ვინც ჩემი შეფასებების ფონზე მაშინ სააკაშვილს ადიდებდნენ, აფინანსებდნენ და დღეს წაქცეულს სცემენ. მე ამ ხალხის უფრო მეშინია. ბატონი ბიძინა ივანიშვილიც ხომ ამბობს, რომ სააკაშვილს 2008 წლამდე აფინანსებდა. კორუმპირებულ, გათახსირებულ, ქვეყნის დამღუპველებს უხდიდა ხელფასებს?!

**— პრეზიდენტსა და პრემიერს შორის უთანხმოება აშკარაა, როგორ ფიქრობთ, გადავა ეს დაპირისპირება სხვა ფაზაში, დაითხოვს თუ არა პარლამენტს გიორგი მარგველაშვილი?**

— გიორგი მარგველაშვილი ქვეყნისთვის ყველაზე დიდ უბედურებას წარმოადგენს, რადგან ამერიკის სექტანტურ ჯგუფებს ყველაზე დიდი ფული მასზე აქვთ დახარჯული. სწორედ ის იყო „სოროსის ფონდის“, NDI-ის, „თავისუფლების ინსტიტუტის“ სათავეებთან. მეტიც, საკუთარი ინსტიტუტიც გაახსნევინეს და თავისი ყაიდის კადრები ამზადებინეს. ივანიშვილი ეხვეწა ხალხს, ქვეყნის დამაქცევარი კაცი აერჩიათ პრეზიდენტად. დასავლეთს აწყობდა ეს და იმიტომ. თუ ასე არ მოიქცეოდა, მთელ თანხას დაკარგავდა.

**— გაზეთი „საქართველო და მსოფლიო“ ჯერ კიდევ არჩევნებამდე წერდა პრეზიდენტის ინსტიტუტის, მისი ფუნქციების შესახებ. „საქართველოს არ აქვს მაღალი თანამდებობის უსაქმურების შენახვის ფუფუნება. პრეზიდენტის ფუნქციები ქვეყნის იმ სახალხო პრობლემებიდან გამომდინარე უნდა განისაზღვროს, რომლის გადასაჭრელადაც პარლამენტისა და მთავრობის ძალისხმევა საკმარისი არ არის“... „პრეზიდენტის პოსტი, მისი სწორად გამოყენების შემთხვევაში, იძლევა საშუალებას, კონფლიქტის მხარეებთან ურთიერთობაში გარღვევა განხორციელდეს, დაიწყოს დიალოგი და მიღწეულ იქნას საჭირო შეთანხმებები“ (ალექსანდრე ჭაჭია, „საქართველო და მსოფლიო“, №193; №218) რატომ ვერ განსაზღვრა და გაითვალისწინა ეს ყველაფერი ხელისუფლებამ?**

— როგორც წეღან აღვნიშნე, მარგველაშვილზე ამერიკის სექტანტურ ჯგუფებს ყველაზე დიდი ფული აქვთ დახარჯული. უნდა ითქვას, რომ მარგველაშვილს პატიოსნება აღმოაჩნდა — ის არ უარყოფს, რომ შექმნა ქართული იდეოლოგიის მტერი ინსტიტუტები; არ უარყოფს, რომ ბოკერიას მეგობარი იყო და, მგონი, დღესაც მეგობრობს. კაცმა პატიოსნად თქვა, პლასტილინი ვარო და ხალხმა მაინც აირჩია. ახლა რატომ გვიკვირს? ეს კაცი ივანიშვილის კადრი არაა და ვისი კადრიცაა მის დავალებებსაც ასრულებს.

რაც შეეხება ხელისუფლებაში არსებულ დაპირისპირებას, ვფიქრობ, ეს გარკვეულწილად ღარიბაშვილის პლუსადაც შეიძლება ჩაითვალოს. **როდესაც ღარიბაშვილი ამერიკაში ჩავიდა, ნახეს, რომ მთლად ისეთი მართვადი და მორჩილი არ იქნებოდა, როგორც მარგველაშვილი და სწორედ მისი ამერიკაში ვიზიტის შემდეგ ახმაურდა და გააქტიურდა მარგველაშვილიც.** ასე რომ, რაც უფრო მეტად დაინახავენ ქვეყანაში ეროვნულ განწყობას, მით უფრო მეტად გააქტიურებენ პრეზიდენტს.

თუ რუსეთის მოწინააღმდეგეები სჭირდებათ ამ დასავლურ სექტანტურ ჯგუფებს, ირაკლი წერეთელი, თამრიკო ჩხეიძე, ნოდარ ნათაძე ანტირუსული განწყობით გამოირჩევიან, მაგრამ ასეთი ხალხიც არ სჭირდებათ, რადგან მათ არამარტო რუსეთის მოწინააღმდეგე, არამედ ანტიქართულად განწყობილი პოლიტიკოსები ურჩევნიათ.

**— ხშირად აცხადებთ, რომ წინ დიდი ბრძოლა გელით, რას აპირებთ და რა ბერკეტებს ფლობთ შეურიგებელი ბრძოლისთვის?**

— ახლა თქვენ რომ ინტერვიუს გაძლევთ, ესეც ბრძოლის ნაწილია. თქვენს გაზეთს, ვიცი, ბევრი მკითხველი ჰყავს და ინტელიგენტი ხალხი კითხულობს. ამას გარდა, ყოველდღიურად ბევრ ადამიანს ვხვდები ქუჩაში, ვესაუბრები და ვიცი მათი განწყობა. ჯერ დაველოდებით, ხელისუფლება რა ანგარიშს წარუდგენს ქართველ ხალხს და ამის შემდეგ, საინიციატივო ჯგუფი გადაწყვეტს, რა ფორმით გავაგრძელებთ სერიოზულ მოქმედებას. ბრძოლას არ მოვეშვები. პარტიას, რომელსაც არაფერი შეუსრულებია, როცა ხელისუფლებაში იყო, სხვა პარტიის კონტროლის უფლება არ აქვს. ხალხმა უნდა დაიბრუნოს ხელისუფლებაზე კონტროლის უფლება, მაგრამ დღეს „ქართული ოცნების“ ქმედებები „ნაციონალების“ მხარდაჭერას ნიშნავს. დასავლეთის გარკვეულ ჯგუფებს ხელს აძლევთ, რომ პარლამენტი ორპარტიული იყოს — ხან ერთი მოვიდეს ხელისუფლებაში და ხან მეორე. ამის გაკეთებაც უნდათ, მაგრამ ეროვნული სულისკვეთებით განმსჭვალული პოლიტიკოსები და ხალხი ამას არ დაუშვებენ.

**ესაუბრა შორენა ციცქარაშვილი**

ბანკები და სამართალი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„მომხმარებლებთან დადებული ხელშეკრულებები კაბალურია. კლიენტი მოკლებულია შესაძლებლობას, თავისი პოზიცია ხელშეკრულებაში შეიტანოს, ვინაიდან ნებისმიერი საკრედიტო ხელშეკრულების დადებისას, დომინანტი მხოლოდ ბანკის ინტერესია“.**

# შემზარავი მონაცემები



## არჩილ კაიკაციშვილი:

# ქვეყნის წამყვანმა კომერციულმა ბანკებმა 86,3 მილიონი ლარის ქონება ამოიღეს მოსახლეობისგან!

**საქართველოში ოჯახი არ არსებობს, ბანკის ვალი არ ჰქონდეს მიუხედავად იმისა, რომ პრემიერი ღარიბაშვილი ამბობს, სიღატაკის ზღვარს მიღმა დარჩენილი ოჯახების რაოდენობა შემცირდაო, სულ სხვა მონაცემები აქვთ სტატისტიკოსებსა და ბანკების „შავბნელი“ საქმეებით“ დაინტერესებულ ადამიანებს. გვესაუბრება არასამთავრობო ორგანიზაცია „ახალგაზრდა ადვოკატების“ თანადამფუძნებელი და ხელმძღვანელი არჩილ კაიკაციშვილი:**

— საქართველოში კომერციული ბანკები ზემოგებაზე მუშაობენ, არ არსებობს მხარეთა შორის თანასწორუფლებიანი დაცვის მექანიზმი, რომლითაც შესაძლებელი იქნებოდა მომხმარებლის ინტერესების გათვალისწინება. **საქართველო მიეკუთვნება იმ ქვეყნების რიცხვს, რომლებშიც საბანკო კრედიტების საპროცენტო განაკვეთი ყველაზე მაღალია.** საბანკო სფეროსა და მომხმარებლებს შორის ვასალურ დამოკიდებულებაზე შეიძლება ბევრი ითქვას, მაგრამ არსებობს კონკრეტული კითხვები, რომლებზეც პასუხი, როგორც სახელმწიფომ, ასევე საქართველოს ეროვნულმა ბანკმა უნდა გასცეს. ბანკების მხრიდან მოქალაქეების უფლებების დარღვევის პირველი მაგალითი ბანკთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში უნდა ვეძებოთ. მართალია, ერთია ხელშეკრულების სტანდარტული პირობები, მაგრამ როგორ შეიძლება, საქართველოში მოქმედი ბანკები კლიენტთან სახელშეკრულებო ურთიერთობაში ერთიანი პირობებით გამოდიოდნენ? **ხელშეკრულების შრიფტიც კი, ფაქტობრივად, სტანდარტულია ყველა კომერციული ბანკისთვის, რომ არაფერი ვთქვათ შეთანხმების შინაარსზე. ჩვენ შევისწავლეთ ხელშეკრულებების ტექსტი და შემიძლია ვთქვა, რომ მომხმარებლებთან დადებული ხელშეკრულებები კაბალურია.** კლიენტი მოკლებულია შესაძლებლობას, თავისი პოზიცია ხელშეკრულებაში შეიტანოს, ვინაიდან ნებისმიერი საკრედიტო ხელშეკრულების დადებისას დომინანტი მხოლოდ ბანკის ინტერესია. ბუნებრივია, თუკი ბანკსა და მოქალაქეს შორის სახელშეკრულებო ურთიერთობა არსებობს, გადახდის გრაფიკის მიხედვით, ვალდებულება დროულად და ჯეროვნად უნდა შესრულდეს, მაგრამ ბანკებში ვადის გადაცილების მიმართ ჩამოყალიბებულია მახინჯი მიდგომა — გადახდის დათქმულ დღეს თანხის გადაუხდელობა კლიენტს ვადის გადაცილებად ეთვლება და ბანკი ავტომატურად მიმართავს მომხმარებლის საკრედიტო ისტორიის ე.წ. გაშავებას. ბანკი მხედველობაში არ იღებს იმ ფაქტს, რომ შესაძლებელია, გადახდა მოხდეს მომდევნო დღეს, იმავე კალენდარულ თვეში, ცხადია, ვადაგადაცილებული დღის პროცენტის დაფარვით, მაგრამ არც ერთი ბანკი მომხმარებლის მდგომარეობას არ ითვალისწინებს. ასეთი დამოკიდებულებით მომხმარებელს ერთმევა შანსი, რომ რომელიმე ბანკს ახალი სასესხო ვალდებულებისთვის მიმართოს. **ე. წ. შავ სიას აქვს დანიშნულება, რომელიც ყველა ბანკისთვის სახელმძღვანელოა. ამ სიაში გადაცემის შემდგომ: პირველი — შეუძლებელია, სასესხო ვალდებულების დასრულებიდან, ანუ ბოლო გადახდიდან 6 წლის განმავლობაში, რომელიმე ბანკმა ამ მომხმარებელზე ახალი კრედიტი გასცეს და მეორე — შეუძლებელია, მომხმარებელი რაიმე ფორმით ასეთი სიიდან ამოეწეროს. შესაბამისად, თუკი ე.წ. შავი სიის წევრი ხართ, ხისტი საბანკო პოლიტიკა ადგილს არ ტოვებს, რაიმე ფორმით გათვალისწინებულ იქნეს მომხმარებლის ინტერესი.** ბანკებმა უნდა გაითვალისწინონ შემდეგი აუცილებელი გარემოებები: კეთილსინდისიერი გადამხდელია თუ არა მომხმარებელი, გააჩნია თუ არა მას მუდმივი შემოსავლის წყარო, გადახდის ვადის გადაცილების პერიოდი რამდენად მცირეა, ვადაგადაცილება სისტემურია თუ ერთჯერადი, ვადაგადაცილება განპირობებულია ობიექტური თუ სუბიექტური მდგომარეობით (ფორსმაჟორი) და სანქციების ყველა რეგულაცია გამომდინარეობს თუ არა კანონის მოთხოვნებიდან. ცხადია, ყველა ჩამოთვლილი გარემოება დღეს იგნორირებულია. **ყურადღება უნდა დაეთმოს, ბანკების მხრიდან „კრედიტ ინფო საქართველოსთვის“ თუ სხვა იდენტური საქმიანობის მქონე ორგანიზაციებისთვის მომხმარებელთა პერსონალური ინფორმაციის გადაცემას, რაც კანონის პირდაპირი დარღვევაა. მომხმარებლის თანხმობის გარეშე ბანკს უფლება არ აქვს, კლიენტის პერსონალური ინფორმაცია სხვა სუბიექტს გადასცეს. როდესაც ჩვენ ეს საკითხი შევისწავლეთ, აღმოჩნდა, რომ „კრედიტ ინფო საქართველოსთან“ ბანკების ურთიერთობა კონფიდენციალურია. პერსონალური ინფორმაციის გადაცემისას ურთიერთობები რეგულირდება მხოლოდ მხარეთა შორის მემორანდუმის საფუძველზე. რა თქმა უნდა, ესეც კანონდარღვევაა, ვინაიდან არ შეიძლება, მემორანდუმი კანონზე მაღლა იდგეს.**

**— მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლება მოსახლეობას საბანკო სისტემაში პრობლემის მოგვარებას დაჰპირდა, საკითხები კვლავ მოუგვარებელია. რა არის მიზეზი, რომლის გამოც ქართული ბანკების საპროცენტო განაკვეთები კვლავ მაღალია და, როგორც ამბობთ, ბანკები ზემოგებაზე მუშაობენ?**

— გეთანხმებით, ხელისუფლება მოსახლეობას საბანკო სფეროსთან სამართლიანი დამოკიდებულების გარემოს შექმნას დაჰპირდა. მმართველი პოლიტიკური ძალის საარჩევნო პროგრამაში ჩაიწერა, რომ საკანონმდებლო ბაზაში მომზადდებოდა ცვლილებები და განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობოდა მსესხებლის უფლებების დაცვას, ხოლო გამსესხებლის მიერ განხორციელებული სანქციები და შეზღუდვები საერთაშორისო პრაქტიკაში დამკვიდრებული ნორმების შესაბამისი გახდება. ამ მიმართულებით, სამწუხაროდ, წინსვლა არ ჩანს, თუ არ ჩავთვლით 2013 წლის სამოქალაქო კანონმდებლობაში შესულ საჭირო ცვლილებებს, რომელთა მიხედვით, სესხის ხელშეკრულების უზრუნველსაყოფად გამოყენებული იპოთეკის ხელშეკრულება უნდა დამოწმდეს სანოტარო წესით. **იპოთეკის ხელშეკრულების დამოწმებისას ნოტარიუსი ვალდებულია, მხარეებს განუმარტოს ხელშეკრულების დარღვევიდან გამომდინარე სამართლებრივი შედეგები, თუმცა ეს შეზღუდვები არ გავრცელდა კომერციულ ბანკებზე, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებზე, არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებებზე — საკრედიტო კავშირებსა და კვალიფიციურ საკრედიტო ინსტიტუტებზე.** სახელმწიფო საბანკო სექტორთან ფრთხილ დამოკიდებულებას იჩენს, რადგან დღეს საბანკო სფერო ეკონომიკური განვითარების საფუძვლებს ქმნის და ხისტი მიდგომა, შესაძლებელია, ნეგატიური შედეგების მომტანი აღმოჩნდეს. არსებული ვითარების მიუხედავად, არ შეიძლება, სახელმწიფომ შეასუსტოს ახალი რეგულაციების მიმართულებით საკანონმდებლო საქმიანობა, რადგან შემზარავია მოვალეთა რეესტრში საბანკო სფეროსგან დაზარალებული მოქალაქეების რაოდენობა.

2013 წლის შემოდგომაზე მოვალეთა რეესტრში დარეგისტრირებული იყო 94 474 ათასი მოქალაქე, გვაქვს 2014 წლის 1 სექტემბრის აღსრულების ეროვნული ბიუროს მონაცემი, რომელთა მიხედვით, ეს რაოდენობა 127 503 ადამიანს შეადგენს. ცხადია, თუკი დინამიკას გავყვებით, ქვეყანაში სოციალური ფენის მნიშვნელოვანი ნაწილი გაღატაკებისკენ მიექანება. ამასთანავე, 2012-2014 წლებში აღსრულების ბიუროს მიერ აუქციონზე რეალიზებული უძრავი ქონების რაოდენობამ 3671 ერთეულზე მეტი შეადგინა. 2011 წელს იძულებითი აუქციონის წესით გასხვისდა 1272 უძრავი ქონება, 2012 წელს — 1228, 2013 წელს კი — 1171. შემზარავია 2014 წლის მონაცემები.

**— „ახალგაზრდა ადვოკატებმა“ გაავრცელეთ ინფორმაცია, რომლის თანახმადაც, 2014 წლის ორი კვარტლის მონაცემით, კომერციული ბანკების მიერ მოსახლეობისგან ამოღებული მოგება 85 მილიონ ლარზე მეტს აღემატება. ნამდვილად ასეა?**

— **2014 წლის 30 ივნისის მონაცემებით, ქვეყნის წამყვანმა კომერციულმა ბანკებმა 86 379 362 ლარის ქონება მიიღეს. „საქართველოს ბანკმა“ — 62 902 195 ლარის, „ლიბერთი ბანკმა“ — 85 442 ლარის, „ვი თი ბი ბანკმა“ — 5 065 382-ის, „კაპიტალ ბანკმა“ — 28 445-ის, „ბი თი ეი ბანკმა“ — 2 157 852-ის, „პროკრედიტ ბანკმა“ – 2782-ის, „ბანკმა კონსტანტამ“ — 1 829 220-ის, „ფინკა ბანკმა“ — 2590-ის და „ბანკმა რესპუბლიკამ“ — 2 720 579 ლარის ღირებულების ქონება ამოიღეს მოსახლეობისგან.** სხვა კომერციული ბანკების მონაცემები ჯერჯერობით მიუწვდომელია. **საქართველოში მოქმედი 21 კომერციული ბანკიდან არაპროფილურ აქტივებს, ძირითადად, ორი ფლობს — „საქართველოს ბანკი“, რომელიც 61 შვილობილი კომპანიის მესაკუთრეა, და „თი ბი სი ბანკი“, რომელიც 10 კომპანიას ფლობს. ამასთანავე, ბანკების შვილობილი კომპანიები, თავის მხრივ, კიდევ არიან შვილობილი ბიზნესების მესაკუთრეები, ამიტომაც მათი რაოდენობა გაცილებით მეტია. „ეროვნული ბანკის“ 2014 წლის თებერვლის მონაცემებით, „საქართველოს ბანკი“ 100%-ს ფლობს სადაზღვევო კომპანია „ალდაგი ბისი აი“-ში, შპს „თელიან ველში“ — 51,23%-ს, შპს „ინტერტურში“ — 99,99%-ს, შპს „ჩემ კლინიკაში“ — 51%-ს, შპს „კავკაზუს ავტოჰაუზში“ — 100%-ს, პროფესიულ საკალათბურთო კლუბ „დინამოში“ — 100%-ს და ა. შ. ამ ბანკის გენერალური დირექტორი, ბატონი გილაური გამოდის და ამბობს, 100 %-ით მართლები რომ ვიყოთ, მაშინ ბანკირები არ ვიქნებოდითო და ეს რატომღაც რეაგირების გარეშე რჩება.** ბანკების მიერ ბიზნესის გაკონტროლების სურვილი ძალიან დიდია, რაც იმაში გამოიხატება, რომ არაპროფილურ აქტივებს აფართოებენ; კონკურენტ კომპანიებს, თუ ის მომგებიანია, აკოტრებენ და შემდეგ ყიდულობენ ან, უბრალოდ, აკოტრებენ კონკურენტის ჩამოცილების მიზნით. მაგალითად, **„ალდაგმა“, რომლის მფლობელიც არის „საქართველოს ბანკი“, დაახლოებით ერთი წლის წინათ სადაზღვევო კომპანია „იმედი“ დაბალ ფასად იყიდა.** „იმედი“ „საქართველოს ბანკის“ მსესხებელი იყო. ამ სესხში კომპანიამ ჩადო მთელი თავისი ქონება. სესხის აღებიდან 2-3 წელიწადში კომპანიას ფინანსური პრობლემები შეექმნა და ის „საქართველოს ბანკის“ სადაზღვევო კომპანიის „ალდაგის“ მფლობელობაში გადავიდა. ბოლო ხანს ბანკებისათვის განსაკუთრებით მიმზიდველი გახდა სამშენებლო ბიზნესი. ბევრი კომპანიის ფინანსური პრობლემების ფონზე, ამჟამად სამშენებლო სფეროს წამყვანი კომპანია არის „საქართველოს ბანკის“ სამშენებლო კომპანია „კვადრატი“. დასკვნები თვითონ გამოიტანეთ.

**— ცნობილია, თქვენი ხმაურიანი სასამართლო პროცესი „ლიბერთი ბანკთან“. რა ეტაპზეა ეს საქმე?**

— თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლემ ელისო ტუკვაძემ დაუსაბუთებელი და უკანონო გადაწყვეტილება მიიღო და სამოქალაქო კოდექსის გვერდის ავლით, „ლიბერთი ბანკი“ კეთილსინდისიერ ხელშემკვრელ მხარედ სცნო. საქმე ეხება ბანკისთვის 2013 წლის 4 დეკემბერს გადახდილ თანხას, რომელიც ბანკმა, „პროგრამული დაუდასტურებლობის“ საფუძვლით, მომდევნო დღეს, 5 დეკემბერს ასახა. სასამართლომ უსაფუძვლოდ მიიჩნია, რომ ვალდებულება შესრულებულ იქნა არა ხელშეკრულების გრაფიკით გადახდის დღეს, არამედ მომდევნო დღეს — 5 დეკემბერს, რითაც უგულებელყო ორმხრივი ხელშეკრულების მთავარი მუხლები. სასამართლომ ვერ შეძლო, შეექმნა პრეცედენტი და საბანკო კერძო სამართლებრივ ურთიერთობებში ახალი ტიპის სამართლებრივი სინამდვილისთვის ჩაეყარა საფუძველი, რომლითაც მომავალში ბევრი მოქალაქის ინტერესი იქნებოდა დაცული — ბანკები ვეღარ შეძლებდნენ „პროგრამული დაუდასტურებლობის“ მიზეზით, უსაფუძვლო ჯარიმისა და პირგასამტეხლოს გამოყენებას. ვფიქრობთ, რომ **„ლიბერთი ბანკთან“ დადებული ხელშეკრულება კონსტიტუციურ პრინციპებს ეწინააღმდეგება, ვინაიდან, თუკი სასამართლო დავებში მომხმარებლები საქმეზე საკუთარ უფლებებს ვერ დაიცავენ, ერთმევათ უფლება, დავა ზემდგომ სასამართლო ინსტანციებში გაასაჩივრონ. ხელშეკრულებაში ასეთი დებულებები პირდაპირ ლახავს საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლსა და სამართლიანი სასამართლოს ევროკონვენციით დაცულ უფლებას.**

ჩვენ ახლა ვაანალიზებთ ბანკსა და სახელმწიფოს შორის დადებულ ხელშეკრულებას, რომლითაც მხოლოდ „ლიბერთი ბანკია“ უფლებამოსილი, გასცეს პენსიები და სხვა სახელმწიფო დახმარებები. ვფიქრობთ, რომ ამ ბანკის მდგომარეობა მონოპოლიურია, ის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მმართველობისას შეიქმნა.

ესაუბრა
**ეკა ნასყიდაშვილი**

ბანკები და სამართალი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ადამიანს მიჰყიდეს ჰაერი, დააკისრეს 104 ათასი ლარის ვალი, ფული აქეთ გამოსძალეს და ამის მეტი დანაშაული რაღა უნდათ, ამ საქმეს რომ არ იძიებენ?! ეს ხომ წმინდა წყლის თაღლითობაა „საქართველოს ბანკის“ მხრიდან?!“**



# გოჩა კაკაბაძე: «საქართველოს ბანკი» და შპს «ისანი-ტექსი» ერთობლივად ახორციელებდნენ თაღლითურ სქემას, ამიტომ დაუყოვნებლივ უნდა აღიძრას სისხლის სამართლის საქმე!

**საქართველოში ბევრია ბანკების მიერ დაჩაგრული, უსამართლოდ ქონებაწართმეული ადამიანი. დაზარალებულთაგან ერთ-ერთია აფხაზეთიდან დევნილი გოჩა კაკაბაძე, რომელსაც „საქართველოს ბანკმა“ ცხოვრება ჯოჯოხეთად უქცია.**

— 2007 წლის 30 ივნისს ჩემსა და კომპანია „ისანი-ტექსის“ შორის გაფორმდა ხელშეკრულება მოსკოვის პროსპექტზე „ისანი-ტექსის“ კუთვნილ მიწის ნაკვეთზე აშენებულ კორპუსში ბინის შესყიდვის თაობაზე, რომელიც, ხელშეკრულების თანახმად, 2008 წლის დეკემბრის ბოლოს უნდა ჩაებარებინათ ჩემთვის. თუ ასე არ მოხდებოდა, შპს „ისანი-ტექსის“ სრულად უნდა დაებრუნებინა უკან ჩემ მიერ გადახდილი თანხა.

**— ვინ არის შპს „ისანი-ტექსის“ დამფუძნებელი?**

— **მიხეილ ძაძამია**. მოკლედ, ამ კომპანიას ყოველთვიურად 500 დოლარს ვუხდიდი ისე, რომ ერთი დღეც არ გადამიცილებია ვადას. 2007 წლის ოქტომბერში შპს „ისანი-ტექსისა“ და „საქართველოს ბანკის“ წარმომადგენლებმა განმიცხადეს, ვინაიდან შპს „ისანი-ტექსის“ თანხა სრულად სჭირდება, „საქართველოს ბანკი“ მოგცემს სესხს, რომლითაც მთლიანად დაფარავ შპს „ისანი-ტექსის“ ვალს და ყოველთვიურად გადასახდელ 500 დოლარს ამიერიდან „საქართველოს ბანკს“ გადაუხდიო. იმხანად ვერ ვიფიქრე, რომ შპს „ისანი-ტექსი“ და „საქართველოს ბანკი“ თაღლითურ სქემას ამუშავებდნენ ჩემ წინააღმდეგ და დავთანხმდი, რადგან ჩემთვის მნიშვნელობა არ ჰქონდა, შესატან თანხას სად გადავიხდიდი. მოკლედ, „საქართველოს ბანკმა“ 2007 წლის 31 ოქტომბერს ჩემს ანგარიშზე გადმორიცხა 35 273 დოლარი, რომელიც რამდენიმე წამში შპს „ისანი-ტექსის“ ანგარიშზე დაჯდა. ეს ისე გააკეთეს, რომ თანხასთან შეხება არ მქონია. გავიდა დრო, მაგრამ კორპუსის მშენებლობის დაწყებას პირი არ უჩანდა. 2009 წლის 12 მარტს მივმართე შპს „ისანი-ტექსის“ პრეზიდენტს, რომ ვწყვეტდი დადებულ ხელშეკრულებას, რადგან ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები არ შეასრულეს. წერილობით მივმართე „საქართველოს ბანკის“ პრეზიდენტსაც შპს „ისანი-ტექსისთან“ ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე. 2009 წლის 19 მარტს კი ჩემმა რწმუნებულმა მიმართა „საქართველოს ბანკის“ გენერალურ დირექტორს წერილობით და მოითხოვა, რომ ჩემთვის შეეჩერებინა კრედიტის პროცენტები, რადგან შპს „ისანი-ტექსის“ მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო ვწყვეტდი მასთან გაფორმებულ ხელშეკრულებას. **ჩემმა რწმუნებულმა ასევე მოითხოვა ბანკიდან, რა დავალიანება მქონდა 2009 წლის 19 მარტისთვის, რაზეც ბანკიდან მიღებულ ოფიციალურ ამონაწერში აღნიშნულია, რომ ჩემს სახელზე მხოლოდ კრედიტის სახით მიღებული ძირი თანხა ირიცხებოდა დავალიანების სახით და სხვა დავალიანება არ მქონდა.** ეს დოკუმენტიც წარდგენილი მაქვს სასამართლოში. 2009 წლის 25 აგვისტოს კი ბანკიდან მივიღე შეტყობინება, რომ 2007 წლის 29 ოქტომბერს შპს „ისანი-ტექსის“ იპოთეკის ხელშეკრულების თანახმად, ვითომდა, ჩემ მიერ სესხის უზრუნველყოფისთვის წარდგენილი უძრავი ქონების იძულებითი რეალიზაცია მოხდებოდა სესხის სრულად დაფარვის მიზნით. ამასთანავე, იმის გამო, რომ შპს „ისანი-ტექსი“ ვერ ასრულებდა მის მიერ ნაკისრ ვალდებულებას, პირგასამტეხლოს სახით, ყოველ გადაცილებულ დღეზე 43, 88 დოლარის გადახდას მაკისრებდნენ.

შპს „ისანი-ტექსის“ შემოთავაზებით, 2009 წლის 18 აგვისტოს დაიდო სამმხრივი ხელშეკრულება ამხანაგობა „მარსს“, შპს „ისანი-ტექსისა“ და ჩემ შორის.

**— ამხანაგობა „მარსის“ დამფუძნებელი ვინ არის?**

— **მიხეილ ძაძამია.** ახალი ხელშეკრულების თანახმად, ვინაიდან „ისანი ტექსი“ ვერ აშენებდა მოსკოვის გამზირზე კორპუსს, საკუთრებაში უნდა გადმოეცათ ალ. ყაზბეგის 34-ში ამხანაგობა „მარსის“ კუთვნილ მიწაზე ასაშენებელი 16-სართულიანი კორპუსის ფასადზე გამავალი 78 კვ მეტრამდე ფართობი და, ხელშეკრულების თანახმად, 2010 წლის 1 სექტემბერს უნდა ჩამბარებოდა, მაგრამ ეს პირობაც არ შეასრულეს. აღსანიშნავია, რომ **ამ ხელშეკრულებაში მითითებული არ არის ჩემ მიერ გადახდილი თანხა — 25 ათას დოლარამდე. ეს შეგნებულად გააკეთეს, რადგან წინასწარ ჰქონდათ გაზრახული ჩემთვის ბინისა და თანხის წართმევა.**



„საქართველოს ბანკისა“ და „ისანი ტექსის“ ერთობლივი თაღლითური სქემა 2006 წლიდან იწყება, ანუ მას შემდეგ, რაც ამ ბანკმა „ისანი-ტექსის“ 2 მილიონი ლარის ოდენობის საკრედიტო ხაზი გაუხსნა. როდესაც „საქართველოს ბანკმა“ დაინახა, რომ „ისანი-ტექსი“ ველარ უბრუნებდა თანხას, ერთობლივად შეიმუშავეს ხალხის ძარცვის გეგმა, რომელიც გამოიხატა შემდეგში: **„საქართველოს ბანკიდან“ ადამიანებს მოტყუებით აღებინებდნენ კრედიტს ბინის ღირებულების სრულად დაფარვის მიზნით.** საჯარო რეესტრიდან ამოღებული ცნობით ჩანს, რომ „ისანი-ტექსიმ“ კუთვნილი მიწის ნაკვეთიც „საქართველოს ბანკს“ გადასცა. ჩემნაირად მიტყუებული ადამიანები კი „გადაამისამართეს“ ალ. ყაზბეგის №34-ში მდებარე მშენებარე კორპუსში. მაგრამ, **ვინაიდან „საქართველოს ბანკმა“ დამაკისრა ასი ათას ლარზე მეტი გადასახადი, თავისი ჯარიმებითა და პროცენტებით, რომც გადმომეცეს ყაზბეგის გამზირზე მდებარე ბინა, დაუყოვნებლივ იქნება დაყადაღებული და გასხვისებული.**

**— მას შემდეგ, რაც ხელშეკრულება გააფორმეთ ამხანაგობა „მარსთან“, რა მოხდა?**

— ამხანაგობა „მარსმა“ ვალდებულება აიღო, რომ ბინას 2010 წლის 1 სექტემბერს ჩამაბარებდა. დღემდე მიმდინარეობს ამ კორპუსის მშენებლობა. არაერთი წერილით მივმართე ბინათმშენებლობა „მარსის“ თავმჯდომარე აკაკი ტუღუშს, რომელიც მიხეილ ძაძამიას ნდობით აღჭურვილი პირია. **ამხანაგობა „მარსმა“ მიპასუხა, რომ აღიარებდა ჩემ მიმართ დავალიანებას, მაგრამ, ვინაიდან კომპანიას არ აქვს ფინანსები, ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას ვერ აგინაზღაურებთო. მიუხედავად იმისა, რომ გადახდილი მქონდა „საქართველოს ბანკის“ მიერ მოცემული 43 883 დოლარი — ბინის სრული ღირებულება, სამმხრივი ხელშეკრულების გაფორმების შემდგომ, ამხანაგობა „მარსს“ ჩემთვის არანაირი თანხა აღარ უნდა გადაეხდევინებინა, მაგრამ მან მაინც მომთხოვა თანხის გადახდა.** აღსანიშნავია, რომ ყაზბეგის №34-ში მშენებარე კორპუსის ძირითადი მესაკუთრე „საქართველოს ბანკია“.

**— ახლა რას აპირებთ?**

— მოვითხოვ მატერიალური ზარალის ანაზღაურებას, მორალურზე აღარაფერს ვამბობ. ჩემს ხელთ არსებული ინფორმაციითა და დოკუმენტებით ნათლად ჩანს, რომ **„საქართველოს ბანკი“ და შპს „ისანი-ტექსი“ ერთობლივად ახორციელებდნენ თაღლითურ სქემას, ამიტომ დაუყოვნებლივ უნდა აღიძრას სისხლის სამართლის საქმე.**



**თამუნა ქუთათელაძე, გოჩა კაკაბაძის ადვოკატი:**

— ფინანსური პოლიციის ზედამხედველ პროკურორ **გიორგი მიქელაძეს** არაერთხელ მივმართეთ, რათა დაეკანონებინათ გოჩა კაკაბაძისთვის კუთვნილი ბინის ფართობი, რადგან ის „ისანი-ტექსიმ“ და „საქართველოს ბანკმა“ თაღლითური სქემით წაართვეს, მაგრამ მიქელაძემ არანაირი რეაგირება არ მოახდინა. ამის შემდეგ საქართველოს მთავარი პროკურორის, გიორგი ბადაშვილის, სახელზე შევიტანეთ საჩივარი, მაგრამ არც მისი მხრიდან მოჰყოლია რეაგირება. გამოძიება დღემდე არ დაწყებულა.

**— რას გეუბნებიან?**

— ფინანსურ პოლიციას უამრავი საქმე აქვს დაწყებული და თქვენთვის არ სცალიაო. გარდა ამისა, მე და ბატონი გოჩა მივედით „საქართველოს ბანკის“ სათაო ოფისში, სადაც შეგვხვდა მათი იურისტი, რომელმაც გამოგვილანძღა და გამოგვიშვა. გამომძიებელი, რომელსაც ამ საქმის გამოძიება ევალებოდა, გახლდათ ვალერი უსენაშვილი; თავდაპირველად გვეუბნებოდა, უამრავი საქმე მაქვს და თქვენთვის არ მცალიაო, შემდეგ კი ჩვენს ზარებს აღარ პასუხობდა. არადა, ალ ყაზბეგის №34-ში კორპუსის მშენებლობა თითქმის დასრულებულია. ჩემი დაცვის ქვეშ მყოფი ბატონი გოჩა კაკაბაძე ესაუბრა ერთ-ერთ კომპეტენტურ პირს, რომელმაც აუხსნა, რომ ეს კორპუსი მთლიანად „საქართველოს ბანკის“ კუთვნილება იყო. გამოდის, რომ **შპს „ისანი-ტექსიმ“ მოქალაქეების მიერ შეტანილი თანხებით დაფარა „საქართველოს ბანკის“ ვალი.** არადა, როდესაც ბატონმა გოჩამ კუთვნილი ბინის გადაფორმება დააპირა, „საქართველოს ბანკმა“ სასამართლოში უჩივლა ბატონ გოჩას და ვინაიდან მას არ ჰყავდა ადვოკატი და მოუმზადებელი გამოცხადდა სასამართლო პროცესზე, მოტყუებით აღიარებინეს, რომ ჰქონდა შპს „ისანი-ტექსის“ ვალი. რეალურად მას ამ კომპანიის ვალი არ ჰქონია, მაგრამ **ძაძამიამ და მისმა ბანდამ ისე გააკეთებინეს, რომ დღემდე ახდევინებენ არარსებულ ვალს.**

**— ვინ არის მიხეილ ძაძამია?**

— მიხეილ ძაძამია არის „ისანი-ტექსისა“ და „ტექს ჯგუფის“ დირექტორი, „ნაცმოძრაობის“ წევრებთან დაახლოებულ პირი, გიგი უგულავას მეგობარი და, როგორც ჩანს, კორუფციულ გარიგებებს სწორედ „ნაცმოძრაობის“ წევრებთან შეთანხმებით აწარმოებდა. წესით, საქმე, რომელიც ეხება გაკოტრებული კომპანიისთვის თბილისის მერიის მიერ თანხის გადარიცხვას, რომელსაც შემდგომ „საქართველოს ბანკი“ აცოცხლებს, ფინანსურ პოლიციას სასწრაფოდ უნდა გამოეძიებინა.

ხელისუფლებაში არიან „ნაციონალების“ კადრები, რომლებიც მფარველობენ ძაძამიას და ამ კონკრეტულ საქმეს. მათ არ სურთ, „საქართველოს ბანკის“ მაკომპრომეტებელი მასალების გამომზეურება. ფინანსური პოლიციის საგამოძიებო ნაწილის უფროსი დავით გაგნიძე, რომელმაც უამრავი ბიზნესმენი გააკოტრა, ქონება სახელმწიფოსთვის აჩუქებინა, შემდეგ კი ციხეში გამოამწყვდია, დღესაც კონტროლის პალატაში მუშაობს.

**სამწუხაროდ, დღესაც არ ეხებიან ბანკებს, არადა, სწორედ ბანკებმა დალუპეს ხალხი.** სხვათა შორის, მსხვილ ბანკებს სხვადასხვა კომპანიასთან ერთად აქვთ გახსნილი მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, რომელთა მეშვეობითაც უარესად ხლართავენ ფინანსურ მაქინაციებს. თანაც ეს ყველაფერი სახელმწიფო სტრუქტურის დონეზე ხდება. წესით, „ეროვნულ ბანკს“ უნდა ემორჩილებოდეს ყველა ბანკი, მაგრამ რეალურად ეროვნული ბანკი სხვა ბანკების მიერ ჩატარებული ოპერაციების საქმის კურსში არ არის. ხელისუფლებაში „ქართული ოცნების“ მოსვლის შემდეგ, იმედი მოგვეცა, რომ უსამართლობა აღმოიფხვრებოდა და დამნაშავე კომპანიები ხალხის გაუბედურების გამო პასუხს აგებდნენ, ამიტომაც მივაწოდეთ სრულად მოძიებული საქმე პროკურატურას და გვეგონა, რომ მიხედავდნენ, მაგრამ ერთი წელია, საჩივარი შევიტანეთ და რეაგირება არ მოჰყოლია. აი, ასეთი გარემოებების გამო, აფხაზეთიდან დევნილ გოჩა კაკაბაძეს საცხოვრებელი არ აქვს. მიუხედავად იმისა, რომ ცხოვრება ჯოჯოხეთად უქციეს, ის მაინც გულანთებულ ქართველად რჩება და საშვილიშვილო საქმეს აკეთებს — ბატონ გოჩას შექმნილი აქვს „წმინდა გიორგის სახელობის კარატეს ფედერაცია“ და თაობებს ქართული სულით ცხოვრებას ასწავლის. **აი, ასეთ ადამიანს მიჰყიდეს ჰაერი, დააკისრეს 104 ათასი ლარის ვალი, ფული აქეთ გამოსძალეს და ამის მეტი დანაშაული რაღა უნდათ, ამ საქმეს რომ არ იძიებენ? ეს ხომ წმინდა წყლის თაღლითობაა „საქართველოს ბანკის“ მხრიდან?!**

ესაუბრა
**ნინო მაისურაძე**

**P.S. ჩვენი მრავალგზისი მცდელობა, ამ საკითხზე კომენტარი მოგვეპოვებინა „საქართველოს ბანკის“ წარმომადგენლებისგან, ამაო გამოდგა.**

არ გათეთრდების...
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ამ ფარსში მონაწილე პირწავარდნილი „ნაცები" ისე შეიჭრნენ როლში, რომ დაუკრეფავში გადავიდნენ და კოლეგა ფარულ „ნაცებს" კონსპირაცია წყალში ჩაუყარეს. რამდენიმე პირწავარდნილმა „ნაცმა" (გოგა ხაჩიძემ, ეკა ხერხეულიძემ და სხვ.) სოციალურ ქსელში გამოაქვეყნეს „ქართული ოცნების" „გულანთებული" ნუკერებისა და „ნაცმოძრაობის" დაუძინებელი ოპონენტების, სინამდვილეში კი ფარულად პორტირებული „ნაცების" ციტატები — თუ როგორ მიმართავდნენ და მოიხსენიებდნენ ისინი მიხეილ სააკაშვილს...**

# ფარული «ნაცები» ქართულ პოლიტიკაში

## რას ამბობდნენ ადრე და რას ამბობენ ახლა «მეორადი მოხმარების» პოლიტიკოსები

**პირწავარდნილი და ფარული „ნაცების" დაპირისპირება უკვე ფარსად იქცა. თუ ბრმა არ ხარ, ამ დაპირისპირების არსი ნათელია — პირწავარდნილი „ნაცები" თვალებში ნაცარს გვაყრიან, როდესაც „ოცნებაში" გადაპორტირებულ ფარულ „ნაცებს" „მწვავედ აკრიტიკებენ".**

მიუხედავად კარგი კონსპირაციისა, ამ ფარსში მონაწილე პირწავარდნილი „ნაცები" ისე შეიჭრნენ როლში, რომ დაუკრეფავში გადავიდნენ და კოლეგა ფარულ „ნაცებს" კონსპირაცია წყალში ჩაუყარეს. რამდენიმე პირწავარდნილმა „ნაცმა" (გოგა ხაჩიძემ, ეკა ხერხეულიძემ და სხვ.) სოციალურ ქსელში გამოაქვეყნეს „ქართული ოცნების" „გულანთებული" ნუკერებისა და „ნაცმოძრაობის" დაუძინებელი ოპონენტების, სინამდვილეში კი ფარულად პორტირებული „ნაცების" ციტატები – თუ როგორ მიმართავდნენ და მოიხსენიებდნენ ისინი მიხეილ სააკაშვილს...

**ამ ციტატების გამოქვეყნებით კიდევ ერთხელ დადასტურდა, რომ, როგორც „ქართული ოცნება", ასევე ძველი თუ ახალი ოპოზიციის ფრაქციები, ძირითადად, „ნაცმოძრაობისგან" ჩანერგილი მსტოვრებისგან შედგება.**

**აი, როგორ აფასებდნენ ისინი მიხეილ სააკაშვილსა და ქვეყანაში შექმნილ ვითარებას სხვადასხვა პერიოდში:**





**ლევან გაჩეჩილაძე:** „მიხეილ სააკაშვილის სახით მე ჭეშმარიტი რეფორმატორი და დასავლურ ღირებულებებზე ორიენტირებული პოლიტიკოსი დავინახე. გაოცებული ვარ მისი ცოდნით ეკონომიკაში. რითაც შემეძლება, დავუდგები გვერდით, რომ თავისი გეგმის რეალიზება შეძლოს. მას მართლა რეალისტური და ამბიციური გეგმა აქვს და ეს ნამდვილად ქვეყნის გადარჩენის გეგმაა... პრინციპული და მებრძოლია მიშა უშიშარია და ეს მომწონს" *(2001 წ.).*

**ლევან გაჩეჩილაძე: „სააკაშვილი არის უპრინციპო და მშიშარა ადამიანი, მას უსაფუძვლო ამბიციები აქვს და ამ ამბიციებს გადააყოლებს ქვეყანას, თუ მივუშვით. ის არის საკუთარ სკამზე შეყვარებული კარიერისტი** *(2007 წ.).*

**კობა დავითაშვილი:** „პოლიტიკაში მოვედი მიხეილ სააკაშვილისა და მისი გუნდის მხარდასაჭერად, რომელიც ერთადერთი რეალური, უალტერნატივო რეფორმატორული ძალაა, რომელსაც შეუძლია, დაამარცხოს ჯერ შევარდნაძის რეჟიმი და მერე თანმიმდევრულად ებრძოლოს იმ სიმახინჯეებს, რომლებიც ამ რეჟიმისგან დარჩება და რამაც, სამწუხაროდ, ღრმად გაიდგა ფეხი ჩვენს მენტალიტეტში. მიხეილ სააკაშვილს აქვს ყველაფერი, ეს ბრძოლა ბოლომდე წარმატებით მიიყვანოს — პოლიტიკოსის გამჭრიახობა და შორსმჭვრეტელობა, პატრიოტიზმი, პროფესიონალიზმი, დასავლეთის აქტიური მხარდაჭერა და, რაც მთავარია, პოლიტიკური ნება" *(2003 წ.).*

**კობა დავითაშვილი: „სააკაშვილს არ აქვს ნება, გაატაროს რეფორმები, მას აკლია პოლიტიკური შორსმჭვრეტელობა, ძალიან ახლოს მხედველი პოლიტიკოსია და ეს კატასტროფამდე მიიყვანს მასაც და ქვეყანასაც"** *(2006 წ.).*



**ზვიად ძიძიგური:** „მიხეილ სააკაშვილი არის ჭეშმარიტი ლიდერი. ამ ადამიანს შეუძლია ერთგულება, ბრძოლისუნარიანია, უშიშარია, რა ვიცი, კიდევ მრავალი დადებითი თვისება გააჩნია. რაც მთავარია, სახელმწიფოებრივად აზროვნებს და გულით სურს, საქართველო მსოფლიო მასშტაბით ანგარიშგასაწევი ქვეყანა გახდეს. ვურჩევ ყველა პოლიტიკოსს, დაუდგეს სააკაშვილს გვერდით და ერთად ვაშენოთ ეს ქვეყანა. სააკაშვილი არის საქართველოს პატრიოტი და ამით ყველაფერია ნათქვამი" *(2004 წ.).*

**ზვიად ძიძიგური: „სააკაშვილს პატრიოტიზმის ნატამალი არ გააჩნია, ის ამ ქვეყნის დამაქცევრადაა მოვლენილი. ყველა პოლიტიკურ ძალას მოვუწოდებ, მოვიშოროთ. სააკაშვილი არის მშიშარა... ამ ადამიანს არ შეუძლია ელემენტარული ერთგულება. ყველას მოვუწოდებ, — დავირაზმოთ მიშას წინააღმდეგ!** *(2009 წ.)*





**დავით ბერძენიშვილი:** „მიშა ერთდროულად, რამდენიმე თვის ინტერვალით, ორ რევოლუციას ჩაუდგა სათავეში და ორივე წარმატებით დააგვირგვინა. მან აჭარა დაუბრუნა საქართველოს, მაგრამ ეს ვერ მოხდებოდა შევარდნაძის რეჟიმი მშვიდობიანი რევოლუციით რომ არ გაესტუმრებინა. ხალხი მასში გმირს ხედავს და ვერც გაამტყუნებ — ის, რაც ვერავინ შეძლო მთელი 11 წლის მანძილზე, შევარდნაძის გადაყენებას ვგულისხმობ და, რაც ვერავინ შეძლო 13 წლის მანძილზე, ანუ ასლან აბაშიძის გაძევება აჭარიდან, მიშამ მოახერხა თავის თანამებრძოლებთან ერთად. მას აქვს უნიკალური უნარი, საჭირო დროს და საჭირო ვითარებაში შეარჩიოს თანამებრძოლები. როცა პრეზიდენტს ამის ნიჭი აქვს, ეს ბევრს ნიშნავს — საკადრო პოლიტიკა, მოგეხსენებათ, საკვანძო საკითხია სახელმწიფოს მშენებლობაში." *(2004 წ.)*

**დავით ბერძენიშვილი: „რესპუბლიკელები" რომ არ დავდგომოდით სააკაშვილს გვერდით, ძვრას ვერ უზამდა ასლანის რეჟიმს. ჩვენი მრავალწლიანი ბრძოლით აჭარაში, შეიძლება ითქვას, ძირი უკვე გამოთხრილი ჰქონდა აბაშიძის რეჟიმს. იმას არ ვიტყვი, ერთი სულის შებერვაღა აკლდა-მეთქი, მაგრამ არ შეიძლება, ერთმა კაცმა, ერთმა ვიწრო წრემ, თუნდაც საპრეზიდენტო გუნდმა, ყველაფერი დაიბრალოს... სააკაშვილს დაღუპავენ კადრები, თანაგუნდელები, სამწუხაროა, რომ მას არ აღმოაჩნდა კადრების შერჩევის ნიჭი."** *(2006 წ.)*



**პაატა ზაქარეიშვილი:** „ის მოდელი, რომელსაც სააკაშვილი სთავაზობს აფხაზეთს, შეიძლება უნიკალური არ არის, მაგრამ საუკეთესოა ამ რეალობაში. აფხაზებს უნდა ეყოთ ჭკუა, რომ წამოვიდნენ პირდაპირ დიალოგზე. მათ აქვთ შანსი, გადაირჩინონ თავი და ერთიან, ქართულ სახელმწიფოში სრულფასოვან მოქალაქეებად იქცნენ. მათ უამრავ პრივილეგიას ჰპირდება პრეზიდენტი, სხვა ამდენს არც დაუთმობდა" *(2005 წ.).*

**პაატა ზაქარეიშვილი: „მთელი ამდენი ხნის მანძილზე, პრეზიდენტობის 4 წლის პერიოდში, სააკაშვილს ერთი გონივრული ნაბიჯი არ გადაუდგამს აფხაზებისა და ოსების შემოსარიგებლად, ერთი კონსტრუქციული წინადადება არ შეუთავაზებია"** *(2009 წ.).*



**სალომე ზურაბიშვილი:** „ჩვენ გვყავს ნამდვილი ევროპული ტიპის, დემოკრატიული ღირებულებების დამცველი პრეზიდენტი. მას ძალიან ბევრი დადებითი მხარე გააჩნია, მათ შორის, სოლიდური დიპლომატიური გამოცდილება, რაც მის ასაკში არცთუ ჩვეულებრივი ამბავია. დეტალია და იქნებ ვინმემ თქვას, ეგ რაღა სალაპარაკო იყოო: მან შესანიშნავად იცის რამდენიმე უცხო ენა. როცა ერთად ვართ საერთაშორისო დონის მოლაპარაკებებზე, შეხვედრებზე ლამის ყველას მის ენაზე ელაპარაკება. მე პროფესიონალი დიპლომატი ვარ და ვიცი, ეს რასაც ნიშნავს — ნებისმიერი რანგის შეხვედრაზე, ნებისმიერი რანგის ლიდერს მოლაპარაკების დასაწყისში შენ მიმართ კეთილად განაწყობ, თუ ერთ ანეკდოტს მოუყვები მის მშობლიურ ენაზე." *(2005 წ.)*

**სალომე ზურაბიშვილი: „სამწუხაროა, ჩვენმა პრეზიდენტმა არ იცის დიპლომატიის ანი-ბანი, ამ საქმეში ის პირდაპირ ოროსანია. საკუთარი თვალით დავრწმუნდი, რომ ეს ასეა და არაერთხელ. ბევრი ენა იცისო, ენებიო, ენებიო... უკაცრავად, მაგრამ პოლიტიკა პოლიგლოტია არ არის, ენების ცოდნა აქ მთავარი არ არის, არც – მნიშვნელოვანი."** *(2006 წ.)*



**კახა კუკავა:** „მიხეილ სააკაშვილი მიდის საქართველოს აღორძინებისა და გამთლიანების გზით. მწამს, თუ მას დააცადეს, აუცილებლად დაიბრუნებს დაკარგულ ტერიტორიებს, მაგრამ ამას დრო სჭირდება, ხანგრძლივი პროცესია. მთავარია, რამდენიმე წელი მუშაობა და მოთმინება." *(2004 წ.)*

**კახა კუკავა: „თავიდანვე ვამბობდი, რომ სააკაშვილს არანაირი გეგმა და არც სურვილი არ გააჩნდა ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად, მაგრამ მაშინ ყველა გაჰყვიროდა, — მიშა აფხაზეთს დაგვიბრუნებსო."** *(2009 წ.)*



**ნინო ბურჯანაძე:** „რევოლუციის დროს, ცხადია, სამეულიდან ყველა ლიდერს ჩვენი წილი პასუხისმგებლობა, საქმე და კი, ბატონო, ამბიციებიც გვქონდა, მაგრამ ვიცოდით, რომ ამ ამბიციას, პირადულს, არც ერთი ჩვენგანი არ დააყენებდა ხალხის ინტერესების წინ. ცხადია, გარემოებათა გამო და, უპირველესად, საკუთარი პიროვნული და პოლიტიკური თვისებების წყალობით, მიხეილ სააკაშვილი იქცა რევოლუციის ლიდერად და შემდეგ — პრეზიდენტობის უპრეცედენტოდ უალტერნატივო კანდიდატად. პრეზიდენტს ახლა სრული მხარდაჭერა აქვს ქართველი ხალხისა, რომ, რასაც ხალხს შეჰპირდა, ყველაფერი რეალობად იქცეს, ცხადია, უპირველესად, ტე- ▶

# ლევან ბერძენიშვილი: „მიშა სააკაშვილი არის დემოკრატი ლიდერი, დასავლური დემოკრატიის ერთგული და აქტიური მხარდამჭერი ამ ღირებულებებისა. ის მხარს უჭერს ლიბერალურ საბაზრო ეკონომიკას და ამ პრინციპებს უნდა დაეფუძნოს ძლიერი ქართული სახელმწიფო. მას აქვს ნიჭიც, უნარიც და გამოცდილებაც, რომ ეს ყველაფერი საქმედ აქციოს.“

მედიცინა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ რიტორიული მთლიანობის აღდგენას ვგულისხმობ. მე, არა როგორც ხელისუფლების წარმომადგენელი, არამედ როგორც საქართველოს რიგითი მოქალაქე, ნამდვილად ვამაყობ, რომ ჩემს ქვეყანას, სააკაშვილის სახით, ასეთი პრეზიდენტი ჰყავს — მთელ მსოფლიოში პოპულარული, ყველასთვის მისაღები, პატრიოტი და თავისი ერის ჭირ-ვარამის გამზიარებელი.“ *(2004 წ.)*

**ნინო ბურჯანაძე: „მიხეილ სააკაშვილი არის ანტიდასავლური ღირებულებების არადემოკრატი პრეზიდენტი. მე ვიცოდი, რომ ის ტერიტორიების დამბრუნებელი არ იყო, არც დემოკრატიული რეფორმების გამტარებელი და ვერც ეკონომიკაში გაატარებდა ძირეულ და უმტკივნეულო ცვლილებებს.“** *(2009 წ.)*



**გოგა ხაინდრავა:** „მიხეილ სააკაშვილს აქვს ჩამოყალიბებული, მწყობრი და უნაკლო გეგმა კონფლიქტების მშვიდობიანი გადაწყვეტისა. მთავარია, რუსეთმა არ შეგვიშალოს ხელი და ჩვენ ნაბიჯ-ნაბიჯ, ნელ-ნელა მივაღწევთ საქართველოს გამთლიანებას.“ *(2005 წ.)*

**გოგა ხაინდრავა: „სააკაშვილის უბედურება ის იყო, რომ მას არანაირი გეგმა არ ჰქონია ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად. ვიმეორებ, სააკაშვილს არანაირი გეგმა კონფლიქტების მშვიდობიანი გადაჭრისა არ ჰქონია.“** *(2006 წ.)*



**ზურაბ ნოღაიდელი:** „პრეზიდენტ სააკაშვილს ჩინებულად ესმის ეკონომიკა და აქვს საკმაოდ ორიგინალური ხედვა ამ კუთხით. მას ესმის ყველა ის პრობლემა, რომლებიც ხალხს აწუხებს, ჩვენ ერთად ვმუშაობთ, რათა კომპლექსურად გადავჭრათ ყველა ეს სოციალურ-ეკონომიკური საკითხი.“ *(2006 წ.)*

**ზურაბ ნოღაიდელი: „სააკაშვილი არის ძალიან ვერაგი, უსამართლო, ყაჩაღი და ჩვენ მის დამარცხებას შევძლებთ... არჩევნები აუცილებლად დასრულდება ხალხის აჯანყებითა და რევოლუციით... რუსეთმა დაინახოს, რომ არსებობს სხვა საქართველო და საქართველომაც დაინახოს, რომ არსებობს სხვა რუსეთი.“** *(2009 წ)*



**ირაკლი ოქრუაშვილი:** „მიხეილ სააკაშვილს აქვს ყველა ის თვისება, რაც კარგ პრეზიდენტს უნდა ჰქონდეს: პოლიტიკური გამოცდილება, გამჭრიახობა, ნებისმიერი საკითხის სახელმწიფოებრივი ხედვა და მიდგომა, ლიდერის თვისებები.... რაც მთავარია, პატრიოტია, სამშობლოს მოყვარული კაცია და ქართველი ხალხი უჭერს მხარს.“ *(2004 წ.)*

**ირაკლი ოქრუაშვილი: „მიხეილ სააკაშვილი არც ერთ საკითხს არ უდგება სახელმწიფოებრივად და ვისაც ამის ნიჭი არ აქვს, პოლიტიკაში არ უნდა იყოს.“** *(2008 წ.)*



**დავით ზურაბიშვილი:** „არ შეიძლება მარტო იმის იმედად ყოფნა, რომ მიხეილ სააკაშვილი ლამის მსოფლიოში ყველაზე პოპულარული ლიდერია, ევროპის ყველაზე ახალგაზრდა პრეზიდენტია და ყველაფერს ერთი კაცი გააკეთებს. დიახ, ეს რეალურად ასეა და სააკაშვილს უპრეცედენტო ნდობა და რეიტინგი აქვს უცხოეთში, ის პატრიოტი და მებრძოლი ლიდერია, მაგრამ გვერდში დგომა სწორედ ახლა სჭირდება. ოპოზიციის საქმე კრიტიკაა, მაგრამ ზოგიერთი პარტიის ლიდერები თუ უსაგნო კრიტიკას მოეშვებიან, კარგი იქნება. კაცს, როცა შეცდომა არ დაუშვია, რატომ აკრიტიკებ? ადამიანია, შეეშლება, მაგის დროც მოვა და მერე გააკრიტიკე, ოღონდ ქვებს ნუ დაუშენ. გააკრიტიკე იმისთვის, შეცდომა გამოასწოროს და არა იმისთვის, ახლა რასაც აკეთბენ — ქულების დასაწერად.“ *(2004 წ.)*

**დავით ზურაბიშვილი: „სააკაშვილს თუ რაიმე საერთაშორისო მხარდაჭერა ჰქონდა, ეს რევოლუციური პროცესების დამსახურება იყო და არა პირადად მისი. ეს, უპირველესად, იმ ხალხის დამსახურებაა, რომელიც ლიდერებს დაუდგა გვერდით, უკან არ დაიხია, ვიდრე არ წავიდა შევარდნაძე... გადამეტებულია ახლა, მითებია, თითქოს სააკაშვილის იმხელა, ამხელა რეიტინგი ჰქონდა და უცხოელი ლიდერები რიგში იდგნენ მასთან შესახვედრად.“** *(2008 წ.)*



**ლევან ბერძენიშვილი:** „მიშა სააკაშვილი არის დემოკრატი ლიდერი, დასავლური დემოკრატიის ერთგული და აქტიური მხარდამჭერი ამ ღირებულებებისა. ის მხარს უჭერს ლიბერალურ საბაზრო ეკონომიკას და ამ პრინციპებს უნდა დაეფუძნოს ძლიერი ქართული სახელმწიფო. მას აქვს ნიჭიც, უნარიც და გამოცდილებაც, რომ ეს ყველაფერი საქმედ აქციოს.“ *(2004 წ.)*

**ლევან ბერძენიშვილი: „სააკაშვილი არასდროს ყოფილა ლიბერალი, არასდროს ყოფილა დასავლური დემოკრატიის ერთგული და მისი ცხოვრებაში გატარების მოსურნე.“** *(2007 წ.)*



**თინა ხიდაშელი:** „შევარდნაძესთან შედარებით სააკაშვილი მართლა დემოკრატიის ტალღა რომ არის, ამას თუ ვიტყვი, არა მგონია, დიდ ცოდვად ჩამეთვალოს. მიშამ გარისკა და იქ დადგა, სადაც ხალხის ინტერესები დგას“ *(2003 წ.).*

**თინა ხიდაშელი: „სააკაშვილი არის ანტიდემოკრატი, ავტოკრატი მმართველი.“** *(2008 წ.)*

მოამზადა
**გიორგი გაჩეჩილაძემ**

**P.S. მიუხედავად იმისა, რომ „ნაცმოძრაობის“ ზოგიერთი წევრი ამჟამად „ქართული ოცნების“ რიგებშია (ან სახელისუფლებო სტრუქტურებში), თანაც, რიტორიკა შეცვალა, და რასაც ადრე ამბობდა, ახლა იმის საწინააღმდეგოს ამბობს, საყოველთაო ჭეშმარიტებაა: შესაკრებთა გადანაცვლებით ჯამი არ იცვლება!**

**ანუ, გინდ №41 შემოხაზე, და გინდ — №5, ქვეყანაში სასიკეთოდ არაფერი იცვლება...**



# გამაოგნებელი შედეგები «კამელინით» მკურნალობისას

**პრეპარატ „კამელინს“ სამედიცინო საზოგადოების მხრიდან ინტერესი ჯერ კიდევ პრეპარატის ავტორის, ქირურგის — ძაგული მაღლაკელიძის სიცოცხლეშივე ჰქონდა. გასული საუკუნის 50-იანი წლებიდან იწყება „კამელინზე“ ექსპერიმენტულ-კლინიკური კვლევები როგორც თბილისის, ასევე მოსკოვის, ლენინგრადის, ხარკოვის ონკოცენტრებსა და სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებში. ამ პერიოდის განმავლობაში პრეპარატი მოიხმარა ათასობით ონკოდაავადებულმა, მათ შორის უმძიმეს სტადიაში მყოფებმაც.**




**ვაჟა გელბახიანი, დამსახურებული ფარმაცევტი, შპს „კრწანისის“ დირექტორი:**

— ჩემი მრავალწლიანი დაკვირვებების შედეგად დასტურდება „კამელინის“ ანტიბლასტომური მოქმედება. „კამელინის“ თითქმის ყველა მომხმარებელი თავს უკეთესად გრძნობს და კურსის დასრულების შემდეგ პერიოდულად აგრძელებს პრეპარატის მიღებას პროფილაქტიკის მიზნით.

მივიჩნევ, რომ „კამელინი“ უნიკალური პრეპატრატია, მისი მოქმედება ამოუწურავია და უმრავლეს შემთხვევაში — გამაოგნებელი. იგი უპიროზოდ აუმჯობესებს სიცოცხლის ხარისხს, საგრძნობლად ამცირებს ტკივილებს, დადებითად მოქმედებს დაავადების მიმდინარეობაზე.

**მარიკა ლორთქიფანიძე, ექიმი კოაგულოლოგი:**

— 49 წელი ვიმუშავე ექსპერიმენტული და კლინიკური ქირურგიის მრავალპროფილურ ინტიტუტში, რომელიც იმ დროს გამოირჩეოდა ყველასგან. ჩვენი დირექტორი, აკადემიკოსი კონსტანტინე ერისთავი ცდილობდა, ახალგაზრდა, ნიჭიერი ექიმები შემოეკრიბა გარშემო და ბატონ ძაგული მაღლაკელიძესთან ერთად ეწარმოებინა ექსპერიმენტული კვლევები პრეპარატ „კამელინზე“, რომელიც შემდეგ დაინერგებოდა კლინიკაში. ჩემმა მეუღლემ გულ-მკერდის ქირურგმა, პროფესორმა ოთარ ბურჯანაძემ ერთ-ერთმა პირველმა გამოიყენა „კამელინი“ ფილტვის სიმსივნით დაავადებულ ავადმყოფთა სამკურნალოდ. დაკვირვება წარმოებდა მკურნალობის დასაწყისში და მკურნალობის შემდეგ დინამიკაში კლინიკური ანალიზებიც ტარდებოდა. ავადმყოფთა მდგომარეობის მკვეთრი გაუმჯობესება, ორგანიზმის ბრძოლისუნარიანობის გაძლიერება, სიმსივნის ზომაში შემცირება ოთარს ძალიან ახარებდა. ყველანი დიდი გულისყურით ვაკვირდებოდით მიმდინარე პროცესებს, რომლებიც იმედისმომცემი იყო, ჩვენ თვალწინ ახდენდა პრეპარატი „კამელინი“ სასწაულს. გული სიამაყით მევსება, როდესაც ვიგებ კომპანია „კამელინის“ წარმატებას საქართველოს ფარგლებს გარეთ.

**მარინა გორგილაძე, ოფთალმოლოგი:**

— 10 წლის წინათ დამიდგინდა ფიბრომატოზულ-კისტოზური მასტოპათია, საჭირო იყო ოპერაციული ჩარევა, მაგრამ ქალბატონმა გუგულიმ (პრეპარატ „კამელინის“ ავტორის მეუღლემ) მირჩია პრეპარატი „კამელინ მ1“-ინიექცია. ერთი თვის შემდეგ დიაგნოსტიკის საფუძველზე კვანძები აღარ დაფიქსირდა, სწორედ ამ ფაქტმა განაპირობა ის, რომ დღეს ქალაქ ბათუმში კომპანია „კამელინის“ ექიმი-კონსულტანტი ვარ.

ჩვენს ქალაქში მრავლად არიან სხვადასხვა დაავადებით დაავადებული პაციენტები, რომლებიც აღნიშნულ პრეპარატს იღებენ და კმაყოფილნი არიან. შესანიშნავი შედეგები აღინიშნება ოტოლარინგოლოგიაში, გინეკოლოგიაში, კერატიტების დროს ოფთალმოლოგიაში, რევმატიული, სწორი ნაწლავის (სანთლების სახით) და ონკოდაავადებების დროს.

მე როგორც ექიმი, თამამად ვურჩევ პაციენტს აღნიშნული პრეპარატით მკურნალობას, განსაკუთრებით კომპლექსურ თერაპიასთან ერთად!

**დიმიტრი ცეცხლაძე, ტუბერკულოზის ეროვნული პროგრამის კოორდინატორი აჭარაში:**

— რამდენიმე წლის წინათ თანამშრომელი გაგვიხდა ავად, დაეწყო წონის საგრძნობი კლება, ხშირი ხველა, რენტგენოლოგიური გამოკვლევის შედეგად დაუდგინდა მარჯვენა ფილტვის ქვემო წილში მეტასტაზური კერა.

ჩივილები იძლეოდა იმის საფუძველს, რომ გვეფიქრა ონკოდაავადებაზე. ჩვენდა გასაკვირად, მან უარი განაცხადა კონსერვატიულ მკურნალობაზე და თბილისში გაემგზავრა. ახლობლის რჩევით დაიწყო „კამელინის მ1“-ის გამოყენება. პირადად ვკურირებდი მისი ჯანმრთელობის მდგომარეობას, მაგრამ არ მიმხელდა რა საშუალებით მკურნალობდა. პაციენტმა მალევე მოიმატა წონაში, სიმპტომები თანდათან ალაგდა, ორი თვის შემდეგ მას გაუკეთდა ხელახალი რენტგენოლოგიური კვლევა. გულწრფელად ვაღიარებ, რომ გაოგნებული დავრჩი. მეტასტაზური კერის ნასახი არსად ჩანდა. ის ჩრდილი, რომელიც საკმაოდ დიდ უბანზე იყო, სრულიად გაიწმინდა. სწორედ ამის შემდეგ შევიტყვე, რომ იგი „კამელინის“ ინიექციებით მკურნალობდა.

დღეს ჩვენი თანამშრომელი თავს შესანიშნავად გრძნობს. მივესალმები „კამელინის“ ფართოდ დანერგვას ფთიზიატრიაში.

**მემედ ჯინჭარაძე, ბათუმის ონკოლოგიური კლინიკის ონკოლოგი:**

— „კამელინი მ1“-ის და „კამელინი მ2“-ის გამოყენებამ უმძიმეს პაციენტებში (სხვადასხვა სიმსივნის მე-4 სტადია) მოგვცა ზოგადი მდგომარეობის საგრძნობი გაუმჯობესება, ნარკოტიკული საშუალებების შემცირება, რიგ შემთხვევაში — დროებით მოხსნა, სიცოცხლის ხარისხის გაუმჯობესება და გახანგრძლივება, მადის და ენერგიის მომატება, დეპრესიული ფონის მოხსნა, მეტასტაზური სიმსივნის რეგრესი. მე-4 სტადიის სიმსივნით დაავადებულ უმძიმეს პაციენტებში „კამელინი“ საკმარისი ეფექტით გამოირჩევა.

მოამზადა **მაია ცომაიამ**

კამელინი
CAMELYN

**«კამელინთან» დაკავშირებულ საკითხებზე ინფორმაციის მიღება და კონსულტაცია უფასოა, დარეკეთ:**
**2-98-57-78; 2-93-20-87; 2-98-62-25 (ოფისი); 2-75-04-08;**
**599 33 10 89; 599 58 09 07; 577 73 56 51; 599 23 03 33**

ვერსია
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„სააკაშვილს იმხელა ქონება აქვს მიტაცებული, რომ ამის ფონზე სასაცილო და სამარცხვინოა, ბებიამისისთვის ნატანებში მიწის წართმევა. რეალურად რაც მოიპარა, შეუნარჩუნეს“.**



ზაზა მამალაძე:

# სააკაშვილს, რომც დააპატიმრონ, მარგველაშვილი შეიწყალებს!

**ქვეყანაში მიმდინარე პროცესებზე ტრიო „თბილისის“ წევრი, მომღერალი ზაზა მამალაძე გვესაუბრება:**

— სიმართლე გითხრათ, ხშირად ვარ გაბრაზებული, თუმცა პროფესიული თვალსაზრისით — არა. ამ სიბერეში ჩავწერე სოლო ალბომი, რომლის პრეზენტაციაც ოქტომბრის ბოლოს გაიმართება. გარდა ამისა, „ტრიო თბილისი“ ვემზადებით კონცერტისთვის, რომელსაც თბილისობას ჩავატარებთ.

**— გაბრაზებული რატომ ხართ?**

— იმიტომ, რომ „ნაცმოძრაობის“ მმართველობის გაუსაძლისი ათი წლის შემდეგ, როდესაც ხელისუფლებაში მოვიდა „ქართული ოცნება“, გაჩნდა იმედი, რაღაც გვეშველებოდა, მაგრამ ეს იმედი ძალიან მალე გამიცრუვდა. **დღევანდელ პარლამენტართა 80 პროცენტი, რომ არა ბიძინა ივანიშვილი, ვერასოდეს ეღირსებოდა საკანონმდებლო ორგანოში შესვლას.**

სიმართლე გითხართ, **თავიდანვე არ მომწონდა ის ბირთვი, რომელზეც ბიძინა ივანიშვილმა გააკეთა აქცენტი, მაგრამ თვალი დავხუჭე, ოღონდ „ნაცმოძრაობა“ ჩამოშორებოდა ხელისუფლებას. ამჟამად „ნაციონალური მოძრაობა“ კი არ სუსტდება, პირიქით — დღითიდღე ძლიერდება.**

**— რაში გამოიხატება ეს?**

— უყურეთ სატელევიზიო დებატებს და დაინახავთ, რომ **ხელისუფლების წარმომადგენლები ძალიან უსუსურები არიან — გამუდმებით თავს იცავენ.** ძალიან სუსტები არიან ან თვითონაც აქვთ დანაშაული ჩადენილი და ამიტომაც ვერ ამბობენ „ნაციონალებზე“ იმას, რაც უნდა თქვან. ფაქტია: ხელისუფლება „ნაციონალებთან“ გამუდმებით თავს იმართლებს, ამიტომაც ვარ გაბრაზებული... ან **დღეს ვინ არის კარგად საქართველოში, გიჟის გარდა?**

**— მიხეილ სააკაშვილისა და მისი ოჯახის ქონების დაყადაღებას როგორ შეაფასებთ?**

— **სასაცილოა! აბა, ნორმალურია, როდესაც სააკაშვილის ბებიას ნატანებში 500 კვ.მ მიწის ნაკვეთს უყადაღებენ? ან 15 წლის მანქანის დაყადაღებას რა ჰქვია?!** ეს ბავშური კინკლაობა უფროა, ვიდრე სერიოზული გადაწყვეტილება. **სააკაშვილს იმხელა ქონება აქვს მიტაცებული, რომ ამის ფონზე სასაცილო და სამარცხვინოა ბებიამისისთვის ნატანებში მიწის წართმევა. რეალურად რაც მოიპარა, შეუნარჩუნეს.** ეს ყველაფერი ხალხის გასაჩუმებლად გააკეთეს. ამას ემატება კინკლაობა, პრეზიდენტსა და პრემიერის აპარატს შორის, რომელიც ძალიან ცუდად აისახება ქვეყანაზე. **ადრე კრემლს ვუწევდით ანგარიშს, ახლა მას დაემატა ევროკავშირი, ნატო, თეთრი სახლი და მთელი ცხოვრება ამათ უნდა ვუგოროთ კოჭი? ჩვენი ქვეყანა ტაკიმასხარის პოზიციაშია!** სააკაშვილის ქონების დაყადაღებიდანაც ჩანს, რომ **ამ ხელისუფლებას არ ჰყოფნის კვალიფიკაცია. ყველაზე ცუდი კი ის არის, რომ დღევანდელი ხელისუფლების წარმომადგენელთა უმრავლესობა თავმოყვარეობასთანაც მწყრალადაა.** დღეს „ქართული ოცნება“ კინკლაობის მეტს არაფერს აკეთებს, „ნაცმოძრაობის“ ანკესზეა წამოგებული და მის ნებაზე დადის. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, მედიასაშუალებების ატანაც აღარ შეიძლება. ახლაც ერთსა იმავე სახეებს აჩვენებენ. **დებატებში, ძირითადად, გია ვოლსკი და მანანა კობახიძე მონაწილეობენ, რომლებიც ძალიან არაკვალიფიციურად გამოდიან.**

რაც შეეხება კრიმინალს, ის, რისთვისაც თენგო ერისთავი დააპატიმრეს, სრული აბსურდია. თენგო ერისთავი არ იყო დედიკოს ბიჭი. ქუჩასთანაც ჰქონდა შეხება, ნასამართლევიც იყო, მაგრამ ახლა რისთვისაც დააპატიმრეს, აბსურდია. ლაშა მახარაძე, რომელიც ახლახან მოკლეს, ჩემი ახლობელი იყო და მის პანაშვიდზე



## «მერაბ სეფაშვილმა სააკაშვილს «ჩემი გმირი გიწოდე» უმღერა და ამის შემდეგ რაღა უნდა გამიკვირდეს?!»

თენგო ერისთავმა ვაკის მაჟორიტარი დეპუტატი შალვა შავგულიძე გააფრთხილა, წამალს ან იარაღს ჩამიდებენ და დამიჭერენო. შავგულიძემ გულწრფელად უთხრა, არავინ არაფერს ჩაგიდებს, ეგ დრო დამთავრდაო, მაგრამ ფაქტია, ასე მოხდა და დაიჭირეს. თენგოს ოჯახი თბილისში ოდითგანვე გამოირჩევა, ბაბუაც სამაგალითო ჰყავდა და მამაც. ამ ოჯახს სანათესაოც დიდი ჰყავს, სამეგობროც. ეს ის ადამიანები არიან, რომლებიც „ნაცმოძრაობას“ ხელისუფლებაში მოსვლისთანავე ებრძოდნენ. ამ ყველაფრის შემდეგ ეს ადამიანები ხომ გამოხატავენ პროტესტს ხელისუფლების წინააღმდეგ? **ხელისუფლება ხომ უნდა მიხვდეს, რომ ასე უსამართლოდ მოქცევა არ შეიძლება? მალე ძალიან ცუდ შედეგს მიიღებენ! რომ ვაკვირდები საკადრო პოლიტიკას, გასაოცარია, შსს-ში მაღალ თანამდებობებზე ცნობილი ზონდერები არიან!** ან ვერ ხვდება ეს ხელისუფლება, რას აკეთებს, ან პირიქით — ყველაფერს შეგნებულად სჩადის, რაც მათ ჭკუასუსტობაზე მეტყველებს. წელიწად-ნახევარში საპარლამენტო არჩევნებია და საინტერესოა, რას ფიქრობენ.

**— სააკაშვილს დააპატიმრებენ?**

— **სააკაშვილი, შესაძლოა, დაიჭირონ, მაგრამ მარგველაშვილი შეიწყალებს...** არ აკვირდებით მარგველაშვილის ტექსტებს? ახლა სააკაშვილსაც ხელს აძლევს, რომ დააპატიმრონ, რადგან მისი ციხეში ყოფნა დიდი-დიდი თვე-ნახევარს გაგრძელდეს. შემდეგ მარგველაშვილი შეიწყალებს და ამით სააკაშვილი ცხოვრებას „გაიპრავებს“, ამიტომ სჯობს, ჯერჯერობით აქეთ-იქით იწანწალოს და მერე მოუგრიხონ კისერი.

**— რატომ გგონიათ, რომ მარგველაშვილი ასეთი ლოიალური იქნება სააკაშვილის მიმართ?**

— ფაქტია, რომ ასეა. მარგველაშვილი მინიშნებით ამბობს, ბოკერია, იაკობაშვილი და სხვები ჩემი ძმაკაცები არიანო. ის, რომ მისი ბავშვობის მეგობრები არიან და ვერ უღალატებს, კარგია, მაგრამ მაინტერესებს, დღეს რატომ არიან ძმაკაცები? როგორ შეუძლია ასეთ ხალხთან ძმაკაცობა? **გასაგებია, რომ ახალგაზრდობიდან ძმაკაცობენ, მაგრამ მათი გზები ხომ გაიყო? ბოკერია და იაკობაშვილი „ნაცმოძრაობის“ რიგითი წევრები რომ იყვნენ, კიდევ ჯანდაბას, მაგრამ ისინი ანგრევდნენ ქვეყანას, ქუჩებში ხვრეტდნენ ადამიანებს და მათზე ამბობს მარგველაშვილი, ჩემი ძმაკაცები არიან და ვერ ვუღალატებო?!** როცა შენი მეგობარი 24 საათის განმავლობაში ფიქრობს, ვის რა ავნოს და, ამის მიუხედავად, ბოლომდე უერთგულებ, **ვიტოვებ უფლებას და გეუბნები, რომ შენც მათნაირი ხარ და უარესს ჩაიდენ!**

**— „პატრიოტთა ალიანსში“ მართლა გაწევრდით?**

— დიახ. რამდენიმე დღის წინათ „პატრიოტთა ალიანსის“ თბილისის ორგანიზაციის თავმჯდომარედ დავინიშნე. ამ პარტიაში ჩემი მისვლის მთავარი მიზეზი იყოს ის, რომ იქ მყოფი ადამიანები მთელი თავიანთი არსებით ქართველები არიან. და ჩემი მთავარი მიზანიც ისეთი ადამიანების შემოკრებაა, რომელთაც უკან მოხედვის არ რცხვენიათ. გეგმა კი ისაა, რომ 2016 წელს, საპალამენტო არჩევნების შემდეგ, რაც შეიძლება მეტი ნორმალური ადამიანი მოვიდეს ხელისუფლებაში, რომ, ბოლოს და ბოლოს, ამ ქვეყანას რაღაც ეშველოს. ტენდენცია ხომ მაინც უნდა დავინახოთ ხალხმა, რომ მთავრობა ჩვენკენაა? **ხელისუფლების წარმომადგენელი 30 და 40-ათასლარიან პრემიას რომ გამოიწერს, ხომ ამაზრზენია?!**

**— კულტურის მინისტრი შეიცვალა...**

— ვცნობ ახალ მინისტრს, უფრო სწორად მის ჯგუფს — „ისტენ პრმოუშენს“. საქართველოში საკმაოდ კარგ ჯაზფესტივალებს მართავდნენ. ვხედავ, რომ ენერგიული ადამიანები არიან, მაგრამ ჯერ არ ვიცი, როგორი დამოკიდებულება ექნებათ ქართული კულტურის მიმართ. **უწესოაო, არავის უთქვამს ოდიშარიაზე, მაგრამ ძალიან რბილი კაცი იყო, მინისტრობისგან შორს მდგომი, ამიტომაც იქცა კულტურის სამინისტრო უთავბოლო ორგანიზაციად.**

**— „ასე რამ აგახურათ?“ — ამ სიტყვებით მიმართეთ პირდაპირ ეთერში მომღერალ სტეფანე მღებრიშვილს...**

— გადამირჩა, თორემ უარესს ვეტყოდი. ვიდრე გადაცემა დაიწყებოდა, მე, ზაზა მიმინოშვილი და მამაო ვისხედით სტუდიაში და ზაზამ გვითხრა, მაქსიმალურად ვერიდოთ დებატების გამწვავებას და საუბარი სხვა მიმართულებით წავიყვანოთო. **ჩემთვის სტეფანე არის მაგალითი, როგორი არ უნდა იყო.** წლების წინათ, როდესაც მან პლუს ფონოგრამაზე პირის გაღება დაიწყო, მე და თამარ ცაგარეიშვილმა ამ თემაზე მოვამზადეთ გადაცემა. ატყდა დიდი აჟიოტაჟი. **სტეფანემ კი საგაზეთო წერილი გამოაცხო, რომელშიც თქვა, ერთი სიმღერის ჩაწერას 2 კვირას ვუნდები, კიდევ ორ კვირას სარკესთან ვვარჯიშობ, სიმღერას პირი ოსტატურად რომ ავაყოლო და ეს იოლი არ გეგონოთო, ანუ ეს უზნეობა დაგვაყვედრა.** რაღაც შოუებში რომ უზით ჟიურის წევრად, რომელსაც ერთი სიმღერაც არ აქვს ნამღერი ბოლომდე, შემსრულებლის ვოკალს კი არ აქცევს ყურადღებას, არამედ მის სექსუალურობაზე აქვს აქცენტი გადატანილი. მოკლედ, ადრე სტიოპაზე და ახლა სტეფანეზე ჩემი თვალსაზრისი მაქვს, მაგრამ, რადგან ვთქვით, რომ მას და მისნაირებს არ უნდა ავყოლოდით, თავი შევიკავე. თუმცა, რომ გვითხრა, ჩამორჩენილები ხართო, უნდა ავმდგარიყავი და ერთი შემომელაწუნებინა. სტიოპას თავი რომ დავანებოთ, ნათია კობერიძეს რა გაუკეთებია „მოდელირებული ქრონიკისა“ და იმის გარდა, რომ მიშა თავხელიძესთან წევს? ეს ადამიანები ქუჩაში როგორ გამოდიან?! ან თეონა კონტრიძე რა ამბავშია? ერთ-ერთ კონკურსანტს უთხრა, — გაიხადე, ჰეტეროსექსუალივით მღერიო. ავადმყოფები გამოჰყავთ სატელევიზიო ეთერში!

**— რამდენიმე დღის წინათ სოციალურ ქსელში გავრცელდა მეგის ქარდავას ქორწილის ვიდეო, ნაჩვენებია, როგორ ერთობიან „ნაცმოძაობის“ ყოფილი ლიდერები, ქართველი მომღერლები და სხვები...**

— უზნეოები არიან... ან იმ მომღერლებზე რა ვთქვა?! ღმერთმა მშვიდობაში მოახმაროთ „ნაცები“. **მერაბ სეფაშვილმა სააკაშვილს „ჩემი გმირი გიწოდე“ უმღერა და ამის შემდეგ რაღა უნდა გამიკვირდეს?!**

ესაუბრა
**ნინო მაისურაძე**

## «ისლამური სახელმწიფოს» ბიუჯეტი დაახლოებით 2 მილიარდი დოლარია

**ტერორისტულ დაჯგუფება „ისლამურ სახელმწიფოს“ თავის განკარგულებაში აქვს დაახლოებით 2 მილიარდი დოლარი, რომელსაც ის აშშ-სა და მის მოკავშირეებთან ხანგრძლივი ომისთვის გამოიყენებს, — წერს ფრანგული გამოცემა Le Noivel Observateur-ი.**

სირიაში ომის წარმოებისას ფუნდამენტალისტებმა გულუხვი ფინანსური დახმარება მიიღეს სპარსეთის ყურის ზოგიერთი სახელმწიფოსგან. ახლა კი ამ ტერორისტულ დაჯგუფებას დაფინანსების თავისი წყაროები გაუჩნდა. ერაყის ქალაქ მოსულის აღების შემდეგ ტერორისტებს ხელში ჩაუვარდათ 400 მლნ დოლარი, რომელიც ადგილობრივ ბანკს ჩამოართვეს. „ისლამური სახელმწიფო“, აგრეთვე, ეწევა რეკეტს და აგროვებს „რევოლუციისთვის გადასახადს“ დაპყრობილ ტერიტორიებზე სირიასა და ერაყში. ფინანსური შემოსავლების ერთ-ერთი წყარო ადამიანების გატაცებაცაა. გარდა ამისა, ისლამისტებმა საქმიანი კავშირები დაამყარეს მაფიოზურ დაჯგუფებებთან, რომლებიც დაინტერესებულნი არიან ნავთობის რესურსებით. ამჟამად ნავთობის გაყიდვით „ისლამური სახელმწიფოს“ შემოსავალი ყოველდღიურად მილიონ დოლარს შეადგენს“, — წერს ფრანგული გამოცემა. Le Noivel Observateur-ში გამოქვეყნებული ანალიტიკური წერილის ბოლოს აღნიშნულია, რომ უსამა ბენ ლადენის ტერორისტულ დაჯგუფება „ალ ქაიდას“ მხოლოდ მილიონი დოლარი დასჭირდა 2001 წლის 11 სექტემბრის ტერორისტული აქტის მოსაწყობად. 2-მილიარდიანი ბიუჯეტით კი „ისლამური სახელმწიფოს“ ტერორისტულ დაჯგუფებებს შორის კონკურენტი არ ჰყავს.

**ჩვენს მდგომარეობაში მყოფი ქვეყნისთვის ეს შიგა კოალიციური დაპირისპირება, შესაძლოა, ქვეყნისთვის საშიში გახდეს. მას აუცილებლად გამოიყენებს ის გარეშე ძალა, რომლისთვისაც საბოლოო მიზანი ღარიბაშვილის (იგულისხმება ივანიშვილის) ჩანაცვლებაა დასავლეთის გარკვეული წრეებისთვის უფრო მისაღები, მათგან უფრო მართული პიროვნებით.**

თვალსაზრისი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# საქართველოს ხელისუფლებაში ასეთი არაპროფესიონალიზმი არასდროს ყოფილა

**დაპირისპირება პრეზიდენტსა და პრემიერმინისტრს შორის ველარ იმალება. მთავარი წვლილი კი ამაში, სამწუხაროდ, ისევ იმას მიუძღვის, ვისი დამსახურებაცაა „ნაციონალური მოძრაობის" პოლიტიკური ოლიმპიდან ჩამოცოცება, რადგან კოალიციის შემადგენლობაც ერთი კაცის გემოვნებით შეიქმნა, პრეზიდენტიც მან „დაგვინიშნა" და მთავრობაც მან შეაკოწიწა. დღევანდელი სახელისუფლო ვერტიკალი ისეა აწყობილი, ეს ეხება საგარეო-პოლიტიკურ თუ ქვეყნის შიგა ეკონომიკურ სიტუაციას, ადმინისტრაციულ მენეჯმენტს თუ სოციალურ მდგომარეობას, რომ პასუხისმგებლობა მაინც შუშის სასახლის ბინადარს ეკისრება.**



ჩამოყალიბებული დემოკრატიული ტრადიციების მქონე ქვეყნისთვის აზრთა სხვადასხვაობა სახელისუფლო გუნდის შიგნით ნორმალური მოვლენაა, სასარგებლოც, მაგრამ **ჩვენს მდგომარეობაში მყოფი ქვეყნისთვის ეს შიგა კოალიციური დაპირისპირება, შესაძლოა, ქვეყნისთვის საშიში გახდეს. მას აუცილებლად გამოიყენებს ის გარეშე ძალა, რომლისთვისაც საბოლოო მიზანი ღარიბაშვილის (იგულისხმება ივანიშვილის) ჩანაცვლებაა დასავლეთის გარკვეული წრეებისთვის უფრო მისაღები, მათგან უფრო მართული პიროვნებით.** საქართველოს მიერ ამ ბოლო პერიოდში გატარებულმა ნაწილობრივ დამოუკიდებელმა საგარეო პოლიტიკამ, როგორც ჩანს, ბევრი გააღიზიანა. ეს ძალები მიჩვეულნი იყვნენ, რომ საქართველოს სათავეში უცილობლად კონტროლირებადი მმართველი ჰყოლოდათ.

ივანიშვილი კი მეტ-ნაკლებად ცდილობს, დამოუკიდებელი პოლიტიკური თამაში აწარმოოს, კაპიტალის სხვადასხვა კალათში გადანაწილების პრინციპიდან გამომდინარე. ესაა მთავარი ფაქტორი, რომლის გამოც ის ბევრს არ მოსწონს. არ მოსწონთ, პირველ რიგში, იმ წრეებს, რომლებიც მართავდნენ წინა პრეზიდენტს.

სააკაშვილისგან განსხვავებით, ივანიშვილი არ არის რომელიმე ერთ საგარეო ცენტრზე მთლიანად დამოკიდებული ფიგურა. რაც უნდა პიარდებოდეს მისი კავშირები რუსეთთან, მისი პოლიტიკური სვლები იმის მანიშნებელია, რომ იგი გარკვეულ პოლიტიკურ ავტონომიას მაინც ინარჩუნებს. რასაკვირველია, გამორიცხულია, არ ჰქონდეს კავშირები რუსეთთან (და ეს, ჩემი აზრით, კარგიცაა), მაგრამ იმგვარად დამოკიდებული რუსეთის ვექტორზე, როგორც სააკაშვილი იყო დამოკიდებული ამერიკის ვექტორზე, ნამდვილად არ იგრძნობა.

ამიტომ საქართველოში დაიწყეს იმ ფიგურების ძიება და მიზიდულობის ცენტრების ფორმირება, რომელთაც შეუძლიათ ჩაანაცვლონ ივანიშვილის ფიგურა. ამ წრეებს ძალიან კარგად ესმით, რომ „ნაციონალური მოძრაობა" ამ კუთხით არარეაბილიტირებადია. „ნაციონალები" გამოუსადეგარნი არიან უმრავლესობის მოპოვების საქმეში და მათაც შეარჩიეს ახალი ლიდერი, სააკაშვილივით იმ წრეებზე მთლიანად დამოკიდებული ფიგურა ბატონი ალასანიას სახით.

ქრონომეტრი ჩართულია, მესიჯები გაგზავნილი: მის გარშემო უნდა გაერთიანდეს საქართველოს ყველა „ხარისხიანი" მოქალაქე.

ეს წრეები ამ დაპირისპირების გასაღვივებლად იყენებენ ყველაფერს, როგორც ხელისუფლების შეცდომებს, ისე ყველა კონტროლირებად ძალას კონცენტრირებული პიარშეტევებით.

**„ოცნების", იმავე ივანიშვილის, შეცდომებიდან, რასაკვირველია, ყველაზე დიდი შეცდომა მარგველაშვილია.** ადამიანი, რომლის დამოუკიდებელი პოლიტიკური რეიტინგი სულ რამდენიმე პროცენტი იყო, ივანიშვილმა ის ხალხს შანტაჟის გზით აარჩევინა პრეზიდენტად. ეს შესაძლებელი გახდა მხოლოდ პირველი მოქალაქის ავტოკრატიულობის გამო. არ შეიძლება, მდიდარი ბიზნესმენი არ იყოს ავტოკრატი. მდიდარი ადამიანისთვის, როგორც წესი, ავტოკრატიზმი ხასიათის თანმდევი თვისებაა და მისი ხასიათის ამ მხარემ წარმოშვა ის მოცემულობაც, რომელშიც დღეს აღმოვჩნდით. მან პრეზიდენტის პოსტზე თავისთვის ყველაზე მისაღები, კომფორტული კანდიდატი შეარჩია (ასე ეგონა). შეარჩია ქარიზმას მოკლებული, ყველაზე არაამბიციური, ყველაზე „პლასტელინი" პიროვნება. იდეაში ასეთი ადამიანები პრობლემებს არ ქმნიან. შესაძლოა, ეგრეც ყოფილიყო, მაგრამ ბატონი მარგველაშვილიც ხომ ჩვეულებრივი ქართველია, ანუ ჩვენებურია. და როდესაც ამხელა ლეგიტიმაციას იღებ ხალხისგან, როგორი „პლასტელინიც" არ უნდა იყო, ამბიცია გაგიჩნდება... განსაკუთრებით ქართველს, აუცილებლად მოგაწვება ყელთან „ქართული ბურთულა".

რაც შეეხება მავანთა პიარ დარტყმებს, ის ემსახურება იმ მიზანს, რომ ეს დაპირისპირება კოალიციის შიგნით რაც შეიძლება მეტად გაღვივდეს, გამოვიდეს გარეთ, შეუქცევადი გახდეს და პარალელურად მომზადდეს იდეოლოგიური ფონი, რათა დისკრედიტებული ივანიშვილის მაგიერ ქვეყნის სათავეში მოვიდეს მათი ნდობით აღჭურვილი პიროვნება.

ეს კეთდება როგორც შიდა რესურსებით — იმ არასამთავრობო ორგანიზაციების მეშვეობით, რომლებსაც ეს წრეები უკვე, მინიმუმ, 20 წელი აფინანსებენ და რომლებიც მეტ-ნაკლებად ქმნიან საზოგადოებრივ აზრს, ასევე გარე მოთამაშეების მეშვეობით. ამის თვალსაჩინო მაგალითია ამერიკის ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის ბოლო გამოკითხვა, რომლითაც მათთვის სასურველი ფიგურების წინ წამოწევა და მიუღებლების უკან ჩაჩოჩება მოხდა.

**დღევანდელ სიტუაციაში ვინ შეიძლება იყოს ალასანიას მოკავშირე, სანამ მისი მოწინააღმდეგე კოალიცია „ქართული ოცნების" ღარიბაშვილის პოლიტიკური ფრთაა? პირველი მოკავშირე, რასაკვირველია, შეიძლება გახდეს საქართველოს პრეზიდენტი, ხოლო პოლიტიკური პარტიებიდან მას მხარს, ალბათ, რესპუბლიკური პარტია დაუჭერს. ღარიბაშვილის გარშემო წრე შეიკვრება. ღარიბაშვილის გუნდი დაკარგავს უბრალო უმრავლესობას პარლამენტში, საქართველოს პრეზიდენტი მოწინააღმდეგეთა ბანაკში იქნება და... დანარჩენი ტექნიკის საქმეა.**

რასაკვირველია, ეს ახალი პოლიტიკური ცენტრი „ნაციონალურ მოძრაობას" პოლიტიკურად არ გაიკარებს, მაგრამ თვით „ნაციონალებს" თვითგადარჩენის ინსტინქტი უცილობლად უკარნახებთ, მხარში ამოუდგნენ ახალ ალიანსს; მით უფრო, რომ მათ იდეოლოგიურ-მსოფლმხედველობრივი ერთობა და ორივე ჯგუფის საერთო საკურატორო ცენტრი აკავშირებთ. მაგრამ, სანამ ალასანია ოპოზიციურ ასპარეზზე ლიდერის მანტიას მოირგებს, ასეთი ლიდერი ზუსტად პრეზიდენტი შეიძლება იყოს. „გაიჩალიჩა ცარიელ ადგილზე" „ოცნებამ" მარგველაშვილი. ის ძლიერი პოლიტიკური მოთამაშე ხდება. მას აქვს უდიდესი ლეგიტიმაცია. მას რეალურად ვერ მოხსნი. საქართველოში კი „სკამს" ძალიან დიდი წონა და მომხიბვლელობა აქვს, პიროვნებაზე მეტი მომხიბლელობა. ამდენად, პოლიტიკური მოთამაშეების წონიდან გამომდინარე, ძალიან ძლიერი ოპოზიციური ცენტრი ყალიბდება, რომელსაც ექნება დასავლეთის ზემოთ ნახსენები ძალების აბსოლუტური მხარდაჭერა.

თუმცა ამ დაჯგუფებისთვის აქ ერთი სირთულე შეიძლება წარმოიშვას: **მათთვის მიზნის განხორციელებაში ყველაზე დიდი ბარიერი შეიძლება იყოს არა დაღმავალ მარგინალიზაციის ტრენდზე მყოფი „ოცნება", არამედ ქართული ეკლესია.**

„ნაციონალური მოძრაობის" იდეოლოგიის მსგავსი ძალა რომ მოვიდეს ხელისუფლებაში და დაამარცხოს „ოცნება", საჭიროა ქართული ეკლესიის ინსტიტუტის მთლიანი დისკრედიტაცია, გადამწყვეტ მომენტში განეიტრალებული რომ იყოს და საზოგადოებაზე ზემოქმედების ბერკეტი დაკარგული ჰქონდეს.

გრძნობენ რა სხეულის ყველა უჯრედით, რომ ქართული ნაციონალური ტრადიციონალიზმისთვის ამ ორ ძალას შორის ეკლესიის სიმპათია ღარიბაშვილისკენ გადაიხრება, პატრიარქი, რომელიც ამ ტრადიციონალიზმის ყველაზე ძლიერი გამოხატულებაა, ხელისშემშლელი, მიუღებელი ფაქტორი ხდება ამ გზაზე.

ამიტომაც ცდილობენ პატრიარქის პიროვნულ დისკრედიტაციას. აბსოლუტურად ზღვარგადასულია მათი თავდასხმები. ადრე დარტყმები თუ მხოლოდ ეკლესიის ცალკეულ, შესაძლოა, მართლაც ულირს წევრებზე კეთდებოდა, რომლებისთვისაც ეკლესია ისეთივე საშუალებაა მიწიერი სიკეთის მოსახვეჭად, როგორც ზოგიერთი პოლიტიკოსისთვის პოლიტიკაში მოსვლა, ამჟამად პირდაპირი შეტევა დაიწყეს უშუალოდ ყველაზე მაღალ ავტორიტეტზე. **თუ პატრიარქის ავტორიტეტი შეილახა, ეს ავტომატურად ეკლესიის ავტორიტეტს შეარყევს და პატრიარქის ხმა გადამწყვეტ მომენტში აღარ იქნება წონადი.**

აბა, გადავხედოთ, რა წერია ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის ბოლო „გამოკითხვაში", რაზეც რატომღაც ფსევდოკორექტულობის გამო არავინ ამახვილებს ყურადღებას.

„გამოკითხვის" მიხედვით, ერთ-ერთი ყველაზე დიდი, 5-პროცენტიანი სარეიტინგო ვარდნა საქართველოს პატრიარქს აქვს. რასაკვირველია, ეს სიგნალი გზავნილი იყო გარკვეული წრეებისთვის და მათ სწორადაც გაიგეს ის.

ორიოდ სიტყვით შევეხოთ იმას, თუ რა უნდა გაკეთდეს.

ცუდი ვერაფერი მოხდება, თუ დანიის სამეფოში წესრიგი იქნა. ხალხი დაიღალა, დაიღალა ამ გაუსაძლისი ყოფით, როდესაც ხედავს, რომ ფიგურების გადანაცვლებით მათთვის არაფერი იცვლება ან, თუ იცვლება, მხოლოდ უარესობისკენ. უკმაყოფილების გამომწვევი მიზეზები მრავალია, მაგრამ მთავარი მაინც ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობაა. ამაზე კი მრავალი ფაქტორი მოქმედებს: ქვეყანაში არანახული არაკომპეტენტურობაა. **საქართველოს ბოლო 23 წლის მანძილზე ხელისუფლებაში ასეთი არაპროფესიონალიზმი არასდროს ყოფილა. მისი გამომწვევი მიზეზი კი გაუგონარი ნეპოტიზმია, არნახული ტრაიბალიზმი. ამ არაკომპეტენტურობასთან ერთად, ქვეყანაში ფეხს იკიდებს მცოცავი კორუფციის ნიშნები არა მარტო ელიტურ, არამედ უკვე საშუალო რგოლებშიც. ქვეყანაში არნახული ჩინოვნიკური ფუფუნების ერა დაიწყო. ხელისუფლებაში არაინოვაციური აზროვნებაა. ჩინოვნიკთა უმრავლესობა ძალაუფლებით ტკბობის ნირვანაშია. ქვეყანა სტაგნაციაშია.** ეს ყველაფერს ეჩნევა: ქუჩებს, ინფრასტრუქტურულ ობიექტებს, სახელმწიფო მომსახურების სერვისებს, კრიმინალურ სიტუაციას, კომუნალურ მეურნეობას და ა. შ.

ამ მდგომარეობით, სხვანაირად რომ იყოს ქვეყანაში მდგომარეობა, გასაკვირი იქნებოდა.

სიტუაციას დროზე უნდა შველა და, სანამ გვიან არ არის, საჭიროა, საქართველოში გადაწყვეტილებების მიმღებებმა (თუ მიმღებმა) სახელმწიფოებრივი აზროვნება გამოავლინონ და ზემოთ აღნიშნულ პრობლემებს მიხედონ. წინააღმდეგ შემთხვევაში, ქვეყანას წინ პოლიტიკური ქაოსი და, აქედან გამომდინარე, დიდი ეკონომიკური კრიზისი ელის.

ჯერ კიდევ არ არის გვიან.

**მამუკა ჩხეიძე**

მსოფლიო



## სარკოზი ბრუნდება

**საფრანგეთის ყოფილი პრეზიდენტი ნიკოლა სარკოზი პოლიტიკაში ბრუნდება.** ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ოპოზიციური პარტიის ლიდერობასა და 2017 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობას გეგმავს, სარკოზიმ Facebook-ში საკუთარ გვერდზე განათავსა. „მე ვარ ჩემი პოლიტიკური ოჯახის საპრეზიდენტო კანდიდატი", — წერს ნიკოლა სარკოზი. სარკოზის ამ განცხადებით დასრულდა რამდენიმეთვიანი სპეკულაცია იმის შესახებ, დაბრუნდებოდა თუ არა პოლიტიკაში 59 წლის კონსერვატორი ექსპრეზიდენტი სოციალისტ ფრანსუა ოლანდთან 2012 წლის არჩევნებში დამარცხების შემდეგ.



გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**ხალხმა იცოდა, რომ ქვეყანაში არსებობდა სტალინური კონსტიტუცია, მაგრამ 90 პროცენტმა არ იცოდა, რა ეწერა მასში, მიუხედავად ამისა, ქვეყანა კანონის სრული დაცვით ცხოვრობდა და შრომობდა. რატომ? — სტალინური კონსტიტუცია ამკვიდრებდა ქვეყანაში და ხალხში ქრისტეს ათ მცნებას და მტკიცედ მოითხოვდა მის დაცვასა და შესრულებას.**

# გენერალისიმუსის პორტრეტისთვის

# სტალინის იუმორი

**მკითხველს თავი რომ არ მოვაბეზრო სახელმწიფოს მშენებლობისა და თავდაცვისუნარიანობის განმტკიცების საკითხებზე საუბრით, ზოგჯერ შემოგთავაზებთ სტალინის სახელმწიფო აზროვნებისა და მართვის იმ ფორმას, რომელსაც ის ხშირად მიმართავდა და ბრწყინვალედაც გამოსდიოდა. ქვეყნის მართვის ეს მეთოდი მსოფლიოში სტალინის იუმორად არის წოდებული. რამდენიმე ასეთ მაგალითს ქვემოთ გაეცნობით.**

1941-1945 წლების სამამულო ომის არნახულად დამანგრეველი შედეგების მიუხედავად, ქვეყანა თითქოს ჩვეულებრივად განაგრძობდა ცხოვრებას: იხვნებოდა მიწები, ილეწებოდა ხორბალი, იკრიფებოდა ყურძენი, მრავლდებოდა ცხვრის ფარა და საქონლის ჯოგი, თეატრებში იდგმებოდა სპექტაკლები, არა მხოლოდ ქალაქებში, არამედ სოფლებშიც. ეკრანზე ჩნდებოდა ახალ-ახალი ფილმები, იბეჭდებოდა წიგნები, იხსნებოდა საბავშვო ბაღები და კეთილმოწყობილი სკოლები.

დიდი თუ პატარა უფრთხილდებოდა ფეხსაცმელსა თუ ტანსაცმელს, ეკონომიურად მიირთმებდა პურს, ხარჯავდა საწვავს, თითქმის ნულამდე იყო დასული როგორც ეკონომიკური, ისე სისხლის სამართლის დანაშაული. ქალაქის მოსახლეობა, ძირითადად, „ტალონებზე“ ცხოვრობდა, რომელზეც მკაცრად იყო გაწერილი, ვის რამდენი გრამი პური, ბურღული, ცხიმი და საარსებო კალათაში შემავალი სხვა პროდუქტი უნდა მიეღო. ტალონებში შეტანილი პროდუქტების ფასი მცირე, მაგრამ მტკიცე ფასებით განისაზღვრებოდა, თუმცა იყო მაღაზიები, რომლებშიც თავისუფლად იყიდებოდა პროდუქტები „კომერციულ“ ფასებში. ამ მაღაზიებით სარგებლობას ყველა ერიდებოდა, რადგან მის „კლიენტს“ ხალხის რისხვა არ ასცდებოდა.

**ხალხმა იცოდა, რომ ქვეყანაში არსებობდა სტალინური კონსტიტუცია, მაგრამ 90 პროცენტმა არ იცოდა, რა ეწერა მასში, მიუხედავად ამისა, ქვეყანა კანონის სრული დაცვით ცხოვრობდა და შრომობდა. რატომ? — სტალინური კონსტიტუცია ამკვიდრებდა ქვეყანასა და ხალხში ქრისტეს ათ მცნებას და მტკიცედ მოითხოვდა მის დაცვასა და შესრულებას. შესრულებაზე პასუხისმგებლობას კი სახელმწიფო ზოგადად კი არ იღებდა თავის თავზე, არამედ კონსტიტუციის გარანტი სტალინი გახლდათ ერთპიროვნულად.**

ჩრდილოეთის პოლარულ წრეში მდებარე ქალაქი მურმანსკი სხვა ქალაქებისგან განსაკუთრებული სიცივით გამოირჩევა. ომის შემდგომ წლებში იქ შიმშილი მძვინვარებდა. საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ვ. ა. პროკოფიევი უძლური იყო, საკუთარი ძალებით ხალხი გადაერჩინა. მაღაზიების დახლებზე კომერციულ ფასებში გამოტანილი საქონელი მიუწვდომელი ხდებოდა ადამიანებისთვის, რის გამოც ცალკე პროდუქტები ფუჭდებოდა და ლპებოდა, ცალკე ხალხი შიმშილობდა. გადაულახავი პრობლემის წინაშე მდგომმა პროკოფიევმა ძალზე სარისკო ნაბიჯი გადადგა — ერთპიროვნულად გადაწყვიტა, 20%-ით შეემცირებინა ფასები ყოველhდღიური მოხმარების საქონელზე. სტალინურ ეპოქაში ფასების პოლიტიკის ერთპიროვნულ შეცვლაზე ფიქრი ფანტასტიკის სფეროს განეკუთვნებოდა, მაგრამ პროკოფიევმა ეს საკუთარ თავზე აიღო და გადაწყვიტა კიდეც. მაღაზიები რამდენიმე საათში დაიცალა პროდუქტებისგან, ხალხმა კი ამოისუნთქა.

გვიან საღამოს მურმანსკის საოლქო კომიტეტში ტელეფონმა დარეკა:

„ხვალ პოლიტბიუროზე იხილება მურმანსკის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივნის — ვ. ა. პროკოფიევის საკითხი. დასწრება სავალდებულოა. კრემლში გამოცხადების დრო 12:00 საათი“.

საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ამ ზარს ელოდა, რადგან ყველაფრის მცოდნე კა-გე-ბე ფხიზლად იყო ხალხის სადარაჯოზე.

ავდრის პირობებში, როდესაც საჰაერო მიმოსვლა შეწყვეტილი იყო, მოსკოვში დანიშნულ დროს ადამიანი ვერაფრით მოხვდებოდა, მაგრამ პროკოფიევი რის პროკოფიევი და რის კომუნისტი იყო, ეს ვერ მოეხერხებინა. ის საჰაერო თავდაცვის შტაბს მიადგა და სთხოვა, ბომბდამშენით მოსკოვში ჩაეყვანათ. შტაბმა, ნებართვის აღების შემდეგ, ღამის მოიერიშე ბომბდამშენით პროკოფიევი გამთენიისას მოსკოვის მახლობელ სამხედრო აეროდრომზე დასვა. დღის 12 საათზე ის პოლიტბიუროს სხდომაზე სტალინის წინაშე იდგა და პატაკს აბარებდა.

როგორ მოახერხეთ, ამხანაგო პროკოფიევ, ასე მოკლე დროში მურმანსკიდან მოსკოვში ჩამოსვლა? — ჩვეულებრივი ტონით მიმართა სტალინმა.

— კომუნისტისათვის შეუძლებელი არაფერია, ამხანაგო სტალინ. სამხედროები დამეხმარნენ და მოსკოვში ბომბდამშენით ჩამომიყვანეს. მიუხედავად იმისა, რომ სტალინმა ეს მარშრუტი კარგად იცოდა, საჭიროდ ჩათვალა საზოგადოებასაც გაეგო.



**სტალინი არ ჩქარობდა, დარბაზს კი ნერვები აწყდებოდა. ჩიბუხით ხელში ნელი ნაბიჯით ჩაუვლიდა პროკოფიევს, წინ გაუჩერდებოდა და თვალებში ჩახედავდა. შემდეგ კვლავ ნელა გააგრძელებდა გზას. ბოლოს გაწითლებული და განწირული პროკოფიევის წინ გაჩერდა, თვალებში ჩახედა და ჩუმად წარმოთქვა: — პროკოფიევი პატიოსანი, ინიციატივიანი და მებრძოლი კომუნისტია. არ ვიცი, რამდენად კანონიერია მისი მოქმედება, მაგრამ მიმაჩნია, რომ სამართლიანად მოიქცა. ჩვენ გვჭირდება ასეთი ადამიანები...**

— როგორ გაბედე, ამხანაგო პროკოფიევ, რომ პროდუქტებზე ფასები თვითნებურად შეამცირე? ხელყავი სახელმწიფოს და ფასების პოლიტიკა, უგულებელყავით კონსტიტუცია და საბჭოთა ხელისუფლება. იცით თუ არა, რომ ამისათვის სანიმუშოდ დაისჯებით?! — შავი ღრუბლები იკრიბებოდა პროკოფიევის თავზე. განრისხებული სტალინის წინ დგომა ხომ ურჩხულის წინაშე დგომას ნიშნავდა.

— **ამხანაგო სტალინ! ვიცი, რომ დავისჯები, ვიცი, რომ ჩავიდინე ანტისამართლებლივი აქტი, მაგრამ მე გადავარჩინე ხალხი, რომელთა მსახურებაც მევალებოდა. გაყინულ და დამშეულ ქალაქში ვერ შევძელი, მეყურებინა მალფუჭებადი პროდუქტებისთვის, რომლებიც ლპებოდა და ადამიანები კი, რომლებსაც კაპიკებიც არ ჰქონდათ საჭირო პროდუქტების შესაძენად, შიმშილით იხოცებოდნენ. ხალხის უკიდურესმა გაჭირვებამ გადამადგმევინა ეს ნაბიჯი და არ ვნანობ.**

პროკოფიევის ახსნა-განმარტებას დიდი გულისყურით უსმენდნენ და თვალს ადევნებდნენ პოლიტბიუროს სხვა წევრები და უსიტყვო თანადგომას გამოხატავდნენ მის მიმართ, მაგრამ მთავარი იყო, შეწყვეტდა თუ არა მრისხანებას „ზევსი“.

სტალინი არ ჩქარობდა, დარბაზს კი ნერვები აწყდებოდა. ჩიბუხით ხელში ნელი ნაბიჯით ჩაუვლიდა პროკოფიევს, წინ გაუჩერდებოდა და თვალებში ჩახედავდა. შემდეგ კვლავ ნელა გააგრძელებდა გზას. ბოლოს გაწითლებული და განწირული პროკოფიევის წინ გაჩერდა, თვალებში ჩახედა და ჩუმად წარმოთქვა:

— პროკოფიევი პატიოსანი, ინიციატივიანი და მებრძოლი კომუნისტია. არ ვიცი, რამდენად კანონიერია მისი მოქმედება, მაგრამ მიმაჩნია, რომ სამართლიანად მოიქცა. ჩვენ გვჭირდება ასეთი ადამიანები.

ყველა იქ მსხდომმა შვებით ამოისუნთქა პროკოფიევთან ერთად. ყველას უხაროდა, რომ სამართლიანობამ იზეიმა, კმაყოფილი იღიმებოდა თვითონ სტალინიც.

ბოლოს, როდესაც პროკოფიევის საკითხი თითქოს უკვე დასრულებული ჩანდა, სტალინმა კიდევ ერთხელ აიღო სიტყვა და პოლიტბიუროს მიმართა:

— **ამ კაცს მაინც მივაქციოთ ყურადღება, ვაკონტროლოთ, რომელიმე ქვეყანას თავისი ინიციატივით ომი არ გამოუცხადოს!**

პროკოფიევის კარგი კაცობა საერთო სიხარულსა და იუმორში გადაიზარდა.

**«ამ კაცს მაინც მივაქციოთ ყურადღება, ვაკონტროლოთ, რომელიმე ქვეყანას თავისი ინიციატივით ომი არ გამოუცხადოს!»**

**1942 წელს სსრკ-ს სტუმრად ეწვია დიდი ბრიტანეთის პრემიერმინისტრი უინსტონ ჩერჩილი. სტალინმა სტუმარი კრემლის ბინაში მიიპატიჟა სადილად, რომელსაც ესწრებოდა ამერიკის მომავალი ელჩი საბჭოთა კავშირში — ავრელ ჰარიმანი.**

სადილის შემდეგ სტალინმა სტუმარი ქართული სტუმარმასპინძლობის წესისამებრ დიდი პატივისცემით ბინიდან გამოაცილა. სტალინის ამ ყურადღებით გაოცებული ჰარიმანი თვალს არ აშორებდა სტალინს, რაც, რა თქმა უნდა, არ გამოჰპარვია მასპინძელს. სტალინმა ჩუმად მიმართა ჰარიმანს:

— ასე ეკუთვნის ბატონ ჩერჩილს. რადგან იგი ოთხი წლით უფროსია. ჰარიმანმა სტალინის ეს სიტყვები არ ჩათვალა სარწმუნოდ, რადგან ჩერჩილი გაცილებით ხანდაზმულად გამოიყურებოდა, სტალინმა კი ღიმილით ახედა აყლაყუდა ამერიკელს და პირჯვარი გადაიწერა:

— მე ნამდვილად 63 წლის გახლავართ.

როდესაც ჩერჩილი მოსასვენებლად და ღამის გასათევად სასტუმროში მიიყვანეს, გაოცებას ვერ ფარავდა, რომ დაბომბილ მოსკოვშ, მას მუშაობისა და დასვენების ყველა პირობა ჰქონდა შექმნილი: თბილი წყალი, მყუდრო გარემო და დელიკატესებით გამოჭედილი მაცივრები სრულ სიამოვნებას განაცდევინებდა ფუფუნების მოყვარულ სტუმარს. საუზმეზე ევროპული და რუსული სამზარეულოს კერძებს ემატებოდა უგემრიელესი კავკასიური კერძები, რომლებიც აღაფრთოვანებდა გურმან ჩერჩილს.

მომსახურე პერსონალმა სტალინს მოახსენა, რომ ჩერჩილს ლონდონიდან საგზლად წამოღებული ჰქონდა სენდვიჩები და მშრალი პროდუქტები დიდი ბრიტანეთის პრემიერმინისტრისთვის.

— **აფერისტი. უნდა, თავი შეგვაცოდოს, რომ თითქოს მთელი ინგლისი სენდვიჩებით იკვებება და ჩვენი დახმარება არ შეუძლიით, — გაიღიმა სტალინმა**.

გახურებული ომის დროს ამერიკის ელჩ ჰარიმანს სტალინმა აჩუქა საბჭოთა კინოფილმ „ვოლგა-ვოლგის“ ფირი ამერიკის პრეზიდენტ რუზველტისთვის გადასაცემად. ამერიკის საელჩო საგონებელში ჩავარდა და დიდხანს არკვევდა, რატომ აჩუქა სტალინმა აშშ-ის პრეზი-

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# მომსახურე პერსონალმა სტალინს მოახსენა, რომ ჩერჩილს ლონდონიდან წამოღებული ჰქონდა სენდვიჩები და მშრალი პროდუქტები. — აფერისტი, უნდა, თავი შეგვაცოდოს, რომ თითქოს მთელი ინგლისი სენდვიჩებით იკვებება და ჩვენი დახმარება არ შეუძლიათ, — გაიღიმა სტალინმა.

◀ დენტს ეს ფირი, რადგან იცოდნენ, რომ სტალინი არავის არაფერს ჩუქნიდა.

დიდი კვლევა-ძიების შემდეგ აღმოაჩინეს, რომ კინოფილმში შესრულებულ ერთ-ერთ მელოდიაში ისმოდა მეტ-ნაკლებად გასაგები სიტყვები:

**„ამერიკამ რუსეთს აჩუქა „პარახოდი", ბორბლები აქვს უსაშველოდ დიდი და საშინლად ნელი „ხოდი". რაც იმაზე მიანიშნებდა, რომ ამერიკიდან ლენდ ლიზის პროგრამით საბჭოეთის მომარაგება დიდი შეფერხებითა და დაგვიანებით მიმდინარეობდა.**

ლევ მეხლისი 1930-იან წლებში „პრავდის" მთავარ რედაქტორად მუშაობდა. მეხლისის უხეშობითა და სიმკაცრით შეწუხებული თანამშრომლები ხშირად მიმართავდნენ პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, მაგრამ უშედეგოდ. ერთხელაც „პრავდის" რედკოლეგიის წევრები სტალინთან მივიდნენ და განუცხადეს, რომ მათ არ შეუძლიათ მეხლისთან მუშაობა და ან ის გადაიყვანონ სხვა სამუშაოზე, ან თვითონ წავლენ რედაქციიდან.

უხერხულობაში ჩავარდნილმა სტალინმა რედაქციის თანამშრომლები დაამშვიდა და ჩვეული სიდინჯით ამბავი მოუყვა:

— უკაცრავად, მაგრამ, როგორც გინდათ, ისე გამიგეთ, არ შემიძლია, მის მიმართ რამე მოვიმოქმედო. მეხლისი ჩემთან თანაშემწედ მუშაობდა პოსკრებიშევამდე. ერთხელ ოჯახური მდგომარეობის გამო დამლაგებელმა, თურმე, სამსახურში დააგვიანა, რის გამოც მეხლისმა თითქმის სახელმწიფო ღალატში დასდო ბრალი, რომ მას უნდოდა სტალინის გაცივება და სიკვდილი, რადგან დროზე ღუმელი არ დაანთო და სტალინს მოუხდა ცივ ოთახში მუშაობა, რასაც შეიძლება ცუდი შედეგი მოჰყოლოდა. მეხლისს დამლაგებელი სამსახურიდან მოუხსნია. აცრემლებული თანამშრომელი ჩემთან შემოვიდა და მითხრა სამსახურში მისი დაგვიანების მიზეზი. მე ის სამსახურში აღვადგინე.

გავიდა ორი საათი, ჩემთან მეხლისი შემოვიდა და მაგიდაზე განცხადება დამიდო, რომლითაც სამსახურიდან განთავისუფლებას ითხოვდა. გაკვირვებულმა შევხედე და ვკითხე, რაში იყო საქმე. მიპასუხა, რომ მას არავითარი ავტორიტეტი არ ექნება თანამშრომლებში, რადგან მისი ბრძანება შევცვალე და ამიტომ არ ცნობს მიზანშეწონილად სამსახურის გაგრძელებას.

— აიღე განცხადება და განაგრძე მუშაობა, — ვუთხარი მე. გამიგონა. აიღო განცხადება და გავიდა. დღის ბოლოს ისევ შემოვიდა განცხადებით და მითხრა:

— არა, ვერ გადავხარშე ჩემი შეურაცხყოფა და მინდა, წავიდე სამსახურიდან.

— ნუ გამიხვრიტე ტვინი, აიღე განცხადება, დახიე და განაგრძე მუშაობა. დამიჯერა. გავიდა ხანი, თითქოს შევრიგდით, მაგრამ ერთ დღეს კვლავ შემოვიდა განცხადებით, რომ ტოვებდა სამსახურს.

გამოუვალ მდგომარეობაში ჩავვარდი და მეხლისი თქვენთან მთავარ რედაქტორად გამოვგზავნე, ახლა თქვენ გადაწყვიტეთ, როგორ ვიმოქმედო.

აკადემიკოს ევგენი ტარლეს, სახელმოხვეჭილ ისტორიკოსს, ხშირად ახსენებდა სტალინი. დიდად აფასებდა მის ისტორიულ ნარკვევს „ნაპოლეონის შემოსევა რუსეთზე", რომელსაც მინიჭებული ჰქონდა სტალინური პრემია.



**ადრე დილით ტარლეს ბინაში ტელეფონის ზარის ხმა გაისმა, მოულოდნელად გაღვიძებულმა აკადემიკოსმა გაოცება ვერ დაფარა, როცა ყურმილიდან სტალინის ხმა მოესმა:**
**— ამხანაგო ტარლე, თქვენ წაიკითხეთ «პრავდის» დღევანდელი ნომერი?**
**— არა, ჯერ ვერ მოვასწარი, ამხანაგო სტალინ.**
**— ძალიან კარგი, ნურც წაიკითხავთ, არც მე წამიკითხავს ბოლომდე.**

ადრე დილით ტარლეს ბინაში ტელეფონის ზარის ხმა გაისმა, მოულოდნელად გაღვიძებულმა აკადემიკოსმა გაოცება ვერ დაფარა, როცა ყურმილიდან სტალინის ხმა მოესმა:

— ამხანაგო ტარლე, თქვენ წაიკითხეთ „პრავდის" დღევანდელი ნომერი?

— არა, ჯერ ვერ მოვასწარი, ამხანაგო სტალინ.

— **ძალიან კარგი, ნურც წაიკითხავთ, არც მე წამიკითხავს ბოლომდე.**

ცნობისმოყვარეობით დაზაფრულმა ტარლემ საცვლების ამარა საფოსტო ყუთს მიაშურა და სასწრაფოდ გადაშალა გაზეთი „პრავდა", რომლის მთელ გვერდზე მისი ავისმოსურნის უზარმაზარი წერილი იყო გამოქვეყნებული. მეცნიერის მეგობრები განიცდიდნენ, რომ აკადემიკოსს გულს ატკენდა დაუმსახურებელი კრიტიკა, მაგრამ, მათ გასაოცრად, ტარლე სრულიად არ იმჩნევდა წყენას. რამდენიმე ნომრის შემდეგ „პრავდამ" წამყვანი მეცნიერების კოლექტიური წერილი გამოაქვეყნა, ტარლეზე გამოქვეყნებული ცილისმწამებლური პასკვილის საპასუხოდ.

1935 წელს გაიხსნა მოსკოვის ლეგენდარული მეტროპოლიტენი. გაზეთ „ვეჩერნაია მოსკვას" მთავარმა რედაქტორმა გამოუცხადა თანამშრომლებს, გასულიყვნენ ქალაქში და გამოეკითხათ მოსკოველები, რა შთაბეჭდილება დარჩათ მეტროპოლიტენზე. ჟურნალისტთა შორის იყო რიგითი კორესპონდენტი ტროფიმ იუდინი. ვიდრე ქალაქში მოსკოველთა გამოსაკითხად გავიდოდა, იუდინი მთავარი რედაქტორის კაბინეტს შემორჩა, სადაც არავინ არ იმყოფებოდა. კორესპონდენტს აზრად მოუვიდა, გაეგო, რას ფიქრობდა სტალინი მეტროპოლიტენის შესახებ და მაგიდაზე მდგარ კრემლის ტელეფონთან მივიდა. სტალინის ტელეფონმა დარეკა. ყურმილი სტალინმა აიღო:

— გამარჯობა, ამხანაგო სტალინ! თქვენ გაწუხებთ „ვეჩერნაია მოსკვას" კორესპონდენტი ტროფიმ იუდინი. მინდოდა, მეკითხა, მოგეწონათ თუ არა მოსკოვის მეტროპოლიტენი?

სტალინმა ყოველგვარი გაკვირვების გარეშე უპასუხა უცნობ რეპორტიორს:

— ჩაიწერეთ: „მეტროპოლიტენი ძალიან მომეწონა. მოსკოვის მეტრო საუკეთესოა მსოფლიოში!" იუდინმა მადლობა გადაუხადა ბელადს და ბედნიერი გამოვიდა რედაქტორის კაბინეტიდან. მაგრამ უბედურება ინტერვიუს წარდგენის დროს მოხდა:

„ვაითუ, სტალინის სიტყვები არ იყოს და შეცდომით გავიდეს პრესაში ან მართალი იყოს და ჩვენ პრესაში არ გავუშვათ". ბოლოს იუდინს მტკიცედ მოსთხოვეს პასუხი, წინააღმდეგ შემთხვევაში სამსახურიდან მოხსნიდნენ. იუდინი კოლეგიისა და რედაქტორის თანდასწრებით იმავე კაბინეტიდან და იმავე ტელეფონით კვლავ დაუკავშირდა სტალინს და მოახსენა თავისი უბედურება.

— არ მიჯერებენ, მხსნიან, ამხანაგო სტალინ, მე იუდინი ვარ, კორესპოდენტი".

— **გადაეცით, რომ თქვენი მოხსნა არ მიბრძანებია.**

იუდინმა ამის შემდეგ კიდევ ექვსი მთავარი რედაქტორი გამოიცვალა.

თავდაცვის მრეწველობის მინისტრი ბორის ვანნიკოვი ომის დაწყებამდე ერთი თვით ადრე დაიჭირეს და საკმაოდ მძიმე ბრალდება წაუყენეს. გავიდა ცოტა ხანი და ომიც დაიწყო. ვანნიკოვს „კარცერში" სტალინის განკარგულება შეუტანეს — ყოფილ მინისტრს ფურცელზე უნდა ჩამოეწერა თავისი მოსაზრებები მიმდინარე ომზე და გადაუდებელი საკითხების მოგვარების მისეულ ხედვებზე. ვანნიკოვს გარე სამყაროსთან არავითარი კონტაქტი არ ჰქონდა და ომის მიმდინარეობისა და მისი შედეგების შესახებ არაფერი იცოდა, მაგრამ ინტუიცია კარნახობდა, რა როგორ უნდა გაკეთებულიყო, რაც საფუძვლიანად ჩამოაყალიბა კიდეც და გაუგზავნა სტალინს. რამდენიმე დღის შემდეგ თავგადაპარსული ყოფილი მინისტრი სტალინის კაბინეტში შეიყვანეს. სტალინი მას ჩვეულებრივად და სამუშაო მდგომარეობაში შეხვდა და მიიღო არა როგორც პატიმარი, არამედ, როგორც მაღალი რანგის სამხედრო მოღვაწე. აზრთა ურთიერთგაზიარებისას ჩახედავდა ხოლმე ქაღალდებს, რომელიც ვანნიკოვმა რამდენიმე დღის წინათ შეადგინა ძალზე მოუხერხებელ და ნახევრადგანათებულ საკანში.

„ეტყობოდა, მას სტალინი საფუძვლიანად გაეცნო, რადგან აჭრელებული იყო ლურჯი და წითელი ფანქრებით", – იგონებს ვანნიკოვი.

— თქვენი წერილი შესანიშნავი სახელმძღვანელო დოკუმენტია შეიარაღების სამინისტროსთვის, ჩვენ მას აუცილებლად გავუგზავნით მინისტრს, რათა ამით იხელმძღვანელოს.

„შემდგომ მომმართა, რომ მე ბევრ რამეში ვიყავი მართალი: „ჩვენ შევცდით... ა პოდლეცი ვას ოკლევეტალი".

— ხვალიდან თქვენ უნდა გამოცხადდეთ საბრძოლო მასალების კომისარიატში მინისტრის თანამდებობაზე, — ბრძანა სტალინმა.

— ვერ შევძლებ, ამხანაგო სტალინ. მინისტრად გადაყვანილი თავგადახოტრილი ექსმინისტრი ვერაფრით შეიქმნის საჭირო ავტორიტეტს თავის უწყებაში.

— თქვენს ავტორიტეტზე ჩვენ ვიზრუნებთ, ამხანაგო ვანნიკოვ. ახლა კი საქმეს მიხედეთ.

მეორე დღეს, როდესაც ნაპატიმრალი მინისტრი თავის კაბინეტში შევიდა და სამუშაო მაგიდას მიუჯდა, წინ დახვდა „პრავდის" იმ დღევანდელი ნომერი, რომელშიც გამოქვეყნებული იყო ბრძანებულება ბორის ლვოვის ძე ვანნიკოვისთვის სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭების შესახებ. მან კიდევ ორჯერ დაიმშვენა მკერდი გმირის ოქროს ვარსკვლავით და ერთ-ერთი იყო იმ რჩეულ თექვსმეტთა შორის, რომლებიც სამჯერ გახდნენ სოციალისტური შრომის გმირები.

**მეორე დღეს, როდესაც ნაპატიმრალი მინისტრი თავის კაბინეტში შევიდა და სამუშაო მაგიდას მიუჯდა, წინ დახვდა «პრავდის» იმ დღევანდელი ნომერი, რომელშიც გამოქვეყნებული იყო ბრძანებულება ბორის ლვოვის ძე ვანნიკოვისთვის სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭების შესახებ. მან კიდევ ორჯერ დაიმშვენა მკერდი გმირის ოქროს ვარსკვლავით და ერთ-ერთი იყო იმ რჩეულ თექვსმეტთა შორის, რომლებიც სამჯერ გახდნენ სოციალისტური შრომის გმირები.**



## სტივენ უოლტი: ცივი ომის დასრულების შემდეგ ნატოს არსებობა ანომალიაა!

**„ის, რომ ცივი ომის დასრულების შემდეგ ნატომ განაგრძო არსებობა, გარკვეულწილად ანომალიაა, — წერს ამერიკელი პოლიტოლოგი ჟურნალ Foriegn Policy-ის ფურცლებზე. ექსპერტი აღნიშნავს, რომ ასეთი ალიანსები, ჩვეულებრივ, ამა თუ იმ მუქარის წინააღმდეგ იქმნებოდა და ბევრი მათგანი მაშინვე იშლებოდა, როცა კონფლიქტის საშიშროება ქრებოდა.**

**„ნატოს მომხრეები ცდილობდნენ, მოეძებნათ იმის ლოგიკური დასაბუთება, რატომ უნდა ეარსება ალიანსს ბერლინის კედლის დაცემის შემდეგ, თუმცა მათი მცდელობები „მკვდრადშობილი" იყო: ყოველწლიური სამიტებისა და ხმამაღალი განცხადებების მიუხედავად, ალიანსის შესაძლებლობები და მისი საჭიროება ბოლო ოცი წლის განმავლობაში განუხრელად მცირდებოდა",** — ამბობს პოლიტოლოგი, რომელიც 1996 წელს ბოსნიაში და 1999 წელს კოსოვოში ნატოს მიერ ჩატარებულ ოპერაციებს ნაწილობრივ წარმატებულს უწოდებს: „ამ ოპერაციებმა ნატო კიდევ უფრო საკამათო შედეგებამდე მიიყვანა. ნატოს მცდელობა ავღანეთში წარუმატებელი იყო, მაგრამ ალიანსის არც ერთ წევრს ამაზე არ ულაპარაკია. ისე კი, რაც ნატომ ლიბიაში ჩაიდინა, დასავლეთის ქედმაღლობის მონუმენტია... უკრაინაში კრიზისის დაწყებამდე კი ნატო მომაკვდავი ფრინველივით გამოიყურებოდა, რომელმაც ძლივს შეძლო 21-ე საუკუნემდე მიღწევა", — წერს პოლიტოლოგი.

„ექსპერტები ჯერ კიდევ 1990-იანი წლების დასაწყისში გვაფრთხილებდნენ, რომ ალიანსის გაფართოება ფუნდამენტური სტრატეგიული შეცდომა იქნებოდა. უკრაინის კრიზისი ბევრის, მათ შორის, პრეზიდენტ ბარაკ ობამას, მიერ აღიქმება როგორც ნატოს შემოწმება გაბედულებასა და უნარზე, მაგრამ ამჟამინდელი ვითარებაც კი ნატოს პრობლემებს ვერ მოაგვარებს. რუსეთი, მისი განზრახვები ყველაზე ცუდი თვალსაზრისით რომ განვიხილოთ, ისეთ საფრთხეს არ წარმოადგენს, როგორიც იყო საბჭოთა კავშირი.

# ცნობისათვის

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## CNN-მა პროცენტები აურია




**18 სექტემბერს აშშ-ის ტელეარხ CNN-ის ეთერში აჩვენეს ინფოგრაფიკა, რომლის მიხედვითაც შოტლანდიაში ჩატარებულ რეფერენდუმში დამოუკიდებლობას მხარი დაუჭირა 52 პროცენტმა, წინააღმდეგი კი 52 პროცენტი იყო. შემდეგ ეთერში სურათი შეიცვალა რეფერენდუმის შედარებით ზუსტი შედეგებით: 48 პროცენტი — მომხრე, 52 — მოწინააღმდეგე. თვითონ არხს მომხდარზე კომენტარი არ გაუკეთებია.** სააგენტო „ფრანს პრესის“ ბოლო მონაცემებით, შოტლანდიის დამოუკიდებლობისადმი მიძღვნილ რეფერენდუმში, დამოუკიდებლობის მომხრეებმა ხმების 44,7 პროცენტი მოაგროვეს, მოწინააღმდეგეებმა — 55,3. ამის მიუხედავად, შოტლანდიის პრემიერმინისტრმა ალექს სალმონდმა უკვე განაცხადა, რომ ლონდონისგან შოტლანდიის უფლებების გაფართოებას ელოდება. რეფერენდუმი შოტლანდიის დამოუკიდებლობის საკითხზე მიმდინარე წლის 18 მაისს გაიმართა. მოსახლეობის უმრავლესობას მხარი რომ დაეჭირა გაერთიანებული სამეფოდან გამოსვლისთვის, 2016 წლის 24 მარტს შოტლანდია დამოუკიდებლობას გამოაცხადებდა.




## იტალიელებმა ევროპარლამენტში რუსეთისთვის სანქციების დაწესება გააპროტესტეს

**17 სექტემბერს გამართულ ევროპარლამენტის სხდომაზე, რომელიც ევროკავშირთან უკრაინის ასოცირების ხელშეკრულების რატიფიკაციას მიეძღვნა, იტალიის ნაციონალისტური პარტია „ლეგა ნორდის“ წარმომადგენლები მივიდნენ მაისურებით, რომლებზეც ეწერა: „არა — რუსეთის წინააღმდეგ სანქციებს!“**




რუსეთის წინააღმდეგ დაწესებული სანქციების შედეგად გამოწვეულ ზარალზე მსჯელობისას, ერთ-ერთი იტალიელი დეპუტატი წამოდგა და თავისი დამოკიდებულება ამ სანქციებისადმი უცენზურო ჟესტებით გამოხატა.

დასავლური კომპანიები მილიარდობით დოლარს კარგავენ, მათი ზარალი კატასტროფულია რუსეთისთვის დაწესებული სანქციების გამო. განსაკუთრებით დაზარალდა მეხილეობისა და მებოსტნეობის დარგები. დასავლეთის ქვეყნების ფერმერები ყველა ხერხით ცდილობენ სანქციების გაპროტესტებას. მაგალითად, ესპანეთში ფერმერებმა კარტოფილი გამოიტანეს სუპერმარკეტებიდან და ქუჩაში დაყარეს. ამსტერდამში (ჰოლანდია), პროტესტის ნიშნად, ფერმერებმა პომიდვრების ომი მოაწყვეს. ავსტრიელმა ფერმერებმა კი ჩათვალეს, რომ პროდუქტის იაფად გაყიდვას ევროკავშირისგან კომპენსაციის მიღება სჯობს და რამდენიმე ათასი ტონა კომბოსტო გაანადგურეს.

## ინდოელი ტელეწამყვანი ჩინეთის ლიდერის სახელის არასწორად წარმოთქმისთვის დაითხოვეს

**ინდოეთის სახელმწიფო ტელევიზიის ახალი ამბების წამყვანი ჩინეთის ლიდერის სი ძიან პინის სახელის არასწორად წარმოთქმისთვის სამსახურიდან დაითხოვეს,** — **იუწყება Associated Pres-ი.** ტელეარხ Dooedarshan-ის ახალი ამბების წამყვან არჩანა დატას ჩინეთის ლიდერის სახელი რომაულ ციფრებში აერია და სი ძინპინის ნაცვლად „მეთერთმეტე“ ძინპინი“ თქვა.




### კარლ ჰიგბი:

## ერთადერთი, რაც ობამას შეუძლია, ფოტოკამერების წინ პოზირებაა

**აშშ-ის სამხედრო-საზღვაო ფლოტის ელიტური ქვედანაყოფის ყოფილი წევრი კარლ ჰიგბი თვლის, რომ პრეზიდენტი ობამა უუნაროა აშშ-ის ნაციონალური უსაფრთხოების გამოწვევების წინაშე.**

კარლ ჰიგბის აზრით, ერთადერთი, რაც ობამას შეუძლია, ფოტოკამერების წინ პოზირებაა, ამაზე კი აშშ-ის საგარეო პოლიტიკის გლობალური ჩავარდნა მეტყველებს.

„ის პოზირებს სამხედროების წინაშე, ფოტოებს იღებს მათ ფონზე და ამბობს, რომ 3000 ბიჭს ებოლას ვირუსის წინააღმდეგ საბრძოლველად გზავნის იმის ნაცვლად, რომ ისინი დაუპირისპიროს რეალურ მტრებს, რომლებიც ამერიკის უსაფრთხოებას ემუქრებიან“, — განაცხადა კარლ ჰიგბიმ ტელეარხ FOX-ის ეთერში გამოსვლისას.

**ჰიგბი მიიჩნევს, რომ ამერიკელი სამხედროების 90 პროცენტი არ ეთანხმება ობამას და უკმაყოფილოა მისი პოლიტიკით.**

ექსსპეცრაზმელმა ხაზი გაუსვა საფრთხეს, რომელიც მომდინარეობს დაჯგუფება „ისლამური სახელმწიფოს“ მებრძოლებისგან. **ამ ტერორისტულ დაჯგუფებას თავიანთი ძალებით ვერ უმკლავდებიან ერაყის შეიარაღებული ძალების წარმომადგენლები, მიუხედავად იმისა, რომ ისინი ამერიკელი ინსტრუქტორების მომზადებულნი არიან.**

**„ისლამური სახელმწიფოს“ მებრძოლებთან შედარებით, ერაყის სამთავრობო ჯარების წარმომადგენლებს არ ჰყოფნით პასუხისმგებლობა, ამოცანის გაცნობიერების უნარი და სულის სიმტკიცე“**, — აღნიშნა კარლ ჰიგბიმ.



## აშშ «ისლამური სახელმწიფოს» მებრძოლებს იარაღს თბილისის გავლით აწვდის?

**NEO-ს (ნოვოე ვოსტოჩნოე ობოზრენიე) ექსპერტი კავკასიის საკითხებში — ჰენრი კამენსი თავის სტატიაში წერს, რომ ნატოს ერთ-ერთი თვითმფრინავი (ხუთიდან) — „ანტონოვი“, რომელიც გერმანიაში არსებულ ბაზაზე იმყოფებოდა, „მოულოდნელად“ აღმოჩნდა თბილისის საერთაშორისო აეროპორტში.**

„ბორტი №UR 82072 ნატოს პირველი მრავალტონიანი სამხედრო-სატრანსპორტო თვითმფრინავი არ არის, რომელიც „მოულოდნელად“ ჩნდება თბილისში. იმის გათვალისწინებით, რომ 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ საქართველოსთვის იარაღის მოწოდებაზე ემბარგოა შემოღებული, ახლო აღმოსავლეთში იარაღის გადაზიდვა, სავარაუდოდ, საქართველოდან ხდება. აშშ განაგრძობს დაჯგუფება „ისლამური სახელმწიფოს“ მებრძოლების იარაღით მომარაგებას, მათ შორის, იმ იარაღით, რომელიც აკრძალულია საერთაშორისო კონვენციებით.

**აი, ასეთია ევროკავშირთან ასოცირებისა და სხვა ეკონომიკური პრეფერენციების ფასი: ეს არის ვალდებულება, ემსახურო აშშ-სა და ნატოს ქვეყნებს, როგორც იარაღის არალეგალურად გადამზიდავი პუნქტი!“** — წერს ჰენრი კამენსი.



### ბრუს განიონი:

## აშშ ნგრევის პროცესში მყოფი იმპერიის სასოწარკვეთილ მდგომარეობაშია

**„აშშ და მისი მოკავშირეები მრავალი წლის განმავლობაში აფინანსებდნენ და წვრთნიდნენ დაჯგუფება „ისლამური სახელმწიფოს“ წევრებს. ვაშინგტონი და მისი თანამზრახველები ტერორისტულ ორგანიზაციებს ისეთი ქვეყნების წინააღმდეგ საბრძოლველად იყენებენ, როგორიცაა ერაყი, სირია, რუსეთი და ირანი, — წერს ინტერნეტში თავის ვებგვერდზე კოსმოსში იარაღისა და ატომური ენერგიის საწინააღმდეგო ქსელის კოორდინატორი, ამერიკელი ბრუს განიონი.**



განიონის აზრით, აშშ ნგრევის პროცესში მყოფი იმპერიის სასოწარკვეთილ მდგომარეობაშია, მაგრამ ამ სტადიაზე ის ჯერ კიდევ ძალიან სახიფათოა. ჩიხში მოქცეულ ვაშინგტონს შეუძლია, ყველაფერი იკადროს და ნებისმიერს დაესხას თავს. აშშ — ეს არის სახელმწიფო, რომელიც სუსტდება და რომლის ნდობაც არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება.

„ხელთ მაქვს ინფორმაცია, რომ **ცდილობენ, „ისლამურმა სახელმწიფომ“ ფეხი მოიკიდოს რუსეთში. აშშ-ს იმიტომ სურს რუსეთის გახლეჩა ნაწილებად, ამერიკულ კომპანიებს ხელი რომ მიუწვდებოდეთ ამ ქვეყნის ბუნებრივ რესურსებზე.**

2012 წელს აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო იორდანიაში წვრთნიდა „ისლამური სახელმწიფოს“ მებრძოლებს სირიის ხელისუფლებასთან საბრძოლველად. ახლა ეს ტერორისტული დაჯგუფება სირიის ჩრდილოეთი ტერიტორიის მნიშვნელოვან ნაწილს აკონტროლებს. მიმდინარე წლის ივნისში კი „ბოევიკები“ შეიჭრნენ მეზობელ ერაყში და ხელთ ჩაიგდეს დიდი ტერიტორია.

„არ მაკვირვებს ცნობები იმის შესახებ, რომ აშშ „ისლამური სახელმწიფოს“ მებრძოლების წინააღმდეგ საბრძოლველად დაქირავებულთა გამოყენებას აპირებს. პენტაგონი დაცვის კომპანიებს, კერძო არმიებს იმიტომ ქირაობს, რომ ამერიკელი საზოგადოება წინააღმდეგია, ერაყის კიდევ ერთ ომში აშშ-ის ჯარი გაიგზავნოს“. ომში დაქირავებულთა მონაწილეობით კი ყველაფერს ჩუმად გააკეთებენ“, — წერს ბრუს განიონი.

## «ცდილობენ, «ისლამურმა სახელმწიფომ» ფეხი მოიკიდოს რუსეთში. აშშ-ს იმიტომ სურს რუსეთის გახლეჩა ნაწილებად, ამერიკულ კომპანიებს ხელი რომ მიუწვდებოდეთ ამ ქვეყნის ბუნებრივ რესურსებზე»



ცნობისათვის
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95




## მორავია, ჩეხეთი

**ავსტრია-უნგრეთის სამეფოს არსებობის პერიოდში მორავიის ისტორიულ ოლქს სამეფო მიწის განსაკუთრებული სტატუსი ჰქონდა და ჰყავდა პარლამენტი, რომელშიც ჩეხებსა და გერმანელებს ირჩევდნენ ეთნიკური ნიშნით დაყოფილი ოლქებიდან.** სამეფოს დაშლის შემდეგ რეგიონი ჩეხოსლოვაკიის საკუთრება გახდა, ჩეხოსლოვაკიის დაშლის (1993 წ) შემდეგ კი — ჩეხეთის რესპუბლიკის. მორავიის დამოუკიდებლობისთვის მებრძოლი ყველაზე ძლიერი ძალა არის მოძრაობა „კავშირი მორავიელი ხალხის აღორძინებისთვის“. 2007 წელს ამ ორგანიზაციამ გაავრცელა განცხადება, რომელშიც ნათქვამია, რომ მორავიელმა ერმა, რომელიც არის თანამედროვე ჩეხეთის მოსახლეობის ნახევარი, ვერ შეძლო თვითგამორკვევის შესახებ თავისი უფლების რეალიზება. კავშირის წევრები ჩეხეთის მთავრობისგან მორავიის (დედაქალაქი ბრნო) აღიარებას და მისთვის განსაკუთრებული სტატუსის მინიჭებას ითხოვენ.

# ახალი ქვეყნები, რომლებიც, შესაძლოა, ევროპის რუკაზე გაჩნდეს

**18 სექტემბერს გამართული რეფერენდუმის შედეგების (დამოუკიდებლობის მომხრე 44,7%, მოწინააღმდეგე — 55,3%) მიხედვით, შოტლანდიამ ვერ შეძლო დიდი ბრიტანეთის შემადგენლობიდან გამოსვლა და დამოუკიდებლობის მოპოვება, თუმცა შოტლანდიელები ბრძოლას განაგრძობენ და იმედოვნებენ, რომ ადრე თუ გვიან დასახულ მიზანს მაინც მიაღწევენ. გთავაზობთ მასალას ევროპის იმ კუთხეებზე, რომლებიც ძლიერ მიისწრაფვიან სრული დამოუკიდებლობისკენ.**




## კატალონია, ესპანეთი

**ესპანეთისგან კატალონიის გამოყოფის საკითხი რამდენიმე საუკუნის წინათ წამოიჭრა. 1930-იან წლებში სამოქალაქო დაპირისპირებისას კატალონიელებმა მხარი ცენტრალურ ხელისუფლებას დაუჭირეს ფრანსისკო ფრანკოს დიქტატურის წინააღმდეგ ბრძოლაში, ამისთვის კი ფრანკოს რეჟიმის პერიოდში სასტიკად დაისაჯნენ.**

1979 წელს კატალონიამ ავტონომიის სტატუსი მოიპოვა, შემდეგ ამას მოჰყვა კატალონიური ენის ოფიციალურად აღიარება. 2006 წელს გაიფართოვა ფინანსური დამოუკიდებლობა. მაგრამ, როგორც ჩანს, კატალონიელებისთვის ეს საკმარისი არ არის. კატალონია სუვერენიტეტის მოპოვებას ენობრივი, კულტურული და ეკონომიკური მიზეზებით ცდილობს. ეს ესპანეთის ყველაზე მდიდარი რეგიონია (მოსახლეობის ერთ სულზე მშპ-ის მიხედვით ევროპაში ლიდერთა შორისაა), ამიტომ ლოზუნგი „გვეყოფა, ესპანეთის გამოკვება“, იქ ძირითადი ლოზუნგია. 2012 წელს, რეგიონული არჩევნების შედეგების მიხედვით, პარლამენტში სადეპუტატო მანდატების დიდი უმრავლესობა კატალონიის დამოუკიდებლობის მომხრეებმა მოიპოვეს და ესპანეთიდან კატალონიის გამოყოფის დეკლარაცია გამოაქვეყნეს. 2014 წლის იანვარში კატალონიის პარლამენტმა მხარი დაუჭირა 10 თვის შემდეგ (9 ნოემბერს) რეფერენდუმის ჩატარებას დამოუკიდებლობის საკითხზე. თუმცა ესპანეთის საკონსტიტუციო სასამართლომ პლებისციტი უკანონოდ მიიჩნია. ამის მიუხედავად, კატალონიელების პარლამენტის განცხადებით, რეგიონი დამოუკიდებლობას 2015 წლის 24 აპრილს გამოაცხადებს.

ესპანეთის სოციოლოგიური კვლევების ცენტრის მონაცემებით, კატალონიის დამოუკიდებლობას ამ 7-მილიონიანი ავტონომიური ოლქის მოსახლეობის 55% უჭერს მხარს.




## ბასკების ქვეყანა, ესპანეთი

**კულტურული და ენობრივი განსხვავებების გამო ესპანეთის შემადგენლობაში შემავალ ბასკეთის ქვეყანაში ყოველთვის ძლიერი იყო სეპარატისტული განწყობა. ბასკებს საკუთარი სახელმწიფო — რესპუბლიკა ეუსკადი — მხოლოდ ერთხელ ჰქონდათ ისტორიაში: 1936 წლის ოქტომბერში, სამოქალაქო ომის პერიოდში. თუმცა ფრანკოს ჯარებმა სასტიკად ჩაახშეს სეპარატისტული მოძრაობა, რომლის შემდეგაც დიქტატორმა ბასკური ენა და დროშა აკრძალა.**

ბასკებმა ავტონომია მხოლოდ 1980 წელს მიიღეს — ფრანკოს მემკვიდრეობის სრული დემონტაჟის შემდეგ. ესპანეთისგან გამოყოფის რადიკალური მომხრეები — ნაციონალისტური ორგანიზაცია ETA-ს (ბასკების ქვეყანა და თავისუფლება. შეიქმნა 1962 წ.) წარმომადგენლები დამოუკიდებლობისთვის ბრძოლაში ტერორისტულ აქტებსაც არ ერიდებოდნენ. 1973 წელს მათ მადრიდის ცენტრში, ქუჩაზე, სადაც ესპანეთის მთავრობის მეთაური, ადმირალი კარერო ბლანკო, ავტომობილით მიდიოდა, აფეთქება მოაწყვეს. ამჟამად ბასკების ქვეყანას ყველაზე ფართო ავტონომია აქვს ესპანეთში. რეგიონს გადასახადების დამოუკიდებლად მართვის უფლებაც კი აქვს, ამის მიუხედავად, კატალონიის მაგალითით შეგულიანებულმა ბასკებმა 2014 წელს სრული დამოუკიდებლობის შესახებ განაცხადეს.

## ფლანდრია, ბელგია

**სეპარატისტების გამარჯვების შემთხვევაში ბელგია, პრაქტიკულად, ორ თანაბარ ნაწილად გაიყოფა — ქვეყნის სამხრეთში დარჩება ფრანგულენოვანი რეგიონი ვალონია, ჩრდილოეთში — ჰოლანდიურენოვანი ფლანდრია.**

მენტალური განსხვავების გარდა, ქვეყანაში დაძაბულობას აძლიერებს ეკონომიკური საკითხიც — ფლანდრიამ შეძლო მომსახურების სფეროს, ტურიზმისა და მაღალტექნოლოგიური წარმოების განვითარება; ვალონია კი, რომელიც ეკონომიკურ წარსულში ქვანახშირის მოპოვებასა და მეტალურგიას ეყრდნობოდა, მნიშვნელოვნად ჩამორჩა. წინააღმდეგობას, რომელიც ამჟამად სეპარატიზმში გადაიზარდა, საფუძველი ჩაეყარა 1830 წელს, ბელგიის შექმნის დღიდან. ვითარება გამწვავდა 2007 წელს, როდესაც ბელგიის პრემიერი ივ ლეტერნი გამოვიდა მოწოდებით ქვეყნის ბიუჯეტიდან ფლანდრიისთვის ნაკლები თანხების გადარიცხვის თაობაზე და განაცხადა: „ფლანდრიელებსა და ვალონებს სხვა არაფერი აერთიანებთ, მეფის, საფეხბურთო ნაკრებისა და ლუდის გარდა“. აღსანიშნავია, რომ ბელგიის ფედერაციის სუბიექტებიდან მხოლოდ ფლანდრია ფარავს თავისი ხარჯებით სოციალურ გასავლებს. ვალონია და ბრიუსელი კი საკუთარ თავს უზრუნველყოფენ მხოლოდ 60-70%-ით. ბელგიის ერთიანობის ერთადერთი გარანტი არის მეფე ფილიპი, რომელსაც ხშირად უწევს დიპლომატიის გამოყენება და ხან ვალონების, ხან კი ფლამინდიელების დათანხმება.




**P.S. შოტლანდიის დამოუკიდებლობა დიდი ბრიტანეთისთვის კრახი იქნება, რადგან ბრიტანული ნავთობის 9/10-ს შოტლანდიაში მოიპოვებენ, კაპიტალი კი ლონდონის საკუთრებაა. გარდა ამისა, შოტლანდიის გამოყოფა დიდ ბრიტანეთს სტრატეგიულ პრობლემებსაც შეუქმნის — ბრიტანეთის სამხედრო-საზღვაო ფლოტის ატომური წყალქვეშა ნავების ბაზა შოტლანდიის ქალაქ ფასლეინშია და ბაზის სხვა ადგილას გადატანა ინგლისს მილიარდობით გირვანქა სტერლინგი დაუჯდება. სწორედ ამიტომ ინგლისმა ყველაფერი იღონა, რომ შოტლანდია, რომელიც, საუკუნეებია, დამოუკიდებლობისთვის იბრძვის, გაერთიანებული სამეფოს შემადგენლობაში დარჩენილიყო.**




## ვენეტო (ვენეციის რესპუბლიკა), იტალია

**ვენეციის რესპუბლიკა მრავალი ათასწლეულის განმავლობაში იყო დამოუკიდებელი და მდიდარი სახელმწიფო. 1797 წელს ქვეყნის ბოლო მმართველი ნაპოლეონ ბონაპარტემ დაამხო და ვენეციის რესპუბლიკა ავსტრიას შეუერთა, 1866 წლის რეფერენდუმის შედეგების მიხედვით კი, რეგიონი იტალიის ნაწილი გახდა.**

მას შემდეგ ვენეტოს (ვენეცია და ვერონა) რეგიონში სეპარატისტული მოძრაობა არ ჩამცხრალა — ე. წ. ფიწლების მოძრაობის (Movimento deoforconi) გარდა, რომელიც ევროზონიდან სრულიად იტალიის გამოსვლას მოითხოვს, რეგიონში მოქმედებს ნაციონალისტების ორგანიზაცია, რომელმაც სახელი გაითქვა ქუჩის აქციებით — 1997 წელს ამ ორგანიზაციის წევრებმა ვენეციის ცენტრალურ მოედანზე (სან-მარკო) ტანკად გადაკეთებული ფურგონი გამოიყვანეს და მასზე თავიანთი დროშა აღმართეს.

**2014 წლის მარტში ჩატარდა რეფერენდუმი იტალიისგან ვენეტოს რეგიონის გამოყოფის თაობაზე. ტერიტორიის დამოუკიდებლობას რეფერენდუმში მონაწილეთა 89 პროცენტმა დაუჭირა მხარი.** აღსანიშნავია, რომ ვენეტოს მშპ იტალიის მთლიანი მშპ-ს 9%-ს შეადგენს, ანუ 138,99 მლნ ევროს.

## ბოლცანო, იტალია




**ბოლცანო-ბოცენი — სამხრეთ ტიროლი, რომლის მოსახლეობაც 500 ათასია, იტალიის შემადგენლობაში ავტონომიური პროვინციის უფლებებით შედის.**

ავსტრიის შემადგენლობაში მყოფი რეგიონი პირველი მსოფლიო ომის შემდეგ, სენ-ჟერმენის ზავის მიხედვით, იტალიას მიუერთეს. მიუხედავად იმისა, რომ რომის იურისდიქციაში შესული ალპური რეგიონის მოსახლეობა გერმანულად ლაპარაკობდა, მას მშობლიურ ენაზე განათლების მიღების უფლება მხოლოდ 1992 წელს მისცეს. კიდევ 9 წლის შემდეგ ბოლცანომ გერმანულ ენაზე მოლაპარაკე იტალიური ავტონომიის სტატუსი მიიღო. სეპარატისტულ მოძრაობას კი ბოლცანოში საფუძველი მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ჩაეყარა, როდესაც შეიქმნა იტალიისგან რეგიონის გამოყოფისა და ავსტრიის შემადგენლობაში დაბრუნების კომიტეტი. ამჟამად რეგიონის გამოყოფაზე აქტიურად იბრძვის „სამხრეთი ტიროლის განმათავისუფლებელი“ პარტია, რომელსაც ავსტრიელი ევა კლოტცი ხელმძღვანელობს, რომელიც მიიჩნევს, რომ იტალია ოკუპანტი სახელმწიფოა და უფლება არ აქვს, სამხრეთი ტიროლი მართოს. კლოტცის პოზიციას მოსახლეობაც იზიარებს ეკონომიკური მიზეზებით — ბოლცანო-ბოცენის პროვინციაში საშემოსავლო გადასახადი ყველაზე მაღალია ევროპაში.

ფოსტა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**თუ რუსეთი იყო ყველა ჩვენი უბედურების მიზეზი და ამერიკა მხსნელად მოგვევლინა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, მაშინ აგერ 25 წელი ხდება რუსეთიდან თავის დაღწევისა და ამერიკასთან დაძმობილებიდან და „ნაც-ქოცებიდან“ არავინ ამბობს იმას, რას „მივაღწიეთ“ ამ მეოთხედი საუკუნის განმავლობაში — სიმართლის თქმას ყველა გაურბის.**

# რას მივაღწიეთ ბოლო 25 წლის განმავლობაში, ანუ არაფერი შეიცვლება, სანამ...

**ჩვენ განსაკუთრებული არაფერი გვინდა, გვინდა ის, რაც ყველას სურს მსოფლიოში — მშვიდობა და ნორმალური, ადამიანური ცხოვრება. თუმცა, ჩვენ, ისევე, როგორც მცირე ერების უმეტესობას, თავსატეხიც გვაქვს — ფიზიკური გადარჩენა და ეროვნული სახის შენარჩუნება, დამატებით — თითქმის გადაუჭრელი პრობლემაც გვაქვს — წართმეული მიწების დაბრუნება.**



ცხადია, „ცარიელ მშვიდობას“ რა თავში ვიხლით, ისეთი მშვიდობა გვინდა, რომელიც ეკონომიკურ და კულტურულ აღმავლობას შეუწყობს ხელს და უკეთეს ცხოვრებას მოუტანს ჩვენს შვილებს მაინც; ისეთი, რომელიც ჩვენი ისტორიისთვის უცხო და გაუგონარი მასშტაბის ემიგრაციას დაუდებს ბოლოს და დემოგრაფიულ კატასტროფას შეაჩერებს. ადრე (მე-19 და მე-20 საუკუნეებში) თუ ქართველი კაცი განათლების მისაღებად რუსეთსა და ევროპაში მიდიოდა, და საქართველოდან იღებდა დახმარებას სწავლის გასაგრძელებლად, ახლა საკუთარი თავისა და ოჯახების გამოსაკვებად მიდის უცხოეთში და საქართველოში აგზავნის დახმარებას ოჯახის წევრების ფიზიკურად გადასარჩენად. **უცხოეთში გადახვეწილთა უმრავლესობა შრომისუნარიანი ასაკის ქალ-ვაჟები არიან, რომელთა 90% სამუდამოდ დაკარგულია საქართველოსთვის. არა, ისინი კიდევ დაუბრუნდებიან მშობლიურ მხარეს (მიწას მისაბარებლად მხოლოდ), მაგრამ მათი შთამომავლობა – თან წაყვანილი თუ იქ შეძენილი შვილები, უცხო გარემოში აღზრდილნი და განათლებამიღებულნი, იქ დაოჯახებულნი, მაღალ ხელფასებს შეჩვეულნი და, რაც მთავარია, გაუცხოებულნი(!), საქართველოს არ დაუბრუნდებიან;** იშვიათი გამონაკლისები, ხელმოცარული თუ წარმატებული ადამიანების კანტიკუნტად დაბრუნება, ვერაფერი შეღავათი იქნება გალატაკებული და გადაშენების პირას მყოფი ქვეყნისთვის.

ვიყოთ რეალისტები და ვთქვათ — **გეოპოლიტიკური მდებარეობის გათვალისწინებით, საქართველოს ნეიტრალიტეტი გამორიცხულია.** მხოლოდ კარის მეზობლები კი არა, სხვა ნახევარსფეროში მდებარე სახელმწიფოც არ დაგვანებებს თავს. ჩვენს ნეიტრალიტეტზე კი, ეს ჩასაფრებული სახელმწიფოები, საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე, არა მგონია, ერთმანეთში მორიგდნენ. ამიტომ მფარველი სახელმწიფო აუცილებლად გვჭირდება, მაგრამ, ბუნებრივია, **ისეთი მფარველი გვინდა, რომელიც მშვიდობის მოტანასთან ერთად პატივისცემით მოეპყრობა ჩვენს ტრადიციებს და კულტურას, შეგვინარჩუნებს მართლმადიდებლობას; შეეძლება, თავიდან აგვაცილოს ფრიად საშიში მოსალოდნელი გართულებები სამცხე-ჯავახეთში, მარნეულის რეგიონსა და აჭარაშიც (და აქ, საჭიროების შემთხვევაში, ფიზიკურადაც დაუპირისპირდეს თურქეთს) და, რაც უმნიშვნელოვანესია ჩვენი მომავლისთვის, შეეძლება, უმტკივნეულოდ, სისხლისღვრის გარეშე გადაჭრას საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის პრობლემა.**

**ერთი რამ უტყუარია: ვერც ამერიკა, ვერც ევროკავშირი, ვერც ნატო და, საერთოდ, ვერავინ ამ პრობლემებს ვერ მოგვიგვარებს.** ბევრჯერ თქმულა, მაგრამ ამერიკის მოიმედე პოლიტიკოსების თუ პოლიტოლოგების გასაგონად უნდა გავიმეორო: ჩვენ გამო რუსეთს არავინ შეებმება! ნატოს წევრ პოლონეთს ნატომ გადაჭრით უთხრა კარგა ხნის წინათ: ჩვენი იმედი ნუ გექნებათ, თვითონვე უნდა დაიცვათ თავიო; ჩვენც ხომ 2008-ში ჯერ თავი გაგვაყოფინეს შარში და შემდეგ წყლით „დაგვეხმარნენ“! დღეს უკრაინაც, რომელიც ჩვენი „ნაცების“ ტყუპისცალივით მსგავსმა არალეგიტიმურმა ხუნტამ (ასევე ამერიკის მიერ დანიშნულმა) სამოქალაქო ომში გახვია, რუსეთს გადაამტერა და ტერიტორიები დააკარგვინა, ფაქტობრივად, ხანგრძლივი ომისთვის გაწირა დასავლეთმა.

**ერთადერთი, რაც დასავლეთს აინტერესებს, არის არა ვინმეს (თუნდაც სტრატეგიულ პარტნიორად წოდებულის) ეკონომიკური დახმარება და მისი პრობლემების მოგვარება, არამედ ისეთი პროვოკაციული სიტუაციების შექმნა და მოქმედება, რომელთაც შედეგად ყოველთვის მოჰყვება რუსეთის მიმართ მტრული განწყობა მოსახლეობაში.** და ამგვარი მტრობა თუ გაგრძელდა ორი თაობის სიცოცხლის განმავლობაში, მერე ძველი, კეთილმეზობლური ურთიერთობის აღდგენა პრაქტიკულად შეუძლებელი გახდება. ეს კარგად მოეხსენებათ რუსეთის მტრებს, ანუ მათ, ვისაც რუსეთის ბუნებრივ სიმდიდრეებზე უჭირავთ თვალი და ვისაც მსოფლიოზე კონტროლი აქვთ დასახული მიზნად. აი, ამისთვის ისინი არავითარ ხარჯს არ ერიდებიან, უკვე სკოლის ასაკიდან, ჯერ ჩამოუყალიბებელი ახალგაზრდებიდან არჩევენ შესაფერის კანდიდატურებს თავიანთ ქვეყანაში თავიანთ ჭკუაზე გამოსაზრდელად, ხოლო შემდეგ უკანვე დასაბრუნებლად და მათ მიერვე უხვად დაფინანსებულ ე. წ. არასამთავრობო ორგანიზაციებში დასასაქმებლად, შემდგომში სახელმწიფო სტრუქტურებში გეგმაზომიერი გამწესებით.

ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე, ვინმეს მფარველობის ქვეშ ყოფნა არც ძველად ყოფილა საძრახისი და, მით უფრო, ახლაც არ უნდა იყოს, როცა აშშ, მეორე მსოფლიო ომამდე სანიმუშო ქვეყანა დემოკრატიულობის თვალსაზრისით, მსოფლიო ჟანდარმად იქცა და ეს „საპატიო“ ტიტული მეფისდროინდელ რუსეთს ჩამოართვა.

ჩვენთვის აუცილებელია მფარველი! მთავარია, როგორც ზემოთ აღვნიშნე, სწორად შევარჩიოთ. ისეთი, ვის ხელშიც ფიზიკურად გადავრჩებით და არ გადავშენდებით, ეროვნულ თვითმყოფადობას შევინარჩუნებთ და არ გადავჯიშდებით: ისეთი, ვინც წინაპრების თავდადებით დღემდე მოტანილ მართლმადიდებლობაზე უარის თქმას არ გვაიძულებს და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაში დაგვეხმარება

**ყველა ამ პირობას ერთადერთი სახელმწიფო აკმაყოფილებს — რუსეთი. მას ხელეწიფება ამ, ჩვენთვის სასიცოცხლო მიზნების რეალობად ქცევა და ეს საქმითაც აქვს დამტკიცებული ერთად ყოფნის 200 წლის განმავლობაში.** ერეკლე მეფის ბრძნული გადაწყვეტილება და რუსეთის „კოლონიად“ ყოფნა რომ არა, ჩვენი სახსენებელიც არ იქნებოდა დღეს. არათუ ის კულტურული აღმავლობა, რომელსაც მივაღწიეთ რუსეთის, განსაკუთრებით — საბჭოთა რუსეთის „უღელქვეშ“, არამედ ქართული ენა, ტრადიციები და სარწმუნოება დაახლოებით ისეთივე დღეში იქნებოდა, როგორშიც არის ირანში გადასახლებულ თუ თურქეთის მიერ ოკუპირებულ ქართულ მიწებზე მცხოვრებ ქართველებში.

**უარყოფითიც ბევრი გვახსოვს რუსეთის ხელში, მაგრამ დადებითს, რომელიც აშკარად გადაწონის უარყოფითს, რატომ ვივიწყებთ, უმადურობა ხომ სიმდაბლეა და არა სიქველე?!** როდესაც რუსეთის უარყოფით მხარეებზე და რუსეთის შემადგენლობაში საქართველოს კოლონიად ყოფნაზე ვლაპარაკობთ, ობიექტურობა მოითხოვს, ერთმანეთს შევადაროთ რუსეთისა და სხვა იმპერიები, რომლებსაც კოლონიებში მართლაც დამონებული ჰყავდათ ხალხები და ვიკითხოთ: **კულტურული, განათლებული და დემოკრატი (რუსეთთან შედარებით მაინც) დიდი ბრიტანეთის უღელქვეშ განვითარდა და აყვავდა ინდოეთი, საფრანგეთ-ესპანეთ-პორტუგალიის ხელში — აფრიკა-ამერიკის ხალხები, და თავისუფალი ინდიელები — ამერიკელების ხელში თუ საქართველო — რუსეთის ხელში?!** ამ მართლაც კოლონიებისა და საქართველოს კოლონიურობის ერთმანეთთან შედარება არც კი შეიძლება. იქ მილიონობით ადამიანი ამოწყვიტეს, ჩვენ კი, პირიქით, ვმრავლდებოდით; **იქ წერა-კითხვა არ იცოდა 99,9 პროცენტმა, ჩვენთან კი კულტურულ-საგანმანათლებლო ბუმი იყო და ცხოვრების დონით, პარადოქსია, მაგრამ ფაქტი, დამპყრობელ „კოლონიზატორებზე“ მაღლაც კი ვიდექით.** მსგავსი მაგალითების მოყვანა უამრავი შეიძლება. თუ რუსეთი იყო ყველა ჩვენი უბედურების მიზეზი და ამერიკა მხსნელად მოგვევლინა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, მაშინ აგერ 25 წელი ხდება რუსეთიდან თავის დაღწევისა და ამერიკასთან დაძმობილებიდან **და „ნაც-ქოცებიდან“ არავინ ამბობს იმას, რას „მივაღწიეთ“ ამ მეოთხედი საუკუნის განმავლობაში — სიმართლის თქმას ყველა გაურბის.** არადა, **ყველაფერი ხელის გულზე დევს: გამრავლების ნაცვლად, საქართველოს მოსახლეობა ერთი მესამედით შემცირდა; ცხოვრების დონე მკვეთრად დაეცა; უმუშევრობამ კატასტროფულად იმატა და ხალხი ქვეყნიდან გარბის; განათლება, განსაკუთრებით — მეცნიერება დაინგრა; კინო და თეატრი შავ დღეშია; პატრიარქსა და ეკლესიაზე დაუფარავი და შეურაცხმყოფელი შეტევა მიდის; ტერიტორიის მეხუთედი ამერიკელი „მრჩევლებისა“ და მათ მიერ შერჩეული „დემოკრატიის შუქურის“ წყალობით დაკარგულია, ანუ ყველაფერი, რაც „კოლონიად“ ყოფნის პერიოდში გვქონდა, ერთი ხელის მოსმით მოვსპეთ მტარვალი რუსეთის კლანჭებიდან თავდაღწეულებმა და მეგობარი ამერიკის კალთას თავშეფარებულებმა.** ▶

**ერთადერთი, რაც დასავლეთს აინტერესებს, არის არა ვინმეს (თუნდაც სტრატეგიულ პარტნიორად წოდებულის) ეკონომიკური დახმარება და მისი პრობლემების მოგვარება, არამედ ისეთი პროვოკაციული სიტუაციების შექმნა და მოქმედება, რომელთაც შედეგად ყოველთვის მოჰყვება რუსეთის მიმართ მტრული განწყობა მოსახლეობაში**

## შოტლანდიელმა ხალხმა ოთხი ერის ერთიანობა შეინარჩუნა



**დიდი ბრიტანეთის პრემიერმინისტრის — დევიდ კემერონის განცხადებით, შოტლანდიელმა ხალხმა შეინარჩუნა გაერთიანებული სამეფოს ოთხი ერის ერთიანობა.**

„შოტლანდიელებმა გამოხატეს თავიანთი ნება და რეფერენდუმის შედეგები უკვე ნათელია. მათ შეინარჩუნეს ჩვენი ქვეყანა, რომელიც ოთხი ერისგან შედგება და, მილიონობით სხვა ადამიანის მსგავსად, მეც ბედნიერი ვარ“, — განაცხადა დევიდ კემერონმა. რეფერენდუმის შედეგები აღიარა შოტლანდიის პირველმა მინისტრმა ალექს სალმონდმა და აღნიშნა, რომ იღებს შოტლანდიელი ხალხის გამოტანილ დემოკრატიულ ვერდიქტს.

**ისეთი მფარველი გვინდა, რომელიც მშვიდობის მოტანასთან ერთად პატივისცემით მოეპყრობა ჩვენს ტრადიციებსა და კულტურას, შეგვინარჩუნებს მართლმადიდებლობას; შეეძლება, თავიდან აგვაცილოს ფრიად საშიში მოსალოდნელი გართულებები სამცხე-ჯავახეთში, მარნეულის რეგიონსა და აჭარაშიც (და აქ, საჭიროების შემთხვევაში, ფიზიკურადაც დაუპირისპირდეს თურქეთს) და, რაც უმნიშვნელოვანესია ჩვენი მომავლისთვის, შეეძლება, უმტკივნეულოდ, სისხლისღვრის გარეშე გადაჭრას საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის პრობლემა.**

ფოსტა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ მოვსპეთ სწორედ ამერიკის მიერ მოცემული „კეთილი“ რჩევების და „დემოკრატიული“ რეფორმების წყალობით. ამ რეფორმებისა და ძია სემის ნება-სურვილის გამტარებლები ჩვენი წიაღიდან შობილი შობელძაღლები, კარგად მომზადებული (ამერიკაში, ცხადია!) მანქურთები რომ იყვნენ, ამას 2003 წლის ნოემბერში თუ ვერა, 2007 წლის ნოემბრიდან მოყოლებული მაინც ხომ ყველა ვხვდებით (გონებაშეზღუდულების გარდა). ჩვენ კი ვხვდებით, მაგრამ ეს არ შველის საქმეს — **სამწუხაროდ, „ნაცების“ მიერ ჩვენთვის თავსმოხვეულ და საქართველოს დამღუპველ საგარეო კურსს ხელისუფლება არ ცვლის.**

ზემოთ მოყვანილი ისტორიული ფაქტებიდან დასკვნის გამოტანა ადვილია: **ჩვენი გადარჩენა და წარსული დიდების დაბრუნება ერთადერთი სახელმწიფოს, ერთმორწმუნე რუსეთის მფარველობითაა შესაძლებელი!** თუ საქართველოს მომავალზე ვფიქრობთ, და არა მხოლოდ საკუთარი ოჯახის მომავალზე, მაშინ **ისევ დიდი ერეკლეს გზას უნდა დავადგეთ, თანაც დროზე, თორემ მერე, როცა საბოლოოდ გადავჯიშდებით, გვიანი იქნება!**

ეს, ასე ვთქვათ, ზოგადად თქმული. კონკრეტულად კი **არსებითად არაფერი შეიცვლება:**

***სანამ განვითარებადი ქვეყნების სიაში დავრჩებით და დასავლეთის მიერ გაწერილი გვექნება, რისი უფლება გვაქვს და რისი — არა** (როგორი განათლების, რომელი დარგის სპეციალისტების მომზადებისა და ეკონომიკის რომელი სფეროების განვითარების).

***სანამ მხოლოდ ამერიკაზე, როგორც ჩვენს მხსნელზე, ვიქნებით მიშტერებული;**

***სანამ არასაპარლამენტო ოპოზიცია ამერიკაში ივლის რეგულარულად, ვითომ მხოლოდ ინფორმაციის მისაწოდებლად** (თითქოს, ამერიკელებმა არ იცოდნენ, ჩვენთან რა ხდებოდა გუშინ ან რაც ხდება დღეს; აბუ გრეიბისა და გუანტანამოს ციხეების შემქმნელებს და წყლით წამების დამკანონებლებს ჩვენი ციხეების კადრებით გავაკვირვებთ თუ გულს ავუჩუყებთ?!);

***სანამ პირი ურწმუნო, უეროვნებო, დედ-მამისა და ბუნებით განსაზღვრული სქესის უარმყოფელი სახელმწიფოებისკენ გვექნება მიქცეული;**

***სანამ ხელისუფლება ნატოს,** როგორც ჩვენი უსაფრთხოების გარანტის და ტერიტორიული პრობლემების მომგვარებელის, **იმედით გვასაზრდოებს;**

***სანამ სოროსის ფონდში, ენ-დი-აიში, თავისუფლების ინსტიტუტსა და სხვა მსგავს, ამერიკიდან (დასავლეთიდან) დაფინანსებულ ე. წ. არასამთავრობო ორგანიზაციებში დაფრთიანებული ხალხი იქნება ხელისუფლებაში და ოპოზიციაში** (ამომრჩევლის თვალის ასახვევად და ერთიმეორის ჩასანაცვლებლად), **ძალოვან უწყებებში, პრესა-ტელევიზიაში, ექსპერტებად და მრჩევლებადაც;**

***სანამ ე. წ. არასამთავრობო ორგანიზაციების დაფინანსებასა და საქმიანობაზე კონტროლი არ დაწესდება;**

***სანამ არაპატრიოტი და ამერიკის შერჩეული ადამიანები დაინიშნებიან სახელმწიფოს მმართველებად** (მინისტრებად, მოსამართლეებად და სხვ.);

***სანამ რუსეთის საწინააღმდეგო განცხადებებს არ შევეშვებით;**

***სანამ პროკურატურა, სასამართლო, პოლიცია და ჯარი „ნაცებისგან“ არ გაიწმინდება;**

***სანამ „ნაცმოძრაობა“ არ გასამართლდება, დამნაშავე „ნაცები“ არ დაისჯებიან და მათი ქონების კონფისკაცია არ მოხდება;**

***სანამ ხელისუფლება ქართულ კულტურას, ისტორიულ ძეგლებს, დედაბუნებას დედინაცვალივით მოეპყრობა და ანტიეროვნულ, ანტიქისტიანულ კანონებს მიიღებს;**

***სანამ განათლება ფასიანი იქნება;**

***სანამ ხელისუფლება თვალს დახუჭავს რუსეთის პრეზიდენტის გაუგონარ საჯარო შეურაცხყოფაზე და ზომებს არ მიიღებს** ყოვლად გაუგონარი შინაარსის პლაკატების (FUCK PUTIN, ПУТИН ХУЙЛО და სხვ.) **ხელში დამჭერთა და ლოზუნგების გამხმოვანებელთა მიმართ** (რაც საქართველოს სირცხვილია და არა — სიტყვის თავისუფლების გამოხატულება);

***სანამ მართლმადიდებელი ეკლესიისა და პატრიარქის შეურაცხმყოფლებს პასუხს არ მოსთხოვს ხელისუფლება;**

***სანამ უცხოეთში წასულ (და იქ დაბადებულ) ყველა ქართველს საქართველოს მოქალაქეობა არ შეუნარჩუნდება (არ მიენიჭება) ისრაელში დამკვიდრებული წესის ანალოგიურად;**

***სანამ რეალური საარსებო მინიმუმი არ დადგინდება საერთაშორისო ნორმების შესაბამისად და პენსია მას არ გაუტოლდება;**

***სანამ მინიმალური ხელფასი არ დაკანონდება და საჯარო სამსახურებში მინიმალურ და მაქსიმალურ ხელფასებს შორის (პრემია-დანამატების ჩათვლით) დასაშვები მაქსიმალური სხვაობა არ განისაზღვრება;**

***სანამ დეპუტატების გამოწვევის წესი არ გამართივდება;**

***სანამ სამხედრო-პოლიტიკურ თუ სავაჭრო ბლოკებსა და კავშირებში (ნატოსა და ევროკავშირში) გაწევრების საკითხი ხალხის ნების, ქვეყნის ინტერესებისა და მოსალოდნელი საფრთხეების გაუთვალისწინებლად გადაწყდება;**

***სანამ სხვის ომებში მონაწილეობას საქართველოს დაცვად გაასაღებს ხელისუფლება;**

***სანამ ხელისუფლება ქართველი მეცნიერების აზრს არად ჩააგდებს და ყველა სამინისტრო-უწყებაში „ეკონომიკურ მკვლელებად“ წოდებულ დასავლელ მრჩევლებს იყოლიებს და მათი რეკომენდაციებით გაყიდის მიწას, წყალს, წიაღისეულს, სტრატეგიულ ობიექტებს და კატასტროფული შედეგების მომტან გიგანტურ ჰესებსაც ააშენებს;**

***სანამ ერთი პატიოსანი, გამოცდილი, გამბედავი, დიპლომატიური ნიჭით დაჯილდოებული და სამშობლოსთვის თავგადადებული ქართველი კაცი, ანუ დიდი სახელმწიფო რეჟისორი არ გამოჩნდება სამ მილიონ ქართველში და არ მოვა ქვეყნის სათავეში (არჩევნებით ან, თუნდაც, ძალით), რომელიც ყველას თავის კუთვნილ ადგილს მიუჩენს.**

**დიახ, თუ ეს ყველაფერი ასე დარჩა, არსებითად არაფერი შეიცვლება** — რამდენიმე პროცენტი ძველებურად უზრუნველად იცხოვრებს, ცოტა მეტი, ასე თუ ისე, ნორმალურად იარსებებს, დანარჩენს კი (დაახლოებით 80%-ს) ყოველდღიურად ლუკმაპურზე მოუწევს ფიქრი და მათხოვრობა; კიდევ უფრო დაიცლება საქართველო ქართველებისგან და გაივსება გადამთიელებით, ისევ დაკარგული გვექნება ტერიტორიები და ისევ გაგრძელდება ყველაფრის გადაბრალება ერთმანეთზე და რუსეთზე!

**კიდევ ბევრი „სანამ“-ის ჩამოთვლა შეიძლებოდა, მაგრამ დადებითი ძვრებისთვის ჩამოთვლილის გამოსწორებაც იკმარებს, რომელსაც ხელისუფლების შეცვლით თუ მივაღწევთ მხოლოდ**. ხელისუფლება კი უნდა ვცვალოთ მანამ, სანამ ქვეყნის ბედზე მოფიქრალი ხალხის უმრავლესობას არ მივიღებთ სახელმწიფო პოლიტიკის განმსაზღვრელ პარლამენტში. „ვაცალოთ, ვაცალოთ“ უნდა დამთავრდეს. ერთი წელი საკმარისი დროა, რომ ნათელი გახდეს, ამართლებს ახალი ხელისუფლება ხალხის ნდობას თუ ვერა; და თუ ვერა, რიგგარეშე არჩევნებიც უნდა დაინიშნოს. **ხალხის განწყობის ობიექტურად გამოვლენის საუკეთესო გზა კი რეფერენდუმია და არა პრემიერის ან პრეზიდენტის მოსაზრება!**

**იაკობ ლეჟავა**



**ყველაფერი ხელის გულზე დევს: გამრავლების ნაცვლად, საქართველოს მოსახლეობა ერთი მესამედით შემცირდა; ცხოვრების დონე მკვეთრად დაეცა; უმუშევრობამ კატასტროფულად იმატა და ხალხი ქვეყნიდან გარბის; განათლება, განსაკუთრებით — მეცნიერება დაინგრა; კინო და თეატრი შავ დღეშია; პატრიარქსა და ეკლესიაზე დაუფარავი და შეურაცხმყოფელი შეტევა მიდის; ტერიტორიის მეხუთედი ამერიკელი «მრჩევლებისა» და მათ მიერ შერჩეული «დემოკრატიის შუქურის» წყალობით დაკარგულია, ანუ ყველაფერი, რაც «კოლონიად» ყოფნის პერიოდში გვქონდა, ერთი ხელის მოსმით მოვსპეთ მტარვალი რუსეთის კლანჭებიდან თავდაღწეულებმა და მეგობარი ამერიკის კალთას თავშეფარებულებმა**



## სპორტის სახეობებიდან ფეხბურთი ყველაზე მეტად არის ჩაფლული კორუფციაში

**ფიფასა (საფეხბურთო ასოციაციების საერთაშორისო ფედერაცია) და ინტერპოლის ერთობლივი სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელმა ჯონ ებოტმა განაცხადა, რომ არსებობს ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფი, რომელიც ძალიან ვნებს საერთაშორისო სპორტს.**

ჯონ ებოტის თქმით, რუსეთის, ჩინეთის, აშშ-ისა და იტალიის საფეხბურთო ჩემპიონატებში განხორციელებული საიდუმლო მაქინაციებით ფეხბურთს ძალიან დიდი ზარალი ადგება.

**„ეს არის გლობალური პრობლემა. ჩვენ გვაქვს მტკიცებულებები, რომ დანაშაულებრივი ჯგუფები აშშ-ში, რუსეთში, ჩინეთსა და იტალიაში, აგრეთვე, ბალკანეთის ნახევარკუნძულზე დიდძალ ფულს „აკეთებენ“ გარიგებული მატჩების მეშვეობით. სიბინძურე სპორტის ბევრ სახეობაშია, მაგრამ ამ მხრივ ფლაგმანია ფეხბურთი და, რაოდენ პარადოქსულიც უნდა იყოს, კრიკეტი.** ამ მაქინაციებთან საბრძოლველად აუცილებელია უფრო ფართო, ვიდრე დღეს არის, საკანონმდებლო ბაზის შექმნა მსოფლიოს ყველა ქვეყანაში. ამასთანავე, უნდა შეიქმნას მარეგულირებელი ორგანოც, რომელიც სპორტში კორუფციის წინააღმდეგ იბრძოლებს“, — განაცხადა ჯონ ებოტმა.

ექსპერტთა შეფასებით, საფეხბურთო სამყაროში ფულის ჩრდილოვანი მიმოქცევის ოდენობა 400 მლრდ დოლარია.

## 2 პოლიციელის მკვლელი დაპატიმრებული არ არის

**მამაკაცი, რომელმაც 12 სექტემბერს პენსილვანიის შტატში 2 პოლიციელი მოკლა, ჯერ კიდევ არ არის დაპატიმრებული. გაქცეულმა ბოროტმოქმედმა ადგილზე მოკლა პატრულის ერთი წევრი — კაპრალი ბრაიან დიქსონი, მეორე კი — ალექს დუგლასი მძიმედ დაჭრილი მიატოვა.**

პოლიციამ დაადგინა მკვლელის ვინაობა — ეს არის 31 წლის ერიკ ფრეინი, ველურ ბუნებაში თავის გადარჩენის სპეციალისტი. სამართალდამცველთა თქმით, ბოროტმოქმედს შესწავლილი აქვს ადგილი, სადაც მკვლელობა ჩაიდინა, კარგად არის შეიარაღებული და ძალიან საშიშია.

ამბავი

## პოროშენკო: ომს პლედებით ვერ მოვიგებთ!

**უკრაინის პრეზიდენტ პეტრე პოროშენკოს ვიზიტი თეთრ სახლში წარუმატებლად დასრულდა. მან ვერ შეძლო შეთანხმება აშშ-ის პრეზიდენტ ბარაკ ობამასთან უკრაინისთვის მძიმე შეიარაღების მიწოდების თაობაზე. გარდა ამისა, აშშ უკრაინას არ მიანიჭებს ძირითადი მოკავშირის სტატუსს.** ობამა უკრაინას 46 მილიონი დოლარის დახმარებას დაჰპირდა. ამ დახმარებაში შედის რაკეტსაწინააღმდეგო რადარები, ავტომობილები და საპატრულო კატერები, კიდევ 7 მილიონი გამოიყოფა ჰუმანიტარული ორგანიზაციებისთვის, რომლებიც აღმოსავლეთ უკრაინაში მიმდინარე საომარი კონფლიქტის შედეგად დაზარალდნენ. თუმცა ობამასთან შეხვედრის წინ პოროშენკომ ჟურნალისტებს უთხრა, რომ უკრაინას იარაღი სჭირდება.

**„ჩვენ ომს პლედებით ვერ მოვიგებთ!“** — განუცხადა პოროშენკომ მასმედიის წარმომადგენლებს.



მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ბერლინი შეშფოთებულია იმის გამო, რომ გერმანიის მოქალაქეები ჯიჰადისტების რიგებს ავსებენ. სირიასა და ერაყში დღეისათვის გერმანული პასპორტის მქონე 300-ზე მეტი ადამიანი ომობს.

# ჯიჰადისტებო, კეთილი იყოს თქვენი მობრძანება ევროპაში!

**დედა ევროპა შიშით კანკალებს იმ ჯიჰადისტების წინაშე, რომლებიც რეალურ ბრძოლებში გამოცდილების მიღების შემდეგ ცხელი წერტილებიდან „სამშობლოში" ბრუნდებიან. ევროპას უკვე მათიც კი ეშინია, ვინც ცხელ წერტილებში არ ყოფილან. მაგალითად, ფრანგულმა სასამართლომ შეუჩერა ბირთვულ ობიექტებთან დაშვება ერთ-ერთ მუსლიმან ინჟინერს მხოლოდ იმის გამო, რომ იგი ერაყელ ჯიჰადისტებთან კავშირშია ეჭვმიტანილი. ლონდონის პოლიციის უფროსმა ბერნარდ ჰოგან-ხოუმ კი განცხადება გააკეთა იმის თაობაზე, რომ მისი თანამშრომლების მიერ გამოვლენილია გაერთიანებული სამეფოს, სულ მცირე, 250 მოქალაქე, რომლებიც სირიაში იბრძოდნენ და უკვე დაბრუნდნენ სამშობლოში.**

ერთი ფრანგი მამაკაცი, 29 წლის ინჟინერი, სასამართლოში აღმოჩნდა, რადგან ერაყელ ჯიჰადისტებთან კავშირში იქნა ეჭვმიტანილი. ფრანგული ენერგეტიკული გიგანტის — EDF-ის დაქირავებული კომპანიის ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა, ეჭვმიტანილისთვის შეეჩერებინა ბირთვულ ობიექტებთან წვდომა. სასამართლომ მხარი დაუჭირა ამ გადაწყვეტილებას. როგორც EDF-ის ადმინისტრაციამ აღნიშნა, ამ ინჟინერს რამდენიმე წლის მანძილზე ჰქონდა დაშვება ბირთვულ ობიექტებთან. მაგრამ გაირკვა, რომ მას ამავე დროს კონტაქტები ჰქონდა ტერორისტულ დაჯგუფებებთან, ასევე პიროვნებასთან, რომელიც ერაყში ომისათვის ამზადებდა ბოევიკებს.

**საფრანგეთის ხელისუფლებას ეჭვისა და მღელვარებისთვის სრული საფუძველი შეექმნა. ამჟამად ქვეყანაში დაახლოებით ხუთი მილიონი მუსლიმანი ცხოვრობს და საფრანგეთი შეშფოთებულია ამ ადამიანთაგან ზოგიერთის რადიკალიზაციით.**

ქვეყანაში უკვე არაერთი სასამართლო პროცესი გაიმართა მუსლიმანების მონაწილეობით. ერთ-ერთი გახმაურებული პროცესი იყო ფიზიკოს ალან იშორის საქმესთან დაკავშირებით. ამ ადამიანს ორმაგი მოქალაქეობა ჰქონდა — საფრანგეთისა და ალჟირის. 2012 წლის მარტში პარიზის სასამართლომ იგი „ალ ქაიდას" ალჟირულ ფრთასთან თანამშრომლობაში ეჭვმიტანილად გამოაცხადა. იმავე წლის მაისში იშორს ხუთი წლით პატიმრობა მიუსაჯეს.

2014 წლის ივლისში საფრანგეთის ხელისუფლებამ გამოაცხადა, რომ თავიდან იქნა აცილებული მთელი რიგი ტერაქტები, რომელთა განხორციელებასაც ქვეყნის ტერიტორიაზე ისლამისტი რადიკალები აპირებდნენ. თავდასხმის ობიექტები ეიფელის კოშკი და ლუვრი უნდა ყოფილიყო.

ლონდონის პოლიციის უფროსმა ბერნარდ ჰოგან-ხოუმ ახლახან განაცხადა, რომ პოლიციურმა უწყებამ გამოავლინა გაერთიანებული სამეფოს დაახლოებით 250 მოქალაქე, რომლებიც ადრე სირიაში იყვნენ საომრად და ისლამური დაჯგუფებების რიგებში იდგნენ, ახლა კი უკვე სამშობლოში დაბრუნდნენ.

ცოტა ხნით ადრე ქვეყნის პრემიერმინისტრმა დევიდ კემერონმაც ბრძანა, რომ „ბრიტანელები", რომლებიც სახლში ბრუნდებიან, საფრთხეს წარმოადგენენ ქვეყნისა და ხალხისთვის. მან აღნიშნა, რომ „საფრთხის მასშტაბები იზრდება" მათი მხრიდან, ვინც ახლო აღმოსავლეთში ომში მონაწილეობის შემდეგ შინ ბრუნდებიან. პრემიერის თქმით, **ტერორისტული საფრთხის დონე ბრიტანეთში „არსებითიდან" „მძიმემდე" ამაღლდა.**

„ეს აღნიშნავს, რომ ტერაქტები სავსებით მოსალოდნელია", — დააზუსტა დიდი ბრიტანეთის შინაგან საქმეთა მინისტრმა ტერეზა მეიმ.

„ერაყისა და სირიის სიღრმეში ექსტრემისტული ხალიფატის შექმნისკენ მისწრაფება საშიშროებას წარმოადგენს ჩვენი უსაფრთხოებისთვის აქ, დიდ ბრიტანეთში", — დააზუსტა მისტერ კემერონმა.

ამერიკელი ჟურნალისტის — ჯეიმს ფოულის ჯალათი ბრიტანელი აბდელ-მაჯიდ აბდელ ბარი, მეტსახელად ჯიჰადი ჯონია. ამ წარმატებულმა 23 წლის რეპერმა აღმოსავლეთ ლონდონში მდებარე მილიონ ფუნტ სტერლინგად ღირებული სახლი სირიული ჯიჰადის გამო მიატოვა. მამამისი ეგვიპტელი ადელ აბდელ ბარია, რომელმაც 1993 წელს ბრიტანეთში პოლიტიკური თავშესაფარი მიიღო. საინტერესოა, რომ იმ პერიოდშივე ეს ადამიანი უსამა ბენ ლადენის მარჯვენა ხელი იყო. ადელ აბდელ ბარი ბრიტანეთში „ისლამური ჯიჰადის" წარმომადგენლობის მეთაური გახდა. მხოლოდ 2012 წელს მოხდა აშშ-ში მისი ექსტრადიცია და ახლა იზოლაციაში ელოდება სასამართლოს ტერაქტებში მონაწილეობის ბრალდებებთან დაკავშირებით.

დღესდღეობით ევროპაში გრძელდება დისკუსია იმ ზომების შესახებ, რომლებიც ხელისუფლებამ უნდა მიიღოს ჯიჰადისათვის გამგზავრებულ პირებთან დაკავშირებით. ყველაზე რადიკალური წინადადებით ლონდონის მერი ბორის ჯონსონი გამოვიდა.

მერის აზრით, ნებისმიერი, ვინც ერაყსა თუ სირიაში საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობის მისაღებად გაემგზავრება, აპრიორი ტერორისტად უნდა ჩაითვალოს („დამნაშავეობის პრეზუმპცია").



## ტერორისტული საფრთხის დონე ბრიტანეთში «არსებითიდან» «მძიმემდე» ამაღლდა



„კანონი ისე უნდა შეიცვალოს, რომ ყველა, ვინც საომარი მოქმედებების ზონებს ხელისუფლების საქმის კურსში ჩაყენების გარეშე ეწვევა, ტერორისტად ჩაითვალოს", — წამოაყენა წინადადება მისტერ ჯონსონმა. რაც შეეხება იმ ბრიტანელებს, რომლებიც ისლამური სახელმწიფოს ან სხვა დაჯგუფებების რიგებში იბრძვიან, უნდა ჩამოერთვათ გაერთიანებული სამეფოს ქვეშევრდომობა. მაგრამ მერის ინიციატივას ხელისუფლებამ მხარი არ დაუჭირა.

ჟურნალისტები აღნიშნავენ, რომ, მიუხედავად ამ წინადადების უკუგდებისა, ხელისუფლება მაინც იყენებს ზომებს, რომლებიც ჯონსონმა შესთავაზა მას. 2013 წლის დეკემბერში სამეფოს ქვეშევრდომობაზე უარი უთხრეს ბრიტანეთის 20 მცხოვრებს, რომლებიც სირიაში გაემგზავრნენ საომრად.

გარდა ამისა, ყოველთვიურად საშუალოდ 10 ბრიტანელს ეუბნებიან უარს ერაყსა და სირიაში გამგზავრების ნებართვაზე. ამგვარი წამსვლელების გამოთვლაზე მუშაობს „ძალადობრივი ექსტრემიზმის გაფრთხილების" პროგრამა, რომელიც ლონდონში 2005 წელს მომხდარი ტერაქტების შემდეგ ამოქმედდა. ეს პროგრამა სპეცსამსახურებს უფლებას აძლევს, მიიღონ ინფორმაცია სამეფოს მუსლიმანური თემის ნებისმიერი წევრის შესახებ.

ღელავს გერმანიის ხელისუფლებაც. ბერლინი შეშფოთებულია იმის გამო, რომ გერმანიის მოქალაქეები ჯიჰადისტების რიგებს ავსებენ. **სირიასა და ერაყში დღეისათვის გერმანული პასპორტის მქონე 300-ზე მეტი ადამიანი ომობს.** კონსტიტუციის დაცვის ფედერალური სააგენტოს მონაცემებით კი, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში დაახლოებით 43 000 ისლამისტი ძალადობისთვის მზადაა, ამიტომაც ახლო აღმოსავლეთში ბრძოლაგამოვლილი და შინ დაბრუნებული რადიკალები გერმანულ მიწაზეც იოლად იპოვიან თანამოაზრეებს, რომლებიც მზად იქნებიან, ომი გააჩაღონ „ურწმუნოებთან".

აღმოსავლეთმცოდნე ისტორიკოსი და საერთაშორისო ურთიერთობათა სპეციალისტი დიმიტრი დობროვი ხანგრძლივი დროის მანძილზე მუშაობდა ჟურნალისტად და თარჯიმნად, როგორც ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში, ასევე გერმანიასა და ავსტრიაში. მისი განცხადებით, „ისლამური სახელმწიფოსთვის", ნახევრადგაუნათლებელი „ალ ქაიდასგან" განსხვავებით, საკმაოდ მაღალი პროფესიონალიზმია დამახასიათებელი. ექსპერტის განცხადებით, **„ისლამური სახელმწიფოს" იდეოლოგიური ბირთვი შედგება არა მხოლოდ სადამ ჰუსეინის არმიის ყოფილი ოფიცრებისგან და პარტია ბაასის წევრებისგან, არამედ ევროპის ქვეყნებიდან ჩასული ფანატიკოსი ისლამისტი რადიკალებისგანაც. ყველა მათგანს სუნიტური ნაციონალიზმი და დასავლეთისადმი სიძულვილი აერთიანებს.**

„ევროპელებმა გათხარეს ორმო, რომელშიც თავადვე ჩაცვივდნენ: დაქირავებულებმა არ მიიღეს მათი ღირებულებები და მათ დუდუკზე არ აცეკვდნენ და ვიდრე ისინი ამ ორმოში სხედან, ტერორიზმმა ინტერნაციონალური სახე მიიღო, მოიცვა რა დიადი ჯიჰადის შესახებ საკუთარი იდეებით ევროპელი ახალგაზრდობაც. ისინი უკვე იყვნენ სირიასა და ერაყში, სადაც ტროტილის ქამრები შემოირტყეს და კაცობრიობის წინაშე დანაშაულებები ჩაიდინეს. ჩვენმა დასავლეთევროპელმა „პარტნიორებმა" არასწორად განსაზღვრეს პრიორიტეტები საგარეო პოლიტიკაში. პასუხად ბოევიკებმა უკუპროცესი აამუშავეს ყოფილი „ვასლებისა" და სხვა რწმენის მიმდევართა გასანადგურებლად. ჯიჰადის მომხრენი ბარბაროსულად ამაგრებენ თავიანთ ცეცხლოვან პოზიციებს და ნელ-ნელა, მაგრამ ყველასგან მოურიდებლად აღიჭურვებიან თანამედროვე შეიარაღებით".

სიუჟეტის დასასრულებლად საუდის არაბეთის მეფე აბდალას სიტყვებიც კმარა. რამდენიმე დღის წინათ მეფემ ამ განცხადებით უცხოეთის ელჩებს მიმართა.

„გთხოვთ, ეს გზავნილი თქვენს ლიდერებს გადასცეთ... ამ მომენტისთვის ტერორიზმი წარმოადგენს ბოროტ ძალას, რომლის წინააღმდეგაც საჭიროა სწრაფად და გონივრულად ბრძოლა. თუ ამას უგულებელყოფთ, დარწმუნებული ვარ, რომ ერთი თვის შემდეგ ტერორიზმი ევროპამდე ჩავა, კიდევ ერთ თვეში კი — ამერიკის შეერთებულ შტატებამდე".

ძნელი სათქმელია, თუ რა მიზანი ჰქონდა მეფეს, როდესაც ამას ამბობდა: სურდა, დასავლეთისთვის რაიმე აეხსნა თუ უბრალოდ მის შეშინებას ცდილობდა. ვინ, თუ არა ვაჰაბიზმისკენ მიდრეკილმა საუდიტებმა გააჩაღეს სირიელი შიიტების წინააღმდეგ ომი იმ იმედით, რომ ამ საშინელ, სისხლიან თამაშში აშშ-საც ჩაითრევდნენ? ახლა გამოცდილი ბოევიკები, რომლებმაც სირიაში აიმაღლეს „კვალიფიკაცია", საკუთარ სიძულვილს ისევ დასავლეთისკენ შემოატრიალებენ.

**დასავლეთი (ევროპაც და ამერიკაც — „ალ ქაიდას" ფინანსური და სტრატეგიული მამა), ფაქტობრივად, თავად ზრდიდა საკუთარ უბეში ტერორისტთა არა ერთ თაობას. იმკის კიდეც, რაც დათესა: „ისლამური სახელმწიფოს" — ჯიჰადისტების მძლავრად ორგანიზებული არმიის ბოევიკები გაცილებით სახიფათონი არიან, ვიდრე „ალ ქაიდა" იყო და გაცილებით მდიდარნიც. ახლა ისინი ამერიკას ეუბნებიან: „ყველას სისხლში ჩაგახრჩობთ!".**

პლანეტა დედამიწის მასშტაბის მსოფლიო ხალიფატი, რომელიც შარიათის კანონებით იცხოვრებს და იმართება — ასეთი წარმოუდგენიათ კაცობრიობის მომავალი „ისლამური სახელმწიფოსა" და „ალ ქაიდას" ბოევიკებს, ავღანელ და პაკისტანელ თალიბებს და მათ მსგავს სხვა ისლამისტ ტერორისტებს. ბერლინი, პარიზი და ლონდონი მხოლოდ შუალედური გაჩერებები იქნება ვაშინგტონისკენ მიმავალ გზაზე.

topwar.ru

**მანსურის თქმით, მის პოზიციას იზიარებს უსაფრთხოების საკითხთა სპეციალისტების უმრავლესობა. პრეზიდენტი სარისკო ფსონს დებს იმაზე, რომ ერაყული და ქურთული ძალები თავად შეძლებენ, დაიბრუნონ დაკარგული ტერიტორიები.**



www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# შოტლანდია გაერთიანებულ სამეფოში რჩება



**იმ ღამეს ედინბურგში არავის ეძინა, ჩვილი ბავშვების გარდა, რომელთაც ასაკიდან გამომდინარე, პოლიტიკა სრულებით არ აღელვებთ. სატელევიზიო არხები გამუდმებით გადმოსცემდნენ ორივე ბანაკის წარმომადგენელთა განწყობილებას. კომენტატორებს ძალიან ეშინოდათ, წინასწარ გამოეცხადებინათ შედეგები, ამიტომ უკანაკნელ წუთამდე იმეორებდნენ ფრაზებს: „როგორც ჩანს“, „სავარაუდოდ“, „ალბათ“... არადა, დილის 04:30 წუთზე უკვე ცხადი იყო, რომ არჩევნებში შოტლანდიის დამოუკიდებლობის მოწინააღმდეგეებმა გაიმარჯვეს.**

შოტლანდიის უდიდესმა ქალაქმა გლაზგომ დამოუკიდებლობას დაუჭირა მხარი, შედეგად ნაციონალები ლიდერობდნენ 50,2%-ით. მაგრამ შემდეგ გაირკვა, რომ დედაქალაქი, ედინბურგი, დამოუკიდებლობის ცალსახად მოწინააღმდეგე იყო.

საბოლოო შედეგებმა ოდნავ დაიგვიანა: ერთ-ერთი იმ სატვირთო მანქანათაგან, რომელსაც შევსებული ბიულეტენები შოტლანდიის მთებში მდებარე რეგიონულ საარჩევნო კომისიაში მიჰქონდა, სადღაც გაიჩხირა და მოლოდინის წუთები უსაზღვროდ გაიწელა. თუმცა შედეგი უკვე ცნობილი იყო, მაგრამ პროტოკოლი პროტოკოლია და ყველა მოთმინებით ელოდა უკანასკნელი ხმების მითვლას.

შოტლანდიელი ნაციონალების ლიდერმა ალექს სალმონდმაც და ბრიტანეთის პრემიერმინისტრმა დევიდ კემერონმაც უკვე მოასწრეს, მოკლე განცხადებები გაეკეთებინათ იმასთან დაკავშირებით, თუ რა იქნება ამის შემდეგ. ეს მართლაც საინტერესოა.

პირველ რიგში, როგორც ვესტმინსტერში ძირითადმა პარტიებმა წინასწარ დადეს პირობა, **შოტლანდიის პარლამენტი კიდევ უფრო მეტ დამოუკიდებლობას მიიღებს,** თუმცა, ცხადია, გაერთიანებული სამეფოს შემადგენლობაში.

შესაძლოა, ბრიტანეთის კაბინეტის წევრებს რეფერენდუმის ღამეს ფრჩხილები ნერვულად არ ეკვნიტათ, კემერონს რომ თავიდანვე თანხმობა განეცხადებინა სალმონდის წინადადებაზე და ნება დაერთო, რეფერენდუმზე გაეტანათ ორი შეკითხვა: **„გსურთ თუ არა, რომ შოტლანდია დამოუკიდებელი სახელმწიფო გახდეს?“ და „გსურთ თუ არა, რომ შოტლანდია გაერთიანებული სამეფოს შემადგენლობაში დარჩეს, მაგრამ მეტი თვითმმართველობა მიიღოს?“.**

მაშინ, სამი წლის წინ, ბრიტანეთის პრემიერმა დაიჟინა, რომ სანახევრო ზომებს ადგილი არ ექნებოდა და პასუხის გაცემა საჭირო გახდებოდა კითხვაზე: **„ყველაფერი თუ არაფერი?“.**

დამოუკიდებლობის მოწინააღმდეგენი რომ უმრავლესობაში იყვნენ, დილის 5-ის ნახევარზე უკვე ნათელი იყო. შედეგად „არაფერი“ მაინც ვერ გამოვიდა. იმედგაცრუებულმა ალექს სალმონდმა აღიარა რა დამარცხება, დაუყოვნებლივ შეახსენა ვესტმინსტერს, რომ დანაპირებს შესრულება უნდა და რომ შოტლანდია ლონდონისგან საპასუხო ჟესტს ელოდა.

თავის მხრივ, **დევიდ კემერონმაც აღნიშნა, რომ დამოუკიდებლობის საკითხი უახლოეს მომავალში (სავარაუდოდ, ნახევარი საუკუნის განმავლობაში) დახურულია და აღარ განიხილება**. ცხადია, პრემიერს ეს გახსნილად არ უთქვამს, მაგრამ ქვეტექსტში იკითხებოდა: **„ჩვენ მოგეცით შანსი, ამით დამთავრდა“.**

მაგრამ, მის გამოსვლაში უმთავრესი იმის აღიარება იყო, რომ **უახლოეს მომავალში საჭირო გახდება ბრიტანეთის მთელი პოლიტიკური სისტემის გადახედვა.**

უკანაკნელ პერიოდში საზოგადოება უკმაყოფილო იყო იმით, რომ შოტლანდიელი პარლამენტარები მონაწილეობდნენ უშუალოდ ინგლისისა და უელსის კანონების მიღების პროცესში, თავად კი განსხვავებული წესებით ცხოვრობდნენ. ერთ-ერთი ყველაზე წინააღმდეგობრივი კანონპროექტი ეხებოდა ინგლისისა და უელსის უნივერსიტეტებში სწავლების საფასურის გაზრდას. ეს კანონი მხოლოდ იმის წყალობით იქნა მიღებული, რომ მას მხარი დაუჭირეს შოტლანდიელმა პარლამენტარებმა. როგორც ჩანს, ახლა ვესტმინსტრი შეეცდება, რამენაირად შეცვალოს არსებული სტატუს-კვო.

აუცილებელია იმის აღიარება, რომ, მიუხედავად მოსალოდნელი საყოველთაო ცვლილებებისა, შოტლანდიელი ნაციონალები ძალზე იმედგაცრუებულნი არიან. მათ სახეებზე ჩანს, რომ ცხოვრებისაგან კარგს აღარაფერს ელიან. ზოგიერთი მათგანი ხმამაღლა ამბობს, შოტლანდიელებმა იმედები გაუცრუეს და რცხვენია მათი ლაჩრობის გამო. სამაგიეროდ გახარებულნი არიან ინგლისელები და აღფრთოვანებით განიხილავენ რეფერენდუმის შედეგებს.

როგორც გამარჯვებულების, ასევე დამარცხებულების ბანაკების (კამპანიების „კი“ და „ერთად უკეთესია“ შტაბბინების) წინ რეფერენდუმის დასრულების შემდგომ მთელი ღამე წვიმაში იდგნენ ჟურნალისტები. ახლა ედინბურგის თავზე ისეთი სქელი ღრუბელია ჩამოწოლილი, რომ ხეების კენწეროებიც კი არ ჩანს. შეიძლება ითქვას, რომ ბრიტანეთის მომავალიც ასეთივე ბურუსითაა მოცული, მაგრამ, რაც უნდა იყოს, ამ პოლიტიკურ განტოლებაში ახლა შედარებით ნაკლები ცვლადებია.

რეფერენდუმის წინ ვისკის საწარმო „ედრადურის“ ფინანსურმა დირექტორმა დეზ მაკკეგერტმა აღნიშნა: „რეფერენდუმზე, სავარაუდოდ, დამოუკიდებლობის მოწინააღმდეგენი გაიმარჯვებენ ანგარიშით 57% 43%-ის წინააღმდეგ. საქმე ისაა, რომ ახლა ბევრი შოტლანდიელი თავს იმხნევებს, მაგრამ, როდესაც თვალწინ ბიულეტენებს დაუდებენ, ისინი კიდევ ერთხელ ძალიან კარგად დაფიქრდებიან და პასუხად მაინც „არას“ აირჩევენ, ყოველი შემთხვევისთვის“.

წაგებული ბანაკი დაუღალავად ახსენებს გამარჯვებულებს, რომ ახლა მათ მეტი ძალაუფლება უნდა მისცენ. თუ ლონდონი ამ მოთხოვნებზე თანხმობით უპასუხებს, **ედინბურგი თავად შეაგროვებს ბევრ გადასახადს და სოციალური საჭიროებებისთვის ბიუჯეტებს თავად განკარგავს.**

ეს ნამდვილად იქნება ძალზე დიდი ძალაუფლება, რომელსაც დიდი პასუხისმგებლობაც მოჰყვება. ახლა ორივე მხარემ ღრმად უნდა ჩაისუნთქოს და მოიფიქროს, თუ როგორ იცხოვრებენ ამის შემდეგ და როგორ მოახერხებენ, რომ ბრიტანეთი კომუნალურ ბინას არ დაამსგავსონ.

ამაზე ყველას მოუწევს დაფიქრება, რადგან ცალ-ცალკე ცხოვრების პერსპექტივა უახლოესი ათწლეულების მანძილზე აღარ ჩანს...

**bbc.co.uk**

# ობამას სამხედრო სტრატეგიამ სპეციალისტები დააეჭვა



**აშშ აქტიურადაა დაკავებული საერთაშორისო კოალიციის ფორმირებით ისლამური სახელმწიფოს რადიკალების წინააღმდეგ საბრძოლველად, თუმცა სამხედრო ანალიტიკოსებს არ გააჩნიათ ჩამოყალიბებული აზრი იმასთან დაკავშირებით, თუ რომელი ტაქტიკა უნდა იქნეს გამოყენებული. ნებისმიერ შემთხვევაში მათი უმეტესობა თვლის, რომ მხოლოდ საჰაერო დაბომბვებითა და სახმელეთო ჩარევის გარეშე არაფერი გამოვა...**

ბარაკ ობამამ ისლამური სახელწიფოს წინააღმდეგ საბრძოლველი საერთაშორისო სამხედრო ხელმძღვანელობა საზღვაო ქვეითთა პატივცემულ გადამდგარ გენერალს ჩააბარა. **ჯონ ალენი** ამერიკული ძალების მეთაურის მოადგილე იყო ერაყის პროვინცია ანბარში 2006-დან 2008 წლამდე, ანუ ისლამისტი მეამბოხეების წინააღმდეგ სუნიტ თემებთან შეთანხმების მიღწევისთვის საკვანძო პერიოდში. ამის გამო გენერალს საკმაო გამოცდილება აქვს, რაც ახლა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია.

გარდა ამისა, ალანი ამერიკის არმიის ცენტრალური სარდლობის მეთაურის მოადგილე იყო ახლო აღმოსავლეთში და 2011-დან 2013-წლამდე სათავეში ედგა საერთაშორისო კოალიციას ავღანეთში. და ბოლოს, იგი კარგად იცნობს ცენტრალური სარდლობის მეთაურს ლოიდ ოსტინს, რომელსაც ისლამური სახელმწიფოს წინააღმდეგ ამერიკის სამხედრო კამპანიის მეთაურობა ჩააბარდება.

**როგორც არ უნდა იყოს, ახლა, როდესაც აშშ კვლავ მიდის საომრად ახლო აღმოსავლეთში, ეს ყოველივე არ აბალანსებს სერიოზულ მღელვარებას არმიასა და სამხედრო ექსპერტებს შორის. ახლა პრეზიდენტის სტრატეგია განსხვავდება იმისაგან, რასაც თავიდან ოსტინი სთავაზობდა მასლოის: თეთრი სახლის თხოვნაზე, წარედგინა ახლო აღმოსავლეთში აშშ-ის სამხედრო ძალების მეთაურისათვის შესაძლო ვარიანტები, ოსტინმა შესთავაზა მას, გაეგზავნათ სამხედრო ძალების მომცრო კონტინგენტი, უპირველეს ყოვლისა, სპეც-ქვედანაყოფები, რომლებიც კონსულტაციებს გაუწევდნენ და დაეხმარებოდნენ ერაყულ რაზმებს.** ეს რეკომენდაცია გადაცემულ იქნა გენერალური შტაბის მეთაურის — მარტინ დემპსის მიერ, მაგრამ ის უარყვეს სხვა ვარიანტების სასარგებლოდ. აღნიშნული „სხვა ვარიანტები“ კი არ მოიცავდა ფრონტის ხაზზე ამერიკული სახმელეთო ძალების გაგზავნას. ყველაფერი იმაზე მიანიშნებს, რომ **თეთრმა სახლმა პენტაგონს თავს მოახვია, სამხედრო პირების აზრით, არც თუ საუკეთესო სტრატეგია...**

**„ნებისმიერი სამხედრო ექსპერტისთვის სავსებით ნათელია, რომ ისლამურ სახელმწიფოს ვერავინ დაამარცხებს მნიშვნელოვანი სახმელეთო შემადგენლის გარეშე,** — დაასკვნა გენერალ პეტრეუსის ყოფილმა ადიუტანტმა, ამჟამად კი ოჰაიოს უნივერსიტეტში სამხედრო ისტორიის მასწავლებელმა პოლკოვნიკმა პიტერ მანსუნმა, — **ცხადია, აუცილებელი არ არის, რომ ეს ძალები ამერიკული იყოს. მათ შეიძლება წარმოადგენდნენ ერაყელები, სუნიტური თემები ან არაბული ქვეყნები. მაგრამ ეს ნებისმიერ შემთხვევაში მოითხოვს ამერიკელი სამხედრო მრჩეველების მონაწილეობას ჯარებისათვის დახმარებისა და ავიაციასთან კავშირის უზრუნველყოფისათვის“.** მანსური მიიჩნევს, რომ, როდესაც გენერალი ლოიდი საუბრობდა შეზღუდულ სახმელეთო კონტინგენტზე, მას მხედველობაში ჰყავდა ერაყულ ან ქურთულ ბატალიონებში ან სულაც თავისუფალი სირიული არმიის რაზმებში მომუშავე ამერიკელი მრჩევლები.

როგორც მანსური აღნიშნავს, თუ ამგვარ მიდგომას მიენიჭება უპირატესობა, ყველა 700-კაციან ჯგუფში დაახლოებით ერთი დუჟინი ამერიკელი ჯარისკაცი იქნება საჭირო. ეს კი პრეზიდენტის პოზიციიდან ძალზე მნიშვნელოვან გადახვევას ნიშნავს.

**მანსურის თქმით, მის პოზიციას იზიარებს უსაფრთხოების საკითხთა სპეციალისტების უმრავლესობა. პრეზიდენტი სარისკო ფსონს დებს იმაზე, რომ ერაყული და ქურთული ძალები თავად შეძლებენ, დაიბრუნონ დაკარგული ტერიტორიები.** არადა, ამის იმედად ყოფნა არ შეიძლება. რაც შეეხება სირიის ზომიერი მეამბოხეების მომზადებას, არ არსებობს არანაირი გარანტია, რომ ეს ზომიერი მეამბოხეები ნამდვილად არსებობენ.

პოლკოვნიკს ბევრად უფრო მეტად მოსწონს ერაყელი სუნიტებისგან რაზმების ფორმირების პროექტი, რაც „შესაძლებელი იქნება მხოლოდ აშშ-ის აქტიური ჩარევისა და ბაღდადის მხრიდან პოლიტიკური ავტონომიის სერიოზული შეთავაზების შემთხვევაში“. სამხედრო კვლევების ინსტიტუტში, რომელიც ერაყის მეამბოხეების სტრატეგიას უჭერდა მხარს, 25 000 ამერიკელი სამხედროს გაგზავნის თაობაზე საუბრობენ. პრეზიდენტ რეიგანის სახელმწიფო მდივანმა ჯეიმს ბეიკერმა განაცხადა, რომ ამგვარ სამუშაოს სხვა ვერავინ გაართმევს თავს.

ბარაკ ობამა ჯერჯერობით ამგვარი სცენარის კატეგორიული წინააღმდეგია. მაგრამ პიტერ მანსური დარწმუნებულია, რომ პრეზიდენტი შეიცვლის პოზიციას: „როდესაც დავინახავთ, რომ მხოლოდ საჰაერო დარტყმები არ კმარა, სახმელეთო ჩარევის დაწყებაც მოგვიწევს“...

**Le Figaro**

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**იცოდნენ თუ არა წინასწარ აგრესორებმა, რომ ერაყი მოქმედ ვულკანად იქცეოდა და მისი კრატერიდან გადმოიფრქვეოდა ლავა სახელად „ისლამური სახელმწიფო“? არ იცოდნენ. თვალები სიხარბემ დაუბნელა, მანვე წაართვა განსჯის უნარი. ერაყის ომს „უძლეველი სისულელე-2“ უნდა ეწოდებოდეს, რადგან სარგებელი, რომელიც ანგლოსაქსებმა მისი ძარცვიდან მიიღეს, არანაირად არ შეესაბამება ამ აქციის დამანგრეველ შედეგს.**

# «უძლეველი სისულელე-2»

**ამერიკელები ჩაკ ჰეიგელს აღიქვამენ, როგორც ერთ-ერთ ყველაზე მშვიდობისმოყვარე და ფრთხილ თავდაცვის მინისტრს უკანასკნელი ათწლეულების მანძილზე. თავის დროზე მის დანიშვნას კონგრესში ისრაელის ლობი ეწინააღმდეგებოდა, მან სერიოზული მუჯლუგუნები მიიღო თვით რესპუბლიკელი მომხრეებისგანაც კი პალესტინასა და ირანთან მიმართებაში „ზომიერი“ პოზიციების გამო. არ დაუვიწყეს 2007 წლის მხარდაჭერაც მისი სენატორობის დროს ერაყიდან ჯარების გაყვანის შესახებ კანონთან დაკავშირებით. თუმცა, თუ გავიხსენებთ, რომ 2003 წელს მან მხარი დაუჭირა ერაყში სახმელეთო ოპერაციას, მანამდე კი — ავღანეთში ომს, ეს ადამიანი „მშვიდობის მტრედად“ ნამდვილად აღარ გამოდგება.**



**ახალი ომი იწყება, მაგრამ ერთი რამ გაურკვეველია: თუ «ისლამური სახელმწიფოს» განადგურება ვერ მოხერხდება, სადამდე გავრცელდება ტერორიზმი?**

იმავეს ადასტურებს მისი განცხადება კონგრესში 16 სექტემბერს გამართულ მოსმენაზე იმის შესახებ, რომ „ისლამური სახელმწიფოს“ წინააღმდეგ ბრძოლაში სახმელეთო ოპერაციის გვერდის ავლა ვერ მოხერხდება. მაშ, ასე: რანგების ტაბელში აშშ-ის პრეზიდენტის შემდეგ მეექვსე პოლიტიკოსმა ომის შესახებ საკუთარი სათქმელი თქვა. მალე ამ „სახმელეთო ოპერაციის“, ანუ ახლო აღმოსავლეთში ამერიკის მორიგი შეჭრის ბორბალიც აგორდება.

სხვათა შორის, ჩაკ ჰეიგელს მისალოცად აქვს საქმე. იგი უკანასკნელი 50 წლის განმავლობაში აშშ-ის პირველი თავდაცვის მინისტრია, რომელსაც „casus belli“-ს ფალსიფიცირება არ სჭირდება — „ისლამური სახელმწიფოს“ მხრიდან მომდინარე ტერორისტული საფრთხის სახით ომისთვის მიზეზი ამჯერად რეალურად არსებობს, თუმცა ჯერ გასარკვევია, საიდან გაჩნდა ზემოხსენებული საფრთხე...

გასული საუკუნის 50-80-იან წლებში საერთაშორისო ტერორიზმი წარმოადგენდა არამრავალრიცხოვან, პრაქტიკულად ერთმანეთთან კავშირის არმქონე ანტიიმპერიალისტური მიმართულების ჯგუფებს დასავლეთ ევროპასა და განვითარებად ქვეყნებში. ამ ორგანიზაციებიდან ზოგიერთები დასავლური სპეცსამსახურების მიერ კონტროლდებოდნენ — ეს უკანასკნელნი მათი საშუალებით გარკვეულ პოლიტიკურ პრობლემებს აგვარებდნენ. საერთაშორისო მდგომარეობისთვის რაიმე სერიოზულ საფრთხეს ისინი არ წარმოადგენდნენ.

ხარისხობრივად შეიცვალა სიტუაცია მას შემდეგ, რაც 80-იან წლებში ვაშინგტონმა და ლონდონმა მოინდომეს, ავღანეთის ისლამისტი რადიკალები ამ ქვეყანაში საბჭოთა ჯარებისთვის წინააღმდეგობის გაწევის უნარის მქონე ძალად — „თალიბების მოძრაობად“ ექციათ.

ასე შექმნეს ამერიკელებმა ტერორისტული ფრონტი საკუთარი აგენტების — უსამა ბენ ლადენისა და მულა ომარის ხელმძღვანელობით, ამ უკანასკნელებმა კი „ურწმუნოების“ წინააღმდეგ ჯიჰადი გამოაცხადეს. **გულუხვი დაფინანსებით თალიბანმა შეძლო საომარი მდგომარეობის მკვეთრად გამწვავება ავღანეთში, მაგრამ სამხედრო გამარჯვებას ვერ მიაღწია. საბჭოთა ჯარების კონტინგენტი წავიდა ავღანეთიდან არა საომარი მარცხის გამო, არამედ გორბაჩოვის მმართველობის პერიოდში მოსკოვის საგარეო პოლიტიკაში რადიკალური ცვლილებების გამო.**

1989 წელს ავღანეთიდან საბჭოთა ჯარების წასვლის შემდეგ თალიბანმა დაამხო ნაჯიბულას რეჟიმი, მაგრამ, მოვიდა რა ხელისუფლებაში, ანგლოსაქსებისთვის აბსოლუტურად მოულოდნელად ისინი ალაჰის მტრებად გამოაცხადა. ფრანკენშტეინი თავისი შემქმნელის წინააღმდეგ აჯანყდა. **ამერიკელების მიერ მუსლიმანური სამყაროს არცოდნამ და თალიბების მიმართ ქედმაღლურმა დამოკიდებულებამ განაპირობა ის, რომ ავღანეთში პროამერიკული რეჟიმის დამყარების ნაცვლად გაჩნდა ფეოდალური ტიპის ექსტრემისტული ისლამური სახელმწიფო, რომელიც ირგვლივ მდებარე ტერიტორიების „თალიბანიზაციის“ იდეით გამსჭვალულ „ალ ქაიდას“ ეყრდნობოდა.**

მოსკოვი დაჟინებით იმეორებდა, რომ ტერორიზმის გავრცელების წინააღმდეგ ბრძოლა უნდა დაწყებულიყო უთანასწორობის, სიღატაკისა და ხალხთა სოციალური ჩაგვრის წინააღმდეგ ბრძოლით. რუსეთმა არაერთხელ წამოაყენა წინადადება, მოეწვიათ ამ საკითხებზე საერთაშორისო კონფერენცია, მაგრამ დასავლეთი ყრუდ რჩებოდა. გარდა ისლამურ სამყაროსთან კონფლიქტის სოციალურ-ეკონომიკური მიზეზებისა, შეიქმნა სულიერების მხრივ პრობლემების კომპლექსიც — ისლამი მტრულადაა განწყობილი დასავლეთის იუდეო-პროტესტანტული მორალის მიმართ, რადგან მას კაცობრიობისთვის დამღუპველად მიიჩნევს.

აშშ-ის ადმინისტრაციაში სერიოზულად არავინ დაფიქრებულა, თუ რა საფრთხე მოჰყვებოდა „სამყაროთა ომის“ გაჩაღებას. სამხედრო ოპერაციისთვის საბაბი ამერიკული ტიპური სულისკვეთებით შეიქმნა — ნიუ იორკის ტყუპი ცათამბჯენის აფეთქებით, რამაც ამერიკელები ომისადმი მხარდაჭერით განაწყო. ავანტიურაში ჩაითრიეს ევროპელებიც. დაარქვეს რა ოპერაციას „უძლეველი თავისუფლება“, ამერიკელები ფილმის გმირი კოვბოების გაბედულებით გადაეშვნენ ავღანეთის აბსოლუტურად უიმედო ომში. ვიღაცამ მაშინვე უწოდა ამ ოპერაციას „უძლეველი სისულელე“.

ძალიან მალე აღმოჩნდა, რომ დასავლეთმა არ იცის, როგორ იომოს იდეური მტრის წინააღმდეგ. იდეის მატარებლები დაბომბვებისა და დაცხრილვების შედეგად მხოლოდ მრავლდებოდნენ. მუსლიმანური სამყაროს მხრიდან რეაქცია ოპერაცია „უძლეველ თავისუფლებაზე“ აბსოლუტურად მოულოდნელი აღმოჩნდა მათთვის, ვინც წამოიწყეს ეს ოპერაცია. „ალ ქაიდას“ მეტასტაზები გავრცელდა და ამან დაადასტურა, რომ ცივილიზაციათა შეტაკება მითი არ არის.

შეეჯახა მორალის შესახებ წარმოდგენების ორი ისტორიული ტიპი — ისლამის ტრადიციული მორალი და დასავლეთის იუდეო-პროტესტანტული მორალი. „ალ ქაიდას“ ფილიალები, რომელთაგან ზოგიერთს საკუთარი არმია ჰყავდა, გაჩნდა ჩრდილოეთ აფრიკაში და არაბეთის ნახევარკუნძულზე, ასევე სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაშიც.

ამას უმცროსი ბუშის ადმინისტრაცია თითქოს უნდა მიეყვანა ავღანური ავანტიურის ხელახალ გააზრებამდე და მშვიდობისკენ მიმავალი გზების მოძებნისკენ ებიძგებინა, მაგრამ მათ, ვინც „უძლეველი სისულელე“ აღმოაჩინეს, ამაზე ფიქრიც კი არ სურდათ. ისინი ბევრი ფიქრის გარეშე ჩაერთვნენ ახალ — ერაყულ ავანტიურაში.

თუ „უძლეველი თავისუფლება“ იყო შუა აზიის უზარმაზარი რეგიონის გეოპოლიტიკური ტრანსფორმაციის მცდელობა, 2003 წელს დაწყებული ომი სადამ ჰუსეინის წინააღმდეგ, რომლის კოდური სახელწოდებაც „ერაყული თავისუფლება“ გახდა, აშკარად შეიცავდა მძარცველური ლაშქრობის ნიშნებს. ქიმიური იარაღის შექმნაში სადამ ჰუსეინის დადანაშაულება სასაცილოდ გამოიყურებოდა, ანგლოსაქსების ცენტრალური ჩანაფიქრი კი ერაყულ ნავთობზე კონტროლის ხელში ჩაგდება იყო. დღეს საკმაოდ ბევრი რამაა ცნობილი ერაყის საბადოების კულისებს მიღმა დანაწილებაზე ამერიკული და ბრიტანული კორპორაციების მიერ ჯერ კიდევ შეჭრამდე ერთი წლით ადრე.

გაანადგურეს რა ჰუსეინი, ანგლოსაქსები ერაყის სიმდიდრის ძარცვას შეუდგნენ და ყურადღებაც კი არ მიუქცევიათ ამ ომის შედეგებისთვის. ირანი კი ტერორიზმის ტალღამ ჩაძირა.

**იცოდნენ თუ არა წინასწარ აგრესორებმა, რომ ერაყი მოქმედ ვულკანად იქცეოდა და მისი კრატერიდან გადმოიფრქვეოდა ლავა სახელად „ისლამური სახელმწიფო“? არ იცოდნენ. თვალები სიხარბემ დაუბნელა, მანვე წაართვა განსჯის უნარი. ერაყის ომს „უძლეველი სისულელე-2“ უნდა ეწოდებოდეს, რადგან სარგებელი, რომელიც ანგლოსაქსებმა მისი ძარცვიდან მიიღეს, არანაირად არ შეესაბამება ამ აქციის დამანგრეველ შედეგს.**

„ისლამური სახელმწიფოს“ გაჩენა იქცა მორიგ საფეხურად საერთაშორისო ტერორიზმის განვითარების ისტორიაში. თუ ეს ორგანიზაცია წარმატებას მიაღწევს, მსოფლიოში გაჩნდება ტერორისტული ხალიფატი, რომელიც ამერიკელების მიერ დახატული „დიდი ახლო აღმოსავლეთის“ ტერიტორიის ხელა ფართობს მოიცავს.

ასეა თუ ისე, ახალი დიდი ომი კარსაა მომდგარი. როგორც ჩანს, ერაყსა და სირიაში სახმელეთო ოპერაცია უკვე გარდაუვალია. დაიღვრება არაბების, ამერიკელების, ევროპელების სისხლი და ეს ავღანეთის ომზე უფრო დიდი უბედურება იქნება.

როგორც ჩანს, ვაშინგტონში ფიქრობენ, რომ ამჯერად მაინც მოიგებენ ომს. მაგრამ რატომ ფიქრობენ ასე? დასავლური სახელმწიფოების სამარცხვინო დამარცხებად იქცა არა მხოლოდ ავღანეთის 13-წლიანი ოკუპაცია. **უკანასკნელი 50 წლის მანძილზე ისტორიაში არ რჩება არც ერთი დასავლური ექსპანსია, რომელსაც წარმატებული შეიძლება ეწოდოს.**

ახალ ომში ერთმანეთს შეეჯახებიან რეგულარული ჯარები და დაქირავებულები — ერთი მხრივ და თავგანწირვით აღსავსე ფანატიკოსები — მეორე მხრივ. ამ შემთხვევაში ტყვიებით ვინმეს რამეში დარწმუნება უსარგებლოა. მიუხედავად ამისა, ვაშინგტონი ისევ ომში ითრევს მსოფლიოს. კვლავ სიხარბე იმარჯვებს იმის დანახვისას, თუ როგორ აწარმოებს „ისლამური სახელმწიფო“ ნავთობის ექსპორტს მიტაცებული ტერიტორიებიდან და როგორ წარმატებით ვაჭრობს ნავთობით შავ ბაზარზე. დასავლეთს ამჯერად ერაყში ნაძარცვი საბადოების დაკარგვის შიში აბრმავებს.

მაშ ასე, **ახალი ომი იწყება, მაგრამ ერთი რამ გაურკვეველია: თუ „ისლამური სახელმწიფოს“ განადგურება ვერ მოხერხდება, სადამდე გავრცელდება ტერორიზმი?** გამარჯვებების მოპოვების შემთხვევაში „ისლამური სახელმწიფო“ ხომ მთელი პლანეტის მუსლიმან ექსტრემისტებსა და სეპარატისტებს სტიმულს მისცემს.

საერთაშორისო ურთიერთობებს ძირფესვიანად გარდაქმნა სჭირდება და მისი გაჯანსაღება შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ბოლო მოეღება ძალადობრივ გლობალიზაციას, რომელიც ხალხებს დამოუკიდებელი განვითარების უფლებას ართმევს. **თუ აშშ და ბრიტანეთი არ შეაჩერებენ დემოკრატიის დანერგვით შენიღბულ თავიანთ აულაგმავ ექსპანსიას, ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლა განწირულია.** რაც უნდა დრამატული იყოს, ადრე თუ გვიან ეს მთელი დასავლური ცივილიზაციისთვის კრახით დასრულდება. ეს ცივილიზაცია საკუთარი საომარი აქციების სიმძიმით დაიმსხვრევა, აქციებისა, რომელთაც თამამად შეიძლება ეწოდოს „უძლეველი სისულელე-3“, „უძლეველი სისულელე-4“ და ასე შემდეგ...

fondsk.ru

მოკლედ

## შოტლანდიის რეგიონული მთავრობის მეთაური გადადგა

**შოტლანდიის რეგიონული მთავრობის მეთაურმა ალექს სალმონდმა შოტლანდიაში დამოუკიდებლობის მოთხოვნით ჩატარებულ რეფერენდუმში დამარცხების შემდეგ თანამდებობიდან გადადგომის შესახებ განაცხადა.** იგი შოტლანდიის ნაციონალური პარტიის ლიდერის პოსტსაც ტოვებს, თუმცა, მისივე თქმით, შოტლანდიაში დამოუკიდებლობის კამპანია გაგრძელდება და ოცნება არასოდეს კვდება.




## საფრანგეთმა «ისლამურ სახელმწიფოზე» ავიაშეტევა განახორციელა

**საფრანგეთის პრეზიდენტის ადმინისტრაციის ინფორმაციით, ავიაშეტევა ერაყის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით იარაღის ბაზებზე განხორციელდა.** გავრცელებული ცნობით, საფრანგეთი „ისლამური სახელმწიფოს“ პოზიციების მიმართ ავიაშეტევებს უახლოეს დღეებშიც განახორციელებს. გასულ კვირას ერაყში, „ისლამური სახელმწიფოს“ პოზიციების მიმართულებით ავიაშეტევები აშშ-მაც განახორციელა.

გერმანიაში ახლა ახალგაზრდა მუსლიმანებს შორის სალაფიტობა საპატიო ტიტულია, ყველაზე აქტიურები კი ნებაყოფლობით მიდიან ახლო აღმოსავლეთში ჯიჰადისტებად. გერმანიის სპეცსამსახურები შიშობენ, რომ სამშობლოში დაბრუნების შემდეგ ისინი პრაქტიკაში გამოიყენებენ შეიარაღებული ბრძოლისა და ტერორიზმის გამოცდილებას.

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# გერმანიაში ისლამისტმა რადიკალებმა თავი წამოყვეს

**რადიკალური ისლამის თემამ კვლავ მიიპყრო გერმანელი საზოგადოების ყურადღება, რადგან ერაყში მთელი რიგი ტერაქტები სწორედ გერმანიიდან ჩასულმა ჯიჰადისტებმა განახორციელეს. ახმედ ს. ჩრდილოეთ რეინ-ვესტფალიის მიწებიდანაა. მისი საბრძოლო მეტსახელი იყო „ალ-ალმანი“ ან „გერმანელი“. მან ბაღდადში ბლოკპოსტთან აიფეთქა თავი და 54 ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. ამგვარი შემთხვევა უკვე არაერთხელ დაფიქსირდა, ამასთან, ერაყელი ექსტრემისტების აზრით, ევროპიდან ჩასული ჯიჰადისტები ადგილობრივ ბოევიკებზე ბევრად უფრო აგრესიულნი არიან.**



გერმანიაში, ასევე, ფართო რეზონანსი მოჰყვა ახლახან „შარიათის პოლიციის“ გამოჩენას ჩრდილოეთ რეინ-ვესტფალიის მიწებზე, ქ. ვუპერტალიის ქუჩებში. სწორედ ეს მიწა ხდება გერმანელ მუსლიმანებს შორის ახალი აგრესიული მიმართულების — სალაფიზმის (უფრო სწორად, ნეოსალაფიზმის) კერა. სალაფიტები ნარინჯისფერი ქურთუკებით პატრულირებდნენ ქუჩებში და ადგილობრივი მუსლიმანების ქცევას აკონტროლებდნენ. მანამდე, გასულ წელს, შარიათის პატრული ბონში გამოჩნდა, პირველად კი ამგვარი პატრული 2011 წელს გაჩნდა ბრიტანეთში. მოვლენას განვითარებადი ხასიათი აქვს და პერსპექტივაში ევროპის ყველა იმ ქალაქს მოედება, რომლებშიც მსხვილი მუსლიმანური თემია. **ლონდონის მთელ რიგ რაიონებში თვითმარქვია „მოძმეებმა“ გამოაცხადეს შარიათის ზონები, რომლებშიც აკრძალეს პროსტიტუცია, აზარტული თამაშები, ნარკოტიკები და ალკოჰოლიც კი.**

გერმანიის ხელისუფლებისა და, უპირველეს ყოვლისა, კონსტიტუციის დაცვის ფედერალური სამსახურის აზრით, **სალაფიზმი გერმანიაში „პოლიტიკური ისლამის“ ყველაზე აქტიურ ფორმად ყალიბდება. მისი მიმდევრები ავრცელებენ ექსტრემისტულ ლიტერატურას, ეწევიან პროპაგანდას გერმანიის მოსახლეობაში და ცდილობენ, რადიკალური განწყობა დათესონ ზომიერი მუსლიმანების რიგებში. სალაფიტების ორგანიზაციები გერმანიის სპეცსამსახურების ყურადღების ცენტრში არიან, რადგან, ამ უკანასკნელთა მონაცემებით, ისინი დაკავშირებულნი არიან საერთაშორისო ტერორიზმთან და მთელი რიგი არაბულ-მუსლიმანური ქვეყნების სპეცსამსახურებთან.** ზოგიერთი სალაფიტური ორგანიზაცია უკვე აიკრძალა, რადგან ღიად მოუწოდებდნენ ძალადობისკენ. გერმანიის შინაგან საქმეთა სამინისტრომ წამოაყენა წინადადება, სალაფიზმის ყველაზე აქტიური მქადაგებლები ქვეყნიდან გაეყარათ.

ექსპერტები საუბრობენ ნეოსალაფიზმზე, რომელიც ცოტათი თუ ჰგავს ტრადიციულ სალაფიზმს (პირველსაწყის ისლამთან დაბრუნებას). ნეოსალაფიზმი წარმოიშვა 1967 წლის არაბო-ისრაელის ომისა და 1979 წლის ირანის ისლამური რევოლუციის შემდეგ. ნეოსალაფიზმში განსაკუთრებულად გამოიყოფა რადიკალური ჯიჰადისტური ფრთა. სწორედ მისი მომხრეები მიემგზავრებიან სირიაში, ერაყში, ლიბიასა და სხვა ქვეყნებში ურწმუნოებთან — „კიაფირებთან“ საბრძოლველად.

**სალაფიზმი მიმზიდველია ევროპის მრავალი ახალგაზრდა მუსლიმანისთვის, რადგან მათ გასაგებ, არაფორმალურ ენაზე ესაუბრება და პოლიტიკური საკითხების რადიკალური მეთოდებით გადაჭრას სთავაზობს.** გერმანიაში ახლა ახალგაზრდა მუსლიმანებს შორის სალაფიტობა საპატიო ტიტულია, ყველაზე აქტიურები კი ნებაყოფლობით მიდიან ახლო აღმოსავლეთში ჯიჰადისტებად. გერმანიის სპეცსამსახურები შიშობენ, რომ სამშობლოში დაბრუნების შემდეგ ისინი პრაქტიკაში გამოიყენებენ შეიარაღებული ბრძოლისა და ტერორიზმის გამოცდილებას. გარდა ამისა, სალაფიტები და გერმანიის სხვა ისლამისტური დაჯგუფებები აქტიურ ფინანსურ დახმარებას უწევენ სირიასა და ერაყში მებრძოლ ბოევიკებს.

**თუ 2000 წლამდე წელიწადში დაახლოებით 1000 გერმანელი იღებდა ისლამს, უკანასკნელი 10 წლის მანძილზე მათი რაოდენობა 4000-მდე გაიზარდა**



მათი რაოდენობა იზრდება ყველგან, სადაც კი მსხვილი მუსლიმანური თემია. მაგალითად, გავლენის მხრივ ეგვიპტეში მათ გაუსწრეს უძველეს ისლამურ ორგანიზაცია „ძმებ მუსლიმანებს“. ტენდენციამ არც დასავლეთ ევროპას აუარა გვერდი. **გერმანული სპეცსამსახურების მონაცემებით, ახლა ქვეყანაში 5 000 სალაფიტია, თუმცა, სხვა მონაცემების თანახმად, მათი რაოდენობა ორჯერ მეტია. მათ შორის ბევრია ისლამს ნაზიარები გერმანელი. თუ 2000 წლამდე წელიწადში დაახლოებით 1000 გერმანელი იღებდა ისლამს, უკანასკნელი 10 წლის მანძილზე მათი რაოდენობა 4000-მდე გაიზარდა.** საფრანგეთში ახლა დაახლოებით 6 მილიონი მუსლიმანი ცხოვრობს და მათ შორის 60-დან 100 ათასამდე გამუსლიმანებული ფრანგია. ბრიტანეთში მცხოვრები 3 მილიონი მუსლიმანიდან კი 100 ათასი ძირძველი ბრიტანელია, რომლებიც ისლამს ეზიარნენ. **გერმანიაში სულ 4 მილიონი მუსლიმანი ცხოვრობს და ეს ევროპაში სიდიდით მეორე მუსლიმანური თემია საფრანგეთის შემდეგ.**

მიუხედავად იმისა, რომ ამ თემში სალაფიტებს მოკრძალებული ადგილი უკავიათ, მათი რაოდენობა განუწყვეტლივ იზრდება, რადგან ისინი აქტიურ აგიტაციას ატარებენ გერმანიის ქალაქების ქუჩებში, უფასოდ არიგებენ ყურანსა და ბროშურებს, აწყობენ მიტინგებს და თვით სკოლებშიც კი ქადაგებენ. რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, მათ ეს ყოველივე დიდი წარმატებით გამოსდით.

მოქმედების ექსტრემისტულ ფორმებზე გადასვლა შედარებით ახალი მოვლენაა, რომელიც სალაფიტების რადიკალიზაციას ადასტურებს და უშუალოდ უკავშირდება სირიასა და ერაყში ბოლო დროს მიმდინარე მოვლენებს. 2012 წელს ბონსა და ზოლინგენში ქუჩის შეტაკებები ხდებოდა სალაფიტების დაჯგუფებებსა და პოლიციას შორის. საბოტაჟისა და ტერორის ზოგიერთი აქტი თავად გერმანიაში, სავარაუდოდ, სალაფიტების მიერ მზადდებოდა. მაგალითად, დიუსელდორფში ახლაც მიმდინარეობს ოთხი სალაფიტის საქმესთან დაკავშირებული პროცესი. ბრალდების მტკიცებით, ისინი ტერაქტებს გეგმავდნენ და ამ ტერაქტებს შორის ერთ-ერთი იყო ბონის მთავარ ვაგზალზე ბომბის აფეთქება. საბედნიეროდ, ბოროტმოქმედებმა ეს ჩანაფიქრი ვერ განახორციელეს.

გერმანელი ჯიჰადისტები, უპირველეს ყოვლისა, სალაფიტები, აქტიურად მინაწილეობენ სირიის კონფლიქტში. მიმდინარე წლის აგვისტოს დასასრულს სირიასა და ერაყში იბრძოდა 2600 (სხვა მონაცემებით, — გაცილებით მეტი) ჯიჰადისტი ევროპის ქვეყნებიდან; მათ შორის 500 ბრიტანეთიდან იყო, 130 — ავსტრიიდან, 400 კი — გერმანიიდან. ჯიჰდისტების რეკრუტირება ხდება, როგორც პირდაპირ უშუალო კონტაქტის საშუალებით, ასევე მეგობრების ან ინტერნეტის შუამდგომლობითაც. გამოიყენება ნებისმიერი სოციალური ქსელი.

ახალგაზრდა ისლამისტებს ჰპირდებიან იმას, რაც ასე ენატრებათ მათ დასავლეთში ყოველდღიურ ცხოვრებაში — ჰეროიკას, უმაღლესი მიზნის მსახურებას, საბრძოლო ძმობას... მათ იმდენად არ იზიდავს რელიგია, რამდენადაც რადიკალური იდეოლოგია, რომელიც ასე შეეფერება ახალგაზრდულ ტემპერამენტსა და ავანტიურიზმს. ის ფაქტი, რომ ჯიჰადისტების რიგებში აქტიურად იზიდავენ გოგონებს, მორწმუნეებზე ზემოქმედების ახალ და გაცილებით დახვეწილ მეთოhდებზე მიანიშნებს.

გერმანიაში სხვადასხვაგვარი რეაქცია აქვთ ქვეყანაში რადიკალური ისლამის გაძლიერებასთან დაკავშირებით. ურთიერთგაგებისა და მულტიკულტურულობის უკვე ჩვეულებად ქცეულ მოწოდებებს შორის ახალი ხმებიც გაისმის. მაგალითად, **ბავარიის შინაგან საქმეთა მინისტრმა იოაჰიმ ჰერმანმა განიკითხა ისლამი და ისლამური ექსტრემიზმი, როგორც მოვლენა, რომელიც დაუშვებელია გერმანიის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში.**

მიმდინარე წლის ზაფხულამდე ხელისუფლება ძალზე რბილად მოქმედებდა: გერმანიაში დაბრუნებული ათობით ჯიჰადისტიდან მხოლოდ სამი დაიჭირეს ტერორიზმსა და მკვლელობებში ბრალდების გამო. ახლა დასავლეთის ქვეყნების მიერ „ისლამური სახელმწიფოსათვის“ ომის გამოცხადების ფონზე გერმანიაშიც გაცილებით უფრო მკაცრ ზომებს მიმართავენ: აღიძრა 140 საქმე, რომელთაგან 30-ზე მეტი პროკურატურას გადაეცა. ბრალი წაუყენეს სულ 60 ადამიანს. **12 სექტემბრიდან კი „ისლამური სახელმწიფოსთვის“ მხარდაჭერის ნებისმიერი ფორმა სისხლის სამართლის კოდექსით დასჯად ქმედებად ითვლება.**

InoSMI

მოკლედ



## «ალ ქაიდა» სერიოზული შეტევებისთვის ემზადება

**აშშ-ის ეროვნული დაზვერვის დირექტორის — ჯეიმს კლეპერის განცხადებით, ტერორისტული დაჯგუფება „ალ ქაიდას“ ერთ-ერთი განშტოება სირიაში ამერიკისთვის სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენს და ტერორისტული შეტევებისთვის ემზადება.** განშტოებაში მყოფი ბოევიკები აპირებენ დასავლეთის ქვეყნებში მცხოვრები ისლამისტების გადაბირებას ევროპასა და აშშ-ში, მათ შორის ამერიკის სამოქალაქო თვითმფრინავებზე ტერაქტების განსახორციელებლად. ამერიკული დაზვერვის ინფორმაციით, საუბარია დაჯგუფება „ხორასანზე“, რომელიც გამოცდილი ბოევიკებით არის ფორმირებული.



ფოსტა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ბატონ ვახტანგ ფრუიძეს შესაშური თვისება ჰქონდა — ადამიანის სიყვარული, ყველა მათგანში სიკეთის მარცვალს ხედავდა; სიტყვის ძალას და მადლს მთელი არსებით გრძნობდა და განიცდიდა, კარგს არავის დაუკარგავდა, ხელს უყოყმანოდ წააშველებდა თანამშრომლებს, მეგობრებს, სტუდენტებს**

# ღვაწლმოსილი პედაგოგი, მეცნიერი

**მეცნიერება ისეთი ფენომენია, რომელიც საყვარელ ადამიანს ძალიან დიდხანს არ დაგავიწყებს, ხოლო პიროვნების უკვდავყოფას დიდი მნიშვნელობა აქვს არა მარტო ჩვენთვის, არამედ მომავალი თაობის აღზრდისთვის. სწორედ ასეთ ადამიანთა რიცხვს მიეკუთვნება სასიქადულო მამულიშვილი, ჭეშმარიტი პიროვნება, ცნობილი მეცნიერი, საზოგადო მოღვაწე, საქართველოს უმაღლესი სკოლის დამსახურებული მუშაკი, საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ვახტანგ ფრუიძე, რომელსაც დაბადებიდან 80 წელი შეუსრულდებოდა. მან მთელი თავისი ცხოვრების შეგნებული ნაწილი განვლო მეცნიერული კვლევის, პედაგოგიური მოღვაწეობის, პრინციპულობისა და წესიერი ცხოვრების სულისკვეთებით.**



**ბატონი ვახტანგი მიეკუთვნებოდა იმ ადამიანთა კატეგორიას, რომლებიც სიყმაწვილეშივე იქცევენ საზოგადოების ყურადღებას, სიცოცხლეშივე (რაც გინდ მოკლე იყოს იგი) იმსახურებენ მეგობრების, ახლობლების, თანამოსაქმეების სიყვარულსა და თანადგომას**

გავიდა ტკივილიანი 17 წელი პროფესორ ვახტანგ ფრუიძის გარდაცვალებიდან. იგი დააკლდა ოჯახს, ნათესავებს, მეგობრებს, საზოგადოებას. პრინციპულმა, მომთხოვნმა და სამართლიანმა ნამუსიანი ცხოვრებით განვლო წუთისოფელი და დაგვიტოვა ლამაზი ფურცელი, რომელსაც მისი სახელი ჰქვია. ბატონი ვახტანგი ისეთი ადამიანი იყო, ღრმად მოხუცებულიც რომ წასულიყო ამ ქვეყნიდან, მაინც უდროო იქნებოდა მისი გარდაცვალება.

ბატონი ვახტანგ ფრუიძე დაიბადა 1934 წლის 4 ივლისს ქ. ქუთაისში. იმ პერიოდში (დღესაც) ქალაქში ყველაზე განთქმული იყო კლასიკური გიმნაზია (I საჯარო სკოლა), რომელიც თავისი მოწინავე შეხედულებების მქონე პედაგოგებით გამოირჩეოდა. სწორედ ამ სკოლაში იწყებს სწავლას ბატონი ვახტანგი 1941 წელს. როცა მის ბიოგრაფიას ვეხებით, არ შეიძლება გვერდი ავუაროთ ბავშვობის მძიმე პერიოდს. მამა ადრე გარდაეცვალა, ამიტომაც სავსებით გასაგებია მისი დამოკიდებულება დედისადმი, რომელსაც აღმერთებდა და ზებუნებრივად უყვარდა. სწორედ დედამ აღზარდა ბიჭები ქვეყნისა და საზოგადოების სასარგებლო ადამიანებად. ვახტანგმა 1952 წელს, ხოლო გურამმა 1955 წელს დაამთავრეს სკოლა ოქროს მედალზე და სწავლა განაგრძეს ქუთაისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ტექნოლოგიის ფაკულტეტზე. თავისი შინაგანი ძალისხმევით, შრომისმოყვარეობით, მიზანსწრაფულობით, არა მარტო თვითონ, არამედ უმცროსი ძმაც გაიყვანა ცხოვრების დიდ სარბიელზე.

ბატონი გურამი გახდა ცნობილი მეცნიერი ჩაის ბიოქიმიისა და ბიოტექნოლოგიის დარგში და რაოდენ სამწუხაროა, ძმის გარდაცვალების შემდეგ ისიც მალე რომ წავიდა ამ ქვეყნიდან.

ბატონი ვახტანგი 1957 წელს, უმაღლესი სასწავლებლის წარჩინებით დამთავრებისთანავე ერთ-ერთი პირველი მიიწვიეს ინსტიტუტში, როგორც შრომისმოყვარე, ნიჭიერი, პერსპექტიული ახალგაზრდა „პროცესებისა და აპარატების“ კათედრაზე სამუშაოდ.

ბატონმა ვახტანგმა ქუთაისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში, რომელიც სოხუმში გადაიტანეს საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის სახელით, განვლო ცხოვრებისა და შემოქმედებითი მოღვაწეობის გზა — დაწყებული კათედრის ლაბორანტიდან მშობლიური ინსტიტუტის რექტორამდე. 1963-72წლებში იგი იყო ტექნოლოგიის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, 1972-77 წლებში — მანქანათმცოდნეობის კათედრის გამგე, 1977 წლიდან 1990 წლამდე — ინსტიტუტის პრორექტორი სასწავლო ნაწილში, ხოლო 1990 წლის ნოემბრიდან გარდაცვალებამდე — რექტორი.

ბატონი ვახტანგი 1973 წელს იცავს საკანდიდატო დისერტაციას ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, 1967 წელს ენიჭება დოცენტის წოდება; 1990 წელს კი მოსკოვის კვების მრეწველობის ტექნოლოგიის ინსტიტუტში იცავს სადოქტორო დისერტაციას და 1991 წელს ეკუთვნება პროფესორის სამეცნიერო წოდება. ამ მონაპოვრების მიღმა იყო ტიტანური შრომა, კვლევა-ძიება, რომელთა შედეგები ასახულია 100-ზე მეტ სამეცნიერო პუბლიკაციაში, მათ შორისაა 8 სახელმძღვანელო და მონოგრაფია, საავტორო უფლებებით დაცულია 9 გამოგონება, რომელთა უმეტესობა დანერგილი იქნა წარმოებაში. ბატონი ვახტანგის სამეცნიერო შრომებს დიდი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს ჩაის ქიმიის, ბიოქიმიისა და ტექნოლოგიური მოწყობილობების სფეროში. მის მიერ დამუშავებულია შემდეგი ძირითადი მიმართულებები:

— მწვანე ჩაის წარმოების სამეცნიერო კონცეფცია ელექტროფიზიკური მეთოდების გამოყენებით და მისი ეფექტური და პერსპექტიული განვითარება;

— მწვანე ბაიხაოსა და მწვანე ჩაის მიღების ტექნიკურ-ტექნოლოგიური უზრუნველყოფა ელექროფიზიკური მეთოდების გამოყენებით;

— დამუშავდა ელექტროფიზიკური მეთოდების გამოყენებით ოპტიმალური რეჟიმები და დამზადდა ინფრაწითელ სხივებზე და ზემაღალ სიხშირულ ელველზე მომუშავე უწყვეტი ქმედების აპარატები;

— შეიქმნა ელექტროფიზიკურ მეთოდებზე მომუშავე გამარტივებული კონსტრუქციის კომბინირებული საშრობი მანქანა;

— დამუშავდა კომპლექსური ტექნოლოგია ელექტროფიზიკური მეთოდების გამოყენებით მწვანე ბაიხაოსა და მწვანე ხსნადი ჩაის მისაღებად, რომლითაც გაუმჯობესდა ჩაის შემადგენლობა და ხარისხი;

— დამზადდა და დაინერგა წარმოებაში ინფრაწითელ სხივებზე მომუშავე, მწვანე ჩაის საშრობ-საფიქსაციო მანქანა;

— დამზადდა და წარმოებაში დაინერგა ზემაღალ სიხშირულ ველზე მომუშავე მწვანე ჩაის საფიქსაციო მანქანა.

ბატონ ვახტანგის დაუღალავი შრომისა და აღიარებული ავტორიტეტის დასტურია ის წოდებები და ჯილდოები, რომლებიც მას დამსახურებულად შემოქმედებით აღსავსე ცხოვრების მანძილზე ჰქონდა მიღებული: 1992 წელს ის აირჩიეს საინჟინრო აკადემიის წევრ-კორესპონდენტად, ეკოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად (1995წელს), აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსად (1996წელს). 1984 წელს ბატონ ვახტანგს მიენიჭა საქართველოს უმაღლესი სკოლის დამსახურებული მუშაკის საპატიო წოდება.

ბატონი ვახტანგი იყო შესანიშნავი ლექტორი, ახალგაზრდობის გულისხმიერი აღმზრდელი, ზედმიწევნით თავაზიანი, უპრეტენზიო ადამიანი. მისთვის ყველაზე მთავარი და წამყვანი სასწავლო ფორმა უმაღლეს სკოლაში ლექციაა; მისი ხასიათი, ხარისხი და მიმართულება ბევრად განსაზღვრავს სტუდენტის აკადემიურ წარმატებას. ლექტორის მიზან-დანიშნულებაა, სტუდენტი მეცნიერულ ცოდნას აზიაროს, ჩაუნერგოს მას განზოგადების უნარ-ჩვევები, რომელიც ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია, მიაჩვიოს საკუთარ თავზე დამოუკიდებელ მუშაობას.

ბატონი ვახტანგი დიდი გულისყურით ეკიდებოდა სასწავლო -ტექნიკურ საშუალებათა ფართო გამოყენებას ლექციაზე. მეცნიერულ-ტექნიკურმა პროგრესმა დღეს უდიდესი კორექტივი შეიტანა უმაღლესი სკოლის მუშაობაში. მისი აზრით, ლექციაზე მთავარი ლექტორის ცოცხალი სიტყვაა, როგორც შემეცნებითი, საკომუნიკაციო, საზემოქმედო და სააღმზრდელო ძალა. ყოველი რიგითი ლექტორ-მასწავლებელი ციცერონი ვერ იქნება, ამბობდა იგი, მაგრამ ბეჯითი შრომითა და შეუპოვარი ვარჯიშით, ლტოლვა მას მაინც იქით უნდა ჰქონდეს მიმართული.

**ბატონი ვახტანგი მიეკუთვნებოდა იმ ადამიანთა კატეგორიას, რომლებიც სიყმაწვილეშივე იქცევენ საზოგადოების ყურადღებას, სიცოცხლეშივე (რაც გინდ მოკლე იყოს იგი) იმსახურებენ მეგობრების, ახლობლების, თანამოსაქმეების სიყვარულსა და თანადგომას და ამ ქვეყნიდან წასვლის შემდეგ ტოვებენ შთამბეჭდავ მოგონებებს. ამიტომ დასანანია, რომ მან, სამწუხაროდ, მხოლოდ ნახევარი სიცოცხლის გავლა შეძლო და თან წაიღო ბევრი აუხდენელი ოცნება.**

ამბობენ, დრო ყველაფრის მკურნალიაო, მაგრამ ტკივილი არასდროს ყუჩდება, ტკივილი, რომელსაც ახლობელი ადამიანის მონატრება ჰქვია, ამიტომაც არის, რომ დრო ხშირად უძლურია ხსოვნის წინაშე, რადგან ხსოვნა მეორე სიცოცხლეა. გულმა უმტყუნა ბატონ ვახტანგს, გულმა, რომელსაც უამრავი სიკეთის გაკეთება შეეძლო. წავიდა უსიტყვოდ, სიკვდილზე არ ფიქრობდა, რადგან სიცოცხლე უხაროდა. მაგრამ კარგი ადამიანი სიკვდილთან ერთად არ კვდება, ის სიცოცხლეს ცოცხლებთან ერთად აგრძელებს.

**ბატონ ვახტანგ ფრუიძეს შესაშური თვისება ჰქონდა — ადამიანის სიყვარული, ყველა მათგანში სიკეთის მარცვალს ხედავდა; სიტყვის ძალას და მადლს მთელი არსებით გრძნობდა და განიცდიდა, კარგს არავის დაუკარგავდა, ხელს უყოყმანოდ წააშველებდა თანამშრომლებს, მეგობრებს, სტუდენტებს**; თავს არ მოიწონებდა, სხვისი სიხარული უხაროდა, სხვისი ტკივილი ტკიოდა, უღალატო ადამიანი იყო. ყველა საქმეში ზომიერი, თავაზიანი, გახსნილი, უზომოდ მოსიყვარულე მეუღლე, მამა, ბაბუა, მეგობარი. პროფესორ ვახტანგ ფრუიძის 6- წლიანი ცხოვრების გზა კარგი მაგალითია, თუ როგორი პასუხისმგებლობით უნდა ემსახურო საზოგადოებას და ქვეყანას. იგი იმ ადამიანთა რიცხვს მიეკუთვნებოდა, რომელთაც ყოველგვარი ხმაურის, პომპეზურობისა და ზედმეტი რეკლამირების გარეშე უყვართ საქმის კეთება. ის იყო პიროვნება, რომელიც ბუნებისგან უხვად იყო დაჯილდოებული დიდსულოვნებით, კეთილშობილებით, სათნოებითა და გულმოწყალებით, ადამიანობის განსაკუთრებული ხიბლითა, ხელმძღვანელისა და ორგანიზატორის, პედაგოგის, მეცნიერისა და მკვლევარის უბადლო ნიჭითა და ქარიზმით.

ბატონი ვახტანგის გარდაცვალებიდან განვლილმა წლებმა გვიჩვენა, თუ რაოდენ დიდი პიროვნება და მეცნიერი, საზოგადო მოღვაწე, გულანთებული მამულიშვილი დააკლდა ოჯახს, ქვეყანას, საზოგადოებას, სამეგობროს. მისი მაღალი მოქალაქეობრივი და ზნეობრივი თვისებები მკაფიოდ გამომჟღავნდა აფხაზეთის ტრაგიკულ დღეებში. მას არც ერთი დღით არ მიუტოვებია სამსახური, თანამშრომლები და სტუდენტები. ის ყველაზე ბოლოს წამოვიდა სოხუმიდან, სანამ არ დარწმუნდა, რომ ინსტიტუტის მთელი კოლექტივი სამშვიდობოს იყო გასული. აფხაზეთის ტრაგედიის ბოლო დღეებმა ბატონი ვახტანგის მხრებზე გადაიარა, რამეთუ მას კარგად ესმოდა მოსალოდნელი განსაცდელი, რაც ქართველ ახალგაზრდობას ელოდა აფხაზეთში. როგორც ჩანს, ამ ტრაგედიის შედეგების მსხვერპლია ბატონი ვახტანგი, მას ხომ გულმა უმტყუნა 1997 წლის 27 სექტემბერს, ტელევიზორთან, სოხუმის დაცემის კადრების ყურებისას.

რექტორის, პროფესორ ვახტანგ ფრუიძის პირადი ინიციატივა და დამსახურებაა დროებით ადგილნაცვალი ინსტიტუტის ქუთაისში განთავსება. მან შეძლო შეენარჩუნებინა ინსტიტუტის თანამშრომელთა და სტუდენტთა კონტიგენტი და აღადგინა მისი სახელოვანი და აღიარებული სტატუსი. მისი დამსახურებაა ინსტიტუტში ასპირანტურისა და სამეცნიერო ხარისხის მიმნიჭებელი, სადისერტაციო ხარისხის მიმნიჭებელლი სადისერტაციო საბჭოს აღდგენა, რომლის თავმჯდომარე თვითონ გახლდათ. შედეგად ქუთაისში ქალაქის ისტორიაში პირველად ჩატარდა დისერტაციის დაცვა. რაოდენ სამწუხაროა, რომ ეს წერილი იწერება მაშინ, როცა საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის სახელმწიფო უნივერსიტეტს დამოუკიდებლად არსებობის სტატუსი არ გააჩნია.

ბატონი ვახტანგ ფრუიძე იყო ნიმუში, თუ როგორ უნდა ეღვაწა ქართველ ადამიანს. ასეთი ადამიანის ხსოვნა კი დიდხანს დარჩება მისი ახლობლების, კოლეგებისა და მოწაფეების მეხსიერებაში.

**პროფესორები:**
**თ. ცანავა,**
**რ. ჭაბუკიანი,**
**ნ. ებანოიძე,**
**რ. კოკალიანი,**
**გ. ბენდელიანი**



**გარდაიცვალა ემირ ბურჯანაძე, გამოჩენილი ქართველი მხატვარი, გრაფიკოსი, ბრწყინვალე პიროვნება, უკეთილშობილესი ადამიანი, რომლის უნიკალური შემოქმედება სამუდამოდ ჩაეწერა ქართული ხელოვნების ისტორიაში.**

**გასულ კვირას გააცილა იგი ქართულმა საზოგადოებრიობამ უკანასკნელ გზაზე.**

**დიდუბის პანთეონში დაიკრძალა.**

**„საქართველო და მსოფლიოს“ შემოქმედებითი კოლექტივი გულისტკივილით უსამძიმრებს მისი ოჯახის წევრებსა და ახლობლებს.**



**უცნაური შედარება მიტრიალებს თავში: „შერეკილები“, ისევე, როგორც გაბრიაძის შემოქმედება სრულად, სერვანტესის „დონ კიხოტის“ თანაზიარია სიწმინდით, სულისკვეთებით, რაინდობით.**





www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# უცხო ჩიტი, რომელიც ქალაქის თავზე გამოჩნდა

**რეზო გაბრიაძემ თავისი ახალი წიგნი მაჩუქა, ქართული საქმის მკეთებელი მაგთის სპონსორობით გამოცემული:
„კილე
შერები“.
ავტორი და მხატვარი რეზოა, ბატონი რეზო, დიდი და მრავალმხრივი შემოქმედი (ეს თქვენ იცით), აღიარებული მეტრი (ესეც იცით), რომელთან ერთად ნახევარ საუკუნეზე გაცილებით მეტი ხნის წინათ სახელმწიფო უნივერსიტეტში გატარებული სტუდენტური წლები უფლებას მაძლევს, შენობით ველაპარაკო.
ამად გავბედე ამ ჩანაწერების გამოქვეყნება და — არავითარი შეთამამება...**

## „მელახოლია სენი...“

**„კილე
შერები“.**

— აბა, სხვანაირად როგორ უნდა წაეწერა მხატვარს იმ წიგნის ყდაზე, რომელიც ფანტაზიორი შერეკილების თავგადასავალზე მოგვითხრობს, ჩვენებური კულიბინების — „ვიღაც სუხარებით მეხრამუნე ნასტუდენტარი ფიზიკოსის“ — ქრისტეფორე მგალობლიშვილისა და „სიბნელიდან სინათლისკენ“ დაძრულ ოკრიბელ ერთაოზ ბრეგვაძის, მიზანას შვილის, მიერ საგიჟეში აგებულ ცათმფრენზე, მათ გაცუდებულ სიყვარულზე და კიდევ ბევრ რაღაცაზე, სადაც მარგალიტა, ნოშრევან კუჭუხიძე და ხუტა ოდიშარია მთავარ როლებს თამაშობენ. ყველა თავ-თავის სასიყვარულო სამკუთხედში ტრიალებს, რომელთა მიზიდულობის ცენტრი მარგალიტაა:

**„— ქალბატონო მარგალიტა! — ჩურჩულით დაუძახა ციხის უფროსმა.**

**— რომელი ხარ? — მოისმა ოთახიდან.**

**— ოდიშარია.**

**— რომელი ოდიშარია, ხუსკივაძე?“**

ობერკონდუქტორი ტრიფონია ეპიზოდურ როლზეა მიწვეული.

თამუნია ყიფიანი კი მოგონებად დარჩება...

ღიმილიანი განწყობილება, მკითხველს თავიდან რომ დაეუფლება, ბოლომდე გაჰყვება — 99-ე გვერდამდე და იმის იქითაც, როცა რეზო გაბრიაძის „ნავსაყუდელში — სახვით ხელოვნებაში“ აღმოჩნდება შემოქმედების ტალღების მიერ ნაფოტივით ატაცებული: „საბჭოთა ჩემოდნის ნაზი ძირიდან“ გადმოვარდნილი უნიკალური ნახატების საგამოფენო დარბაზში.

მთავარი ნავსაყუდელი ცაშია, მეცხრე ცის ზემოთ, „ზემოთ და მაღლა“, სადაც მკითხველი მოხვდება, როგორც ცათმფრენის უბილეთო მგზავრი.

იმოგზაურებს კოსმოსური უსასრულობის შავეთში ვარსკვლავებად გარდასახული თეთრი ჩხიკვების გუნდის საპატიო ესკორტის თანხლებით, აჩაჩა ურემზე დაბრძანებული, რომელსაც აქვს ორი ბორბალი, რვაფრთიანი პროპელერი და არყის სახდელი ქვაბის გასაიდუმლებული რაოდენობის ცხენისძალიანი ძრავა:

**„ხანდახან ვიღაც-ვიღაცებს დაუნახავთ ვარსკვლავებში აჩაჩა ურემი.**

**ურემზე თითებით ნაძერწი მოღუნული სანთელი ანათებდა, უსასრულობაში რაღაცას ეძებდა“...**

ვეძებდი სიტყვებს A-4-ის ფორმატის თაბახის ქაღალდის სიცარიელეზე იმ შთაბეჭდილების გადმოსატანად, მაინცდამაინც რეზო გაბრიაძის შედევრები რომ ახდენს მკითხველზე.

ამაოდ.

თუნდაც იმიტომ, რომ თავს ვერ აღწევ ასოცირების მორევს, რომელშიც გითრევს გაბრიაძის ფანტაზიით შექმნილი რეალობის იდენტურობა ჩვენი უახლესი ისტორიის მწარე სინამდვილესთან, „ფსიქიატრიულ ახალშენში“ მდგარ აგურის შენობას რომ ჰგავს:

**„ამ შენობას ორი კარი ჰქონდა და ერთი წარწერა — „საოყნე“.**

მარჯვენა კარი განკუთვნილი იყო თავადაზნაურთათვის, მარცხენა — უბრალო ხალხისთვის“.

მემარჯვენე და მემარცხენე პოლიტიკურ ძალებზე მიგვანიშნა, მგონი, ავტორმა, ორპარტიულ, ანტაგონისტურ სიყალბეზე, რომელსაც ხალხისთვის არც არასდროს მოუტანია რამ სარგებელი, რადგან:

**„...ორივე კარს ერთსა და იმავე ოთახში შევყავდით, ერთსა და იმავე ოყნასთან“.**

უპოვართა და ამა ქვეყნის ძლიერთა გამაერთიანებელი მუდმივა — ოყნა!

**„ეს ორი კარი უსამართლოდ ეჩვენებოდა მდაბიოებს“.**

გავიზიაროთ მათი პროტესტანტული განწყობილება.

გაბრიაძე არაფერზე არ მიგვანიშნებს. არავითარი პოლიტიკა! ეს კი, დღევანდელი გაგებით, არაპროდუქტიულია. მაგრამ კონიუნქტურისგან ამგვარი გარიდებით მაღლდება ეს წიგნი ნებისმიერ პოლიტიკაზე მაღლა, დროზეც მაღლა და ამით უზრუნველყოფს გაუცვეთელ ღირებულებათა სიმყარეს — დღესაც და პერსპექტივაშიც.

კლასიკის ბუნებაა ასეთი.

ხოლო ის პარალელი ნაცნობ სიტუაციასთან ჩემით გავავლე. სხვა არაფერი. თორემ „შერეკილების“ ქვეტექსტებში იმდენ პარალელს იპოვით, თქვენ რომ გაგიხარდებათ.

ორმაგი სიმდიდრეა: ის, რაც არის, პლიუს ის, რაც იგულისხმება.

წაიკითხავთ, მაგალითად, რომ გვალვიან ზაფხულს მოყოლილ შემოდგომაზე ნეონერვო-კლინიკის პაციენტებმა **„გნოლიძემ, ლორიამ, ჩილაჩავამ, სიმონგულოვმა და ტყეშელაშვილმა ჩალის კარავში შეთქმულება მოაწყვეს, — „ტყვილა ვყავართ აქანეო, მეფემ თუ გოუგო ნოშრევანს, დედის ცრემლი არ ეყოფაო“.**

წაიკითხავთ და არ შეიძლება არ გაგახსენდეთ 1917 წლის ოქტომბრის რევოლუციის მომზადების პერიოდში ოხრანკის თვალყურს გარიდებული ლენინის ჩალის კარავი რაზლივში.

„რევოლუციური კარვებისადმი“ ავტორის დამოკიდებულება ორიოდ წინადადებით არის გადმოცემული — მსუბუქი იუმორით მიწასთან გასწორებული „რევოლუციონერობა“:

**„კარპეზა დენიაგმა (ნოშრევანის კაცმა) დროზე უცვალა გეზი შეთქმულებას, სხვა მსვლელობა მისცა და ოყნებს დაუკავშირა — ამ საქმეში თავადაზნაურობასთან გათანაბრება მოითხოვა.**

**ამასობაში ალმასას და მაისას კარავი შემოეჭამთ.**

**თავსხმა წვიმაში კი შეთქმულება ჩვენში ინტერესს კარგავს“.**

**კარგად მეყოლეთ!**

## შეტევა როიალით

შეთქმულება უინტერესო ხდება, ცხოვრება მოსაწყენი და უძრაობის ღრუბლების გასაფანტად, გასართობად ხალხი თავის თავთან ჯიგრიან დაპირისპირებას იწყებს ნებისმიერი მიზეზით. თუმცა პროვინციულ ქალაქში საჩხუბრად, ერთმანეთისთვის თავის გასატეხად და ხუტას ცხენისთვის კბილებით ნალის ასაგლეჯად მიზეზი სულაც არ არის აუცილებელი.

მაგრამ მიზეზი მაინც არის იქ, სადაც არის თუნდაც ნემეცების ქუჩის „მის მარგალიტა“ — „შესანიშნავი გულმკერდით! ოდნავ მოელამო! ზომიერად პამადიანი!“

კიდევ ერთი პარალელი, უფრო ზუსტად, პარალელი შედარებისთვის, სადაც ერთ მხარეს პირველი საბჭოთა მუსიკალური კინოკომედიის შედევრი, ალექსანდროვის „ვესიოლიე რებიატა“ იქნება — რეპეტიციის დროს ორკესტრანტებს შორის ატეხილი ჩხუბი, ექსპრესია და ენერგეტიკა, მიკროკადრებიდან ამოფრქვეული ცეცხლოვანი იუმორი, მუსიკალური და გამოსახვითი რიგების ზუსტი შეთანხმება, მოკლედ, სინთეზური ხელოვნების ზეიმი, და მეორე მხარეს — მხოლოდ სიტყვა, მაგრამ სიტყვა რეზო გაბრიაძისა.

ხუთ გვერდზე გრძელდება ჩხუბის აღწერა, ტრიფონიას „ეზოში მეხი რომ გასკდება“, იქიდან მოყოლებული, ვიდრე საკვამურიდან იმავე ტრიფონის თავის ამოყოფამდე.

არა მგონია, ეს სცენა ჩამოუვარდებოდეს კინოკომედიის ბრწყინვალე კადრებს.

მხოლოდ ერთი პასაჟი „შერეკილებიდან“, არა ელდარ შენგელაიას ელვარე ფილმიდან, არამედ ამ ფილმის ლიტერატურული „წინაპირობიდან“:

**„ორი რაზმი ერთმანეთს ეკვეთა! ატყდა ვაი-უშველებელი! შერბენ-გამორბენა! აშლი-მაშლი! მალ-მალ გინება! მათრახების ფსტვენა! ბაგა-ბუგი გოდოგნური! გაიღვიძა ქალაქმა! აკიაფდა ჭრაქები! ყველამ ნემეცის ქუჩას მიაშურა! იფეთქა საუკუნეობით დაგროვილმა სტიქიურმა ძალამ. არავინ კითხულობდა ვინ — ვის რატომ ან რისთვის ურტყამდა! მამის, პატარის, დიდის, ქალის გარჩევა მოიშალა! მოცელეს ღობეები! გათელეს ბაღები! ბოსტნები! ბორცვ-გორები! თევზი ნაპირს მოშორდა და სილაში ჩაიმარხა! ჩიტმა ცა გამოიცვალა! გახურდა ჩხუბი! აღდგა იმერეთი! გაწიეს გვერდზე საქართველო! გაიღო კარი ლხინისა!“**

დანარჩენს თქვენ წაიკითხავთ.

ამ დროს **„ბულვარდში ბუზიკამ დასცხო ვალსი ჩქარული! ჩვენებური! ვაჟკაცური!“**, ხოლო **„იაშა ფლეიშმანი პანჩურით დირიჟორობდა ორკესტრს!“**

წავიდა ის დრო, როცა **„ქიმია არ იყო, ვაშლში ჭია ბუდობდა, რძე ქვაბიდან გადადიოდა, გიჟი გიჟობდა და შმაგი შმაგობდა“...**

## „მანათობელი ვარსკვლავი“

ელდარ შენგელაიას ფილმი ვახსენე ზემოთ და მისი ლიტერატურული „წინაპირობა“. ჩინგიზ აითმატოვს აქვს ნათქვამი (თუ არ ვცდები), რომ კარგი ფილმი იქმნება იმ შემთხვევაში, როცა საფუძვლად ლიტერატურა უდევს.

ხელოვნების ორი განსხვავებული დარგის ერთ სულ და ერთ ხორც შერწყმაა ფილმი და წიგნი „შერეკილები“. ამასთან, ორივეს დამოუკიდებლად არსებობის უფლება აქვს მოპოვებული, როგორც დიდი ეკრანისა და სიტყვაკაზმული მწერლობის სრულყოფილ ნიმუშებს.

დღეს რეზო გაბრიაძის პროზაზე ვლაპარაკობ, მწერალ კაცზე, რომლის შემოქმედება პლანეტის წარმოქმნის თეორიასავითაა — აფეთქდა და იშვა დედამიწა, რომელიც ადამიანებითაა დასახლებული, სადაც წვიმს, თოვს, გვალვაც იცის. ბუნების ჩვეულებრივი მოვლენებია, მაგრამ რეზო გაბრიაძის კალმის ერთი მონახაზით ჭეშმარიტი ხელოვნების განზომილებაში გადადის.

წვიმს.

ჯერ მის „რამონაში“ „ორ საცერში გატარებული წვიმა“ რად ღირს, აქ კი „გვიანი შემოქმედის დღეს“ მოსული წვიმა გაგაოცებთ, რომელიც ისეთი მოულოდნელი შტრიხებითაა გადმოცემული, როგორიცაა „თაგვის ულვაშით“ განსაზღვრული ამინდის პროგნოზი:

**„გვიანი შემოდგომის დღე იდგა, ჩუმი, მკრთალი, ბევრჯერ გარეცხილ მიტკალს ჰგავდა.**

**ნიავმა კურკანტელის ტოტს მესკიელა ჩიტი მოწყვიტა და ჩალის კარავში უკუღმა შეაფრინა. ჩალის ღეროდან თაგვმა თავი გამოყო, ამინდს ყური დაუგდო ულვაშით, წვიმა მოესმა და ისევ ღეროში ყოფნა არჩია. ხიდან პატარა კურკანტელი ჩამოვარდა, ზრდილობიანად.**

**წამოწვიმა კიდეც, გამოზომილად.**

**ქვა და ფოთოლი სისველემ ააპრიალა“.**

ნოველაა თავისთავად, დამოუკიდებელი, თბილი და ჩუმი სევდის სინესტედაკრული. მაგრამ ეს მხოლოდ ექსპოზიციაა, რომელზეც აღმოცენდება პეპელას წაღებული კაცის სულის, სიმღერაში მიცვალებული მიზანა ბრეგვაძის სევდიანი ამბავი, რომელმაც **„აუშვა ცაში ხმა და ვეღარ დაიბრუნა. ამოისუნთქა და ვეღარ ჩაისუნთქა. ისესხა ღვინო და ვეღარ ჩაასესხა“.**

მიზანა სახეა ღატაკი იმერეთის, რომლის მკვიდრი ქართველების სულიერი სიმრთელის, სილამაზისა და დახვავებული პრობლემების განუმეორებელი იუმორითა და სიყვარულით აღწერა დავით კლდიაშვილის შემდეგ მხოლოდ რეზო გაბრიაძემ თუ შეძლო, და არა მხოლოდ „შერეკილებში“.

ეს ცნობილია.

უცნაური შედარება მიტრიალებს თავში: „შერეკილები“, ისევე, როგორც გაბრიაძის შემოქმედება სრულად — მარიონეტების თეატრი, კინოსცენარები, მხატვრობა, პროზა — სერვანტესის „დონ კიხოტის“ თანაზიარია სიწმინდით, სულისკვეთებით, რაინდობით (თუ რაინდებით), არისტოკრატიზმით და, რაც მთავარია, კეთილშობილებით.

მსოფლიო შედევრის დონეზეა.

არ გამიჯავრდე, ბატონო რეზო, ასეთი პარალელისთვის! მაგრამ არ მეთქვა, არ შემეძლო.

ერთ ინტერვიუში კახი კავსაძემ გაიხსენა დონ კიხოტის გზამკვლევი (თუ გზის მანათობელი) ვარსკვლავის მიხაილ ჩეხოვისეული (დიდი რუსი მსახიობის) შედარება მეფისტოფელის ვარსკვლავთან, რომელიც თვალების გუგებშია, ჰამლეტისა — გულშია, ლირის — გონებაში, ტვინში, სანჩო პანსასი — დუნდულებში, დონ კიხოტის გზის მანათობელი ვარსკვლავი კი თავზე ოდნავ ზემოთაა.

და არა უსასრულო ზეცაში.

თავს ზემოთ, მაგრამ მიწასთან ახლოს.

შენს გმირებსაც ეს ვარსკვლავი უნათებს გზას, ბატონო რეზო.

## „თოვლი თოვს...“

ფიფქებით კოდირებული თეთრი გზა ადამიანის ბედისწერის.

„ხელახლად მოსული“ თოვლი ილიას „ოთარაანთ ქვრივში“ ტრაგედიის მომასწავებელია, უვერტიურაა უბედურების, რომელიც სიმყუდროვის თეთრ სივრცეში გულის სიმის ჩაწყვეტას ჰგავს, ძაღლის ყმუილით აფორიაქებული გულის:

„სწორედ შობის ღამეს ხელახლად მოვიდა დიდი თოვლი და სოფლის გზებსა და ორღობეებში თეთრ უმტვერო სუფრასავით დაეგო და დაეფინა... ორღობის ღობეები, ზოგან ჯარჯით, ზოგან წალმით დახურული, სქელ დადებულ თოვლქვეშ ისე სჩანდა, თითქო თეთრი საფარავი აქვთ გადაჭედილი ზემოდამო“.

„უცოდველი თოვლით“ დაფარულ სასაფლაოზე სწორედ იმ ღამეს დაეწია სიკვდილი ოთარაანთ ქვრივს.

თეთრი სუფრა თეთრ სუდარად იქცა.

გლოვის ზარმა ჩამოჰკრა.

სულ სხვა ზარები გუგუნებს ალექსანდრე საჯაიას, კახური ზამთრით გაოცებული კოლხი პოეტის ლექსში:

„ღამე არ ტირის
ქარი ობოლი,
ბაკურციხეში ღამეც არ ცივა,
გვიან დაჰბერს
და ცივი გომბორი
დაიგუგუნებს:
„ბერი კაცი ვარ...“

და აღფრთოვანებული, ღვინის მადლით დალოცვილი კაცის ემოციური შეძახილი:

„რა ღვინო იყო
ის დალოცვილი,
რა ღვინისფერი
თოვლი მოსულა!“

ჯანსულ ჩარკვიანის „შეურაცხყოფილი თოვლიც“ გავიხსენოთ და ჯეკ ლონდონის „თეთრი მდუმარება“. კიდევ სხვაც.

სითეთრის მრავალფეროვნება.

და მივადექით გაბრიაძის მიერ დახატული ზამთრის სურათს, თბილსა და ფაფუკს, ყინვაში, შემცივნებულ მხრებზე მოგდებული თეთრი მელიის ბეწვივით, მოულოდნელი სტუმარივით იმერული ეზოს ჭიშკარს რომ მიადგება:

— მასპინძელოო!

— მობრძანდი, ბატონო...

მას შემდეგ, რაც **„ჭინკამ ნიორი ჭამა, ნივრის ჩალა ნიავმა წაიღო ჭინკიანად“**, ნოშრევან კუჭუხიძის ნეო-ნერვო-კლინიკაშიც დადგა ზამთარი:

**„მოვიდა იმერეთის ზრდილი სტუმარი — თოვლი და ყველაფერი გადათეთრდა“.**

კონტრასტულად იცვლება ლირიკული განწყობილება:

**„შმაგები რომ შმაგებია, ისინიც დაწყნარდნენ, დალევდნენ დილით წაქს და საღამომდე ეძინათ...“**

და კვლავ — თხრობის ლირიკული მდინარება:

**„დამთავრდა ზამთარი ჩაწვა ფოთლებში ჩრდილი ღობის ძირას. ფოთლებმა ერთიც გაიშრიალეს, თქვეს ერთმანეთში რაღაცა ჩურჩულით და გარიჟრაჟზე წაიშალნენ.**

**მის მერე ის ზამთარი არავის უნახავს“.**

საოცრებაა!

ამ საოცრებაზე იმ ფოთლებივით მეც ჩურჩულით, ჩემთვის უნდა მელაპარაკა, ჩემთვის უნდა წამეჩურჩულებინა „შერეკილების“ წაკითხვით მიღებული შთაბეჭდილების შესახებ, რაიც, იმ ფოთლებისგან განსხვავებით, არც ერთ გარიჟრაჟზე არასოდეს წაიშლება.

მაგრამ რა დროს ჩურჩულია, როცა მაგიდაზე გიდევს რეზო გაბრიაძის წიგნი —

**„კილე
შერები“**

და თენდება 22 სექტემბრის დილა.

ექვსის ნახევარია.

დაზამთრებამდე ჯერ ძალიან შორია. იმ ზამთრამდე, ბატონო რეზო!

**არმაზ სანებლიძე**

ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ვირუსი სხვა არაფერია, თუ არა გენეტიკური ინფორმაციის მატარებელი მიკროორგანიზმი, რომელიც, ისევე როგორც კომპიუტერში ინსტალირებული დისკი, ადამიანის ორგანიზმში მოხვედრისთანავე ბრძანებას გასცემს და ინფორმაციას ავრცელებს.**

# ყველაფერი ვირუსების შესახებ



**სულ ახლახან ციმბირში დაახლოებით 30 ათასი წლის ყინულქვეშ გიგანტური ვირუსი აღმოაჩინეს. ვირუსი ჯერ კიდევ ცოცხალია და ზომით ბევრ ბაქტერიას აღემატება. მეცნიერების აზრით, ადამიანებისთვის ის საშიში არ არის, თუმცა, დედამიწაზე ყინულის დნობის ინტენსიურობის გათვალისწინებით, გამორიცხული არ არის, რომ პლანეტაზე სხვა ანტიკური ხანის ვირუსებიც გამოჩნდნენ, რომლებიც ადამიანის ჯანმრთელობას საფრთხეს შეუქმნიან. ახლადაღმოჩენილი ვირუსის ზომა ერთ-ნახევარი მიკრომეტრია და სიდიდით აქამდე კაცობრიობისთვის ცნობილ ყველა ვირუსს აჭარბებს. სახელად გიგანტურ ვირუსს „ფიტოვირუს სიბერიკუმი" უწოდეს.**

ვირუსები 20-300 ნანომეტრის ზომის მიკროსკოპული ნაწილაკებია, რომელთაც ცოცხალი უჯრედების ინფიცირების უნარი გააჩნიათ. ბუნებაში ვირუსი ერთადერთი ცოცხალი ორგანიზმია, რომელსაც უჯრედული აგებულება არ აქვს. ისინი ცოცხალი ორგანიზმისთვის დამახასიათებელ არც ერთ ნიშანს არ ავლენენ. ამის გამო მეცნიერები დიდი ხნის მანძილზე ფიქრობდნენ, მიეკუთვნებინათ თუ არა ისინი ცოცხალი ორგანიზმებისთვის. ვირუსს დამოუკიდებლად გამრავლების უნარი არ გააჩნია, იგი მხოლოდ უჯრედების ინფიცირების საშუალებით მრავლდება. ვირუსები გასამრავლებლად ადამიანის, ცხოველის ან მცენარის უჯრედებს ირჩევენ. ვირუსის გამრავლებით მასპინძელი უჯრედი იღუპება. არსებობენ განსაკუთრებული ვირუსები, რომლებიც ბაქტერიების უჯრედშიც მრავლდებიან. ბაქტერიების ვირუსს ბაქტერიოფაგი, ანუ ფაგი ჰქვია.

ის მიკროსკოპული, მაგრამ სასტიკი არსებაა, რომელიც ორგანიზმიდან ორგანიზმში ისე დასეირნობს, როგორც არაფერი. **ვირუსი ინფექციური აგენტია, რომელიც ცოცხალ ორგანიზმში იჭრება, „ეხრახნება" მის უჯრედს და მასპინძელს თავის ჭკუაზე ატარებს.**

ლათინურად „ვირუს" შხამს ნიშნავს. XIX საუკუნის მიწურულს რუსმა, ცოტა გვიან კი ჰოლანდიელმა მეცნიერებმა თამბაქოს მოზაიკის ვირუსი აღმოაჩინეს და მას „ფილტრში გამავალი შხამიანი საწყისი" უწოდეს. შემდეგ ტერმინი დაიხვეწა და მზაკვარ მიკროორგანიზმს ჯერ „ფილტრში გამავალი ვირუსი" ეწოდა, საბოლოოდ კი — უბრალოდ „ვირუსი".

1901 წელს ამერიკელმა სამხედრო ქირურგმა და მისმა კოლეგებმა დაასკვნეს, რომ ყვითელი ცხელების მიზეზიც ვირუსი იყო. ეს იყო პირველი შემთხვევა, როდესაც ადამიანის ინფიცირებაში ბრალი ვირუსს დასდეს, თუმცა აქვე უნდა ითქვას, რომ მეცნიერებმა ყვითელი ცხელების ვირუსული ბუნება მხოლოდ და მხოლოდ 26 წლის შემდეგ აღიარეს.

ყველაზე მარტივი ვირუსები მხოლოდ ნუკლეინის მჟავებისგან (რომლებიც გენეტიკურ მასალას წარმოადგენენ) და დამცავი გარსისგან შედგებიან. ზოგიერთის შემადგენლობაში ცილები და ნახშირწყლებიც შედის. ერთი სიტყვით, **ვირუსი სხვა არაფერია, თუ არა გენეტიკური ინფორმაციის მატარებელი მიკროორგანიზმი, რომელიც, ისევე როგორც კომპიუტერში ინსტალირებული დისკი, ადამიანის ორგანიზმში მოხვედრისთანავე ბრძანებას გასცემს და ინფორმაციას ავრცელებს.**

ვირუსი მრავალნაირია. ისინი განსხვავდებიან ნუკლეინის მჟავების ჯაჭვების რაოდენობით (დნმ-იანი ორჯაჭვიანია, რნმ-იანი — ერთი), ფორმით (სფერული, ცილინდრული, თავკომბალას მსგავსი), გამოწვეული სიმპტომებით და ა.შ. ამ **დიდ ოჯახს ეკუთვნის გრიპისა და შიდსის ვირუსებიც.**

ვირუსების მთავარი ნავსაყუდელი ადამიანის ორგანიზმია, თუმცა, სანამ იქამდე მიაღწევს, შეიძლება, დროებით რომელიმე ცხოველის ან მცენარის ორგანიზმში დაიდოს ბინა. მაგალითად, ცოფის გამომწვევი ვირუსისთვის შუალედური გაჩერება მღრღნელების ორგანიზმია, მაგრამ მათ არაფერს ვნებს, ადამიანისთვის კი მომაკვდინებელია. გარდა მღრღნელებისა და ადამიანისა, ვირუსებმა შეიძლება მცენარეებში, სოკოებში და, რაც საოცარიც უნდა იყოს, ბაქტერიებზეც კი დაიდონ ბინა.

მას შემდეგ, რაც მსოფლიოში პირველი კვლევითი ლაბორატორია შეიქმნა, ვირუსებს თითქოს მუსრი უნდა გავლებოდა, მაგრამ ვირუსული ინფექციების სიხშირე დღითიდღე იზრდება.

მედიცინამ იმდენი შეძლო, რომ ტიფი, შავი ჭირი და ქოლერა დაამარცხა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, არის სნეულებები, რომლებთან გამკლავებაც დღემდე ვერ ხერხდება. ესენია ბოლო დროს მეტად გახშირებული ვირუსული ინფექციები.

**დედამიწაზე გაბატონებულ ვირუსებს შორის ყველაზე ვერაგისა და აგრესიულის გამოყოფა ძნელია, უფრო სწორად, ძნელი იყო 1981 წლამდე, ანუ მანამდე, სანამ შიდსის (შეძენილი იმუნოდეფიციტის სინდრომის) პირველ დიაგნოზს დასვამდნენ. ორიოდე წლის შემდეგ მთავარი დამნაშავეც აღმოაჩინეს და მას ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსი (HIV — Human immune deficiency virus) უწოდეს.**

სპეციალისტები აღნიშნავენ, რომ ვირუსს მეტად პრიმიტიული აგებულება აქვს, მაგრამ ეს ვერაფერი ნუგეშია. ვირუსი მთელი თავისი „სიმარტივით" უტევს კაცობრიობას.

თუკი სტატისტიკას მივადევნებთ თვალს, დავინახავთ, რომ საქართველოში შიდსით ინფიცირების შემთხვევები ყოველწლიურად იზრდება. ამჟამად აღრიცხულია 1100-მდე ინფიცირებული, თუმცა ექიმები მიიჩნევენ, რომ მათი რაოდენობა რეალურად 3000-ს აღწევს.

ორ ტერმინს — აივ-ინფექციასა და შიდსს შორის განსხვავებას ბევრი ვერ ხედავს, თუმცა სხვაობა არსებობს: აივ-ინფექცია არის პროცესი ვირუსის ორგანიზმში შეჭრის მომენტიდან ადამიანის სიცოცხლის ბოლომდე, ხოლო შიდსი უკანასკნელი, ტერმინალური სტადიაა, როდესაც დაავადების სიმპტომები ვლინდება.



**კალიფორნიის უნივერსიტეტის ვირუსების კვლევის ცენტრის დირექტორის — ლუის ვილერიალის მტკიცებით კი, სადაც არ უნდა გაიხედოთ, ყველგან ვირუსები იქნებიან და ისინი უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობენ დედამიწაზე სიცოცხლის ევოლუციაში. ისინი არიან ყველაზე ხელოვანი გენეტიკური ორგანიზმები**



მიუხედავად მეცნიერთა ძალისხმევისა, აივ-ინფექციისგან დამცავი ვაქცინა ჯერ არ აღმოუჩენიათ. ასე რომ, გადავურჩებით თუ არა ვირუსს, მხოლოდ და მხოლოდ ჩვენზეა დამოკიდებული.

„სინამდვილეში ადამიანი სიმბიოზის პროდუქტია, ანუ ვირუსის და ადამიანის შედარებით მშვიდობიანი თანაცხოვრების, — ამბობს ფრენკ რაინი, — ისინი რომ არა, ჩვენც არ ვიქნებოდით, ან სულ სხვანაირები ვიქნებოდით"....

ჩვენს გენომში მოხვედრილი „სტუმრების" უმეტესობა მიძინებულები არიან და თითქმის არანაირად ავლენენ თავს. ყოველ შემთხვევაში, მეცნიერებს მათი ნამუშევარი ჯერ არ აღმოუჩენიათ. ზოგიერთების ქმედება კი ნათლად ჩანს. მაგალითად, **ენდოგენური ვირუსების დამსახურებით გახდა შესაძლებელი ჩასახვა — ჩვენი განვითარების საფუძველი**. იმუნოლოგები დიდხანს იმტვრევდნენ თავს იმაზე, თუ რატომ არ ებრძვიან მომავალი მამის სპერმატოზოიდებს (რომლებიც იდეაში უცხო სხეულებია) დედის თ-ლიმფოციტები მაშინ, როდესაც უმოწყალოდ ანადგურებენ სხვა უცხო ქსოვილებს. თურმე ეს ვირუსების დამსახურებაა — მათ დაბლოკეს იმუნური მცველი უჯრედების აქტივობა.

მეცნიერებმა პროცესს, როდესაც ჩასახლებული ვირუსი მატარებლის სასარგებლოდ იწყებს მუშაობას, „მოლეკულური გაშინაურება" უწოდეს. დანიელმა გენეტიკოსებმა დაამტკიცეს: უმაღლესი მაიმუნების დიდ ნაწილს ორი ვირუსი ეხმარება დედის პლაცენტის აშენებაში. მათ წინაპრებს ისინი დაახლოებით 43 მილიონი წლის წინათ შეეყარათ და წარმატებით „მოიშინაურეს".

სავსებით შესაძლებელია, რომ ჩვენს თანამაცხოვრებლებს არამარტო სიცოცხლეს, არამედ გონებასაც უნდა ვუმადლოდეთ — მაიმუნებს, ადამიანისმაგვარებსაც კი, ენდოგენური ვირუსები გენომში ჩვენზე მნიშვნელოვნად ნაკლები აქვთ.

დარვინისტებისთვის ვირუსები სხვა არაფერია, თუ არა დედაბუნების ინსტრუმენტები. მათი მეშვეობით ბუნება არსებებს სრულყოფდა და აგუებდა გარშემო სამყაროს ცვლილებებთან, სხვებს კი ხოცავდა ან არ აგუებდა და ისინი თავისით შენდებოდნენ.

ცნობილი გენეტიკოსი და პროექტის — „ადამიანის გენომი" ხელმძღვანელი **ფრენსის კოლინზი** დარწმუნებულია, რომ **ევოლუცია ღმერთის ორგანიზებულია და ის მას დღესაც მართავს.** სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ღმერთმა როდესაც ადამიანის შექმნა მოინდომა, ჯერ ვირუსები შექმნა, ხოლო შემდეგ ყველაფერი ისე მოაწყო, რომ ისინი თავად „აწყობილიყვნენ" ადამიანად. ამას დაახლოებით მილიარდი წელი დასჭირდა.



ვინაა მართალი — ევოლუციონისტები თუ კრეაციონისტები, ალბათ, ვერასდროს გავიგებთ. ორივე მხარე კი ერთ რამეში თანხმდება: ბაქტერიების შესახებ იდეა გენიალურია.

რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ადამიანის გენების სტრუქტურისა და ფუნქციების ლაბორატორიის ხელმძღვანელი ევგენი სვედლოვი ამბობს, რომ ოდესღაც ჩვენი და ჩვენი წინაპრის — შიმპანზეს საერთო წინაპრის პოპულაციის ნაწილს გენომი შეეცვალა, რამაც განვითარების პროგრამის ცვლილება გამოიწვია. ამ პოპულაციის იმ ნაწილმა, რომლისგანაც შემდგომში ადამიანი წარმოიშვა, შეჩერება დაიწყო განვითარების უფრო ადრეულ სტადიაზე — იმ პერიოდზე, როდესაც მთელი გონება ინტენსიურ სწავლაზეა მომართული. ეს რეტროვირუსების დამსახურება იყო.

**კალიფორნიის უნივერსიტეტის ვირუსების კვლევის ცენტრის დირექტორის — ლუის ვილერიალის მტკიცებით კი, სადაც არ უნდა გაიხედოთ, ყველგან ვირუსები იქნებიან და ისინი უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობენ დედამიწაზე სიცოცხლის ევოლუციაში. ისინი არიან ყველაზე ხელოვანი გენეტიკური ორგანიზმები.**

ბერკლიში (აშშ) არსებული კალიფორნიის უნივერსიტეტის პროფესორი სენგ-ვუკ ლი თვლის, **რომ ვირუსების დახმარებით შესაძლებელია ნერვული ქსოვილების აღდგენა და ამით ზურგის ტვინის ტრამვიანი პაციენტების მორჩენა**. მეცნიერების აზრით, „მკურნალები" გახდებიან ბაქტერიოფაგები — ვირუსები, რომლებიც მხოლოდ ბაქტერიების ქსოვილებს აზიანებენ. მათ შეუძლიათ ისეთი ქსოვილების შექმნა, რომლებიც ცხოველების ორგანიზმში არსებულებს ჰგავს.

იდეა შემდეგში მდგომარეობს: შეიცვალოს ბაქტერიოფაგის გენეტიკური კოდი, იმისათვის, რომ მან შექმნას უჯრედისთვის აუცილებელი ცილები და წარმოქმნან ნეირონები. სწორედ ისინი დაიკავებენ დაზიანებული უჯრედების ადგილს და შეაერთებენ გახლეჩილ ზურგის ტვინს.

მეცნიერებმა უკვე გამოზარდეს „ვირუსული" ნეირონები მენზურაში. შემდეგი მიზანი მათი ცოცხალ ორგანიზმში გამოზრდაა.

ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



## ყველაზე ძველი ყველი

**ჩინეთში კაცობრიობისთვის აქამდე ცნობილ ყველაზე ძველ ყველს მიაგნეს. ყვითელი შეფერილობის ანტიკური ყველი უძველეს აკლდამებში, მუმიების სხეულში აღმოაჩინეს.** მეცნიერები ფიქრობენ, რომ ის 3 600 წლისაა და, სავარაუდოდ, ჩვენს წელთაღრიცხვამდე 1615 წელს არის დამზადებული. ის, რასაც მეცნიერებმა ყველი უწოდეს, ჩინეთის ტაკლამაკანის უდაბნოს ქვიშაში დაფლულ სამარხშია ნაპოვნი და ძალიან ახლოსაა მაწონის შემადგენლობასთან. რძის ერთ-ერთი უძველესი ნარჩენები თურქეთში, თიხის ჭურჭელზე იპოვეს. მეცნიერების აზრით, ის 8 000 წლის წინანდელია. უძველესი, დაახლოებით 7 500 წლის კარაქის დასამზადებელი ხელსაწყო კი პოლონეთში აღმოაჩინეს.

# ბუნების 10 საოცრება, რომლებიც მალე გაქრება

**ტურისტულმა პორტალმა „Budget Travel"-მა გაქრობის პირას მისული ბუნების 10 საოცრების ნუსხა გამოაქვეყნა. მათი განადგურების თარიღად მეცნიერები 2030 წელს ასახელებენ.**



## ბელიზის ბარიერული რიფი

რიფი მნიშვნელოვნად დაზარალდა. მრავალ ადგილას მან მარჯნების 50% დაკარგა, ისინი გაუფერულებას ამ დრომდე განაგრძობენ. ამის მიზეზი გლობალური დათბობაა.



## კონგოლეზის ღრმული

ეს ამაზონის შემდეგ სიდიდით მეორე მასივია, რომლის ფლორისა და ფაუნის ორი მესამედი 2040 წლისთვის, გაეროს დასკვნის თანახმად, განადგურდება. მისი გადარჩენა მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება შესაძლებელი, თუ გარემოს დამცველები ეფექტურ ღონისძიებებს გაატარებენ. ამჟამად ტყეებს ინტენსიურად ჩეხავენ, რადგან ფერმერები პირუტყვისთვის საძოვრის ნაკლებობას განიცდიან. აფრიკაში მაღაროების ინტენსიური მშენებლობა მიმდინარეობს.



## იანცზის მდინარის აუზი

მკვლევარებმა აღიარეს, რომ ამ რეგიონში არსებული ფლორა და ფაუნა სერიოზული საფრთხის წინაშე დგას, მაგრამ ტურისტების მიერ დახარჯულმა თანხებმა, შესაძლოა, ბუნება განადგურებისგან იხსნას.





## მადაგასკარი

თუკი ამ აფრიკული სახელმწიფოს ტყეების გადარჩენაზე არ იზრუნებენ, 35 წელიწადში ისინი მთლიანად გაიჩეხება და დაიწვება, მადაგასკარის მკვიდრნი კი დაიღუპებიან.



## მალდივის კუნძულები

თუკი გლობალური დათბობის პროცესი გაგრძელდება, ეს კუნძულები, რომლებიც ზღვის დონიდან დაახლოებით 2 მეტრის სიმაღლეზე მდებარეობს, ჩაიძირება.





## ტამბოპატას ჯუნგლები

პერუს პროვინციაში, მადრე დე დიოსში წითელი ხის მარაგია. წითელი ხე ტამბოპატას ჯუნგლებში ხარობს. უკანონო ჩეხვის გამო ხეების რაოდენობა დღითიდღე მცირდება. მხოლოდ აშშ წითელი ხის 80%-ს მოიხმარს. ამ ხისგან ავეჯს აწარმოებენ.



## მკვდარი ზღვა

ბოლო 40 წლის განმავლობაში მისი მოცულობა მესამედით შემცირდა, ზღვის დონემ კი 24 მეტრით დაიკლო. შედეგად დაახლოებით 50 წელიწადში მკვდარი ზღვა აღარ იარსებებს. ამასთან, კოსმეტიკის მწარმოებლები ზღვის ფსკერის მინერალურ მარაგს ანადგურებენ.



## ვეფხვების პოპულაცია

ვეფხვების ნახევარზე მეტი ინდოეთის ბინადარია. მსოფლიოში მათი რაოდენობა ამჟამად 3200-ია. ვეფხვები, შესაძლოა, 12 წელიწადში მთლიანად განადგურდნენ. მარტო ჩინური ტრადიციული მედიცინის საჭიროებისთვის დღე-ღამეში საშუალოდ თითო ვეფხვს კლავენ.



## ჩრდილოეთ და სამხრეთ პოლუსები

გლობალური დათბობა განადგურებით ანტარქტიდის პინგვინების 80%-ს ემუქრება. არქტიკაში ამ ბედს თეთრი დათვებიც გაიზიარებენ. პოლარული ყინულის დადნობასთან ერთად, ეკოსისტემები იღუპება. 20-40 წლის შემდეგ ანტარქტიდაში ახალი ყინულის მასივები აღარ შეიქმნება.



## ევერგლეიდსის ეროვნული პარკი

ფლორიდის პარკის ტერიტორია ერთადერთი ადგილია, სადაც ფლორიდული პანტერა ბინადრობს, პარკის მოცულობა უკვე 60%-ით შემცირდა.

ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## ნასა «ევროპაზე» სიცოცხლეს ეძებს

**მარსზე მოძრავი ლაბორატორიის — „კურიოზითის“ დასმის შემდეგ, შეერთებული შტატების აერონავტიკისა და კოსმოსის ეროვნული ადმინისტრაცია მისიის გაგზავნას იუპიტერის მთვარეზე — „ევროპაზე“ გეგმავს.** ნასას მეცნიერების აზრით, „ევროპაზე“ მზის სისტემაში სიცოცხლის არსებობისთვის, შესაძლოა, დედამიწის შემდეგ ყველაზე ხელსაყრელი პირობები იყოს. პლანეტის სქელი ყინულის საფარქვეშ ოკეანის წყლის და, შესაბამისად, რაიმე ცოცხალის არსებობას არ გამორიცხავენ.





## კლეოპატრას ნარკოტიკული კოქტეილი

**ეგვიპტის ცნობილი დედოფალი კლეოპატრა გველის ნაკბენით არ მომკვდარა, როგორც ეს აქამდე მიიჩნეოდა, არამედ მან თავი ოპიუმნარევი სასიკვდილო კოქტეილით მოიწამლა. ასეთ დასკვნას გერმანელი მეცნიერები აკეთებენ.**

ისტორიკოსი კრისტოფერ შეფერი ვარაუდობს, რომ სილამაზით განთქმული დედოფალი სიცოცხლეს ხანგრძლივი და მტანჯველი სიკვდილით არ დაასრულებდა. ექსპერტები ალექსანდრიას ესტუმრნენ, სადაც უძველესი სამედიცინო ტექსტები შეისწავლეს.

მკვლევარებმა კონსულტაცია გამართეს ქვეწარმავალთა სპეციალისტებთანაც, რომელთა თქმით, კობრის ნაკბენის შემდეგ ადამიანს სხეულზე ლაქები აღენიშნება და რამდენიმე დღეში მტანჯველი სიკვდილით იღუპება. დედოფლის გარდაცვალების ახალი ვერსიის თანახმად, 40 წლის კლეოპატრამ თავისი სილამაზის უკვდავსაყოფად თავი ოპიუმნარევი საწამლავით მოიკლა.

## ყველაზე ცუდი მძღოლი

**ბრიტანელი გოგონა მართვის მოწმობის თეორიულ გამოცდაზე 90-ჯერ ჩაიჭრა. ეს გამოცდები მას დაახლოებით 3 000 ფუნტი სტერლინგი დაუჯდა.**



ბრიტანეთის ყველაზე ცუდი მძღოლების სტატისტიკური მონაცემები მართვის სტანდარტების სააგენტომ გამოაქვეყნა. რეკორდსმენი ლონდონის სამხრეთში მცხოვრები 26 წლის ქალიშვილია. ის მართვის მოწმობის თეორიულ გამოცდაზე 90-ჯერ ჩაიჭრა. მართვის მოწმობის ასაღებად ჩასაბარებელი თეორიული გამოცდა ბრიტანეთში 31 ფუნტი ღირს. ტესტის ჩასაბარებლად აუცილებელია 57 წუთში 50 კითხვიდან 43-ს სწორად უპასუხო. თეორიული გამოცდის ჩაბარების შემდეგ პრაქტიკული გამოცდაა ჩასაბარებელი.

რეკორდსმენი მამაკაცებს შორისაც აღმოჩნდა. ყველაზე მეტჯერ პრაქტიკულ გამოცდაში დასავლეთ მიდლენდში მცხოვრები 39 წლის ბრიტანელი ჩაიჭრა. მამაკაცმა პრაქტიკული გამოცდა 36-ჯერ ვერ ჩააბარა, მაგრამ თეორიულ გამოცდასთან დაკავშირებით პრობლემები არ შექმნია.



## ქიმიოთერაპიაზე 100-ჯერ ეფექტური

**ლიმონი რომ საოცარი პროდუქტია, ყველამ ვიცოდით, მაგრამ ის, რომ, თურმე ციტრუსი კიბოს უჯრედებსაც კლავს და ის 100-ჯერ ძლიერი მოქმედებისაა, ვიდრე ქიმიოთერაპია, დღემდე არავინ იცოდა.**



რატომ არ ვიცოდით ამის შესახებ აქამდე? იმიტომ, რომ არსებობს ლაბორატორიები, რომლებიც დაინტერესებულნი არიან სინთეტიკური პრეპარატების წარმოებითა და რეალიზებით, რომელსაც მათთვის უზარმაზარი შემოსავალი მოაქვს.

„ახლა თქვენ შეგიძლიათ დაეხმაროთ ახლობელს, რომელიც უკურნებელი სენით იტანჯება და გააგებინოთ ამ უნიკალური ბუნებრივი საშუალების შესახებ“, — წერს ბალტიმორის მედიცინის მეცნიერებათა ინსტიტუტი.

**ლიმონი სასწაულებრივად მოქმედებს ყველანაირ კისტოზურ თუ სიმსივნურ წარმონაქმნზე. უკვე დამტკიცებულია, რომ ეს ციტრუსი ყველანაირი კიბოს უჯრედის წინააღმდეგ მოქმედი უნიკალური საშუალებაა.** ზოგიერთი მედიკოსი ამტკიცებს, რომ ლიმონი ყველა ტიპის სიმსივნურ წარმონაქმნს ებრძვის.

ამ ინფორმაციის წყაროს — ბალტიმორის მედიცინის მეცნიერებათა ინსტიტუტის მონაცემები ასეთია: 20-ზე მეტმა ლაბორატორიულმა კვლევამ, რომლებიც 1970 წლიდან ტარდება, აჩვენა, რომ **ლიმონი ანადგურებს 12 სახეობის ავთვისებიან უჯრედს, რომელიც სხვადასხვა ორგანოზე — მკერდზე, პროსტატაზე, ფილტვებსა და კუჭქვეშა ჯირკვალზე ჩნდება...** გამოკვლევებმა დაადასტურა, რომ ლიმონი 10 000-ჯერ ეფექტურია, ვიდრე პრეპარატი Adriamycin, რომელიც მთელი მსოფლიოს მასშტაბით გამოიყენება ქიმიოთერაპიაში და რომელიც კიბოს უჯრედის განვითარებას აფერხებს. და კიდევ უფრო საოცარი რამ: **ლიმონის თერაპია მხოლოდ ავთვისებიან უჯრედებს კლავს, ხოლო ჯანმრთელ უჯრედებს არ ეხება.**

ლიმონის წვენი აბსოლუტურად უვნებელია და მისი მიღებით არანაირ მკურნალობას არ შეეშლება ხელი.

## წმინდანის გაცოცხლებული

**54 წლის ვალდელუსიო გონსალესის გარდაცვალება ექიმებმა დაადასტურეს და მორგში გააგზავნეს. გვამის ამოსაცნობად მისული ნათესავები ძალიან შეშინდნენ, როდესაც შავ ტომარაში გახვეულმა სხეულმა მოძრაობა დაიწყო.**



„როდესაც ის ტომარა მანახეს, რომელშიც ჩემი ძმა იწვა, უცებ შევნიშნე, რომ მოძრაობდა, თითქოს სუნთქავდა“, — ყვება გარდაცვლილად გამოცხადებულის ძმა. გონსალესი კუჭის კიბოს მკურნალობდა. სუნთქვა ძალიან უჭირდა და საავადმყოფოში დააწვინეს. მეორე დღეს ოჯახს შეატყობინეს, რომ გარდაიცვალა.

თავად ვალდელუსიოს საუბარი არ შეუძლია, მაგრამ წერილი დაწერა, რომელშიც ყვება, რომ ის სასწაულებრივად გადაარჩინა ირმა დულსემ. „სიკვდილი ვნახე, მაგრამ ჩემი რწმენა ძლიერი იყო. ირმა დულსეს წინ წარვსდექი და სასწაული ვთხოვე. მან ჩემი ლოცვა ისმინა. დედაჩემიც ვნახე, რომელმაც მითხრა, ხელი მომკიდე და გადარჩებიო“.

ეს არ არის პირველი შემთხვევა, როდესაც ბრაზილიაში მკვდრად გამოცხადებული ადამიანი ცოცხლდება. ასე მოხდა ახალშობილი გოგონას შემთხვევაშიც. მისი სხეული მორგში გააგზავნეს, სამ საათში კი გოგონას სიცოცხლის ნიშნები დაეტყო.



## ექვემიტანილის სახეს დნმ-იდან აღადგენენ

**მალე მკვლელობის ადგილზე პოლიცია დე-ენ-ემის ნიმუშს აიღებს, შესასწავლად წაიღებს და ეჭვმიტანილის სახეს კომპიუტერის ეკრანზე აღადგენენ. ეს მხოლოდ ერთია იმ შედეგებიდან, რომელთაც მკვლევარები ახლახან გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომის საფუძველზე გვპირდებიან.** მათი მეთოდოლოგიის მიხედვით, სქესის, სახის კანის, თმის ფერის, წინაპრების, გენეტიკის და სხვა მოცემულობათა შეფარდება საკმაო სიზუსტის სამგანზომილებიანი გამოსახულების შექმნის საშუალებას იძლევა. თუკი ეს მეთოდი ფართოდ დაინერგა, მეცნიერები არ გამორიცხავენ, რომ სხვადასხვა დანაშაულში ეჭვმიტანილთა წრე კიდევ უფრო დავიწროვდება და წარსულში ჩადენილ მრავალ გაუხსნელ დანაშაულს აეხდება ფარდა. ამ თემაზე მუშაობა 2012 წელს ერასმუსის უნივერსიტეტის ჰოლანდიელმა მეცნიერებმა დაიწყეს.

ქრონოგრაფი

www.geworld.net

თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ტყუპების გასარჩევი მანიკური



**კარენ და იან გილბერტებმა, რომელთაც სამი ტყუპი ჰყავთ, გადაწყვიტეს, ერთმანეთისგან მათ გასარჩევად ახალი მეთოდი გამოიყენონ და ბავშვებს სხვადასხვა ფერის ლაქი წაუსვეს ფეხის ფრჩხილებზე. ახლა უკვე იოლად არკვევენ, რომელს აჭამეს საჭმელი და რომელს გამოუცვალეს პამპერსი. მანამე კი ისეც ხდებოდა, რომ ერთსა და იმავე პროცედურას რომელიმე ერთ ჩვილს რამდენჯერმე უტარებდნენ.**

ფიონას ვარდისფერი ლაქი უსვია, მედისონს — ღია მწვანე, პეიჯს კი — იისფერი. ბავშვების დედა კარენი ამბობს: „ეს არ არის მოდას აყოლა, ჩვენ მართლა ყველანაირად ვცდილობთ, რომ ისინი ერთმანეთისგან გავარჩიოთ. დროთა განმავლობაში, როცა მათი ხასიათი ჩამოყალიბდება, რაღაც განსაკუთრებულ თვისებებს გამოავლენენ, ქცევაშიც ექნებათ სხვაობა, ალბათ, გარეგნულადაც პაწაწინა განსხვავებები მაინც გაჩნდება და უფრო გაგვიიოლდება მათი გარჩევა. ახლა კი ეს აბსოლუტურად წარმოუდგენელია, ამიტომაც „დავნიშნეთ“ პატარები“.

ეს მხიარული ტრიო უკვე დიდი პოპულარობით სარგებლობს. ოჯახისთვის ფულსაც შოულობენ — სატელევიზიო დრამაში „სტელა“ თამაშობენ. რაკი სამივენი იდენტურები არიან, ფილმში ერთსა და იმავე ბავშვს ასახიერებენ და ეს ძალიან მოხერხებული აღმოჩნდა გადამღები ჯგუფისთვის, რადგან ბავშვები ერთმანეთს ენაცვლებიან და დაღლას ვერ ასწრებენ.



# საქალეთი

**ბრაზილიის ქალაქში, რომელიც მთლიანად 20-დან 35 წლამდე ქალებითაა დასახლებული, იმედოვნებენ, რომ მაცხოვრებელთა შორის მალე მამაკაცებიც გამოჩნდებიან.**

ნოივა დო კორდეირო, რომლის მოსახლეობაც 600 ახალგაზრდა ქალისგან შედგება, 1890 წელს დაარსდა. მისი დამაარსებლები იყვნენ ქალები, რომლებიც გარყვნილების გამო საზოგადოებიდან გარიყეს. მას მერე, ტრადიციულად, ქალაქში მხოლოდ ქალები ცხოვრობდნენ — მამრობითი სქესის ბავშვებს 18 წლის შესრულებისას ქალაქიდან უშვებენ. ზოგ ქალს ქმარი ჰყავს, მაგრამ ისინი ქალაქგარეთ მუშაობენ და მხოლოდ შაბათ-კვირას ბრუნდებიან მეუღლეებთან. მამაკაცებს არ აქვთ უფლება, ქალაქის პოლიტიკაში ჩაერიონ.

იმის გამო, რომ ქალაქში მხოლოდ ქალები ცხოვრობენ, მარტოხელა გოგონებს ძალიან უჭირთ მეგობარი მამაკაცების გამონახვა. ახლა ისინი იმედოვნებენ, რომ გამოჩნდებიან სასიძოები, რომლებიც უარს არ იტყვიან დასახლდნენ ქალაქში, რომელსაც მთლიანად ქალები მართავენ. ოღონდ მამაკაცების მიღებას მხოლოდ იმ შემთხვევაში აპირებენ, თუ ისინი ქალებს დაემორჩილებიან და მათი წესების მიხედვით იცხოვრებენ.

# იუმორის გრძნობის «ვარგისიანობის ვადა» დადგინდა



**გლამორგანის უნივერსიტეტის მეცნიერებმა ბრიტანელთა იუმორისადმი დამოკიდებულება შეისწავლეს. მათი თქმით, ადამიანს მხიარული განწყობა 52 წლის შემდეგ მნიშვნელოვნად უქრება.**

კვლევების შემდეგ მეცნიერებმა დაასკვნეს, რომ სამყაროს ღიმილით აღქმა ასაკთან პირდაპირ კავშირშია. თუ ბრიტანელი ბავშვები დღეში საშუალოდ 300-ჯერ იცინიან, 19 წლამდე ყმაწვილების შემთხვევაში ეს რაოდენობა 6-ს აღარ აღემატება. 20 წლის ასაკის ზღურბლზე ბრიტანელები დღის განმავლობაში, საშუალოდ, მხოლოდ 4-ჯერ იცინიან.

30 წლის შემდეგ ბრიტანელებს იუმორის გრძნობა უმძაფრდებათ და დღეში საშუალოდ 5-ჯერ იცინიან. მეცნიერთა განმარტებით, ადამიანები ოჯახს, ძირითადად, ამ ასაკში ეკიდებიან და მათ ყოველდღიურობაში ხალისი ბავშვებს შემოაქვთ.

როგორც ირკვევა, 40 წელს გადაცილებული ბრიტანელები სულ უფრო ნაკლებად იცინიან და ხუმრობენ, 52 წლის ასაკს მიღწეული მათი უმეტესობა კი შესამჩნევად ჭირვეული, შფოთიანი და გაღიზიანებულია.

„უნდა გვახსოვდეს, რომ სიცილი ადამიანებზე დადებითად მოქმედებს. თუ დღის განმავლობაში უფრო ხშირად გავმხიარულდებით, ეს სტრესთან ბრძოლაში დაგვეხმარება“, — განაცხადა კვლევაში მონაწილე გლამორგანის უნივერსიტეტის წარმომადგენელმა.



# რამდენჯერ ღალატობენ წყვილები ერთმანეთს



**სამხრეთ ალაბამის უნივერსიტეტის ახალმა კვლევამ, რომელშიც მონაწილეობდა 443 ქალი და მამაკაცი, დაადგინა, რომ ადამიანი, რომელიც ერთხელ ღალატობს, მომავალშიც აგრძელებს ღალატს. თუ თქვენ შეურიგდებით მამაკაცს, რომელმაც გიღალატათ, მოემზადეთ, რომ ისევ გიღალატებს.**

„ადამიანები, რომლებსაც ერთხელ მაინც უღალატეს, გაცილებით ნაკლებად თავდაჯერებულნი იყვნენ რომანტიკულ ურთიერთობებში“, — განაცხადა კვლევის წამყვანმა ავტორმა ჯოშუა ფოსტერმა.

ადამიანები, რომლებსაც ღალატობენ, მომავალში ნაკლებად არიან ორიენტირებული ოჯახურ ურთიერთობებზე და ეძებენ პოზიტიურ ალტერნატივას, რითაც შეძლებენ პარტნიორული ერთგულების ჩანაცვლებას. ამიტომ იმ პირებს, რომლებიც მონოგამიურ ურთიერთობებს ანიჭებენ უპირატესობას, კვლევის ავტორები ურჩევენ, რომ კარგად შეარჩიონ პარტნიორი და დარწმუნდნენ, რომ ღალატს ადგილი არ ექნება.



# როგორი დედა უნდათ ბავშვებს?

**ბრიტანელმა სოციოლოგებმა საინტერესო გამოკითხვა ჩაატარეს — ექვსიდან თხუთმეტ წლამდე სამი ათასი ბავშვი გამოკითხეს — როგორი უნდა იყოს იდეალური დედა.**

ბავშვების უმრავლესობამ თქვა, რომ იდეალურმა დედამ მათთან ბევრი დრო უნდა გაატაროს, სკოლაში უნდა ატაროს, არ გაუბრაზდეს ტანსაცმლის დაბინძურებისთვის, დღის ნებისმიერ დროს დართოს ტელევიზორის ყურების უფლება, იმის მიუხედავად, როგორ მოიქცნენ ბავშვები.

აღმოჩნდა, რომ ბავშვებს სულაც არ უნდათ გვერდით ისეთი ადამიანი, რომელმაც ყველაფერი იცის ამქვეყნად, ყველაფერი შეუძლია, დილიდან საღამომდე მხიარულობს და კარგად ამზადებს კერძებს. სამაგიეროდ, ბავშვებს თურმე ძალიან სჭირდებათ ისეთი დედა, რომელიც მათ ყოველდღე უნაწილებს ბევრ დროს, სითბოსა და ყურადღებას, სულ გვერდით არის, როცა პატარებს პრობლემები აქვთ. ბავშვებს სურთ, დედამ მათ ნება დართოს, თმებზე მოეფერონ, სიამოვნებით უყუროს, როგორ სვრიან ტანსაცმელს თამაშის დროს. არც გემრიელ კერძებზე ამბობენ უარს, თუმცა უნდათ, იდეალურმა დედამ სადილისა და ვახშმის მომზადებას 30 წუთზე მეტი არ მოანდომოს, რათა ბავშვებისთვის დარჩეს მეტი დრო. ხშირად უნდა მოეფეროს შვილს, აკოცოს, ძილის წინ ესაუბროს, წაუკითხოს, შეაქოს, ისეირნოს მასთან ერთად, ეთამაშოს, მოირბინოს, როგორც კი დაუძახებენ და, რაც მთავარია, გამოაცხოს ნამცხვრები.

## მადლობა სასწაულმოქმედ ბიოენერგო კორექტორს, ქალბატონ ლაურა რუხაძეს

ლაურა რუხაძე — ეს გვარი და სახელი ხშირად მსმენია, მაგრამ სკეპტიკოსი ვიყავი და არავისი მწამდა. ჩემი შვილის მეგობარს საერთოდ არ გააჩნდა მკერდი, ამის გამო არასრულფასოვნად მიაჩნდა თავი. გაიგო ქალბატონი ლაურას შესახებ, რომ გააჩნდა ბიოდენები და 35-წლიანი მოღვაწეობის მანძილზე უამრავი მადლიერი პაციენტი ჰყავდა, ამიტომ მასთან მივიდა. ჩაიტარა მასაჟების ერთი კურსი, მოხდა სასწაული — გოგონას ერთი ზომით მკერდი გაეზარდა. ამის შემდეგ მივედი მეც, ასთმისგან წლების მანძილზე გატანჯული. ქალბატონმა ლაურამ ჩამიტარა მკურნალობის ერთი კურსი და შვება ვიგრძენი, სამი კურსის ჩატარების შემდეგ განვიკურნე.

ის ბიო-ენერგო კორექციით, ჩინური წერტილოვანი მასაჟით და სამკურნალო მცენარეებით კურნავს შემდეგ დაავადებებს: თავის ტკივილს, მაღალ და დაბალ წნევას, რევმატიზმს, ასთმას, წელის — ხერხემლის დეფორმაციას, კისრისა და მხრების ტკივილს. რადიკულიტს და საჯდომი ნერვის ანთებას, სამწვერა ნერვის ანთებას, ჰაიმორიტს, ფრონტიტს, ჩიყვს (დიფოზურს). ახლოს და შორს მხედველობას. ყურის ყელის და ცხვირის დაავადებებს, დაქვეითებულ სმენას, ნევროზს, კუჭის და თორმეტ გოჯა ნაწლავის დაავადებებს, შეკრულობას, უნებლიე შარდვას, ბუასილს. გინეკოლოგიურ დაავადებებს: ეროზიას, კისტას, საკვერცხეზე, საშვილოსნოს ფიბრომას, მიომას. ფსორიაზს, მენინსკს, შეუძლია თირკმელებში და შარდის ბუშტში პატარა ზომის ქვების დაშლა, უოპერაციოდ მკერდის (გაზრდა) დამუცლის კუნთის კორექცია. გახდომა ჩინური წერტილებით, სიგარეტის მოწევისთვის თავის დანებებაში დახმარება. მიღება წინასწარი ჩაწერით.

ლია მაჩაიძე

**ტელ: 577 45 87 55, 272 99 34**
**მის.: უზნაძის ქ. 78 III სართული**

## მინდა, ყველამ იცოდეს, რომ არსებობს ხალხური მედიცინის სასწაულები

არ შემიძლია, დიდი მადლობა არ ვუთხრა ბიოლოგებს, დედა-შვილს — ცისანა მჭედლიძესა და ია ბეგაშვილს. მათთან თმის ბუდობრივი ცვენის — ალოპეციის გამო მივედი. ამასთანავე მქონდა ქერტლი, ქავილი, ნადები და ფსორიაზი. გასინჯვის შემდეგ აღმოჩნდა, რომ მაქვს კანისა და ფრჩხილის სოკო. ქალბატონ ცისანა მჭედლიძისა და ია ბეგაშვილის მიერ მე-13 საუკუნის რეცეპტებით დამზადებული წამლებით ერთი კვირის მკურნალობის შემდეგ ქავილი და ნადები მთლიანად გამიქრა; შემიწყდა თმის ცვენა და 2 თვეში მთლიანად ამომივიდა თმა. ეს არც არის გასაკვირი, ვინაიდან წამლები დამზადებულია ბუნებრივ კომპონენტებზე — არის ანტივირუსული, ანტიმიკრობული, ანტისოკოვანი და მინერალებით მდიდარი. ამიტომ დედა-შვილი წარმატებით მკურნალობს თმის ცვენას, გამონაყარს, მშრალ და ცხიმიან სებორეას, თმის ბუდობრივ ცვენას, სოკოს ყველა სახეობას, მარილებს, ფსორიაზს, ნაწოლებს, ფეხის გულებზე ნახეთქებს, სახსრებს, პლექსიტს, ასევე აშორებს ტილებს, წილებს.

თეიმურაზ ჭკადუა გვიამბობს:

— მქონდა დემადეკოზი, სად არ ვიყავი, მაგრამ ვერავინ მიშველა. ამ ქალბატონების წყალობით კი ერთ თვეში განვიკურნე.

ქალბატონ მ. სულაძეს ბუასილი აწუხებდა და საშინლად ტანჯავდა ტკივილები. ათდღიანი მკურნალობის შემდეგ იგი განიკურნა.

პატივისცემით, ქ. დოლიძე

**ტელ.: 555 200-341 2144 780; 235-32-62; 593 918-917**
**მისამართი: ვაჟა-ფშაველას გამზირი №47 (მ.«დელისთან»), მე-2 სტომატოლოგიური პოლიკლინიკა, მე-2 სართული, ოთახი №28**

## გახდომა უმადობით

მიუხედავად იმისა, რომ ათასწლეულების განმავლობაში ნაგროვები უნიკალური რეცეპტების დიდი ნაწილი დაკარგულია, ერთეულებმა მაინც მოახერხეს გადარჩენილი ინფორმაციის აღდგენა-გამდიდრება. სწორედ ამ ერთეულებს მიეკუთვნება ქ-ნი ნუნუ, რომლის მიერ გამოცემულ წიგნში „მედეადან დღემდე“ უამრავ სასარგებლო ხალხურ რეცეპტს შეხვდებით. ორიოდე თვის წინათ კი ერთ-ერთ არხზე მოვუსმინე მას, რომელმაც ყურადღება გაამახვილა გასახდომ კენკრა-მარცვლოვანზე დამზადებულ ნაყენზე, რომლის ყოვლისშემძლეობა და უნიკალურობა თავად გამოვცადე. სანამ ნაყენის დალევას დავიწყებდი, გავესაუბრე მის მიერ დამშვენებულ-გალამაზებულ რამდენიმე მადლიერ პაციენტსაც, რომლებიც, წლებია, ინარჩუნებენ წონას. დიდი წონის გამო ხშირად მიწევდა „მშრალი შიმშილობა“, გამომეფიტა ორგანიზმი, დამიზიანდა ნერვული სისტემა. ნაყენის მიღებიდან რამდენიმე დღეში დამიქვეითდა მადა, გაქრა შეშუპებები, გულის უკმარისობა, შევძელი სიარული ქოშინის გარეშე, თანდათან მომიწესრიგდა კუჭ-ნაწლავისა და ქალური პრობლემები, დავმშვიდდი, მცირე ულუფაც მაკმაყოფილებდა. სწორედ ეს ნაყენი აღმოჩნდა ჩემი გალამაზებისა და გაჯანსაღების საშუალება. დავიკელი ორგანიზმისთვის ბუნებრივი პროცესებით ყოველგვარი გვერდითი ჩვენებების გარეშე, გავლამაზდი და თითქოს ხელახლა დავიბადე. ხალხური მედიცინის საოცრებებში უკვე მერამდენედ დავრწმუნდი, მადლობა ქ-ონ ნუნუს!

მაჩუქეს ძალიან საინტერესო წიგნი „მედეადან დღემდე“; დავინტერესდი და მივაკითხე ავტორს — ქ-6 ნუნუს (პროფესიით მხატვარი) ჩემი ჭარბი წონის და მასთან დართული პრობლემების გამო მივიღე რჩევა და დავიწყე კენკრა-მარცვლოვანზე დამზადებული ნაყენის სმა, რომლის მაღალეფექტურობამ გამაოცა. დამიქვეითდა მადა, აღვიდგინე ენერგია, გაქრა შეშუპება, დაიშალა მკერდში კვანძები, განიწოვა მიომა (გადავურჩი ოპერაციას), მოწესრიგდა კლიმაქტერიული პერიოდი, დარეგულირდა ციკლი, გაქრა კანზე გამონაყარი. წონაში დავიკელი (შემდეგ არ ხდება მატება), რადგან ორგანიზმში მიდის ბიოაქტიური წმენდა, იდევნება ტოქსინი, მარილი, ნალექი, ქოლესტერინი, მოდის ენერგია, ახალგაზრდული იერი. ვარ ბედნიერი და კმაყოფილი. მადლობას ვუხდი ქალბატონ ნუნუს.

**ქალბატონ ნუნუს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ: 2-93-47-51; 599 251 158**

## მკურნალობა მამაკაცებისთვის

პოტენციის დაქვეითება, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდვის შეკავება, უნებლიე შარდვა, წვა-ტკივილი შარდვისას, ორგანიზმის წმენდა უჯრედულ დონეზე სოკოვანი და მიკრობული ინფექციებისგან, რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება, ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისაგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, ნევროზი) ღვიძლის ფუნქციის აღდგენა-მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით უკუჩვენების გარეშე.

მკურნალობა — ინდივიდუალური დანიშნულებით, იმუნიტეტის გაძლიერებით, 100%-იანი შედეგით.

**ტელ. 558-15-63-87; 218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა**
**მის.: აღმაშენებლის №154 «მწვანე ოფისი»**

## ფსორიაზისგან განვიკურნე

ფსორიაზის გამო მკურნალობის ყველა საშუალება ამოვწურე. საბოლოო განკურნების იმედი არც გამჩენია, რადგან ყველა ექიმი აღნიშნავს, რომ იგი განუკურნელი დაავადებაა. ახლობელმა გერმანიაში გამომიგზავნა ჯულიეტა ფურცელაძის მალამო სასინჯად, რა თქმა უნდა, დავიწყე მისი გამოყენება დაზიანებულ უბნებზე, კანი საოცრად მოკლე დროში გამისუფთავდა, ყველა ჩივილი მომეხსნა, შედეგი განსაცვიფრებელი იყო, მაგრამ ველოდებოდი გამწვავების პერიოდს. სასწაულია, მესამე წელია, მდგომარეობა სტაბილური და საიმედოა! ჩემი შედეგებიდან გამომდინარე, მეუღლესაც ვახმარე ფრჩხილის სოკოზე და სრულიად განიკურნა. მადლობას ვუხდი ქ-ონ ჯულიეტას! ამ წერილით ყველას მინდა გავაგებინო ფურცელაძის მალამოს არსებობა, რომელიც ფსორიაზის გარდა შველის ფრჩხილისა და კანის სოკოს, სებორეას, ნეიროდერმიტს, დერმატიტს, ეგზემას!

პაციენტი ლ. გუნავა გერმანიიდან

**ჯულიეტა ფურცელაძის საკონტაქტო ტელეფონები: 2-35-71-03; 599-57-58-78**

## მადლობა მაყვალა ცინცაძეს!

ზაფხულში ჩვენს ქალაქს სტუმრობდა სახალხო მკურნალი, მედიცინის მუშაკი მაყვალა ცინცაძე, რომელიც უვნებელი მცენარეული საფენებისა და თეთრ მუმიოზე დამზადებული მალამოს საშუალებით მკურნალობდა ბორჯომელ ავადმყოფებს როგორც ოსტეოქონდროზზე, ასევე რადიკულიტზე, კისრის, მუხლ-სახსრის, მხრის, მენჯ-ბარძაყის ოსტეოართროზსა და დისკოზზე, სამწვერა ნერვის ანთებასა და ჰაიმორიტზე. მეც ვუჩიოდი ოსტეოქონდოზისგან გამოწვეულ წელის უსაშველო ტკივილებს და ჩემი მეუღლეც კისრის მალების ოსტეოქონდროზს, მუხლ-სახსრის ართროზს, ამიტომ დავინტერესდით და დავიწყეთ მკურნალობა. საოცრად მცირე დროში შედეგი თვალშისაცემი გახდა. 1 კურსის (15 დღე) შემდეგ ორივე სრულიად გავთავისუფლდით ყველა ჩივილისგან. თქვენი გაზეთის საშუალებით მადლობას ვუხდი ქ-ონ მაყვალას და ყველას თამამად ვურჩევ, გამოიყენონ უსაფრთხო სამკურნალწამლო საშუალებები, რომელთაც იყენებს მკურნალი ზემორე დაავადებებისას!

გაზეთ „ბორჯომის“ რედაქტორი
ვალერი ლომიძე – 599-42-79-79

**მკურნალის მისამართია: წერეთლის გამზირი 72, მე-3კორპუსი, ბინა 19. ტელ: 2-34-62-51; 599-20-19—66**



## ამერიკელი ექსპერტის აზრით, სირიაზე ავიადარტყმების განხორციელება აშშ-ის საგარეო პოლიტიკის ჩავარდნის შედეგია

**23 სექტემბერს, დილით, აშშ-მა და მისმა მოკავშირეებმა პირველი ავიადარტყმები განახორციელეს დაჯგუფება „ისლამური სახელმწიფოს“ პოზიციებზე სირიაში. დაბომბვაში მონაწილეობდნენ ბაჰრეინის, იორდანიის, ყატარის, საუდის არაბეთისა და გაერთიანებული არაბული საამიროების საავიაციო ქვედანაყოფები.** ამერიკელი ჟურნალისტი, საერთაშორისო ამბების მიმომხილველი აბაიომი იზიკივი თვლის, რომ ვაშინგტონი ებრძვის ტერორისტულ დაჯგუფებას, რომლის შექმნასაც თვითონ შეუწყო ხელი.

ექსპერტის აზრით, აშშ-მა შექმნა პირობები, რომლებითაც „ისლამურმა სახელმწიფომ“ თავისი გავლენა გააძლიერა რეგიონში. ახლა კი ვაშინგტონი 180 გრადუსით შემობრუნდა და ავიადარტყმების განხორციელება დაიწყო. ეს აშშ-ის საგარეო პოლიტიკის ჩავარდნების შედეგია ერაყსა და სირიაში, იმის გამო, რომ აშშ-მა სირიის ტერიტორია გაეროსა და სირიის თანხმობის გარეშე დაბომბა, ბარაკ ობამას მოუწევს, პასუხი აგოს ამერიკისა და მსოფლიოს საზოგადოების წინაშე“, — განაცხადა ექსპერტმა.

## მადლობა ლამარა თოდუას!

თოდუების საგვარეულო წამლები და მალამოები ოდითგანვე ცნობილია, დღეს მათი წარმომადგენელი ქალბატონი ლამარა თოდუაა და ათასობით მადლიერი პაციენტი ჰყავს. მეც მათ რიცხვში ვარ. წლების წინ შემეძინა ბავშვი და გამაგრებულ მკერდს ვერაფერი ვუშველე. ჩემმა დედამთილმა სრულიად შემთხვევით გაზეთის საშუალებით გაიგო ქალბატონი ლამარას არსებობა. იგი არ დაგვზარდა და სახლში მოვიდა. მისი მალამოს საშუალებით ძალიან მალე, ყოველგვარი მასაჟის გარეშე ჩამიქრა ანთებითი პროცესი, გამეხსნა მკერდის სადინარები. ასევე რამდენიმე კვირაში მომირჩინა ფეხის სოკო. ამ დროის მანძილზე ჩემი მეუღლე ჰაიმორიტით იყო გატანჯული. ქალბატონ ლამარას ვკითხე რჩევა. მან დაუწყო მკურნალობა და ზუსტად 10 დღეში ჩემი მეუღლე განკურნა. გავიდა რამდენიმე წელი და ჩავარდნილ ბაბუაჩემს გაუჩნდა ნაწოლები, აქაც ქალბატონი ლამარა დაგვეხმარა. იგი ჩვენი ოჯახის სასურველი სტუმარი და შეუცვლელი მკურნალია. მინდა ყველამ იცოდეს, რომ ბუნებრივ კომპონენტებზე დამზადებული მალამოებით იგი მკურნალობს კანზე გამონაყარს, აკნეს, ლაქებს, სებორეას, ეგზემას, ქავილს, ჩირქოვან და სოკოვან დაავადებებს. გასქელებულ ფრჩხილებს, დახეთქილ ქუსლებს, მაზოლებს, არჩენს მეჭეჭებს. ერთი პროცედურით აშორებს ტილებს, აჩერებს თმის ცვენას. ყოველგვარი ნაიარევისა და ლაქების გარეშე მკურნალობს ნებისმიერი სახის დამწვრობას.

პატივისცემით, მანანა ნოზაძე

**ტელ: 230-62-52; 599 16 10 82**
**მის: ოთარ ჭილაძის ქ. N№166, მე-10 კორპუსის წინ და I კორპუსის უკან**

## სიმაღლის მატების სწრაფი და ეფექტიანი პროგრამები

2-დან 25 წლამდე სიმაღლის 3-5 სმ მომატებით, ვიტამინებისა და ამინომჟავების კომპლექსით: ვარჯიშები, ზრდის ზონების გააქტიურებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროს.

გახდომა-გასუქება — თვეში 5-15 კგ. დიეტის და ვარჯიშების გარეშე, ცხიმების აქტიური წვა, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგება. მიღებული შედეგის შენარჩუნება. ასევე ძვალ სახსართა პათოლოგიების, კოქსართროზების, ოსტეოქონდროზის, ოსტეპოროზის და ა.შ. მკურნალობა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილის სინდრომის მოხსნა. მკურნალობა ტარდება ნაოპერაციევ-საოპერაციო სახსრებზე მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე.

**ტელ. 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო**
**მის.: აღმაშენებლის №154 «მწვანე ოფისი»**

საქართველო და მსოფლიო — ყოველკვირეული გამოცემა
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია
http://www.geworld.ge

მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: gazeti@inbox.ru
ISSN 2233-3894